კვირის პალიტრა

ფეხი

N38(171) 18/IX.-24/IX.2003.

ფასი 60 თ.

1168
2003

„ვბრძანობდი, როგორ მართმევდა სიდედრი ცოლს“

შელახული ღირსება – მიტოვებული მამაკაცები

საკითხავი ქალებისათვის – როცა ქალს თავს ესხმიან...

ბედ-იღბლის „მოკარნახე“, კიდევ ექვსი ფოტოსურათი

სასიძო – მირიან გოგიაშვილს მონა-მორჩილი ცოლი არ სჭირდება

ეს ბიზნესი?!

კვირის პალიტრა
ვეა
№38 (171)
18 – 24 სექტემბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ ანუ რომ მიძვრებოდი, საღ მიძვრებოდი?!. 3
გამარჯვება
ქართველი ფალავნები – მსოფლიო ჩემპიონები! 4
ერთი კითხვა 5
სასიძო
● „რისი მაჭანკალი ხარ? ერთი კაცი ვერ უნდა შემიბა?!.“ 7
● „ვფიქრობ, მირიანი წინა პლანგზე მაინც სიყვარულს დააყენებს და ისე დაქორწინდება...“ 8
მარჩიელი
ბედ-იღბლის „მოკარნახე“, კიდევ ექვსი ფოტოსურათი 10
კრიმინალი
● კუკიის სასაფლაოგე ქურდული საქმის გარჩევებს საშინელი მკვლელობა მოჰყვა 12
● „ის ბიჭი პასპორტის გამო მოვკალი“ – განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც 23-წლიანი პატიმრობა ელის 14
თემა
მიტოვებული მამაკაცები 16
ქალი საჭესთან
ავარია მართლა მოხდა, გათხოვება კი – ჯერ ჭორია... 20
მამაკაცური ოინები
ბესო ბერულაშვილის არაჩვეულებრივი სასიყვარულო თავგადასავლები ძველ „ვოლგაში“ და... შოტლანდიაში 22
მსახიობი
ნინო ლექავა: „ამ დღეს – „მონოლოგი სასაფლაოგე“ ვუწოდე...“ 25
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
გზავნილები
„შენგზე ვლოცულობ, ოღონდაც მოდი...“ 28
ცხოვრება
„თქვენს ბედნიერ სახეებს რომ ვუყურეგ, ჩემს უბედურებაგზე აღარ ვფიქრობ...“ 30

მიტოვებული მამაკაცები



თუ მიტოვებული ქალი უმეტესად, სასოწარკვეთილებაში ვარდება და ბედს ეგუება, ქალის მიერ უარყოფილი მამაკაცი არნახულ აგრესიას ავლენს და შურისძიების წყურვილით ივსება. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მამაკაცის ღირსება უფრო ძნელად ეგუება საზოგადოების სიბრალულს...

16

„ამ დღეს – „მონოლოგი სასაფლაოზე“ ვუწოდე...“

სულ ვამბობ, ვერიკო ანჯაფარიძე გამხადეს-მეთქი. ღმერთმა მისი ნიჭი მომცეს და მაგდენი წელი მათამაშოს სცენაზე. არ ვიცი, სევდიანი თვალები მაქვს, თუ გულჩათხრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, ყოველთვის ასეთ როლს მთავაზობენ.

25

კუკიის სასაფლაოზე ქურდული საქმის გარჩევებს საშინელი მკვლელობა მოჰყვა



დავლაშერიძემ ისინი მანქანაში ჩასვა და ლოტკინის მიმართულებით, ბაადურ ნარიმანიძის სახლისკენ წაიყვანა. ეს უკანასკნელი მათ შინ არ დახვდათ. გადაწყვიტეს, კუკიის სასაფლაოსკენ, ამჯერად მეორე „კანონიერ“ ქურდთან - სუმბათ აბასოვთან წასულიყვნენ.

12

„ვფიქრობ, მირიანი წინა პლანზე მაინც სიყვარულს დააყენებს და ისე დაქორწინდება...“

სანამ მინისტრად დაინიშნებოდა, მანამდე ძალიან მოწადინებულები ვიყავით, რომ დაქორწინებულიყო. ახლა უკვე აღარ. ადამიანურად მეცოდება ის გოგო, რომელიც ჩემი რძალი და მისი მეუღლე გახდება.

8

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 31
პროფესიონალი
მადლიერმა მომღერალმა ქართველ მეცნიერს ჩემოდანი აჩუქა 32
ტაძარი
როგორ მოვიქცეთ, როდესაც ტაძარში ვიმყოფებით 34
დღესასწაული
ღვთისმშობლობა 35
ფავორიტები
სუპერმცველი მილანიდან 36
სცენებსა და კულუარებში 39
ჯანსაღი სხეული
ყველა დაავადება უარყოფითი ემოციის შედეგად ჩნდება 40
რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
რთულია, ჯულია რობერთსი იყო 46
ავტო 48
მოგზაურის დღიურები
კეთილი დეიდა ჯულია, მისი აშარი ქალიშვილი, პროფესორი პოლი და... შოთა რუსთაველი 49
გადასალებ მოედნებზე 53
საკითხავი ქალებისათვის 54
ჯანმრთელობა
- პისტოლეტზე უფრო საშიში 56
- „მრავალსართულიანი“ ჯანმრთელობა 57
- თვალები და კომპიუტერი 58

სპორტული მოზაიკა 59
ჰოროსკოპი
კვირის (22-28 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
შეგწევთ თუ არა უნარი, იყოთ ბედნიერი 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

არაჩვეულებრივი სასიყვარულო თავგადასავლები ოტლანდიაში

უკანასკნელ ხმაზე კივის ქალი: „ტონი სოპრანო!“ პოპულარული სერიალი რომაა – „სოპრანოს კლანი“, იმის ერთ-ერთი მთავარი გმირის „კოპიო“ ვარ, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი; ჰოდა, ჩემთვის შერჩეულ ქალს ის მსახიობი ვეგონე.

22

კეთილი დეიდა ჯულია, მისი აშარი ქალიშვილი, პროფესორი პოლი და... შოთა რუსთაველი

– ოო! შოთა რუსთაველის ქვეყნიდან ყოფილხართ, დიდებული ქვეყნიდან... – აღფრთოვანებით წამოიძახა ამერიკელმა პროფესორმა.

მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა და აღფრთოვანებით გადავხედე ჩემს თანამგზავრს.

49

რთულია, ჯულია რობერთსი იყო

წელიწადი გავიდა. ჯულია ახალ ფილმში გადაიღეს – „მონა ლიზას ღიმილი“, რომელიც ეკრანზე 19 ოქტომბერს გამოვა. ჯულია ყველას, მისის მოდერად ეცნობა, ხოლო გადაღებებისას ოტელში სუპერვარსკვლავებისთვის განკუთვნილ ლუქსებში აღარ ბინავდება.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– ჯანდაბას შენი თავი! – ვეღარ გაუძლო დეამ დიმას მოთქმას. – მოდი, შენც აქ დაწექი.

– ოღონდ, იცოდე, თითიც რომ დამაკარო, აქაურობას კივილით გავაყრუებ...

– დედას ეფიცები, თითს ნამდვილად არ დაგაკარებ!.. – სასწრაფოდ ლოგინში ისკუპა დიმამ.

42

„ვის გავეყარე და ვის შევეყარე", ანუ რომ მიძვრებოდი, სად მიძვრებოდი?!.

ოქროს გული რომ მქონდა, კი ვიცოდი, მაგრამ თუ მთლად ასეთი ბაჯაღლო მედო ამ გამხმარ მკერდში, არ მეგონა!.. ყველას სიხარული ისე მიხარია, როგორც საკუთარი. თქვენც გაგიხარდებოდათ, პატიმართა „შეწყალების მორიგი აქტი" რომ მოხდა: რუსთავის კოლონიიდან 129 პატიმარი ღმერთმა შეიწყალა, მაგრამ რად გინდა? — ჩაამწარეს ბაღნებს სიხარული და ნახევარზე მეტს უკანვე უკრეს თავი. არადა, რა მაგათი ბრალია? გაიქცევიან, აბა რას იზამენ, 600-კაციან ზონას 10 კაცი რომ იცავს!.. ამ დროს, ერთ ბობოლა პოლიტიკოსს 10-20 შეიარაღებული მცველი ადგას თავზე. სწორიცაა: რაც უფრო მეტი დანაშაული აქვს კაცს ჩადენილი, მით უფრო ძლიერი დაცვა სჭირდება...

საერთოდ კი, ამ ქვეყანაში ყველას გასაქცევად აქვს საქმე და გარბის კიდეც სხვადასხვა მიზეზით, მიზნით თუ მიმართულებით. მოდით, ტელევიზიით დავიწყოთ: ამას წინათ, „კურიერზე" გადავრთე და წამყვანმა ისე შემომანათა ეკრანიდან, რომ გავიფიქრე: რავარი გალამაზებულა ეს გოგო-მეთქი!.. ხმა რომ არ მეცნო, დავაკვირდი და „მოამბის" წამყვანი ბიჭი არ ყოფილა?!. ეს ტელეწამყვანები მაინც ისე დარბიან არხიდან არხზე, რომ — „გამარჯობას" „მოამბეში" რომ გეტყვიან, „ნახვამდის" — „მზერაში" გეუბნებიან. თუ არადა, იმავე არხზე იცვლიან გადაცემებს ცხვირსახოცებივით: ჩამოიყვანეს ის პატიოსანი ჭაღარა კაცი ამერიკიდან და ღამის საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა ჩაბარეს სახელმწიფო არხზე. ისიც იყო თავისთვის ჭკვიანად, სტუმარსაც უღიმოდა და მაყურებელსაც, მაგრამ ვინ გააჩერა?! ახლა, ინგლისური „მოამბე" მიჰყავს... ისე, მე ვერც მაშინ ვიგებდი რამეს და ვერც ახლა ვიგებ. ღიმილი კი, „ინგლისურადაც" და „ქართულადაც" ერთნაირად გამოიხატება სახეზე...

ჟურნალისტებს თავი დავანებოთ და სპორტზე გადავიდეთ, სადაც არანაკლები გაქცევა-გამოქცევაა: ფეხბურთელებიც ისე გარბიან საქართველოდან, მასე სწრაფად „დინამოს" სტადიონზე რომ ერბინათ, მსოფლიო ჩემპიონები გახდებოდნენ. ტრანსფერებიც ისე სწრაფად ხორციელდება, რომ რომელიმე ქართველი ლეგიონერი პირველ ტაიმს ერთ გუნდში რომ თამაშობს, თუ კარგად გამოუვიდა, „პერერივზევე" იყიდება და მეორე ტაიმში მეტოქის მაისურით უტევს საკუთარ კარს. ჩემპიონთა ლიგაა თუ დღნორისას არასრული სკოლის შიდაჩემპიონატი — ვერ გაიგებ!..

გაქცევა რომ საქმეს შველოდეს, მე ვინ დამასწრებდა?!.

საერთოდ, გაქცევას ცდილობს ის, ვინც უკმაყოფილოა — ანუ გარბის უარესობიდან უკეთესობისკენ. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ესეც პირიქით ხდება და ხშირად ძალით ყოფენ თავს მარყუჟში:

ყური მოვკარი — ერთ-ერთი მომღერალი კენჭს იყრისო... მაგას არჩევნებში კენჭის ყრა „პლუსავოი" ფონოგრამით სიმღერა ხომ არ ჰგონია?! იქნებ ფიქრობს, რომ პირდაპირ მიაგებებენ პორტფელს, რომელშიც **„Водка русская, открывалка, вилка, рюмка и салфетка, чёрная икра"**-ს ნაცვლად, დოლარები იქნება „ჩაპაჭკული"?! კარგი, ბატონო, ამას კიდევ ავიტანთ: რაც პოლიტიკას „მიემატება" მისი მისვლით, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებასაც ის „მოაკლდება" მისი წასვლით, მაგრამ „მესამე თვალი დამფსებოდეს. თუ მართალს არ ვჩიოდე" — ცნობილ სპორტსმენებსაც აუღიათ გეზი პოლიტიკისაკენ და თუ ისეთივე სახელს მოუხვეჭენ ჩვენს ქვეყანას, როგორც ეს სპორტით მოახერხეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ისე, რატომ ვერ მოუხვეჭენ, ვითომ? ვლადიმერ გუცაევი ავიღოთ და დავნიშნოთ ჩვენს წარმომადგენლად გაეროში. ახლა ვინცაა, რამეს აკეთებს კი არა, თბილისიდან დაბარებული ამბავიც ვერ ჩააქვს სრულად. გუცაევი კი ისე გაა-პამპულავებს გაეროს შეფებს, რომ აზრზე ვერ მოვლენ. ბოლოს კი, ისე საცოდავად წაიქცევა, რომ უეჭველია — პენალტსაც აჰკიდებს და დახმარებები მერე ნახეთ თქვენ!

ჩვენს ოქრობიჭს, გიორგი კანდელაკს თავდაცვის მინისტრობა ჩავაბაროთ: ისეთი ძალა აქვს, რომ ფეხსაცმლის „შნუროკივით" განასკვავს რუსული ტანკის ლულებს და თუ ბიჭია, მერე იყვიროს ნაკარატისტალმა პუტინმა აფხაზეთზე — ეს „ძრონა" ჩემთვის მინდაო!.. „ძრონასაც" უკან დაგვიბრუნებს და ამ ათი წლის მანძილზე „ნაწველსაც"...

ა, ასე წარმატებულად თუ გაიქცევა ვინმე, ამას რა სჯობია?! თუ არა და, ყველამ „ერთი ადგილი" დააყენოს: რომ მიძვრებიან, სად მიძვრებიან?! იმ პატიმრებივით უკანვე შეჰყრიან ყველას!!.

P.S. ციხის საკანში თავ-პირის მტვრევა და ჩხუბია.

ებრაელი პატიმარი: — სუ, დაწყნარდით, დაგენაცვლეთ! გეხვეწებით, გაჩუმდით, თორემ, სუყველას გაგვყრიან აქედან...

პროვოკატორი

ქართველი ფალავნები – მსოფლიო ჩემპიონები!

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძემ უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ თავისი შეუპოვარი ბრძოლის მანერითა და გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვით, არაერთგზის იმედგაცრუებული ქართველი სპორტის გულშემატკივრისთვის ოპტიმიზმის დაბრუნება ძალუძს. აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ელდარმა ძალზე დაძაბულ პაექრობაში მიაღწია გამარჯვებას. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე გუნდური პირველი ადგილიც დაიკავა და უკან ჩამოიტოვა ისეთი ფავორიტები, როგორებიც არიან ამერიკელი, რუსი, ირანელი და თურქი მოჭიდავეები.

96 კგ წონით კატეგორიაში ელდარ კურტანიძემ ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა. თუმცა, ყველაზე დამაინტრიგებელი, დაძაბული და ემოციური მაინც ფინალური შეხვედრა აღმოჩნდა, რომელშიც ქართველი ათლეტის მეტოქე გამოცდილი ირანელი მოჭიდავე, ალირეზა ჰეიდარი გახლდათ. ელდარიც და ალირეზაც თავიანთ წონაში უმთავრეს ფავორიტებად იყვნენ მიჩნეულნი და ეს არც იყო გასაკვირი: ისინი ხომ შარშან, თეირანში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზეც ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც, ათასობით ირანელი ქომაგის თვალწინ ელდარმა იმარჯვა.

ორთაბრძოლა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და მეტოქეებმა აგრესიულად შეუტიეს ერთმანეთს. ორივე მათგანი ცდილობდა ილეთის ჩატარებას და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას, თუმცა დიდი გამოცდილების წყალობით თავდაცვასაც ჩინებულად ახერხებდნენ. გადამწყვეტი მომენტი შესვენების შემდეგ დადგა, როდესაც მსაჯმა ელდარი და ალირეზა ე.წ. ჯვარედინ მოვლებაზე დააყენა. ამ მდგომარეობაში მოჭიდავეები ისე უხერხულად გამოიყურებოდნენ, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მოვლენები ასე ელვისებურად განვითარდებოდა. თითქოს ორივე, ამ პოზიციიდან თავის დაძვრენას და ორთაბრძოლის თავისუფალი პოზიციიდან გაგრძელებას ცდილობდა და სწორედ ამ დროს, ქართველმა ათლეტმა გააკეთა ის, რასაც მისი მეტოქე ყველაზე ნაკლებად მოელოდა. კურტანიძემ ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და უსწრაფესი, ეფექტური გდებით ბეჭებზე დასცა ჰეიდარი. ამ ილეთისთვის მსაჯმა ელდარს სამი ქულა მიანიჭა. ეს უკვე გამარჯვების მაუწყებელი იყო, რადგან საჭიდაო ხალიჩაზე მრავლისმნახველი ქართველი ათლეტი მოპოვებულ უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდა, რაც ალირეზა ჰეიდარმა ყველაზე უკეთ იცოდა. ჰოდა, გაცხარდა ირანელი მოჭიდავე და ორთაბრძოლის განახლებისთანავე, აკრძალული მეთოდებით, ელდარის წონასწორობიდან გამოყვანა სცადა: ქართველ ფალავანს მან ჯერ მუშტი ჩაარტყა სახეში, შემდეგ კი, „თავურიც“ გამოიყენა. მისი საქციელი შეიძლება, ირანში, იქური ექსპრესიული მაყურებლის „რიდით“, მსაჯებს რეაქციის გარეშე დაეტოვებინათ, მაგრამ ამერიკაში – ნურას უკაცრავად: ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ალირეზას გაფრთხილებაც მისცეს და სასჯელად, ქულაც ჩამოართვეს.

დარბაზში საკმაოდ მრავლად იმყოფებოდა ირანელი გულშემატკივარი; მათ შორის, ჩადრებში გამოწყობილი ქალებიც იყვნენ, რომლებიც აქტიურად ქომაგობდნენ ალირეზა ჰეიდარს. ვერ გეტყვით, შემთხვევითობა იყო ეს თუ ტურნირის მასპინძლებმა სპეციალურად გააკეთეს, – მაგრამ ორთაბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც ლეგენდარული QUEEN-ის ყველასათვის კარგად ნაცნობი We Are The Champions აჟღერდა, რაც, რა თქმა უნდა, სრულად შეეფერებოდა ელდარ კურტანიძისა და მთელი ქართული დელეგაციის განწყობილებას.

ორთაბრძოლის შემდეგ, როდესაც ელდარ კურტანიძე ქართული დელეგაციის წარმომადგენლებისგან მილოცვებს იღებდა, ირანელმა ათლეტმა თავისი არასპორტული საქციელისთვის მეტოქეს რამდენჯერმე მუბოდიშა. ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა კი, ამაყად ააფრიალა საქართველოს დროშა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელდარის ბრწყინვალე გამარჯვების გარდა, საქართველოს ნაკრებმა აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდური პირველი ადგილის დაკავებაც იზეიმა. მეორე ადგილზე მასპინძლები გავიდნენ, ხოლო მესამეზე – ირანელები. საქართველოს ნაკრების გუნდური წარმატება, სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩვენი სპორტსმენების მიერ დაგროვილი ქულების ჯამმა განაპირობა. 84 კგ წონით კატეგორიაში კი, რევაზ მინდორაშვილი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. საგულისხმოა ისიც, რომ აშშ-ში ასპარეზობით საქართველოს ნაკრების რამდენიმე წარმომადგენელმა ათენის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

ალექსი რეხვიაშვილი

პროექტი „ქართული სახლი“

პროექტ „ქართულის სახლის“ ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის „ქართულის დიზაინი“ შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება.

კონკურსის საპრიზო ფონდია:
I პრემია – 4000 ლარი
II პრემია (ორი) – 2000 ლარი
III პრემია (სამი) – 1000 ლარი

კონკურსის ჟიურის თავჯდომარეა გივი მეტრეველი.

კონკურსი – „ქართული დიზაინი“

დაწესებულია სპეციალური პრიზი – 500 ლარი, რომლის თაობაზე გადაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

კონკურსის ორგანიზატორები:
კომპანია „არსი“
სტუდია „ორი“

კონკურსის სპონსორები:
TBC – ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია „არსი“, GGMW კომპანია, სტუდია „ორი“, კომპანია „ორრი“, „რუსთავი 2“ და ვალერი გელაშვილი

საინფორმაციო მხარდაჭერა:
გაზეთები – „24 საათი“, „დილის გაზეთი“, „ახალი ეპოქა“, „რეზონანსი“. ჟურნალები: „გზა“, „თბილისელები“, „სტილი“.

კონკურსის პრომოუტერი:
საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“

კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:
ტელ.: 251904, (877) 497103
www.georgianhouse.ge

„საზღვარგარეთ დამნაშავეს უკვე კოსმოსური საშუალებებით ეძებენ...“

— კოლონიებიდან პატიმრების სისტემატურ გაქცევას სასჯელთაღსრულების დეპარტამენტი ამ უწყების დაუფინანსებლობით ხსნის. იქნებ, სხვა მიზეზებიც არსებობს? ბევრი იმასაც ამბობს, რომ მსგავსი მოვლენები მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება...

რუბენ ასანიძე, *შს მინისტრის მოადგილე:*

— ინფორმაცია, თითქოს პატიმრების გაქცევა არჩევნებს უკავშირდება ან რომელიმე პარტიის წარმომადგენლების მიერაა ინსპირირებული — აბსურდია. პატიმარს რად უნდა არჩევნები?! კაცი, რომელსაც 20-30 წელი აქვს მისჯილი, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაიქცეს ციხიდან და მიეცემა თუ არა ამის შესაძლებლობა, გარბის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რაც ამ ფაქტის შემდეგ მრავალგზის ითქვა: გაქცეულები საკმაოდ საშიში რეციდივისტები არიან, რადგან იმ კოლონიაში, სადაც ისინი სასჯელს იხდიდნენ, ჩვეულებრივი დამნაშავეები არ „სხედან“... სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის მიერ გამოთქმული, დაუფინანსებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიები გასათვალისწინებელია. მაგრამ არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელზეც ღიად არ ლაპარაკობენ, რადგან პრობლემის თავი და თავი მაინც დაფინანსებას უკავშირდება. ჩემი დონის თანამდებობის პირს ამერიკასა და გერმანიაში 16-20 ათას ევროს უხდიან, უბნის ინსპექტორს — 5-7 ათას დოლარს. ჩვენთან კი, უბნის ინსპექტორს 200 ლარი აქვს და დროულად, იმასაც ვერ იღებს ხოლმე. საზღვარგარეთ დამნაშავეს უკვე კოსმოსური საშუალებების გამოყენებით ეძებენ და ამ ფონზე, უხერხულიც კია, ჩვენს სამართალდამცავებს ამერიკული სტანდარტებით მუშაობა მოვთხოვოთ. მაგრამ არის საკითხები, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად უნდა მოგვარდეს. პირველ რიგში, ეს ეხება კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტრანსპორტითა და ტექნიკური აღჭურვილობით სამართალდამცავთა უზრუნველყოფას, რაც ნორმალური მუშაობის საშუალებას მოგვცემდა. პატიმართა გაქცევის დღიდან, 24-საათიან საპატრულო რეჟიმში ვმუშაობთ და უკვე 67 კაცი დავაბრუნეთ კოლონიაში. გაქცეულთა ძებნა კვლავ გრძელდება. ■

„როლანდ გილიგაშვილი საკმაოდ კარგი მინისტრია...“

— როლანდ გილიგაშვილი იუსტიციის მინისტრის თანამდებობას ტოვებს. მის სავარაუდო შემცვლელთა შორის კი, თქვენს გვარსაც ასახელებენ. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

პაატა ცნოგილაძე, *იურისტთა კავშირის თავმჯდომარე:*

— ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მე უკვე შემომთავაზეს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა, მაგრამ ეს ინფორმაცია სინამდვილეს ნამდვილად არ შეეფერება. მე თვითონაც, საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვე, რომ იუსტიციის მინისტრის პოსტზე მარიამ ცაცანაშვილის, ვალერი ხაბურძანიასა და ჩემი კანდიდატურები დასახელეს. პრესა ჩქარობს. კანდიდატურებზე საუბარი ნაადრევია, რადგან ჯერ ისიც კი არ არის დადასტურებული, მართლა გათავისუფლდა თუ არა როლანდ გილიგაშვილი ამ თანამდებობიდან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეზიდენტი მის განცხადებას ხელს მოაწერს, მაინც შეუძლებელია, დროის მცირე მონაკვეთში მოხდეს ახალი მინისტრის კანდიდატურის დამტკიცება. გილიგაშვილი საკმაოდ კარგი მინისტრია. ის ყველანაირად ცდილობდა, საქმის პროფესიონალურად გაძღოლას, მას კი, ვინც გილიგაშვილის შემდეგ დაიკავებს იუსტიციის მინისტრის სავარძელს, ძალიან გაუჭირდება მუშაობა, რადგან ძალიან ძნელია, საარჩევნო პერიოდში იყო იუსტიციის მინისტრი და, როგორც პროფესიონალმა იურისტმა, კონკრეტულ შედეგებს მიაღწიო. იმ ორგანიზაციას, რომელსაც მე ამჟამად ვხელმძღვანელობ, დიდი გეგმები აქვს დასახული და იმისათვის, რომ მინისტრი გავხდე, ნამდვილად არ ვაპირებ, ეს გეგმები ბოლომდე არ განვახორციელო. ■

ვეტერანი რეჟისორი ახალი ფილმის გადაღებას შეუდგა

— ამ დღეებში, ტიმოთეს უბანში ახალი ქართული ფილმის — „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ — გადაღებები დაიწყო. რის შესახებ იქნება ეს ფილმი და ვინ დააფინანსებს მას?

რეზო ჩხეიძე, *დამდგმელი რეჟისორი:*

— ფილმის გმირი გარეგნობით არ არის „გმირი“ — ის არის ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. შემდეგ მის ცხოვრებაში იქნება გაჭირვება, სირთულეები, პრობლემები, რის შედეგადაც, მასში გაიფურჩქნება სულიერი სიდიადე, სიყვარული და ფილმის გმირი ჩვენ თვალწინ, ჩამოყალიბებულ ქრისტიანად გადაიქცევა... ეს სურათი რუსეთისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა ერთობლივი ნამუშევარი იქნება. ჩვენმა სცენარმა რუსეთში ჩატარებულ ორ კონკურსში გაიმარჯვა, რის შემდეგაც, რუსეთის კულტურის სამინისტრომ ფილმის გადასაღებად საჭირო თანხა გამოყო. საქართველოს მთავრობისგან ჩვენ არაფერი მიგვიღია, არც გვითხოვია რაიმე, რადგან ვიცით, რომ მას ფილმის დაფინანსების საშუალება არა აქვს. სამაგიეროდ, გამოჩნდა კერძო დამფინანსებელი — ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც პარტნიორობას გვიწევს და თუ პროექტში ქართული მხარეც მონაწილეობს, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. ■

„ხელისუფლებას სირცხვილის გრძნობა დაკარგული აქვს“

— პრეზიდენტმა რადიოინტერვიუს დროს, ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მაინც შეიკავონ თავი ე.წ. შავი პიარისაგან. როგორ ფიქრობთ — გაითვალისწინებს ოპოზიცია ამ მოწოდებას?

გიორგი კოზახიძე, *„ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერი:*

— შავი პიარის გამოყენება ხელისუფლებამ 1999 წლის არჩევნების წინ დაიწყო. ეს არის ბინძური მეთოდი — ადამიანს ცილი დასწამო იმისთვის, რომ ავტორიტეტი შეულახო. თუ ვინმე უარყოფით კონტექსტში ხელისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკებს და რაც მთავარია, ჩამოთვლის ფაქტებს, რომლის საფუძველზეც მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით უარყოფით დასკვნებს გამოიტანს, ჩემი აზრით, ეს არ იქნება არც ცილისწამება და არც შავი პიარი. ამიტომ ვაცხადებ: კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი პირველ რიგში, სახელისუფლებო პარტიებს მოუწოდებს პიარისგან თავშეკავებისკენ. ნურც ის დაავიწყდებათ, თუ თავად პრეზიდენტი რა განცხადებებს აკეთებდა 1999 წლის წინასაარჩევნო პერიოდში: ქვეყანაში ორი პოლიტიკური ძალაა — შავი და თეთრიო. მისი განმარტებით, თეთრ ძალას წარმოადგენდნენ პრეზიდენტის მხარდამჭერები, ხოლო შავს — ასლან აბაშიძის მომხრეები. ხელისუფლება ამომრჩეველს „შავი ძალის“ დამარცხებისკენ მოუწოდებდა. ის საშინელება, რომელსაც „შავ პიარს“ ვუწოდებთ, უნდა განვიხილოთ არა მარტო ერთი არჩევნების, არამედ საერთოდ, არჩევნების მთელი ისტორიის კონტექსტში. დარწმუნებული ვარ — ხელისუფლება მომავალ არჩევნებშიც გამოიყენებს შავ პიარს, მაგრამ მინდა, მას შევახსენო: ამ მეთოდის გამოყენებით, ის საკუთარ თავს გაწირავს სირცხვილისთვის და მისი, როგორც პოლიტიკური ძალის რეიტინგი, საბოლოოდ ნულამდე დაეშვება. თუმცა, ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია, სირცხვილის გრძნობა დაკარგული აქვს... ■

„გაზპრომში“ ჯერჯერობით, კონკურენტებს ვერ ვხედავ...“

— თბილისი ისევ გაზის გარეშე რჩება. მაინც რა გახდა „იტერას“ განაწყენების საფუძველი და რა მოლაპარაკებები მიდის რუსულ კომპანია „გაზპრომთან“?

თემურ გავზიევი, *„იტერას“ წარმომადგენლობის პრესცენტრის ხელმძღვანელი:*

— საწარმოებისა და მოსახლეობის ვალმა, რომელიც მათ „იტერას“ უნდა გადაუხადონ, 324 ათასი დოლარი შეადგინა. ამას ემატება სექტემბრის გადასახადი — ე.ი. იმ გაზის საფასური, რომელსაც მოსახლეობა სექტემბერში დახარჯავს და ხელშეკრულების თანახმად, წინასწარ არის გადასახდელი. ეს თანხა 366 ათას დოლარს შეადგენს. ახლახან, ტელეგადაცემიდან შევიტყვეთ, რომ „თბილგაზი“ კონტრაქტს აფორმებს „გაზპრომთან“. ამ ცნობამ გაგვაოცა: ეს არის არაკორექტული ნაბიჯი, რომელიც „თბილგაზმა“ გადადგა. ყველა წესის თანახმად, ჯერ ძველი პარტნიორისთვის უნდა გამოეგზავნათ შეტყობინება და ეთქვათ, რომ ჩვენთან წყვეტენ საქმიან ურთიერთობას, შემდეგ კი, სხვა პარტნიორთან დაეწყოთ მოლაპარაკების პროცესი. თუ „თბილგაზს“ „გაზპრომთან“ ბიზნესურთიერთობა სურს, ეს მათი საქმეა, რომელშიც ჩვენ ვერ ჩავერევით; ვერც ჩვენთან თანამშრომლობას დავაძალებთ ვინმეს. მაგრამ არსებობს იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „კონტრაქტი თანამშრომლობის შესახებ“ და რომელსაც სამწუხაროდ, საქართველოში ხშირად უგულებელყოფენ. ეს კონტრაქტი ირღვევა ამ შემთხვევაშიც. თუმცა, ჯერჯერობით, „გაზპრომი“ ოფიციალურად არ შემოსულა საქართველოში და ამიტომ „იტერა“ მასში კონკურენტს ვერ ხედავს. ■

„ელენე თევდორაძე ყველაზე კარგი სახალხო დამცველი იქნებოდა“

— მას შემდეგ, რაც ნანა დევდარიანი ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ომბუდსმენის ადგილი ვაკანტურია. როგორ ფიქრობთ — რამდენ ხანს მოგვიწევს სახალხო დამცველის გარეშე ყოფნა?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— მოქმედი პარლამენტის მიერ ახალი სახალხო დამცველის დამტკიცების შესაძლებლობას ვერ ვხედავ, რადგან სახალხო დამცველი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, მოქმედი პარლამენტი კი კვორუმს ვერ აგროვებს. ამიტომ, ომბუდსმენის დანიშვნა, უკვე მომავალი პარლამენტის პრეროგატივაა. ვშიშობ, რომ ახალი პარლამენტიც კარგა ხანს ვერ შეიკრიბება, რადგან ხელისუფლება გრძნობს, რომ ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს და პროვოკაციის აგორებას შეეცდება... რაც შეეხება ახალ კანდიდატურას — ყველაზე კარგი სახალხო დამცველი, ელენე თევდორაძე იქნებოდა, მაგრამ მან იცის, რომ შევარდნაძე მის კანდიდატურას არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს და ამიტომ, საკუტარ კანდიდატურას ამ თანამდებობაზე არც წარადგენს. ასე რომ, კარგა ხანს მოგვიწეს ომბუდსმენის გარეშე ყოფნა. ■

„რისი მაჭანკალი ხარ? ერთი კაცი ვერ უნდა შემიბა?!.“

წინა ნომრის „სასიძო“ ახალგაზრდა პარლამენტარი, ირაკლი გოგავა გახლდათ. მის ინტერვიუს უამრავი გოგონა გამოეხმაურა და 29 წლის პოლიტიკოსმა საოცრად თბილი წერილები მიიღო. საინტერესოა, რომ თაყვანისმცემელთა უმრავლესობა, მისი ძველი ნაცნობი აღმოჩნდა, ერთ-ერთი მათგანი კი, რედაქციაშიც გვესტუმრა.

მარი ხაფარიძე

— ირაკლი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა ის 24 წლის იყო. მაშინ საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა. თითქმის ყოველდღე მიწევდა მასთან ურთიერთობა. საოცრად თბილი, კეთილშობილი ადამიანია და ბუნებრივია, შემიყვარდა კიდეც. თავდაპირველად, ვცდილობდი, ჩემი გრძნობა დამემალა. შემდეგ აშკარად ვაგრძნობინე, რომ მომწონდა. თავის ინტერვიუში ის სწორად ამბობს — არ მომეცა იმის საშუალება, რომ მას დავახლოებოდი. თითქოს მან რაღაც ბარიერი აღმართა ჩვენ შორის, რომელიც ვერანაირად ვერ გადავლახე... შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. მე მას ხშირად ვეღარ ვნახულობდი, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღარ მიყვარდა. მისი თითოეული ნაბიჯის შესახებ ვიცი; შორიდან თვალყურს ვადევნებ და ვიცი, რით სუნთქავს, რას აკეთებს... ყველა რომ ჩემნაირად იცნობდეს ირაკლის, ეცოდინებოდა, რომ ის საუკეთესო ადამიანია. დარწმუნებული ვარ — ძალიან ბევრი ქალიც ეყოლება გულმოკლული: გარეგნობით მშვენიერი მამაკაცია და ხომ იცით...

— გინდათ, რომ ჩვენი საშუალებით, ირაკლის თქვენი გრძნობა გაუმხილოთ?

— როგორ გითხრათ?.. უბრალოდ, მინდოდა, ირაკლისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა თავი. იცოდეს, რომ უზომოდ მიყვარს.

ახლა კი, დანარჩენ გამოხმაურებებს გადავხედოთ.

„ირაკლი, პირველ რიგში, მოგესალმები. მინდა გითხრა, რომ ერთნაირი ხასიათი გვქონია: ვერც მე ვიტან ტყუილს. ძვირფასო, ძალიან სიმპათიური ხარ, ლამაზი თვალები გაქვს. სწორედ შენს თვალებზეა ნათქვამი: „შენი ლამაზი თვალების გამო, გემი შეცდომით მოადგა ნაპირს“... მე ეკა ვარ, 18 წლის. დაქალები მეუბნებიან — ასეთი ბიჭი რამ შეგაყვარა? — „შენ ჯერ 19 წლისაც არა ხარ, მას ურევია თმაში ჭაღარა“...

„მართალია, არც პოლიტიკოსი ვარ და არც ჟურნალისტი, მაგრამ ირაკლის ძალიან გაუხარდება, თუ გამიცნობს. დაქორწინების რა მოგახსენოთ, მაგრამ სიამოვნებით ვიმეგობრებდი მასთან. ერთ დროს ამის მცდელობა თვით ირაკლის ჰქონდა, მაგრამ რატომღაც არ გამოვიდა. ახლა, შანსი ეძლევა, რომ ხელახლა სცადოს... ცხოვრებაში პირველად ვწერ ასეთ წერილს. თუ გამიცნობს, თვითონაც გაუკვირდება. ირაკლი, ოქრო ხარ, ბრილიანტის თვლით. ირა“.

„წავიკითხე ინტერვიუ ირაკლი გოგავასთან. ძალიან მომეწონა. ვარ 23 წლის, მომავალი კარდიოლოგი. სიამოვნებით გავიცნობდი ახალგაზრდა პარლამენტარს. მართალია, ექიმი ვარ, მაგრამ პირობას ვაძლევ, რომ უნემსოდ ვუმკურნალებ. ინა“.

„ირაკლი, შენი ინტერვიუ წავიკითხე და ძალიან მომეწონა. გისურვებ წარმატებებს არჩევნებში და დიდ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, არჩევნების შემდეგ. ლენა“.

„ირაკლი, მიუხედავად ჩვენი ეპიზოდური ნაცნობობისა, შორიდან ვადევნებ თვალყურს შენს მოღვაწეობას და გგულშემატკივრობ. შენი წარმატებები და ბედნიერება ყოველთვის გამახარებს. ირა“.

„ქალებო, ირაკლი ყველაზე სექსუალური მამაკაცია. დამიჯერეთ, ვინც მის მკლავებში მოექცევით, არ ინანებთ. ირაკლი, მახსოვხარ და ისევ ისე მენატრები. ნატო (4 წელია არ მინახიხარ. გამიხსენე და დამირეკე)“.

აი, ასეთი მონატრების ბარათები მიიღო ჩვენმა „სასიძომ“. საქმეში კი, მოხალისე მაჭანკალიც ჩაერთო. ადრე, ეს გოგონა ჩვენს ერთ-ერთ „სასიძოს“ გამოეხმაურა, შემხვდა კიდეც, ისიც მითხრა — თუ ვერ დავითანხმებ, აუცილებლად მოვიტაცებო... მოკლედ, თვითონ მუქარა ვერ შეასრულა — რჩეული ვერ მოიტაცა და ვერ დაისაკუთრა, — ახლა კი, გადაწყვიტა, მეგობარს დაეხმაროს და ჩემთან უშუამდგომლოს. მის დანაბარებს ჟურნალის ფურცლებიდან გადავცემ: ირაკლი, ძალიან უყვარხარ ერთ მშვენიერ გოგონას. თუ მასთან დაკონტაქტებას მოისურვებ, ტელეფონის ნომერს მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგიმხელ. დანარჩენი თაყვანისმცემლების ნომრებს კი, უკლებლივ ყველას გადმოგცემ, მათ შორის — იმ ქალბატონის კოორდინატებსაც, რომელმაც ჩემთან შეხვედრა მოისურვა და საიდუმლოდ აი, რა გამიმხილა:

— განათხოვარი ვარ. მყავს 1 შვილი, რომელიც 12 წლისაა. ირაკლიზე 5 წლით უფროსი ვარ. ძალიან მინდა, მასზე გათხოვება...

— რატომ მაინცდამაინც მასზე?

— იმიტომ, რომ ჩემს შვილს კარგ მომავალს შეუქმნის და ყველანაირ პრობლემას მოგვიგვარებს. საქმე ის გახლავთ, რომ მეც ბათუმელი ვარ. იქნებ, ამან გაჭრას — ერთი კუთხის შვილები რომ ვართ?.. არჩევნებში დავეხმარები, გვერდით დავუდგები და ყველაფერს ვიღონებ, რომ გამარჯვებას მიაღწიოს. როგორ ფიქრობ — ჩემნაირ ქალზე დაქორწინდება?

— აბა, მე რა გითხრათ?!

— იცით, თუ მართლა მომიგვარებთ ამ საქმეს, ხუთი ათასს კი არა, მეტსაც გადაგიხდით. თუ მასზე გავთხოვდები, „ვაფშე“ წილში ჩაგსვამ და არაფერს გაგიჭირვებ. ხომ დამეხმარები?

— ?!

— გატყობ, არ აპირებ ჩემს დახმარებას. აბა, რისი მაჭანკალი ხარ?! ტყუილად იბრალებ, დაგაქორწინებთო. ერთი კაცი ვერ უნდა შემიბა?!. მარი, გთხოვ, შენი მონა-მორჩილი ვიქნები მთელი ცხოვრების მანძილზე...

ძალით რომ ვერავის დავაქორწინებ, მკითხველმა კარგად იცის — მხოლოდ ის შეიძლება, თქვენი გზავნილები ადრესატამდე მივიტანო და თან ტელეფონის ნომრები დავურთო. ამის შემდეგ, მე უძლური ვარ, რაიმე ვიღონო. ■

"ვფიქრობ, მირიანი ფინა კლანზე მაინც სიყვარულს დააყენებს და ისე დაქორწინდება..."

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ ნოემბერში, საპარლამენტო არჩევნები გველის. გასათხოვარი გოგონების გულების გასახარად, ახალ „სასტავში" ახალი უცოლო სახეები მოვლენ და „სასიძოებადაც" მოვიწვევთ. მანამდე კი, მათ დაოჯახებაზე ვიზრუნოთ, ვისაც დღეს უპყრია ხელთ ქვეყნის ამა თუ იმ სფეროს მართვის სადავეები...



დღეს ჩვენი „სასიძო", ფინანსურად წელში გამართული, ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრი, მირიან გოგიაშვილი გახლავთ. თუმცა, თავად მინისტრი ძალზე დაკავებულია, ამიტომ ჩვენთან სასაუბროდ ვერ მოიცალა და გადავწყვიტეთ, მის შესახებ მამას — ბატონ ომარ გოგიაშვილს გავსაუბრებოდით. ბატონი ომარი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გახლავთ. ის შვილის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე გულახდილად გვესაუბრა.

მარი ხაფარიძე

— ბატონო ომარ, მოდით, თავდაპირველად, თქვენი ოჯახის შემადგენლობა გაგვაცანით.

— რეალურად ახლა, ოჯახში მარტო მე და ჩემი მეუღლე ვართ. ქალიშვილი გათხოვილია და მეუღლესა და შვილთან ერთად ცალკე ცხოვრობს. მიკა (მირიანი) კი, ვაკეში, ბებიასთან ერთად ცხოვრობს და შინ იშვიათად მოდის.

— მირიანი უვლის ბებიას თუ პირიქით?

— მიკას მოვლილი მოხუცი ცოტა ძნელი წარმოსადგენია... ბებია უვლის მას. საერთოდ, მირიანი იქ გაიზარდა. ჩვენ საბურთალოზე ვცხოვრობთ. მიკამ სკოლაც ვაკეში დაამთავრა და სამეგობრო წრეც იქ ჰყავს. ჩემი მეუღლის მშობლებს სამი ქალიშვილი ჰყავდათ, მათგან 6 შვილიშვილი შეეძინათ, მათ შორის, ერთადერთი ვაჟი, მირიანი გახლდათ. ამის გამო, ზედმეტად ანებივრებდნენ და ყველას განსაკუთრებულად უყვარს. სწორედ ამიტომ, ბებიასა და ბაბუას მიკა არ ეთმობოდათ და საბავშვო ბაღის, სკოლის პერიოდში და სტუდენტობის დროსაც მათთან ცხოვრობდა.

— როგორი იყო ფინანსთა მინისტრი ბავშვობაში?

— ჩვეულებრივი. განსაკუთრებული თვისებებით არ გამოირჩეოდა. მასზე დიდი გავლენა იქონია ჩემმა სიმამრმა. ის განათლებული, ვაჟკაცური ბუნების კაცი გახლდათ. მირიანიც ისე აღზარდა, როგორც ქართველ კაცს შეეფერება. პატარაობიდანვე, ძალიან უყვარდა მეგობრები, შინ ყოველთვის რომელიმე ამხანაგი ჰყავდა ხოლმე. რაც შეეხება სწავლის პერიოდს — განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. ჩვეულებრივი მოსწავლე გახლდათ. უნივერსიტეტი კი, წარჩინებით დაამთავრა. ერთადერთი, რაშიც განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, იყო ის, რომ ძალიან ადვილად სწავლობდა უცხო ენას. ინგლისურს ბრწყინვალედ ფლობს და ცხოვრებაში ადგება კიდეც.

— ბავშვობაში თუ უჩხუბია? მუშტი-კრივი თუ გაუმართავს?

— იყო შემთხვევა, როდესაც სერიოზული უთანხმოება მოუვიდა ერთ-ერთ დაჯგუფებასთან. ამის გახსენებაც კი არ მინდა... ის ადამიანები დღეს ცოცხლები აღარ არიან — ერთმანეთი დახოცეს. კონფლიქტი კი, იმის გამო ჰქონდათ, რომ მიკასთვის რაღაც-რაღაცების „შეწერვა" უნდოდათ, შინიდან ნივთებისა თუ ფულის გამოტანას სთხოვდნენ. მირიანი, რა თქმა უნდა, ამაზე არ დათანხმდა და ჩხუბიც მოუვიდათ...

— რაიმე ჰობი თუ აქვს?

— კი, ბავშვობიდანვე ძალზე ჩხირკედელა იყო. მე-7 კლასში იყო, როცა მეგობრებთან ერთად, საიდანღაც მოტოციკლეტის „ჩონჩხი" მოათრია. არავის ეგონა, თუ ოდესმე ის „ჯართი" დაიქექებოდა, მაგრამ არ გვითქვამს მისთვის — მოეშვი, ნუ ჩხირკედელაობო. გავიდა რამდენიმე კვირა. ერთხელ, ჩემი სიდედრი მირეკავს და ყურმილში მიყვირის — დაიქოქა, დაიქოქაო! — რა დაიქოქა-მეთქი? — ვეკითხები, ის კი, ისევ მიმეორებს — დაიქოქა, დაიქოქაო! ბოლოს, როგორც იქნა, გამაგებინა, რომ თურმე მოტოციკლეტი დაიქოქა და მიკა სეირნობდა... დღესაც ძალიან უყვარს მოტოციკლეტით ქროლვა. თუმცა, ამ ბოლო დროს წუხს — ვეღარ ვიცლიო, — მაგრამ თვეში ერთხელ მაინც ახერხებს ხოლმე, რომ თავის მოტოციკლეტს მოაჯდეს და ქალაქგარეთ იქროლოს. უფრო ხშირად, წყნეთის გზაზე და კიკეთისკენ მიემგზავრება ხოლმე...

— რამდენი წლისაა მირიანი?

— 30-ის.

— არ საყვედურობთ იმის გამო, რომ ცოლი არ მოჰყავს?

— სანამ მინისტრად დაინიშნებოდა, მანამდე ძალიან მოწადინებულები ვიყავით, რომ დაქორწინებულიყო. ახლა უკვე აღარ. ადამიანურად მეცოდება ის გოგო, რომელიც ჩემი რძალი და მისი მეუღლე გახდება: ისეთი სამსახური აქვს, სულ გარეთაა, სულ მუშაობს, შინ იშვიათად, ისიც — გვიან ღამით ბრუნდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, მირიანი ისეთ გოგოს ცოლად არ მოიყვანს, რომელიც მისი მონა-მორჩილი იქნება და მის ამგვარ გრაფიკს უსიტყვოდ შეეგუება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ უკმაყოფილება უნდა ჰქონდეთ ამის გამო... ვფიქრობ, სანამ ის მინისტრია, ოჯახს ვერ შექმნის. თან მაშფოთებს ის ფაქტი, რომ უკვე ისეთ ასაკშია, როცა აუცილებლად უნდა დაოჯახდეს, მაგრამ მამშვიდებს ის, რომ მეც სწორედ ამ ასაკში მოვიყვანე ცოლი.

— ოჯახის წევრები თუ გრძნობთ, როდისაა მირიანი შეყვარებული?

— თავისი გრძნობების შესახებ ჩვენთან საუბარი არ სჩვევია, თუმცა მისი მეგობრების წყალობით ჩვენამდე მაინც აღწევდა ხოლმე მიკას სასიყვარულო ამ-

ბები. რამდენადაც ვიცი, სერიოზული გრძნობა ჯერ არ სწვევია, თორემ აუცილებლად გვეცოდინებოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალებთან ურთიერთობა არა აქვს. საზღვარგარეთიდან რომ დაბრუნდა, თან ბევრი ისეთი ფოტო ჩამოიტანა, რომ მივხვდი — უამრავი სასიყვარულო თავგადასავალი ექნებოდა...

— და... თქვენი ახალგაზრდობა გაგახსენდათ, არა?

— კი, მაგრამ ჩემი თაობის ახალგაზრდების „გასართობი ასპარეზი" რუსეთი გახლდათ, მიკა კი, უფრო შორს წავიდა...

— როგორია მირიანი ოჯახში? სითბოს გამოხატვა თუ ეხერხება?

— თბილი და მოსიყვარულეა, როგორც ოჯახის წევრების, ისე საერთოდ, გარშემომყოფთა მიმართ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თვალით ვერ ვხედავთ კვირაობით და გვენატრება. საზღვარგარეთ რომ იყო, ყოველდღე, ყველაზე ცოტა, ნახევარი საათი მაინც ვლაპარაკობდით ტელეფონით. ახლა ესეც მენატრება. ხშირად ხდება, რომ ჩემს ზარს არც პასუხობს და ტელეფონს მითიშავს კიდეც.

— როგორია, როცა ნასვამია? მოლხენა თუ უყვარს?

— დიდი სუფრები არ უყვარს. არასოდეს თვრება. ჩემს ახალგაზრდობაში, ყანწებით რომ ვსვამდით, ახლა ასე არ არის. მიკა უფრო ევროპულ ყაიდაზეა გადასული. რაც შეეხება მოლხენას — სუფრასთან არასოდეს მღერის, რადგან სმენა არ აქვს, არც ხმა. ცეკვით კი, ქართულ ხალხურ ცეკვებს არ ცეკავს, შეიძლება, ვალსი იცეკვოს — ეგ არის და ეგ.

— რჩევას თუ გეკითხებათ ხოლმე?

— მიკას მიაჩნია, რომ ფინანსურ საქმეებში მოვიკოჭლებ და კონსულტანტად ვერ ვივარგებ. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს — ვმსჯელობთ ხოლმე, თუმცა, ის მაინც ყოველთვის თავის აზრზე რჩება...

— ამბობენ, თქვენ და ბატონ პრეზიდენტს დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ და მირიანის გამინისტრებაში დიდი წვლილი მიგიძღვით...

— თუ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მისი მეგობარი ვარ, ეს ჩემთვის დიდი პატივია. თუ ამა თუ იმ საკითხის შესახებ ჩემი აზრის მოხსენება მსურს, ვრეკავ მის თანაშემწესთან და ვთხოვ, პრეზიდენტთან შემახვედროს. ისეც მომხდარა, რომ თავად ბატონ ედუარდს უნებია ჩემი ნახვა და მეც ვხლებივარ. მაგრამ ჩვენი შეხვედრა, შესაძლოა, მოხდეს კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ... ზოგჯერ კი, პრეზიდენტი მთელი წლის განმავლობაშიც არ მინახავს. რაც შეეხება მირიანს — მას მხოლოდ ორჯერ ვუპროტექტორე: ერთხელ მაშინ, როცა ის 4 წლის იყო და ვაკის საბავშვო ბაღში არ ღებულობდნენ — ადგილი არა გვაქვსო. ოჯახში შემარცხვინეს — შენ რა კაცი ხარ, ბავშვი საბავშვო ბაღში ვერ მიაღებინეო?! მეც ავდექი და ამისთვის განათლების მინისტრი შევაწუხე... მეორედ, როდესაც მიკამ უნივერსიტეტი დაამთავრა, დავეხმარე, რომ სახელმწიფო კანცელარიაში დაეწყო მუშაობა. ამ სამსახურმა მირიანი ძალიან შეცვალა. უჰალსტუხოდ ვეღარ ვნახულობდით, დასერიოზულდა... შემდეგ, თავად გაიკვლია გზა. ამერიკაში ყოფნის დროს, მსოფლიო ბანკში მუშაობდა. აქედან მოწვევა მიიღო და წამოსვლას აპირებდა. სპეციალურად ჩავედი: მეგონა, დაბრუნებას გადავაფიქრებინებ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ძალიან მაღალი ანაზღაურება ჰქონდა, ბანკის ოფისში უზარმაზარი კაბინეტიც... მივლინებისას, საათში იმდენს უხდიდნენ, რომ აქაური პროფესორის თვიურ ხელფასს 7-8-ჯერ აღემატება. არ დამიჯერა. პრეზიდენტმა მკითხა — შენს შვილს შენზე უკეთ არავინ იცნობს, რას იტყვი მინისტრად მის დანიშვნაზეო? ვუპასუხე — არ ვიცი, მირიანი როგორი ფინანსისტი დადგა, ვერაფერს გეტყვით; ვფიქრობ, რომ ჯერ ნაადრევია ამხელა თანამდებობაზე მისი დანიშვნა; თუ სურვილი გაქვთ, ჯერ თქვენს გარემოცვაში ამყოფეთ, შეამოწმეთ და თუ დარწმუნდებით, რომ ივარგებს, შემდეგ დააწინაურეთ-მეთქი. მართლაც, ჯერ თავის თანაშემწედ დანიშნა, შემდეგ კი, მინისტრად. მისი გამინისტრების ამბავი მე მხოლოდ იმის შემდეგ გავიგე, როცა ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო.



— იმასაც ამბობენ — მირიან გოგიაშვილი პრეზიდენტის სიძეობას აპირებსო...

— აბა, რა გითხრათ?! პრეზიდენტის ოჯახიდან მე მარტო ბატონ ედუარდს ვიცნობ. ისიც არ ვიცი, თუ ვის გულისხმობენ, როცა ამას ამბობენ. ვიცი, რომ პრეზიდენტს ორი შვილი ჰყავს და მეტნაკლებად ორივეს შესახებ გამიგონია, მაგრამ შვილიშვილებს არ ვიცნობ. არც ის ვიცი, ჰყავს თუ არა იმ ასაკის შვილიშვილები, გასათხოვრები რომ იყვნენ და არც ის, მიკა იცნობს თუ არა რომელიმე მათგანს.

— როგორი რძალი იქნება თქვენთვის სასურველი?

— იცით, მთავარია, მათ უყვარდეთ ერთმანეთი, კარგად გაუგონ და შეეთვისონ ერთურთს. ხანდახან, რომ დავფიქრებულვარ, იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ მგონი, უბრალო, ინტელიგენტური ოჯახის შვილი უფრო გამოადგება მიკას, თუნდაც მატერიალურად შეჭირვებული ოჯახიდან იყოს: რაც უფრო მდიდარი ადამიანის შვილი იქნება, მით მეტი პრეტენზია გაუჩნდება — ასეთი ოჯახის შვილები ზედმეტად განებივრებულნი არიან და მეტისმეტს მოითხოვენ ხოლმე... ყურადღებას მხოლოდ იმაზე გავამახვილებ, განათლებული მშობლები ჰყავდეს, რომ მათთან ურთიერთობა არ გამიჭირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომიწევს რძლის ხელახლა აღზრდა...

— განათხოვარ ქალზე რომ ისურვოს დაქორწინება, წინააღმდეგობას გაუწევთ?

— რომ გითხრათ, სიხარულით დავთანხმდები-მეთქი, — მოგატყუებთ. სასურველი იქნება, თუ გასათხოვარ გოგონას შეირთავს. მაგრამ წინასწარ არავინ იცის, ბედი რას უმზადებს. თუ მიკა გადაწყვეტს, რომ ასეთი გოგონა გამოადგება, თუ მათ ერთმანეთი ეყვარებათ, მე მათ ბედნიერებას ხელს არ შევუშლი.

— მაჭანკლები არ გაწუხებენ?

— კი, როგორ არა? ვინც მირიანის ხასიათი იცის, მას ვერ უბედავს რამის თქმას და ჩვენ გვეუბნებიან ხოლმე — კარგი გოგონაა, ასეთია, ისეთია და იქნებ, მირიანს გავაცნოთო... ვინც მას კარგად არ იცნობს, პირდაპირ ეუბნება ხოლმე. მაგრამ არ ვიცი, მირიანი როგორ გადაწყვეტს. ვფიქრობ, ის წინა პლანზე მაინც სიყვარულს დააყენებს და ისე დაქორწინდება...

აი, ასეთია მამის თვალით დანახული მირიან გოგიაშვილი. გამოგვეხმაურეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61

ბატონი ომარ გოგიაშვილი

ლელა ჭანკოტაძე



არ ვიცით, ჩვენი ახალი რუბრიკის პირველ პერსონაჟებს („გზა", №37) — შალვა ნათელაშვილს, დათო ხუჯაძეს, ვახტანგ რჩეულიშვილსა და იგორ გიორგაძეს — როგორ მოეწონათ მარჩიელ ნატაშა სკოროხოდოვას წინასწარმეტყველებანი, მაგრამ მკითხველები კი აქტიურად გამოეხმაურნენ ამ წერილს და ბევრი სხვა ცნობილი ადამიანის მომავლის „სკოროხოდოვასეული ვერსიით" დაინტერესდნენ. ამჯერად, ქალბატონ ნატაშას, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას, ზვიოს, დუტა სხირტლაძის, ვიტალი ხაზარაძის, ია ფარულავასა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოსურათებით ხელში ვეწვიე.

ბელ-ოლბლის „მოკარნახე", კიდევ ექვსი ფოტოსურათი

„ირინა სარიშვილი ბედნიერი დედაა"

— როგორი იქნება ეს წელი ირინა სარიშვილი-ჭანტურიასათვის?

— ნაყოფიერი, მაგრამ მას დიდი იმედგაცრუება ელოდება. ეს წელი მისთვის იღბლიანი არ აღმოჩნდება. პირიქით, შეიძლება, ცრემლის დაღვრაც მოუხდეს.

— ეი. მისთვის არჩევნები წარუმატებელი აღმოჩნდება?

— ჩემი ვარაუდი ასეთია. ის იმედგაცრუებული დარჩება...

— როგორი მომავალი აქვს მას, როგორც პოლიტიკოსს?

— ის დაბადებით პოლიტიკოსია და რაღაც ფორმით პოლიტიკაში ყოველთვის იქნება. საკითხავია, თუ რა წარმატებებს მიაღწევს. მას „თბილ სავარძელში" ვერ ვხედავ. ის მომავალშიც შავ სამუშაოს ასრულებს. მომავალში ის ან პოლიტოლოგი იქნება, ან რომელიმე კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

— პირად ცხოვრებაში რა ელოდება?

— ქორწინება არ ჩანს. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ბოლომდე მარტო იქნება. მას შვილებში ძალიან გაუმართლებს — იღბლიანი და ბედნიერი დედა იქნება.

„ზვიო, ოსიაურში აღარ დაბრუნდება"

— ზვიოს წარმატებაც წარსულში დარჩა, მეტ პოპულარობას ვეღარ მიაღწევს. თუმცა, ერთი პერიოდი, ზენიტში ისევ იქნება. ის სატელევიზიო შოუს წამყვანი გახდება, მაგრამ მისი შოუ მალე დაიხურება.

— პირად ცხოვრებაში რა ელოდება?

— მისი ბედი, მასზე სამი-ოთხი წლით უფროსი ქალია. ეიძლება, ის ბედნაცვალიც იყოს. მათი ქორწინება დიდხანს არ გასტანს. ზვიოს მისგან შვილი დარჩება. დიდი ინტერვალის შემდეგ, ისევ დაოჯახდება. საერთოდ, ქალებს გაურბის. სევდიანია, გულჩახვეული და ბევრი კომპლექსიც აქვს. ვერ წარმოიდგენთ — ის მორცხვიცაა...

— რაიმე ხიფათი ხომ არ ელოდება?

— სერიოზული არაფერი. მისი მომავალიც სწორხაზოვანია. ოსიაურში აღარ დაბრუნდება. პირველი უიღბლო ქორწინების შემდეგ, რამდენიმე წელს უცხოეთში გაატარებს.



„დუტა სხირტლაძის ცხოვრება უფერული ხდება"

— დუტა სხირტლაძის ცხოვრებაში მოსალოდნელია მცირე პაუზა. ის ძველებურად ნაყოფიერად მოღვაწეობს, ბევრი სამუშაოც აქვს, მაგრამ, წინსვლა აღარ ელოდება. მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უკვე გამოავლინა. არ გეგონოთ, ამას მის მთელ ცხოვრებაზე ვამბობ — მხოლოდ 2003 წელზე ვლაპარაკობ.

— მისი შოუ — „ვის უნდა ოცი ათასი?" — კიდევ დიდხანს იარსებებს?

— ჯერჯერობით ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუ ამ სურათით ვიმსჯელებთ, დუტას ახალ პროექტს შესთავაზებენ და ის ამ შოუს მიატოვებს, მაგრამ ეს წელს არ მოხდება.

— პირად ცხოვრებაში რა ელოდება?

— კიდევ ერთ შვილს ვხედავ — ცოლი ვაჟს გაუჩენს. იღბლიანი ბავშვი დაიბადება. ისიც მსახიობი გამოვა.

— დუტას გულში ბევრი ქალია?

— როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ — არა. მან ერთი შეცდომა დაუშვა. ამ შეცდომას თავი ძლივს დააღწია. მის ცხოვრებაში იყო იმედგაცრუებისა და შეცდომების აღიარების პერიოდი. ის ივლდა წვერგაუპარსავი და უიმედო, დროს სმასა და უსაქმურობაში ატარებდა, მაგრამ ამ ყველაფრისგან გათავისუფლდა. ძლიერი პიროვნებაა, თორემ ამის მიღწევა ძალიან გაუჭირდებოდა, თითქოს სიბნელიდან გამოვიდა და ნათელ გზას დაადგა. მისი გზა სწორია და სულ ზემოთ მიდის. პრობლემები, რა თქმა უნდა, შეხვდება, მაგრამ ძირითადი უსიამოვნებები უკვე წარსულში დარჩა. ის იღბლიანიცაა. ნიჭიც აქვს და იღბალიც. ახლომყოფებს უყვართ, აფასებენ. ბედისგან განებივრებული ადამიანია.

„მიშა საიაკაშვილს ცოლი მეორე ვაჟს აჩუქებს"

— საკაშვილს ძალიან რთული და ძნელი ცხოვრების გზა აქვს გასავლელი. უამრავი პრობლემა, უსიამოვნება და წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ მისი მომავალი სწორი ხაზივითაა, ის არსად გადაუხვევს — სულ წინ ივლის და ალბათ შედეგსაც მიაღწევს.

— რატომ — ალბათ?

— იმიტომ, რომ ეს ახლო მომავალში არ მოხდება. იმდენად შორსაა, რომ ახლა ამის დანახვა არ შემიძლია. ერთადერთი, რასაც ვიტყვი, ის არის, რომ მის თვალებში ჩანს — სულით ლიდერია, პირველობა უყვარს და ხშირად აღწევს კიდეც ამას.

— ბუნებით როგორია?

— მკაცრი. ძალიან მკაცრი. ხელქვეითები შელაპარაკებას ვერ უბედავენ. მის დანახვაზე შიშიც იპყრობთ, მაგრამ მას აქვს საოცარი თვისება — იოლად პოულობს თანამოაზრეებს. ადამიანებზე ზემოქმედების საოცარი უნარი აქვს. ფრთხილი და წინდახედულია. ტიპური პოლიტიკოსია,რომელსაც დიდი მიზნები ამოძრავებს.

— არჩევნებში რა შედეგებს მიაღწევს?

— ხმებს თანაბრად გაიყოფს ერთ პოლიტიკურ პარტიასთან. ეს მისთვის გამარჯვების ტოლფასი იქნება.

— პირად ცხოვრებაში უმართლებს?

— დიახ. მას მოსიყვარულე ცოლი ჰყავს, რომელიც მეორე ბიჭს აჩუქებს. მათ ყოველთვის სტაბილური ურთიერთობა ექნებათ.

„ია ფარულავა ჰოლივუდის ვარსკვლავი ვერ გახდება"

— როგორია ია — ისეთივე მეოცნებე და რომანტიკული, როგორიც ეკრანზე ჩანს?

— მეოცნებეა. ის იმ დედოფალს ჰგავს, რომელიც გამუდმებით თავისი პრინცის ძიებაშია. გული დახურული აქვს, ბევრ სევდასა და დარდსაც მალავს, არც ისეთი მხიარულია, როგორიც სხვებს ჰგონიათ. გულგატეხილიცაა. ფიქრობს, რომ შესაბამისად არ აფასებენ, — რომ ბევრი ეკუთვნის და ცოტას იღებს...

— ვინ დაიპყრობს იას გულს?

— აუცილებლად ახალგაზრდა, მაღალი, მხარბეჭიანი, გავლენიანი პოლიტიკოსი. თუმცა, მათ არაფერი გამოუვათ...

— დედა როდის გახდება ია?

— არც ისე მალე, როგორც თვითონ ჰგონია. ის უცხოელი მამაკაცისგან გააჩენს შვილს. მისი ქმარი ცნობილი ადამიანი იქნება, მაგრამ ისინი ერთმანეთს მალე გაეყრებიან. იას, ცხოვრების მანძილზე ოთხჯერ მოუწევს ბედის გამოცვლა.

— როგორც მსახიობს, რა ელოდება?

— ჰოლივუდის ვარსკვლავი ვერასდროს გახდება, საერთოდ, მის ცხოვრებაში ბევრი შუალედია. ზოგჯერ ის უმუშევარია და ამის გამო, დეპრესიაც არ არის მისთვის უცხო. იას ისევ სერიალში გადაიღებენ, მაგრამ როგორც მსახიობი, დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს. წლების შემდეგ, პროფესიას გამოიცვლის კიდეც. არ ვიცი, რა სფეროში გადაინაცვლებს, მგონია, რომ რომელიღაც მაღალჩინოსნის მრჩეველი ან დიპლომატი გახდება. მას ძალზე ემარჯვება მამაკაცებთან ურთიერთობა, მათზე ზეგავლენასაც იოლად ახდენს. ამიტომ მისგან კარგი დიპლომატი გამოვიდოდა. ია ლამაზია, მაგრამ დიდად იღბლიანი — არა.

— ქალებს შორთ მისი?

— დიახ. მას სხვადასხვა ფორმით

ებრძვიან... იაზე თვალი ცუდად მოქმედებს — იოლია მისი გათვალვა. ჯერჯერობით სუფთა აურა აქვს, თუმცა, ზოგიერთები, მაგის საშუალებით, მისთვის ზიანის მიყენებას ცდილობენ. უნდა გაფრთხილდეს, უფრო ხშირად უნდა სთხოვოს ღმერთს შეწევნა და დახმარება.

— რა არის ისეთი, რასაც ია მალავს?

— იმედგაცრუებას და გულისტკივილს — იმის გამო, რომ სათანადოდ არ აფასებენ. ცდილობს, მუდამ მხიარული იყოს.

„ვიტალი ხაზარაძის პოლიტიკოსობა დიდხანს არ გასტანს"

— როგორი მომავალი აქვს ვიტალი ხაზარაძეს, როგორც პოლიტიკოსს?

— დიდი წარმატება არ ელოდება. მისი მოღვაწეობა პოლიტიკაში ხანგრძლივი არ იქნება. ის მომავალში, იმედგაცრუებული ჩანს. თუმცა, ამ მდგომარეობას თავს იოლად დააღწევს. აქტიური ადამიანია. გამოუვალ მდგომარეობას თავს იოლად აღწევს ხოლმე. სულით მებრძოლია. მისთვის არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელსაც ვერ გადალახავს.

— მის ირგვლივ ბევრი ქალი ტრიალებს?

— საკმაოდ. მას აქვს შარმი, რომელიც ქალებს იზიდავს. ბევრმა ქალმა დაადგა თვალი, მაგრამ ის რადიკალურ ცვლილებებს პოლიტიკაშიც ერიდება და პირად ცხოვრებაშიც. პოზიციებს ძნელად თმობს, ძნელია აზრი შეაცვლევინო. უმართლებს. იღბლიანია. ყისმათიანია. ■

კუკიის სასაფლაოზე ქურდული საქმის გარჩევებს საშინელი მკვლელობა მოჰყვა

„ჯალათებმა ჩემი შვილი დანით ნაკუწებად აქციეს“ — ამბობს მოკლულის დედა

ორი წლის წინ, 8 იანვარს სალამოს, თბილისში, კუკიის სასაფლაოზე ახალგაზრდა მამაკაცის საშინლად ნაწამები გვამი იპოვეს. გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის ნიშნები ეტყობოდა: სახის, ყელისა და გულმკერდის არეში მრავალი ნაკვეთნაჩხვლეტი და შემავალი ჭრილობა ჰქონდა. დაზიანებები, ექსპერტთა თქმით, სავარაუდოდ, დანით იყო მიყენებული.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მოკლული, 33 წლის თბილისელი გოჩა დავლაშერიძე იყო. „საქმის გარჩევასა და ცემას არ დასჯერდნენ, ჯალათებმა ჩემი შვილი დანით ნაკუწებად აქციეს. განა, ერთხელ მოუქნიეს დანა?! არა, მომაკვდავი შვილი საშინლად გამიმწარეს — 39 ჭრილობა მიაყენეს. მერე სადღაც მიაგდეს, მიატოვეს და წავიდნენ“, — ამბობს მოკლულის დედა. გოჩა მისი ერთადერთი, ჯერ კიდევ უცოლშვილო შვილი იყო.

მოკლულის ოჯახის წევრების თქმით, გოჩა დავლაშერიძე თანაუბნელების საქმის გარჩევას შეეწირა. ამ საქმის გარჩევაში თურმე ქურდებიც ყოფილან ჩარეულნი. მოგვიანებით, ეს ვერსია გამოძიებამაც დაადასტურა. რამდენიმე ხანში კი, პროკურატურამ სასამართლოს ქურთი ეროვნების ძმები — ჯემალ და სევდი ბროიანები წარუდგინა დამნაშავეებად.

სევდი ბროიანი წარსულშიც მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი. 1998 წლის 3 ოქტომბერს, იგი თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ გაასამართლა და სასჯელის ზომად, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. რაც შეეხება მის ძმას — იგი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

გოჩა დავლაშერიძის მკვლელობის საქმის განხილვა ამჟამად, უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს. დაზარალებულის მხარე მკვლელების უმკაცრესად დასჯას მოითხოვს.

ეჭვმიტანილები პოლიციამ მკვლელობიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დააკავა. ჯემალ ბროიანი სომხეთის რესპუბლიკაში დააპატიმრეს, ხოლო სევდი, ძმის აყვანიდან რამდენიმე თვეში — ქალაქ მოსკოვში. თუმცა, კუკიის სასაფლაოზე ჩადენილი დანაშაული მარტო ძმებ ბროიანებს არ ედებათ ბრალად. გამოძიებით დადგინდა, რომ დავლაშერიძის მკვლელობაში კიდევ ორმა პირმა მიიღო მონაწილეობა. მათგან მხოლოდ ერთის — ლევან ჯაფარიძის ვინაობა დაადგინეს, თუმცა მის ადგილსამყოფელს დღემდე ვერსად მიაკვლიეს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ყველაფერი ასე დაიწყო:

2000 წლის 4 დეკემბერს, თბილისში, გლდანის მასივის მე-6 და მე-8 მიკრორაიონების გადასახვევთან ვინმე გელა კერატიშვილი მეგობრის მანქანას — „ბე-ემ-ვე“-ს მართავდა. აღნიშნულ ადგილას მოძრაობისას მას „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა დაეჯახა. „ჟიგულის“, გამოძიებით დაუდგენელი პირი — ვინმე ნიკა მართავდა. „ბე-ემ-ვე“-ში კერატიშვილთან ერთად, ძმები ბროიანები და თავად ავტომანქანის პატრონი — გოჩა აიდოიანი ისხდნენ. მომხდარის გამო მძღოლები შელაპარაკდნენ. სევდი ბროიანმა „ჟიგულის“ მძღოლს ახალი „ბე-ემ-ვე“-ს ყიდვა ან მისთვის 7.000 დოლარის გადახდა მოსთხოვა.

მოკლული
გოჩა დავლაშერიძე

საქმის გასარჩევად და დავის გადასაწყვეტად ნიკამ ე.წ. კანონიერ ქურდს — ბაადურ ნარიმანიძეს მიმართა. ამ უკანასკნელის ნათესავმა — მინდია ნარიმანიძემ კერატიშვილისა და ბროიანების ბაადურთან მიყვანა თავის ნაცნობს — გოჩა დავლაშერიძეს დაავალა, რადგან იგი მათი მეზობელი იყო და ორივე მხარეს კარგად იცნობდა. საქმის გარჩევისას, ქურდმა ძმები ბროიანები გაამტყუნა. მაშინ დავლაშერიძის თანმხლებმა, კახა ხუნდაძემ სევდი ბროიანს სახეზე სამართებელი დაუსვა.

ასეთი შედეგით უკმაყოფილო და განაწყენებულმა ძმებმა საქმის ხელახალი გარჩევა მოინდომეს. „ვინც სევდის სახეზე „შრამი“ დაადო, ის უნდა მოკვდეს“, — მეზობლების თქმით, ეს სიტყვები ჯემალ ბროიანმა თავისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში რამდენჯერმე გაიმეორა. აქვე აღვნიშნავთ, რომ განსასჯელთა მხარის ვერსიით, სევდი ბროიანს დანა სახეზე დავლაშერიძემ დაუსვა.

ძმებმა დავლაშერიძეს ტელეფონით დაურეკეს და ქურდთან გაყოლა სთხოვეს. თავდაპირველად, მისგან კატეგორიული უარი მიიღეს, მაგრამ ბოლოს, მაინც დაითანხმეს. დავლაშერიძე ეზოში ჩავიდა. თავის „მერსედესთან“ მას ბროიანები, ლევან ჯაფარიძე და გამოძიებით დაუდგენელი კიდევ ერთი პირი ელოდებოდა. დავლაშერიძემ ისინი მანქანაში ჩასვა და ლოტკინის მიმართულებით, ბაადურ ნარიმანიძის სახლისკენ წაიყვანა. ეს უკანასკნელი მათ შინ არ დახვდათ. გადაწყვიტეს, კუკიის სასაფლაოსკენ, ამჯერად მეორე „კანონიერ“ ქურდთან — სუმბათ აბასოვთან წასულიყვნენ. არც მასთან გაუმართლათ — სუმბათ აბასოვმა საქმის გარჩევაზე მათ უარი უთხრა.

როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, უარით განაწყენებულმა ძმებმა გადაწყვიტეს, დავლაშერიძეზე ეყარათ ჯავრი და მისი მოკვლა განიზრახეს. ამის შესახებ ჯაფარიძესა და უცნობ პირსაც უთხრეს, ერთმანეთში მოილაპარაკეს და დავლაშერიძე ძალით აიყვანეს კუკიის სასაფლაოზე, შემდეგ მანქანიდან ასევე ძალით გადაიყვანეს და მუშტებითა და ფეხებით ცემა დაუწყეს. დავლაშერიძემ თავის დაცვა სცადა და მანამდე აღებული ქანჩი მოიმარჯვა. ჯემალ ბროიანმა მაშინვე გამოსტაცა იგი ხელიდან და თავად დაუწყო ქანჩით ცემა, რამდენჯერმე ჩაარტყა თავსა და ტანში, მისმა ძმამ კი, დანას დაავლო ხელი და დავლაშერიძეს 39 მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობა მიაყენა. დაზიანებები დავლაშერიძემ ძირითადად ნიკაპქვეშ, კისრის არესა და გულმკერდის არეში მიიღო. დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა, დამნაშავეები კი, შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.

ჯემალ ბროიანი 2002 წლის 26 იანვარს, ხოლო სევდი — 2002 წლის 6 აგვისტოს დააკავეს. ჯემალ ბროიანს 2002

წლის 18 აგვისტოს აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნით შეეცვალა. წინასწარი პატიმრობის ვადა ისე ამოწურა, რომ სევდი ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული და გამოძიება ჯემალს საბოლოო ბრალდებას ვერ უყენებდა.

ბოლოს, წარდგენილ ბრალდებაში არც ერთმა ძმამ არ ცნო თავი დამნაშავედ. სევდიმ პროკურატურას უარი განუცხადა ჩვენების მიცემაზე და დუმილის უფლება გამოიყენა. რაც შეეხება ჯემალ ბროიანს – მისი თქმით, ის შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა და თავისთავად, არც მკვლელობაში მიუღია მონაწილეობა. ამასთანავე დასძინა, რომ „ბე-ემ-ვე", რომელიც პროკურატურის ინფორმაციით, აიდოიანს ეკუთვნოდა, სინამდვილეში მისი იყო და მას ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, კერატიშვილი კი არა, თვითონ მართავდა.

ჯემალ ბროიანის ჩვენებიდან:

„2000 წლის 4 თუ 5 დეკემბერს, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, გლდანში ავტოსაგზაო შემთხვევა მომიხდა. იმ დღეს, საკუთარი მანქანით „ბე-ემ-ვე"-თი ვიყავი, რომელიც ჩემი უბნელის – მიშა აიდოიანის სახელზე მაქვს გაფორმებული. მაშინ ჩემი ძმა და ნაცნობები მახლდნენ, მათი ვინაობა ახლა აღარ მახსოვს. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, „ჟიგულის" დავეჯახე. შეჯახებისას ხელი მოვიტეხე, მანქანიდან გადავედი და გამვლელი „ჟიგული" გავაჩერე. მძღოლს საავადმყოფოში წაყვანა ვთხოვე. საავადმყოფოში მარტო შევედი, მიმღებ განყოფილებაში მოვიტყუე – მოტეხილობა დაცემის შედეგად მივიღე-მეთქი. ექიმმა ხელი თაბაშირში ჩამისვა და მითხრა – საოპერაციო ხარო. ამის გამო გადავწყვიტე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ჰოსპიტალში წავსულიყავი, რადგან იქ ნათესავები მყავდა.

ავტოავარია ჩემი ბრალით მოხდა. მეორე მანქანაში მსხდომი პირები მე არც მინახავს. მხოლოდ მეორე დღეს შემატყობინეს ნათესავებმა, რომ ჩემი ძმა იყო დაჭრილი. ვიღაცამ სახეზე მჭრელი საგანი დაუსვა და საავადმყოფოში წევსო, – ამბობდნენ.

საავადმყოფოდან 2000 წლის 19 დეკემბერს გამწერეს. ამ დროისთვის, ჩემი ძმაც გაწერილი იყო. როცა ერთმანეთს შევხვდით, ვნახე, რომ სახეზე „შრამი" ჰქონდა. შევეკითხე – ვინ დაგჭრა–მეთქი? – არ ვიცი, – მიპასუხა. თუმცა, ის კი მითხრა – ლოტკინზე დამჭრესო, – მეტი არაფერი უთქამს. საერთოდ, თავის საქმეებში არ მახედებდა.

რაც შეეხება, 2001 წლის 8 იანვარს, დილით, სევდისთან ერთად ეზოში ჩავედი. იქ ჩვენი უბნელი – გოჩა დავლაშერიძე შეგვხვდა. ერთმანეთს ახალი წლის დადგომა მივულოცეთ და ის-ის იყო, ვშორდებოდით, როცა დავლაშერიძემ გვითხრა – მანქანით გავდივარ და სადმე თუ მიდიხართ, გაგიყვანთო.

მე „ახმეტელის" მეტროსთან ვაპირებდი გასვლას, ჩემი ძმა კი, ვიღაც ქალს უნდა შეხვედროდა. ამიტომაც გოჩას მანქანაში ჩვენც ჩავსხედით. მეტროსთან ჩავედი, გოჩამ და სევდიმ კი გზა განაგრძეს. თუ სად უნდა შეხვედროდა ჩემი ძმა თავის ნაცნობ ქალს, არ ვიცი. პირადად მე, მეტროსთან სიმამრის ნახვას და მისთვის ფულის გამორთმევას ვაპირებდი, რათა სადილისთვის პროდუქტი მეყიდა. სიმამრი ვერ ვნახე და ამის შემდეგ, ბიცოლაჩემთან ავედი სახლში. იქ კარგა ხანს გავჩერდი.

უკვე დაბნელებული იყო, როდესაც კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ჩემი მეუღლე მოვიდა და მითხრა – ეს წუთია, სახლში პოლიცია იყო მოსული და შენ და შენი ძმა გიკითხათო. სწორედ ამ დროს, ფანჯრის მხრიდან ტირილის ხმა გავიგონე. ფანჯრიდან გავიხედე და მივხვდი, რომ ტირილისა და ყვირილის ხმა გოჩა დავლაშერიძის სახლიდან მოდიოდა. მაშინვე ეზოში ჩავედი. გოჩას დედა ყვიროდა: სეკომ და ჯეკომ (სევდიმ და ჯემალმა. – ავტ.) გოჩა დილით წაიყვანესო. მივხვდი, რომ გოჩა მოკლული იყო, მის მკვლელობას კი, მე და ჩემს ძმას გვაბრალებდნენ. შემეშინდა და მაშინვე საქართველოდან წასვლა გადავწყვიტე.

იმავე დღეს, ტაქსით წავედი სომხეთში (თან წავიღე პირადობის მოწმობაც), ქალაქ ოქტომბერიანში, შემდეგ კი, სოფელ ყამუშლოში ჩავედი ჩემს ნათესავებთან. იქ ყოფნის მანძილზე, ოჯახის წევრებსაც კი არ დავკონტაქტებივარ. საქართველოში ჩამოსვლას მანამდე არ ვაპირებდი, სანამ სამართალდამცავები სიმართლეს არ გაარკვევდნენ და დავლაშერიძის ნათესავები ჩემს დადანაშაულებას არ მორჩებოდნენ. გოჩა დავლაშერიძის მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია და საერთოდ, იმ დღეს, კუკიის სასაფლაოზე ერთი წუთითაც არ ვყოფილვარ, არც ის ვიცი, რა მოხდა იქ".

თუმცა, საქმის მასალებში მკვლელობის მოწმეები პირდაპირ ასახელებენ, როგორც სევდის, ასევე ჯემალ ბროიანს. ეს უკანასკნელი რამდენიმემ ფოტოსურათებითაც ამოიცნო. მეზობლების თქმით, 8 იანვარს დილით, ძმები ბროიანები, ლევან ჯაფარიძე და ერიკ ალაფიშვილი ერთად ჩასხდნენ დავლაშერიძის მანქანაში და ეზოდან წავიდნენ (გამოძიებების მასალების მიხედვით, ამ საქმეში ერიკ ალაფიშვილის მონაწილეობა არ დასტურდება).

„კუკიის ე.წ. ქურთების სასაფლაოზე მუშად ვმუშაობ. 2001 წლის 8 იანვარს, დაახლოებით საღამოს 5-ის ნახევრისთვის, სასაფლაოზე ნაცრისფერი „მერსედესი" შემოვიდა. ნომერი „435" იყო, სერია კი ვერ დავიმახსოვრე. ბეტონის ღობესთან ახლოს გაჩერდა. მანქანიდან გინების ხმა გამოდიოდა. უეცრად, ავტომანქანის უკანა მარცხენა კარი გაიღო და იქიდან ახალგაზრდა, საშუალოზე მაღალი, წვერმოშვებული კაცი გადმოხტა. გრძელი, შავი პალტო ეცვა, დაახლოებით 28-32 წლის იქნებოდა. მან მძღოლის კარი გამოაღო და ასევე ახალგაზრდა, ოდნავ მელოტი კაცი გადმოათრია. ამ უკანასკნელს ყავისფერი, მოკლე „დუბლიონკა" ეცვა. შავპალტოიანმა მას ცემა დაუწყო. ამ დროს, მანქანიდან კიდევ სამი პირი გადმოვიდა. შევნიშნე, რომ შავპალტოიანს ხელში დანა ეჭირა.

შემეშინდა და საფლავის კედელს მივეფარე, ისე ვუყურებდი ყველაფერს. ყველანი ერთად სცემდნენ მძღოლს, დანიანი ყველაზე მეტად აქტიურობდა. მძღოლმა როგორღაც მოახერხა, მანქანის საბარგულამდე მიეღწია, იქიდან ქანჩი ამოიღო და აქეთ-იქით მოიქნია იგი, მაგრამ წაართვეს. მაშინ შავპალტოიანმა დანა მოიმარჯვა და რამდენჯერმე ჯერ თავში, შემდეგ სხეულის სხვადასხვა ადგილში ჩაარტყა მძღოლს. ბოლოს, ოთხივე, ხევის მიმართულებით გაიქცა, მძღოლი კი, მანქანასთან ეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა..." – აღნიშნავს ერთ-ერთი მოწმე ჩვენებაში. ზუსტად ასე აღწერენ მკვლელობის დეტალებს დანარჩენი მოწმეებიც, საერთოდ კი, დანაშაულს, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ათამდე ადამიანი შეესწრო.

ციცა დავლაშერიძე, მოკლულის დედა:

„იმ დილით, გოჩა ლილოს ბაზრობაზე იყო წასული. იქიდან დაახლოებით 11 საათისთვის დაბრუნდა. დიდი ხანი არ იყო გასული, როცა ტელეფონზე დაურეკეს. როგორც საუბრიდან მივხვდი, სადღაც გაყოლას სთხოვდნენ. გოჩა ეუბნებოდა – ახლა ვერ წამოვალ, ერთ-ორ საათში წავიდეთო. შემდეგ, ფანჯრიდან გადაიხედა და თავის მანქანასთან ორი პირი დაინახა. იჩემებდნენ – წავიდეთო, – გოჩა კი პასუხობდა: რა დაგემართათ? – ჯერ ადრეაო. იმდენი ელაპარაკნენ, რომ იძულებული გახადეს, დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა. დაახლოებით 7-ის ნახევარი იქნებოდა, როცა ჩემმა მეუღლემ მაცნობა იმ საშინელი ამბის შესახებ...

სევდი და ჯემალ ბროიანები, იგივე სეკო და ჯეკო, ცნობილი მკვლელები და რეციდივისტები არიან. ასე რომ, მორიგი დანაშაულის ჩადენა და ჩემი შვილის სადისტური მკვლელობა მათ არ გაუ-

ჭირდებოდათ. მით უმეტეს, რომ სეკოს ჩემს შვილამდე, ოთხი ადამიანი უკვე მოკლული ჰყავდა...

2002 წლის 20 ივლისს, მე და ჩემი დასშვილი კუკიის სასაფლაოზე სპეციალურად წავედით. გვაინტერესებდა იმ ადგილის ნახვა, სადაც ჩემი შვილი მოკლეს. ახლომახლო მცხოვრებლებს ვეკითხებოდით – მკვლელობის ზუსტი ადგილი ხომ არ იცით-თქო? – და მაშინ, ერთ-ერთმა ბიჭმა გვკითხა: სეკომ რომ მოკლა, იმ ადგილს კითხულობთო? ვთხოვე, რაც იცოდა, ყველაფერი მოეყოლა მომხდარის შესახებ. დეტალურად აღმიწერა, თუ როგორ სცემეს და აწამეს ჩემი შვილი. შემდეგ, ფოტოსურათები ვაჩვენე. მან ბროიანები მაშინვე ამოიცნო და ისიც მითხრა – სეკოს კარგად ვიცნობ, მის ძმას კი იმ დღეს, ხელი თაბაშირში ჰქონდაო...“

ჯემალ ბროიანი 28 წლის, ხოლო სვედი ბროიანი – 34 წლის გახლავთ. სასამართლოსთვის მათ ჯერჯერობით, ჩვენებები არ მიუციათ. წინა სხდომა, რომელზეც საქმის ძირითადი მოწმეები უნდა დაკითხულიყვნენ, სვედი ბროიანის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. სხვათა შორის, სხდომაზე არც დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი მოსულა, თუმცა, მისი გამოცხადება სხდომის ჩასატარებლად გადამწყვეტი არ ყოფილა.

საქმის განხილვა მომავალ ორშაბათამდე გადაიდო. ■

„ის ბიჭი პასპორტის გამო მოვკალი“ – განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც 23-წლიანი პაზიმროობა ელის

26 წლის წყალტუბოელ მამუკა კიკვიძეს უზენაესმა სასამართლომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის განაჩენი გამოუტანა. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის გარდა, კიკვიძეს კიდევ რამდენიმე მუხლი ჰქონდა წაყენებული: მას ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებასა და შენახვაში, ყაჩაღობაში, ავტომანქანის უკანონოდ დაუფლებასა და ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვაში ედებოდა ბრალი. სასამართლო კოლეგიამ თითქმის ყველა წარდგენილი ბრალდება დაადასტურა, ცვლილებები მხოლოდ ქვეპუნქტებში შევიდა.

თუმცა, კიკვიძის მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე მძიმე და შემაშფოთებელი, ახალგაზრდა მამაკაცის, მისი ნაცნობის – გოჩა დანგაძის მკვლელობაა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, კიკვიძემ დანგაძეს სრულიად მოულოდნელად დაუმიზნა ავტომატი და ესროლა. დანგაძე იქვე გარდაიცვალა, კიკვიძე კი მიიმალა. საქმის სასამართლო განხილვამდე, ბრალდებული მკვლელობის მოტივის შესახებ არაფერს ამბობდა და დუმილის უფლებას იყენებდა. ჩვენების მიცემა პროცესზე გადაწყვიტა, მაგრამ სასამართლოს ძალზე უცნაურად აუხსნა ამ საშინელი დანაშაულის მიზეზი.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, შემთხვევა 2002 წლის ივნისში მოხდა. მანამდე, გამოძიებისთვის დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მან გაიტაცა ქუთაისელი ტარიელ ყვავაძის დაბადების მოწმობა, რის საფუძველზეც ქუთაისში, საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილებიდან საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტის აღება მოახერხა. სწორედ ამ პასპორტის საშუალებით, მან საქართველო დატოვა და რუსეთში გაემგზავრა. ამის შემდეგ, კიკვიძემ ცეცხლსასროლი იარაღი – ავტომატი, საბრძოლო მასალა და ხელყუმბარები შეიძინა.

რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, 2002 წლის 5 ივნისს, მამუკა კიკვიძე წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორში მცხოვრებ ნოდარ ჯიშკარიანს ესტუმრა. ამ უკანასკნელის მეზობელს – გელა ვარდანიძეს სთხოვა – მანქანით წყალტუბოში წამიყვანეო. ვარდანიძე დათანხმდა. კიკვიძე კი, მისგან ფარულად შეიარაღდა, ავტომატი და საბრძოლო მასალა თავის ლურჯ ხელჩანთაში ჩააწყო და ვარდანიძის მანქანაში ჩაჯდა. წყალტუბოში დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის ჩავიდნენ. კიკვიძემ ვარდანიძეს მანქანა ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურთან გააჩერებინა, გადავიდა და იქ შეკრებილ მოქალაქეებს შეეკითხა – სად არის გოჩა დანგაძეო? ეს უკანასკნელი ადგილობრივი მცხოვრები გახლდათ. როგორც მოწმეები და თავად მსჯავრდებული აღნიშნავენ, ის და დანგაძე ერთმანეთს იცნობდნენ და კარგი ურთიერთობაც ჰქონდათ.

კიკვიძემ დანგაძის დალოდება გადაწყვიტა. დაახლოებით ერთ საათში, ავტოგასამართ სადგურთან გოჩა დანგაძის ავტომანქანა გაჩერდა. დანგაძემ და კიკვიძემ შეხვედრისას ერთმანეთი გადაკოცნეს. საუბრისას დანგაძეს მობილურ ტელეფონზე დაურეკეს. ამის გამო, კიკვიძემ მასთან ლაპარაკი შეწყვიტა და ვარდანიძის მანქანისკენ გაემართა. დანგაძე მას უკან გაჰყვა, თან ტელეფონზე საუბარს განაგრძობდა. კიკვიძემ ავტომანქანაში ვარდანიძის თვალწინ გახსნა ლურჯი ხელჩანთა, იქიდან ავტომატი ამოიღო, იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და დაახლოებით ორი-სამი მეტრის მანძილიდან ჯერით ესროლა დანგაძეს. შემთხვევით იქვე მყოფი თუ გამვლელი მოქალაქეები შიშისგან მიმოიფანტნენ, გოჩა დანგაძე კი დაეცა. ამის შემდეგ, გამოძიების მასალების თანახმად, კიკვიძე მიუახლოვდა მას და თავისა და სხეულის არეში ე.წ. საკონტროლო ტყვიები დაახალა. დანგაძე მაშინვე გარდაიცვალა.

კიკვიძე ვარდანიძეს მიუბრუნდა, ავტომატი თავზე მიადო და ცაგერის მიმართულებით წასვლა უბრძანა. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, კიკვიძემ გადაწყვიტა, ვარდანიძისთვის დროებით წაერთმია მანქანა, ის მანქანიდან გადააგდო და საჭეს თავად მიუჯდა. ავტომანქანა მან მოგვიანებით, სოფელ ქვილიშორის ტერიტორიაზე მიატოვა, თავად კი მიიმალა.

რამდენიმე თვეში, კიკვიძე პოლიციამ დააკავა. მაშინ მან აღნიშნა, რომ წარდგენილ ბრალდებაში მხოლოდ ნაწილობრივად ცნობდა თავს დამნაშავედ, თუმცა კერძოდ რა ნაწილში, არ დაუკონკრეტებია. სასამართლოში მან მკვლელობა აღიარა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ დანაშაული არც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩაუდენია და არც მოქალაქეების სიცოცხლისთვის შეუქმნია საფრთხე.

მამუკა კიკვიძე:

„მართალია, იმ დღეს ავტომატი თან მქონდა, მაგრამ არა დანგაძის მოსაკლავად. მე მისი მოკვლის განზრახვა შემთხვევამდე, საერთოდ არ მქონია. სხვაგან ვაპირებდი წასვლას და ავტომატიც ამის გამო მქონდა. დანგაძესთან შელაპარაკება კი, პასპორტთან დაკავშირებით მომხდა. დაპირებული იყო, ყალბ პასპორტს გაგიკეთებო. ამის შესახებ თავად ვთხოვე, რადგან ვიცოდი, რომ პოლიციაში ნაცნობები ჰყავდა და წინასწარ 500 დოლარი მივეცი. მას შემდეგ, სამი თვე იყო გასული, პასპორტი კი არ ჩანდა. რამდენჯერმე სპეციალურად შევხვდი და პასუხი მოვთხოვე. ყოველი შეხვედრისას

მეუბნებოდა – ცოტა მოითმინე, მალე იქნებაო. იმ დღესაც, ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდი. მან კი მანქანიდან გადმოსვლა არც იკადრა და წესიერად არც დამელაპარაკა. ამის გამო ძალიან გავბრაზდი. გაბრაზებულმა იარაღი ავიღე და ვესროლე. დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით არ ჩამიდენია, რადგან დანგაძის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ გავისროლე და არა რამდენჯერმე, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაში წერია“.

სხვათა შორის, სასამართლო კოლეგია განსასჯელის ამ ჩვენებას სათანადო ყურადღებით მოეპყრო და საქმის განხილვისას გაარკვია, რომ კიკვიძემ მხოლოდ ერთხელ ესროლა დანგაძეს. ამის შედეგად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ კიკვიძეს დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით არ ჩაუდენია. რაც შეეხება მოქალაქეებისთვის შექმნილ საფრთხეს, ამ მხრის კოლეგიამ განსასჯელის ჩვენება არ გაიზიარა.

საბოლოოდ, სასამართლო კოლეგიამ კიკვიძეს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. აქედან 3 წელი კიკვიძემ საპყრობილეში უნდა გაატაროს. ■

ზურაბ ზუბადალაშვილი თავის სახლთან ჩაცხრილეს

14 სექტემბერს ღამით, თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე უცნობმა პირებმა ზურაბ ზუბადალაშვილი ჩაცხრილეს. მსხვერპლი, ცენტრალური სუპერმარკეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის შვილი და თავადაც ამ საბჭოს წევრი გახლდათ. მკვლელობა დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა. ზურაბ ზუბადალაშვილს ბახტრიონის ქუჩის №11-ში, თავისი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან უცნობი პირი (წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელი მარტო იყო) დახვდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. ზუბადალაშვილმა სადარბაზოში შესვლა მოახერხა, მაგრამ დამნაშავე მას შეჰყვა, კიდევ სამი ტყვია – ორი თავში, ერთი კი, ზურგში – დაახალა. ზუბადალაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ბოროტმოქმედი კი მიიმალა.

როგორც ამბობენ, გარდაცვლილს სხეულზე, ნატყვიარების გარდა, მჭრელი საგნით მიყენებული დაზიანებებიც აღმოაჩნდა. ვარაუდობენ, რომ დაზიანებები დანითაა მიყენებული. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები ჯერ კიდევ მუშაობენ და დასკვნა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. გამოძიებას ქალაქის პროკურატურა აწარმოებს. დგინდება მკვლელობის მიზეზი. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, არსებობს რამდენიმე ვერსია, მაგრამ ამ ვერსიებზე საუბრისგან ამ ეტაპზე, თავს იკავებენ.

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ ■

შემოდგომა დადგა...

ზაფხული მიიწურა. შემოდგომა ძალას იკრებს და მასთან ერთად - ჩვენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, რომლის გამოვლინებას ზაფხულის პერიოდმა შეუწყო ხელი. სიცხე და ტენი, ზღვა, მარილიანი წყალი, ჭარბი ოფლიანობა და არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები ხშირად ფრჩხილების, კანისა და ლორწოვანი გარსების სოკოვანი დაავადების მიზეზი ხდება, ანდა "ზამთარში მიძინებული" პროცესის გამწვავებას იწვევს. ყველაზე ხშირად ზღვის კურორტებიდან დაბრუნებულები ხდებიან "სოკოების მსხვერპლნი". თუმცა, არც ისინი არიან დაცულნი, ვინც ხშირად სტუმრობს სპორტულ დარბაზებს, საცურაო აუზებს (თუ იქ არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობებია), ტანზე მჭიდროდ მომდგარ სინთეტიკურ ტანსაცმელს ატარებს, ხშირად ოფლიანობს, ვიწრო ფეხსაცმლის სისტემატური ტარების გამო ტერფების კანი და ფრჩხილები უზიანდება, ხანგრძლივად გამოიყენა ანტიბიოტიკები და სხვა . . . ამიტომ სექტემბერ-ოქტომბერში ხშირად გვაწუხებს პრობლემა - სოკოვანი დაავადება!

ადგილობრივი მოქმედების საშუალებებით სოკოვანი დაავადებების მკურნალობა მიზანშეწონილია მხოლოდ ზედაპირული მიკოზების საწყისი სტადიის დროს. ყველა სხვა შემთხვევაში ეფექტურია სისტემური ანტიმიკოზური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოქმედებენ ყველა ლოკალიზაციის სოკოზე და ამით უზრუნველყოფენ მკურნალობის მაღალ ეფექტურობას.



სისტემური მოქმედების ანტიმიკოზური პრეპარატი **მიკოფლუ** (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადებისა და მისი კლინიკური გამოვლინებებისგან (ფრჩხილების აქერცვლა, მსხვრევადობა, ფერისა და ფორმის შეცვლა, კანის თითებშუა არის დაზიანება, ქავილი და სუნი, ვულვოვაგინიტის შემთხვევაში გამონადენის არსებობა და სხვა) სწრაფად და ეფექტურად განკურნებაში. **მიკოფლუ** – ხელმისაწვდომი პრეპარატი სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ.

მიკოფლუ

ახლა სნოჩედ ის დროა, როცა სოკოსთან ბრძოლა ყველაზე აღვილი და შედეგიანია!

GMP
ჯი-ემ-პი

სარეკლამო ინფორმაცია



მიტოვებული მამაკაცები

ადამიანები ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ ვინ უფრო მტკივნეულად განიცდის მარტოობას და განსაკუთრებით, პარტნიორისგან მიტოვებას — ქალი თუ მამაკაცი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, თუ მიტოვებული ქალი უმეტესად, სასოწარკვეთილებაში ვარდება და ბედს ეგუება, ქალის მიერ უარყოფილი მამაკაცი არნახულ აგრესიას ავლენს და შურისძიების წყურვილით ივსება. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მამაკაცის ღირსება უფრო ძნელად ეგუება მისადმი საზოგადოების თვალში გაჩენილ სიბრალულს... ძნელია გადაჭრით თქვა, ჩვენს დროში ვის უფრო ხშირად უწევს მიტოვებული ადამიანის როლში ყოფნა, მაგრამ ფაქტია, რომ ქალების მიერ მოპოვებული, მეტი პიროვნული და სოციალური თავისუფლების შედეგად, უარყოფილი მამაკაცების რიცხვმა იმატა...

ემა ტუხიამვილი

ლაშა, 26 წლის *(მასალაში მონათხრობი ყველა ამბის პერსონაჟთა სახელები შეცვლილია):*

— სითბო და სიყვარული ბავშვობიდანვე მაკლდა, ვინაიდან მხოლოდ ერთი წლის ვიყავი, როდესაც მშობლები დავკარგე. როგორც მიამბეს, რაიონიდან თბილისში ვბრუნდებოდით მანქანით, როდესაც მამამ საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა მდინარეში გადავარდა. დედამ ფანჯრიდან ჩემი გადმოგდება მოახერხა და ამის წყალობით გადავრჩი. მამიდამ გამზარდა, სითბოსა და სიყვარულს არ მაკლებდა, მაგრამ მშობლების არყოლით გამოწვეულ სიცარიელეს ყოველთვის ვგრძნობდი... სტუდენტი ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე თეა გავიცანი და იმ დღიდან უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. მისი სახით საოცრად ნიჭიერი, მოსიყვარულე და ლამაზი მეგობარი შევიძინე, რომელიც მალე ჩემი მეუღლე გახდა. თეას ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო (მამამისი საკმაოდ ცნობილი არქიტექტორი გახლდათ), მაგრამ არც მე ვიყავი უპოვარი — მშობლებმა საკმაოდ კარგი მემკვიდრეობა დამიტოვეს... თეას მშობლებს ჩვენი ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი გამოუხატავთ, პირიქით — მათთან საცხოვრებლად გადასვლაც კი შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენგან უარი მიიღეს. შემდეგ ნიკუშა შეგვეძინა. მოკლედ, ოჯახური ბედნიერებაო, რომ იტყვიან, სანატრელი არ მქონდა. მაგრამ ყველაფერი კარგად იყო მანამდე, სანამ ჩემი სიმამრი (სხვთა შორის, ძალიან ახალგაზრდა) არ გარდაიცვალა. სიდედრმა საცხოვრებლად მასთან გადასვლა გვთხოვა. თანავუგრძნობდით და უარი ვეღარ ვუთხარით, მაგრამ ჩემი და თეას ურთიერთობაში მაშინვე გაჩნდა ბზარი და სიყვარულის შესანარჩუნებლად, ისევ ჩვენს კერას დავუბრუნდით. ახლა სიდედრმა ჩვენთან ცხოვრების სურვილი გამოთქვა, თეას თავი მარტოობით შეაცოდა და ჩვენთან გადმოვიდა. ყოველდღე ვგრძნობდი, თუ როგორ მართმევდა სიდედრი ცოლს: ხან ღამის კოშმარებს იმიზეზებდა, რომ თეა მის ოთახში დაწოლილიყო, ხან ჩემს უარყოფით თვისებებზე უმახვილებდა ყურადღებას და სანიმუშო მაგალითად, თავის მეუღლეს ასახელებდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ თეამ განქორწინება მთხოვა და მინდობილობა დედამისის სახელზე გააფორმა. ასე რომ, სასამართლოში ერთმანეთს მე და ჩემი სიდედრი „ვეყრებოდით“. განქორწინების შემდეგ, ჩემი სახლი ნიკუშას — ჩემს შვილს დავუთმე და საცხოვრებლად მამიდასთან გადავედი, რადგან არც მას ჰყავს ჩემ გარდა მემკვიდრე... ყველა ღონეს ვხმარობდი თეას დასაბრუნებლად. ერთხელ, „სიყვარულის დღეს“, ვარდების დიდი თაიგულით ვესტუმრე. კარი ყოფილმა სიდედრმა გამიღო და მაშინვე ყვირილი ატეხა: შენ აქ რა გინდაო?! საიდან უნდა მცოდნოდა, რომ თეას სტუმრად თაყვანისმცემელი ჰყავდა? სამარცხვინოა ამის მოყოლა, მაგრამ... ერთი კარგად მცემეს, საკუთარი სახლიდან გამომაგდეს და ვარდებიც ზედ მომაყარეს... ამის შემდეგ, შურისძიების მიზნით, ძალიან ბევრ გოგონასთან ვცადე სასიყვარულო ურთიერთობის გაბმა, მაგრამ არაფერი გამომივიდა: თეა ძალიან მიყვარს. ვერ დაივიჯერებთ, მაგრამ დღესაც მოგონებებით ვცოცხლობ და იმედს არ ვკარგავ, რომ კვლავ ერთად ვიქნებით, მიუხედავად იმისა, რომ ის ახლა, ჩემს შვილთან ერთად უცხოეთში ცხოვრობს, ჩემი სიდედრი კი — ჩემს საკუთარ ბინაში...

ირაკლი, 32 წლის:

— შეიძლება, ჩემზე ბევრმა იფიქროს — ეტყობა, გაგიჟდა, ასეთი ინტიმური პრობლემები სააშკარაოზე რომ გამოაქვსო, — მაგრამ თანამედროვე ქალების ზღვარგადასული სითამამე, აქტიურობა, თავისუფლება და აგრესიულობაც კი მაშინებს. ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ მინდა ყველა მამაკაცი გავაფრთხილო, ნუ მიანიჭებენ მეუღლეებს მეტისმეტ უფლებებს, რომ მალე თავად არ დარჩნენ უფლებააყრილნი... მე და ნინო სიყვარულით შევუღლდით... ყოველთვის მეტისმეტად აქტიური იყო და შეიძლება ითქვას, რომ ოჯახს ის მართავდა. ორი შვილი შეგვეძინა, მაგრამ მაინც ახერხებდა იმას, რომ სამსახურშიც და შინაც ყველაფერი წესრიგში ჰქონოდა. არასტაბილური სამსახური მაქვს, ამიტომ უმუშევრობისას, ბავშვების ძიძად ყოფნა მიწევდა და მეც დავატარებდი მათ ბებია-ბებიებთან, სხვაგან და სხვაგან. ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩვენს ოჯახში ჩემი მეუღლე იღებდა და თუ შევეწინააღმდეგებოდი, ისეთი არგუმენტებით მიგერიებდა ხოლმე, რომ ხმის ამოღებას აზრი არ ჰქონდა... მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ნინო სიყვარულის თავისუფლებაზეც ალაპარაკდა და თვითონვე გამომიტყდა, რომ არჩევანი ჩემს საუკეთესო მეგობარზე შეუჩერებია... როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილზე სხვა მამაკაცი?! მე კი, გაოგნებული ვუსმენდი მის „აღიარებით ჩვენებას“... ეს არ მაკმარა და გამომიტყდა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც საყვარელი ჰყავდა და რომ ჩვენი გოგონა სწორედ მისი შვილი იყო. შემდეგ შვილები თავადვე „გაანაწილა“ — გოგო თვითონ წაიყვანა, ბიჭი კი მე დამიტოვა... მეგონა, დროდადრო მაინც მოინახულებდა ხოლმე შვილს, მაგრამ მწარედ შევცდი.

ერთხელ კი, როდესაც შემთხვევით ორივეს ქუჩაში შეგვხვდა, თვალიც კი აგვარიდა... ასეა – წესისამებრ, მოღალატე ცოლი ისე კი არ უნდა გამეშვა – უნდა გამეგდო სახლიდან!..

ქალბატონი თამარი, 55 წლის:

– დღეს თუ ქალი ქმარს მიატოვებს, სითამამეში ეთვლება, წლების წინ კი, ამის გაკეთება უსასტიკესი მეთოდებით ისჯებოდა. მე და მერაბმა ერთმანეთი ერთ-ერთ სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლისას გავიცანით. ის გულუბრყვილო სოფლელი ბიჭი იყო, მე კი – ჩვეულებრივი თბილისელი გოგო. მშობლებს სოფლელი სასიძოს გაგონებაც არ სურდათ, ჩვენ კი ფარულმა სიყვარულმა იქამდე მიგვიყვანა, რომ დავფეხმძიმდი. მერაბმა ხელი მომკიდა და სოფელში თავის მშობლებთან წამიყვანა. ამით ჩემი მშობლები საბოლოოდ დავკარგე, მაგრამ ვერც დედამთილ-მამამთილის სიყვარული დავიმსახურე: აბა, ვის მოეწონებოდა ორსული პატარძალი?!. მათ ჩვენს რჩენაზე უარი თქვეს და სახლის ერთი ნაწილი დაგვითმეს. რაკი საკუთარი შრომით უნდა გვერჩინა თავი, სწავლის გაგრძელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. თბილისში გაზრდილს ისე გამიჭირდა ბაღ-ბოსტანში მუშაობა და საქონლის მოვლასთან შეგუება, რომ ღამეებს ტირილში ვათევდი და საკუთარ ბედს ვწყევლიდი... შემდეგ ბიჭი შეგვეძინა და ცხოვრება ცოტა გამიხალისდა – მანამდე, სანამ ბავშვის გაზრდის ტვირთსაც შევიგრძნობდი. მერაბი საყვედურს არაფერზე მეუბნებოდა. ის მიჩვეული იყო სოფლის ცხოვრებას და ხშირად ჩემს გასაკეთებელსაც თვითონ აკეთებდა. შესაძლებელია, ჩემს ხვედრს ბოლომდეც შევგუებოდი, მერაბი ჯარში რომ არ გაეწვიათ. დღემდე არ ვიცი, ის უწყება მისი მშობლების „ჩაწყობილი" იყო ჩემს მოსაცილებლად თუ მართლა გაიწვიეს... ასეა თუ ისე, მერაბი ჯარში წავიდა. ხომ წარმოგიდგენიათ ჩემი უსუსური მდგომარეობა – მარტო, ბავშვით ხელში და ნახევრად მშიერი. მერაბის მშობლებს არც ჩემმა გასაჭირმა მოულბო გული. არ ვიცოდი, რა მექნა – მშობლებთან ჩავსულიყავი და პატიება მეთხოვა? – არადა, ვიცოდი, რომ ჩემი შვილის დანახვა მათ კიდევ უფრო განარისხებდა... გადავწყვიტე, დედამთილ-მამამთილისთვის მეთხოვა, დროებით ბავშვი დაეტოვებინათ, რათა მშობლების შემორიგების საშუალება მომცემოდა. მერე შვილსაც წავიყვანდი. არ ვიცი, რა მიზნები ამოძრავებდა ჩემი ქმრის მშობლებს, მაგრამ ბავშვი უყოყმანოდ დაიტოვეს. თბილისში ჩამოვედი. მამაჩემმა მითხრა: ოღონდ ეგ ნაბიჭვარი არ დამანახვო და ცხოვრებას სულ თავიდან დაგაწყებინებო. ინსტიტუტში აღდგენას დამპირდა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ აღმითქვა. გადატანილი ტანჯვა-წამების შემდეგ, აქაურობა ნამდვილ სამოთხედ მეჩვენებოდა. დავთანხმდი. ოღონდ, იმის იმედს მაინც არ ვკარგავდი, რომ შვილს დავიბრუნებდი. მერაბის მშობლებმა კი შექმნილი მდგომარეობა სათავისოდ გამოიყენეს: წერილი გაუგზავნეს ჯარში და შეატყობინეს, თუ როგორ „მივატოვე" ისიც და მისი შვილიც... ჩემი მშობლები აჩრდილებივით დამყვებოდნენ, რათა შვილთან ჩასვლა არ გამებედა, ამიტომ ჩემი ერთადერთი იმედი მერაბის ჯარიდან ჩამოსვლა იყო. მაგრამ დაბრუნებულმა, ჩემი ნახვაც კი არ ისურვა – მიტოვება ვერაფრით მაპატია და ბავშვთან შეხვედრაც სასტიკად ამიკრძალა... მალე მამაჩემმა ჩემი ცხოვრება თავის შეძლებულ უცოლო მეგობარს დაუკავშირა, რომელსაც ჩემი შვილის არსებობა დავუმალეთ. საკუთარი ძალაუფლების წყალობით, ჩემმა მეუღლემ კიდევ უფრო გამიიოლა ცხოვრება და „სამოსან" სტუდენტს ერთ-ერთ კათედრაზე მდივნად მუშაობაც დამაწყებინა. მისგან ორი გოგონა შემეძინა და ახალმა ოჯახურმა ბედნიერებამ კიდევ უფრო გამიჯნა ჩემი წარსული და აწმყო. სამაგალითო ცოლისა და მზრუნველი დედის იერმა, კიდევ უფრო გამიადვილა, დამეფარა ცოდვა, რომელიც სულს მიღრღნიდა... მთელი ოცი წელი ვინახავდით მე და ჩემი მშობლები ამ საიდუმლოს... მისაღები გამოცდების დროს, საბუთების მიღებისას, ინსტიტუტში ჩვეულებისამებრ, აბიტურიენტების გრძელი რიგი იდგა. საბუთებს მექანიკურად ვართმევდი მათ და შესაბამისად ვაფორმებდი. ერთ-ერთში ჩემი შვილის გვარ-სახელი და მონაცემები ამოვიკითხე. შეეხედე და გონება დავკარგე... ჩემს საიდუმლოს ფარდა აეხადა. შვილი გავიცანი და სხვებსაც გავაცანი, მაგრამ ვეღარ დავიბრუნე...

არსებობს მოსაზრება, რომ მამაკაცები საერთოდ ვერ ეგუებიან მარტოობას და სწორედ ამიტომ, თუ ოჯახი დაენგრათ, სწრაფად ქორწინდებიან მეორედ, მესამედ... ამდენად, ღირსების შელახვა, რომელზეც წერილის დასაწყისში მოგახსენებდით, დეპრესიის ერთადერთი მიზეზი როდია... საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ თემაზე ცნობილი ქართველი მამაკაცები?

იმედა კახიანი:

– კაცო, ქალები ფრთხილად უნდა იყვნენ, თორემ, ხომ იცი, რამდენი ქალი მოდის ერთ კაცზე?.. ამიტომ მიტოვებული მამაკაცები ცოტანი არიან, სამწუხაროდ, მიტოვებული ქალია უფრო მეტი. საერთოდ, უნდა გაუფრთხილდეთ კაცებს, კაცი ცოდვაა მარტო – როგორ მოუვლის მარტო თავს?!. ისე კი, თუ მამაკაცი, როგორც კაცი, ისე დაიწუნეს – მაგაზე დიდი ტკივილი და შეურაცხყოფა რა გინდა?!. ღმერთმა დაიფაროს ყველა კაცი მიტოვებისგან. მე მყავს ერთი მეგობარი, რომელიც თავის დროზე შეყვარებული იყო და ქალისგან მიღებული უარის გამო დღესაც მარტოხელაა.

— ბატონო იმედა, დღეს, ქალების გააქტიურების ფონზე, ხომ არ იმატა მიტოვებული მამაკაცების რიცხვმა?

– საერთოდ, მირჩევნია, როდესაც კაცი აქტიურობს და არა ქალი. სულ ემანსიპაციაზე იყო ლაპარაკი – ქალები ვიჩაგრებითო, – მაგრამ მგონი უმჯობესია, როცა ქალს გვერდით ძლიერი მამაკაცი ჰყავს, რომელიც მის სიმშვიდეს იცავს.

— თქვენ თუ მიგიღიათ ქალისგან უარი?

– კი, მიმიღია, მაგრამ ეს სულაც არ არის კაცისთვის დამამცირებელი. კარგია, თუ ეს მხოლოდ პირველ ჯერზე ხდება – გაგეპრანჭება და უარს გეტყვის, – მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, კაცს ეს არ ამცირებს.

დათო ტურაშვილი:

– საკმაოდ რთული თემაა და ძალიან ძნელია,

იმედა კახიანი


დათო ტურაშვილი



ავთანდილ მარგიანი



გურამ ლორთქიფანიძე

ამასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი გავაკეთო. მე შვიდი წიგნი მივუძღვენი ამ თემას და თქვენ მთხოვთ – ორი სიტყვით ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრიო!.. გნებავთ, დავწერ და წერილობით მოგაწვდით ჩემს აზრს, მაგრამ ერთი-ორი გვერდი ამისათვის საკმარისი არ იქნება. თქვენ ჟურნალ-გაზეთები გასართობად გინდათ და მიტოვებული მამაკაცების თემა გასართობია *(?! – ავტ.)*? თუ გნებავთ, კიდევ ერთ წიგნს დავწერ ამ თემაზე და თქვენ მოგიძღვნით...

გურამ ლორთქიფანიძე:

– კაცს რომ ქალი მიგატოვებს, ის კაცი – კაცი არაა! როგორ შეიძლება, ქალმა მიგატოვოს?!. კაცია მაშინ დამნაშავე. მე მივატოვებ ქალს – რაღა ქალმა მიმატოვოს?! ქალმა რომ მიმატოვოს, შეიძლება, თავი მოვიკლა. ერთ ამბავს მოგიყვებით: ახალგაზრდობაში, ერთი გოგო მომწონდა და მასაც მოვწონდი თურმე, მაგრამ ვერ ვუბედავდი თქმას. ერთხელ, შინ მივაცილე და... უარი მითხრა. წამოვედი იქიდან და სიგარეტს ვეწევი (მაშინ ვეწეოდი), გავჩერდი ჩელუსკინელების ხიდთან და გადახტომა მინდოდა – თავის მოკვლა გადავწყვიტე. უცებ, ვიღაცამ სიგარეტი მთხოვა და ამან გამომაფხიზლა, გადამაფიქრებინა და წამოვედი შინ... ქალი რომ უარს გეტყვის, საშინელებაა. ჭრილობაა, მოურჩენელი ჭრილობა გიჩნდება. დღესაც მახსოვს იმ გოგოს ნათქვამი სიტყვები და სანამ ცოცხალი ვიქნები, მემახსოვრება...

ავთანდილ მარგიანი:

– მე ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ სხვებისაგან გამიგონია და ვიცი, რომ მამაკაცები ძალიან მძიმედ განიცდიან უარყოფას. ყველაზე უკეთ ეს მდგომარეობა გალაკტიონსა აქვს აღწერილი: „სთქვი: უეცარი გასხივოსნება რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები? რად აშრიალდა ჩემი ოცნება, როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?“ აი, ასე განიცდიან ქართველი მამაკაცები მიტოვებასა თუ ქალისაგან უარყოფას. ძირითადად, მაინც მამაკაცია ამაში დამნაშავე.

— კონკრეტულად რაში ადანაშაულებთ მამაკაცებს?

– უყურადღებობაში. მამაკაცი არ ითვალისწინებს ქალის ბუნებას და ხშირ შემთხვევაში, მას, როგორც „სახმარ ღირებულებას“, ისე უყურებს. ქალში აუცილებლად უნდა დაინახო სამი რამ: ის, რომ შენი ქალია, რომ დედის ფუნქციას ასრულებს და რომ მეგობარია. ამავე დროს, ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ნებისმიერ ქალში, როგორი მახინჯიც არ უნდა იყოს გარეგნულად, მაინც არსებობს რაღაც სილამაზე... ჩემი აზრით, კონფლიქტური სიტუაციების 90% მამაკაცების ბრალია და მხოლოდ ათი – ქალების. ეს ათი პროცენტიც ის ქალბატონები არიან, ვისზეც სულხან-საბამ ბრძანა: „ბოროტი დედაკაცები ნადირზე უფრო ძნელია, თუ მაგრად არ დაიჭირე, ბევრის ავისა მქნელია“. მამაკაცი ბუნებით ყოყლოჩინაა და ამავე დროს, ქალთან შედარებით, უფრო გულგრილი. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, დიდი ამბიციებიც ახლავს ხოლმე. ვიცი ერთი შემთხვევა, როდესაც ქალმა მიატოვა მამაკაცი იმის გამო, რომ მამაკაცი უსაფუძვლოდ და გადამეტებულად ეჭვიანობდა მასზე. შემდეგ ეს ქალი გათხოვდა და ოთხი შვილი შეეძინა. მართალია, მისი მეორე ქმარი გარეგნობით პირველს ჩამოუვარდებოდა, მაგრამ შესანიშნავი ოჯახი შექმნა მასთან. პირველი კი, უცოლოდ დარჩა, ახლა თითქმის ჩემი ხნისაა და კვლავ ეულად დადის...

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტის პრორექტორი, **დიმიტრი ნადარეიშვილი:**

– ადამიანის ხასიათი პატარაობიდანვე ყალიბდება. ყველაფერი ბავშვობიდან მოდის. ვთქვათ, თუ ბიჭს ჰყავს მამა, რომელიც „პროვოცირებას უკეთებს“ მის მიტოვებას – ზერელედ ეპყრობა, არ აქსოვს გრძნობებს, სიყვარულს, სითბოს ამ ურთიერთობებში, – ბავშვი ადვილად ითრგუნება, იმთავითვე ეულად, მიტოვებულად, დაჩაგრულად გრძნობს თავს. თუ ადამიანს საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეუძლია, საკუთარი პერსონის დაფასების უნარი არა აქვს, მაშინ ის სხვაზე ზრუნვასაც ვერ შეძლებს. ქართული ტრადიციები ადამიანის ჩამოყალიბებისას ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს. ტრადიციული ქართული კულტურიდან გამომდინარე, მამაკაცს ძალიან ბევრი რამ მოეთხოვება, ეს კი საკმაოდ დამთრგუნველია ზოგიერთი ბიჭისა და მამაკაცისთვის. მაგალითად, ძველი ქართული სტერეოტიპებისა და მითების თანახმად, ერთი ქართველი ას მტერს უმკლავდებოდა. ეს ხატი ძალიან მნიშვნელოვნად მოქმედებს ქართველ კაცზე და მან თუ მსგავსი, სერიოზული ამოცანების გადაჭრა ვერ მოახერხა, შეიძლება, ხელი ჩაიქნიოს საკუთარ შესაძლებლობებზე და საკუთარი თავის პატივისცემაც დაკარგოს... სწორედ ამ ფაქტორმა შეიძლება აქციოს მამაკაცი მიტოვებულ, ხელჩაქნეულ და საზრისდაკარგულ არსებად. მაგრამ თუ მამაკაცმა შეძლო, როგორც ვაჟკაცს, საკუთარი პრინციპებისა და ქალის დამცველის როლში წარმოეჩინა საკუთარი თავი, – მაშინ ის გამარჯვებულია ცხოვრებაში, ამყობს საკუთარი თავით და გარშემომყოფნიც ამყობენ მისით. ასეთი მამაკაცი სასიყვარულო ურთიერთობებშიც მუდამ გამარჯვებულია. მისი ანტიპოდი კი – დათრგუნვილი, ხელმოცარული მამაკაცი საკუთარი თავისგან გაქცევას ცდილობს. მდგომარეობას, დღეს შექმნილი სოციალური ფონი ართულებს. ჩვენში არსებული სტერეოტიპებისა და ტრადიციების მიხედვით, მამაკაცს მუდამ შესწევდა უნარი ყველა იმ წინააღმდეგობის დაძლევისა, რომელიც მის ოჯახს შეიძლებოდა დამუქრებოდა. შესაბამისად, მამაკაცმა, რომელიც ვერ შოულობს სამსახურს, ვერ უზრუნველყოფს ოჯახს აუცილებელი საცხოვრებელი პირობებით, ხელი ჩაიქნია ბრძოლაზე და საკუთარი თავის რეალიზებაზე. ასეთი მამაკაცი ძალზე ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს მიტოვებული. გამოსავალი ერთია: ამ დროს, ადამიანმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: „რა მემართება?“ – და დაიწყოს გაცნობიერება, როგორც საკუთარი შინაგანი მდგომარეობის, ასევე გარემოსი. თუ ის სწორ ანალიზს გააკეთებს და საკუთარ თავში თავისი ცხოვრების სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად საჭირო ძალებს აღმოაჩენს, მას გაუჩნდება შანსი, დაძლიოს მის წინაშე არსებული პრობლემები. ■

NOKIA



სიახლე!

3-დან 6 თვემდე
საგარანტიო მომსახურება
Nokia-ს (ნოკია)
სერვის ცენტრში შეძენილ
მობილურ ტელეფონებზე

მობილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი

სერვისული მომსახურება
კვალიფიციური კონსულტანტები



კონსულტაციები უფასოა:
ტელ: 94-24-12,
ტელ/ფაქსი: 94-15-66

ცენტრალური ოფისის მისამართი:
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71
ფილიალები: მარჯანიშვილის ქ. №15, ტელ: 95-80-03
რუსთაველის გამზ. №31, ტელ: 99-53-83
E-mail: nokia@geo.net.ge
nokia_info@geo.net.ge
Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი

ახალგაზრდა მომღერალი აგნესა სამიოდე თვის წინ ავტოავარიაში მოყვა. ეს ამბავი ჭორიკანებმა „გააბუქეს“ და ასეთი ამბავი გაავრცელეს: ავარიის შემდეგ მშობლებმა აგნესას ახალი „ბე-ემ-ვე“ უყიდეს, გაათხოვეს კიდეც და ამჟამად ახალშეუღლებული წყვილი რუსეთშიაო... არ დაუჯეროთ ვასასებს — აგნესა თბილისშია და ჯერაც არ გათხოვილა, თუმცა ის და მისი საქმრო — ლაშა თალაშვილი დროის უმეტეს ნაწილს ერთად ატარებენ. როგორც კი დაქორწინებას გადავწყვეტთ, პირველად ჟურნალ „გზის“ რედაქციას შევატყობინებთო, — დაგვაიმედა წყვილმა (გახსენებთ, რომ სწორედ ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან გაუმხილეს მკითხველს თავიანთი რომანის შესახებ)... ჩვენც ამის იმედი გვაქვს, მანამდე კი, იმის შესახებ მოგითხრობთ თუ როგორი მძღოლია აგნესა და სინამდვილეში ვინ უყიდა მას „ბე-ემ-ვე“ რამდენიმე თვის წინ.

ავარია მართლა მოხდა, გათხოვება კი — ჯერ ჭორია...

ნინო ჯავახიშვილი

— აგნესა, რამდენი ხანია, რაც საჭეს უზიხარ?

— 15 წლის ვიყავი, როდესაც უკვე დამოუკიდებლად შემეძლო საჭესთან ჯდომა. ბავშვობიდანვე მინდოდა, მანქანის მართვა მესწავლა. ეს ჩემი ოცნება იყო. როდესაც მამასთან ერთად ვიჯექი მანქანაში, ყოველთვის ვაკვირდებოდი, თუ რას როგორ აკეთებდა. 12-13 წლიდან კი, უკვე ვთხოვდი, საჭესთან დამსვი-მეთქი. დედა-ჩემი ძალიან კარგად მართავს მანქანას, მაგრამ ვერაფრით ვითანხმებდი, ჩემთვისაც ესწავლებინა. არაფერი რომ არ გამომივიდა, მშობლებს მანქანის გასაღებს ვპარავდი და ნათესავს ვთხოვდი ხოლმე: თბილისის ზღვაზე ავიდეთ და იქ მატარებინე-მეთქი.

„მესიჯს“ ვკრებდი. უცებ უკნიდან ისეთი ძალით დამეჯახა მანქანა, რომ იქვე მდგარ ხეს შევასკდი

— მშობლები ამას ვერ გებულობდნენ?

— რამდენჯერმე მოვიპარე და ვერ გაიგეს, მაგრამ ბოლოს, მაინც გამჟღავნდა ეს საიდუმლო და გადაწყვიტეს, ჩემთვის კერძო მასწავლებელი აეყვანათ. მაშინ 15-16 წლის ვიყავი და მართვის მოწმობას ვინ მომცემდა?! ქალაქში „უპრავოდ“ დავდიოდი და პოლიციელები ყოველ ნაბიჯზე მაჩერებდნენ ხოლმე... მათგან თავის დასაძვრენად უამრავ ტყუილს ვიგონებდი — იცით, რა, სახლში დამრჩა, მგონი, მეორე ხელჩანთაში მიდევს-მეთქი და ა.შ.

— ეი. ტყუილები გეხერხება?

— ასე გამოდის... ყოველ შემთხვევაში დედაჩემს არასდროს ვურეკავდი — არიქა, დამიჭირეს, მოდი და მიშველე-მეთქი, ყოველთვის თვითონ ვაგვარებდი პრობლემებს. უკვე 6 წელია, რაც საჭესთან ვზივარ და ვფიქრობ, საკმაოდ გამოცდილი მძღოლი ვარ.

ლაშა:

— მართლა ასეა. ძალიან კარგად მართავს მანქანას, ბევრ მამაკაცზე უკეთესადაც კი. არანაირ შენიშვნას არ იმსახურებს. აგნესა ერთადერთი ადამიანია, რომელსაც საკუთარ მანქანას ვანდობ, იმიტომ, რომ მობილიზებული და ფრთხილი მძღოლია.

აგნესა:

— ერთადერთხელ მოვყევი ავარიაში და ისიც სხვისი მიზეზით. ეს იყო 3-4 თვის წინ. სანაპიროზე ვულკანიზაციასთან დავაყენე მანქანა, ხელოსანი საბურავს უცვლიდა, მე მანქანაში ვიჯექი. თავი სკამზე მქონდა მიდებული და „მესიჯს“ ვკრებდი. უცებ უკნიდან ისეთი ძალით დამეჯახა მანქანა, რომ იქვე მდგარ ხეს შევასკდი. ტვინის შერყევა მივიღე, გონზე რომ მოვედი, ჩემი ნივთები — ხელჩანთა, მობილური ტელეფონი აქეთ-იქით ეყარა, მანქანა კი, ისე იყო დამტვრეული, აღარაფრად ვარგოდა. კიდევ კარგი, რომ იმ ბიჭმა, რომელიც საბურავს ცვლიდა იმ დროს, ბედად თავი ასწია, თორემ დაიღუპებოდა...

ლაშა:

— ერთადერთხელ გავუშვი მარტო და მაშინაც კინაღამ არ მომიკლეს?! ბეწვზე გადარჩა, რომ კისერში არ გადატყდა. დარტყმიდან რამდენიმე წუთში მივედი და მანქანა რომ დავინახე, ვიფიქრე — ვერ გადარჩებოდა-მეთქი. შიშისგან ლამის გავგიჟდი. მანქანასთან რომ მივედი, აგნესამ ჩემს ხმაზე თვალები გაახილა და მითხრა: ლაშიკო, მოხვედიო? ამოვისუნთქე — გადავრჩით-მეთქი... ის კაცი, ვინც დაეჯახა, ნასვამი იყო. ღმერთმა დამიფარა, რომ ორივენი გადარჩითო — ყოველ წუთას ამას ეუბნებოდა აგნესას და ხელოსანს და აგნესას ახალი „ბე-ემ-ვე“ უყიდა...

აგნესა:



— აი, ასე გადავრჩი სიკვდილს. ერთ-ერთ ჟურნალში სწორედ ამის შემდეგ დაწერეს — „აგნესა „06“-ით ავარიაში მოყვა და გათხოვდაო. ავარიაში ნამდვილად მოვყევი, ოღონდ „06“-ით კი არა, მამაჩემის ნაჩუქარი „ლადათი“.

— როგორც ვიცი, ეს მანქანა მამამ დაბადების დღეზე გაჩუქა...

— კი, ეს იყო ჩემი პირველი მანქანა. მანამდე, დედაჩემის „მერსედესით“ ვსარგებლობდი ხოლმე, ეს „მერსედესი“ გრძელი მანქანაა და ასეთი ტანმორჩილი და პატარა გოგო რომ გადმოვდიოდი ხოლმე, ყველა გაკვირვებული მიყურებდა. დედაჩემს ეუბნებოდნენ — შენი შვილი საერთოდ არ ჩანს ამსიგრძე მანქანაშიო. მერე მამამ მიყიდა პატარა მანქანა — „ლადა“.

— სიურპრიზი გაგიკეთა თუ წინასწარ იცოდი, ამის შესახებ?

— არა, არ ვიცოდი. მამასთან რუსეთში რომ ვიყავი წასული, მაშინ ვთქვი — ეს მანქანა როგორ მომწონს-მეთქი. ჩემი დაბადების დღეს, მამაჩემის ძმაკაცი გვესტუმრა და მთხოვა: ერთი წუთით, ქუჩაში გამოდიო. მანქანა რომ დავინახე, სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. მაშინ 20 წლის ვიყავი. რამდენიმე თვის წინ კი, როგორც უკვე ვთქვი, „ლადა“ „ბე-ემ-ვე“-მ შეცვალა. ახლა ჩემი მანქანით დედაჩემი სარგებლობს, მე კი ლაშას დავყავარ აქეთ-იქით. ლაშასაც ზუსტად ისეთი „ბე-ემ-ვე“ ჰყავს, როგორიც — მე.

ლაშა:

— ჰო, თავისი მანქანა დედამისს მისცა. მე ჩემი მანქანა აგნესას გადავულოცე და ზოგჯერ მსვამს ხოლმე საჭესთან...

— საუბრისას აღნიშნე, რომ მანქანა უბრალოდ, საქმეების მოგვარებაში გიწყობს ხელს. კომფორტს არ გიქმნის თუნდაც ის, რომ როცა მოისურვებ და სადაც მოისურვებ, შეგიძლია, საკუთარი ავტომანქანით წახვიდე?

აგნესა:

— საჭემ ძალიან იცის მიჩვევა და უმანქანოდ რომ დავრჩე, ალბათ ძალიან გამიჭირდება. ესეც რომ არ იყოს, დღეში ზოგჯერ 3-4 ადგილას ვარ მისასვლელი და უამრავი საქმე მაქვს მოსაგვარებელი. უმანქანოდ კი ბევრი საქმის გაკეთებას ნამდვილად ვერ შევძლებდი. ცხადია, ისიც კომფორტია, რომ დღეში 3-4-ჯერ სამარშრუტო ტაქსის ლოდინი არ გიწევს და წასვლა-მოსვლა მხოლოდ შენს სურვილზეა დამოკიდებული.

— მანქანაში რომ ზიხარ, მაშინ რა გიქმნის კომფორტს?

— კარგი სალონი და, რა თქმა უნდა, კარგი მუსიკა. საერთოდ, ძალიან მიყვარს სათამაშოები და შინ უამრავი მაქვს, მაგრამ მანქანაში — არც ერთი.

— სისწრაფე თუ გიყვარს?

— არა, ლაშა როგორც კი მოუმატებს ხოლმე სიჩქარეს, მაშინვე ვაფრთხილებ: ლაშიკო, ნელა იარე, სად გეჩქარება-მეთქი?!

— საცობებზე როგორ რეაგირებ?

— საერთოდ, არა ვარ აგრესიული მძღოლი, ლაშა ასეთ დროს გიჟდება ხოლმე, იგინება, იფურთხება, მე კი მშვიდად ვზივარ და ველოდები, როდის გაიხსნება გზა. ზოგჯერ, გაბრაზების ნიშნად, მხოლოდ გაბმულ სიგნალს თუ მივცემ.

— პოლიციელებთან ურთიერთობას როგორ აგვარებ?

— თითქმის არასდროს არა მაქვს თან მართვის მოწმობა, ზოგჯერ მოძრაობის წესებსაც ვარღვევ. ბევრჯერ, როდესაც მანიშნებენ — გააჩერეო, — არ ვემორჩილები პოლიციელის ბრძანებას და „გავრბივარ“. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათთან ურთიერთობისას პრობლემები არ მექმნება. თბილისში მძღოლ ქალებსა და ავტოინსპექტორებს შორის ძალზე თბილი, კარგი დამოკიდებულებაა. ასეთ ურთიერთობას შეჩვეულს, მინდა, როდესაც რუსეთში იქაური ავტოინსპექტორები გამაჩერებენ, ჯარიმის გარეშე გამიშვან ხოლმე. ერთხელ, შუა ზამთარში, მე და ჩემი მეგობარი სვეტა გვიან ვბრუნდებოდით შინ. რეიდში მოვყევით. როგორც ყოველთვის, მართვის მოწმობა მაშინაც არ მქონდა. ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად ვერ გადავურჩები ინსპექტორს-მეთქი, მაგრამ საუბრისას გაირკვა, რომ ის კაცი თბილისში იყო ნამყოფი და ბევრი სასიამოვნო მოგონება აკავშირებდა საქართველოსთან; ჯარიმა აღარ გამოუწერია, ისე გამიშვა... ისე, მაინცდამაინც არ მიყვარს პოლიციელებისთვის ფულის მიცემა — რატომ უნდა მივცე?!

— საერთოდ, ყოფილა ასეთი შემთხვევები?

— თხოვნით, მთხოვენ ხოლმე — ფული მოგვეციო, — მაგრამ ყოველთვის ვიტყუები — იცით, რა, მაღაზიაში ვიყავი და ფული სულ დავხარჯე, თორემ, რა პრობლემაა, მოგცემდით-მეთქი... ერთხელ, ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც შემემთხვა. პოლიციელებმა გამაჩერეს და ფული მომთხოვეს. როგორც ყოველთვის, მაშინაც ვუთხარი — აბა, რა ვქნა, ფული არა მაქვს და რა მოგცეთ-მეთქი?.. იქვე საავარძელზე მედო საფულე. რატომღაც მეგონა, რომ საფულეში მართლა არ მქონდა ფული; პოლიციელისთვის ეს რომ დამემტკიცებინა — ნახეთ, ცარიელია-მეთქი, — საფულე გავხსენი და 20-ლარიანი არ დევს?! კაცი გაგიჟდა: აბა, ეს რა ფულიაო?.. ეს ჩემი ფული არ არის, სხვისია-მეთქი, — იხტიბარი აღარ გავიტეხე. ბოლოს გაეცინა და მითხრა: კარგი, წადი, წადი, არ მინდა შენი ფულიო. აი, ასე გამომიჭირეს უნებლიე ტყუილში...

■

მინდა, როდესაც რუსეთში იქაური ავტოინსპექტორები გამაჩერებენ, ჯარიმის გარეშე გამიშვან ხოლმე

პაროდისტი ბესო ბერულაშვილი მხიარული კაცია. როცა ვუთხარი — შენს ოინებზე უნდა მიამბო-მეთქი, — საგონებელში ჩავარდა: მე კი გიამბობ, მაგრამ ჟურნალის მთელი ტირაჟის ყიდვა მომიწევსო... მართალი გითხრათ, უამრავი საინტერესო ამბავი გამანდო, თუმცა, ერთ ინტერვიუში ყველას ვერც ჩავტევ, ზოგიერთი ეპიზოდის საქვეყნოდ გამოტანისგან კი თავს შევიკავებ...

მაია კახიძე

ბესო ბერულაშვილის ირაციონალური სასიყვარულო თავგადასავლები

ძველ „ვოლგაში“ და... ოლტანლიში

— დიდი „მაიმუნი“ ბიჭი ვიყავი დაქორწინებამდე. მერე, რა თქმა უნდა, დავჭკვიანდი, დავსერიოზულდი...

— **ვითომ?**

— ...კარგი, დავიწყოთ. ერთი „სუპერგოგო“ გავიცანი. ისეთი ლამაზი იყო, „დავდნი ღორი ქონივითა“. მაშინ „უმწიკვლო“, პატიოსანი ბიჭი გახლდით, თანაც — გამხდარი; ახლა რომ ვარ 180 კილო, ასე კი არ გამოვიყურებოდი. თუმცა, ცოტა კი დავმძიმდი, მაგრამ ამ საქმეში ხელი მაინც არ მეშლება...

— **რომელ საქმეში?**

— ლესვა-„მალიარკაში“... გათხოვილი იყო, ქმარ-შვილი ჰყავდა, ოღონდ, ქმართან უსიამოვნება მოუვიდა და იმ დროს, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. დავუმტკიცე ჩემი სიყვარული, ავუგე ოქროს კოშკები და შინ დამპატიჟა. შვილი მშობლებთან გაამწესა. პრინციპში, რა ჩემი საქმე იყო მისი ქმარ-შვილი?! ჩემი საქმე რაც იყო, იმისთვის ძალ-ღონე არ დამიშურებია... ერთი კვირა ვინებივრე მის „სპალნაში“. დედაჩემს დავურეკე და ვუთხარი: ხაზვის ლექტორმა ძალიან გაგვიჭირა საქმე, ბიჭები თავაუღებლად ვხაზავთ-მეთქი. ერთი კვირა საერთოდ რომ არ გამოჩნდი შინ, მამაჩემს უთქვამს: არ მომწონს მაგის სიარული, ფანქრის წვერი ვერ გაუთლია სწორად და რა ხაზვა აუტყდაო?!. მაგრამ ჩემი ფანქრისა და სათლელის ამბავი მე უკეთ არ ვიცოდი?!. ერთი სიტყვით, იმ ერთ კვირაში იმდენჯერ „გავთალე ფანქარი“, რომ დავსუსტდი კიდეც... მე-7 თუ მე-8 დღეა და კარზე ზარი დაირეკა. ის გოგო ფეხაკრეფით მივიდა კართან და გაფითრებული დაბრუნდა ოთახში: ჩემი მაზლი, მაზლის ცოლი და ქმრის ნათესავი კაცი არიანო. — არ გააღო-მეთქი. — შუქი ანთია, მიხვდებიან რომ შინ ვარ, ამიტომ ჯობს, დაიმალოო. არადა, ტანსაცმლიანად სულ 50 კილოს ვიწონი (ახლა, კი, ბატონო — ექვსნი მოვიდნენ, თუ უნდათ, მაგრამ მაშინ, რას გავხდებოდი?!.), თან, პირველად გავები ამნაირ ხათაბალაში, გამოუცდელი ვარ და არ ვიცი, რა ვქნა... ოროთახიანი ბინა ჰქონდა — სად უნდა დავმალულიყავი?! საძინებელი ოთახის კართან გრძელი, მუქი ფარდები ეკიდა. სხვა რა გზა მქონდა?! — დავრჩი საწოლში, მაგრამ ვაი შენს ბესოს, ისეთ დღეში ვარ... წავიფარე საბანი და გავიტრუნე. „შემოლაგდნენ“ „ზალაში“ ქმრის ნათესავები და დაიწყეს საქმის გარჩევა: უნდა შეურიგდე, ბავშვი მაინც შეიცოდეო, — და ამისთანები. არადა, მაინცდამაინც მაშინ დამეწყო მუცლის გვრემა, ხველა, ცემინება, წყალი მომწყურდა, ერთი სული მაქვს, სიგარეტი მოვწიო... თან, რომელიმეს ოდნავ მაინც რომ გადაეწია ფარდა, დავიღუპებოდი და ეგაა... მოკლედ რომ ვთქვათ, ნათესავების სტუმრობა ორ საათს გაგრძელდა. როგორც იქნა, წავიდნენ და ისიც შემოვიდა „სპალნაში“, მაგრამ მისი დანახვაც არ მინდოდა: ძალიან გავბრაზდი, კარი რომ გაუღო. მოკლედ, მშვიდობიანად კი დავაღწიე თავი იმ საშინელებას, მაგრამ მერე, კარგა ხანს მომიწია მკურნალობა და ექიმთან სიარული, რის ვაივაგლახით „გავაცოცხლე“ ჩემი „ღირსება“ *(იცინის)*...

— **ეი. შიში და ნერვიულობა შენთვის არ შეიძლება...**

— კი, ასეა. მაშინ ისეთი ნერვიულობა გადავიტანე, მტერს არ ვუსურვებ! კლაუდია შიფერი და შერონ სტოუნი რომ ჩამწოლოდნენ ლოგინში, ნაღდად არ მქონდა არაფრის თავი.

— **რა ქნა იმ შენმა „სუპერგოგომ“ — შეურიგდა ქმარს?**

— აღარც დავინტერესებულვარ, ვერ ვაპატიე კარის გაღება. გეფიცები — ელდისგან ნახევარი ცხოვრება დავკარგე. გავიდა ცოტა დრო, ეს შიში და უბედურება ძლივს მოვინელე, მოვღონიერდი, დავმშვიდდი და კვლავ შემხვდა საშინელი ნერვიულობა. ერთი ძმაკაცი მყავს, გათხოვილ ქალთან ჰქონდა რომანი, მაგრამ წაიჩხუბეს და მთხოვა, გავყოლოდი: თუ სიტუაცია გართულდა, ჩემ გვერდით იქნებიო... მივედით, ქალი მარტოა. რა თქმა უნდა, მარტონი დავტოვე და სადარბაზოში გავედი. ბიჭოს! — გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი და ჩემი ძმაკაცი არ ჩანს. მივხვდი, რომ „შეუბერეს“... ძმაკაცს ხომ ვერ მივატოვებდი და მოთმინებით ველოდები, როდის ინებებს გამოსვლას. ღამეა, სადარბაზოში სინათლე არ არის, მაგრამ კარგად დავინახე, როგორ გატეხეს პირველ სართულზე ბინა. შევიდნენ ქურდები და ეზიდებიან ვიღაცის ქონებას. ადგილიდან ვერ ვინძრევი, ვფიქრობ: ახლა რომ პოლიცია მოვიდეს, რა უნდა ვქნა? რა ვუთხრა, რას ვაკეთებ-მეთქი? ვინ დამიჯერებდა, რომ ძმაკაცს ველოდებოდი, ის კიდევ, ამ დროს, ლოგინში ნებივრობდა?!. თან, მაშინ, ჯერ პოპულარული არ ვიყავი, რომ ვთქვათ, ამას ეშველა ჩემთვის. ხომ შეიძლებოდა, იმ ბანდის წევრი ვგონებოდი „პაგონიანებს“?

— **ვერ მოახერხე ჩუმად გასვლა და პოლიციაში დარეკვა?**

— პოლიციაში მხოლოდ ძმაკაცებს ვურეკავ — „ბოზობა“ ჩემგან შორს არის... ამიტომ, სარგებლობით ვიდექი, აღარც ვსუნთქავდი, აღარც საკუთარ გულისცემას ვგრძნობდი, რადგან პოლიციის მოსვლის ხომ მეშინოდა და თან გული მისკდებოდა, ქურდებს არ შევემჩნიე... ღვთის წყალობით, გადავრჩი, მაგრამ ჩემი მეგობარი ლამის მოვკალი „ამსიგრძე“ განცხრომისათვის. გამემტყუნებოდა, რომ მომეკლა?!.

— **„სუპერლამაზ“ გოგოზე ხომ მიამბე?! ახლა, შენს „პრაქტიკაში“**

ყველაზე უშნო გაიხსენე.

— იმ პერიოდს გავიხსენებ, ბიჭები რიგში რომ ვდგებოდით ხოლმე...

— **რის რიგში?**

— ნავთის... რის და ქალის რიგში! ვა-ა, ასეთ თემაზე ცხოვრებაში არ მილაპარაკია ჟურნალისტთან!.. კარგი — რაც არის, არის... თბილისის ომის დროს, ოთხი მეგობარი შევიკრიბეთ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენი საქმე ცოტა ხნით გადავდეთ, რადგან ერთი ქალი შევახუჭუჭეთ — „პირადი გრძნობებისთვის“.

— **რამდენი გადაუხადეთ?**

— გეფიცები — არაფერი. ქალში ფული არასოდეს გადამიხდია, არც არასოდეს გადავიხდი — მიტყდება...

— **ქალმა წაგიყვანათ თავის ბინაში თუ თქვენ დაპატიჟეთ?**

— ბინა რად გვინდოდა?! ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავენ, კი იცნობენ საკუთარ თავს ის ჩემი ძმაკაცები... მოკლედ, ძველი „ვოლგა“ — „გაზ-21“ გვყავდა. დალოცვილი, ისეთი „უდობნია“, „სიდენიას“ რომ გაშლი, არაბული ტახტია, რა!.. ზამთარია, ცივა, 19 წლის ბიჭები ვართ — ჯანი გვერჩის! — და შევუდექით საქმეს.

— **ერთად?**

— არა, ცალ-ცალკე. არადა, ერთ-ერთს სწორედ მაშინ მოუნდა ტუალეტში (ალბათ ნერვიულობდა და იმიტომ...); თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და წამებში, დაბრუნდა. გაოცებული ვუყურებდით: ასე მალე, რა მოასწროო?! — მაგრამ მივხვდით, რომ შეეშინდა, ხახამშრალი არ დარჩენილიყო და ამიტომ დაქროდა გიჟივით.

— **კი, მაგრამ რიგში რომ ჩადექით, ვენერიული დაავადების მაინც არ შეგეშინდათ?**

— მაშინ ბევრი რამ არც ვიცოდით დაავადებების შესახებ. თუმცა, მერეც, არასოდეს არაფერი შემყრია. სად არ გამირისკავს, მაგრამ ბედი მუდამ მწყალობდა ამ მხრივ...

— **ხომ იცი, კოკას ყოველთვს რომ არ მოაქვს წყალი?..**

— კოკა — „რა ხდებაშია“ *(იცინის)*... კოკაზე და წყალზე ვინ ფიქრობდა?! მგლებივით ვიყავით... ერთი სიტყვით, გამოვაღე მანქანის კარი, დავიწყე „ფანქრის გათლა“ (რა ვქნა, ნეტავ, რატომ მიყვარს „ხაზვა“?!), მაგრამ კინაღამ „წვერი მომიტყდა“. ქუდი კი ეხურა იმ ქალს, როცა ვახუჭუჭებდით, მაგრამ მანქანაში თუ არ მოიხდიდა, ეს არ მიფიქრია; არ მომეწონა ქუდიან ქალთან ჩალიჩი, თუმცა, რაღას ვიზამდი — გავაგრძელე „ხაზვა“ და მშვენიერი პროექტიც გამომივიდა. ბოლოს კი გაირკვა, რატომ არ იხდიდა ქუდს: თურმე ხოტორა იყო. ვაი, დედას გეფიცები და მამასაც — ხოტორა ქალთან „სიყვარული“ ვერ წარმომედგინა. მარტო კინოში მყავდა ნანახი თავგადაპარსული ქალი, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, პირადად რომ შეეფეთები. ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, რომ არსად გვეთქვა ეს ამბავი, თუმცა მერე და მერე, ამის გამო ერთმანეთს ვაღადავებდით ხოლმე.

— **ის მანქანა, „ცოცხალია“?**

— არა, მაგრამ დალოცვილი მანქანა იყო, მაგარი დრო მაქვს მაგ მანქანაში ნატარები...

— **ბესო, ყელზე ნაიარევი გეტყობა. მთელმა საქართველომ გაიგო, რომ ჩხუბში, გაშველებისას დაგჭრეს და ბადრი პატარკაციშვილმა მოსკოვს გაგამგზავრა სამკურნალოდ. შენს ყელს ან ხმას საფრთხე აღარ ემუქრება?**

— მთელი თუ არა, ნახევარი მოსკოვის ექიმები მაინც დამეხვივნენ და მომარჩინეს. ღმერთმა ააშენოს ბატონი ბადრი! თან ვიმკურნალე, თან პატარა გავიარგამოვიარე... ჩემს ცოლს ვეუბნები: ხომ ხედავ, ჩემი მარტო გაშვება არ შეიძლება, კინაღამ შემაცდინეს გაფუჭებულმა რუსმა გოგოებმა-მეთქი...

— **შენ ისეთი პატიოსანი ბიჭი ხარ, ალბათ ძალიან თავდაჭერილად იქცეოდი, არა?**

— უჰ, ანგელოზი ვარ!.. ერთი მოსკოველი ძმაკაცი მყავს, იმან თავისი მეგობარი გამაცნო. რესტორანში ვართ, ვვახშმობთ, მაგრამ იმ მეორემ ტვინი წაიღო: იცი, რა ცოლი მყავს? — ამხელა მკერდი აქვს, იმხელა ფეხებიო, — ცამდე აიყვანა ქებით; თან მეუბნება: ჩემთან უნდა დაგპატიჟო, მაგრამ მისკენ გახედვაც არ გაბედო, თორემ მოგკლავო. ჩემს ძმაკაცს ვეკითხები: ხომ არ აფრენს-მეთქი? — არა, აქ ეგეთი ამბები „მოსული პონტიაო“... მოკლედ, თავი მოიკლა პატიჟით და მეც ვესტუმრე. აუ-უ, მართლა მაგარი ცოლი ჰყოლია. მოკლე ხალათით, ნახევრად შიშველი დაგვხვდა. შევხედე და გული ამიჩქროლდა, მაგრამ არ ვიმჩნევ. რამდენიმე ჭიქის მერე, ქმარი „გაიტრუპა“ — ეგრევე დაიძინა. ცოლი თავს დამტრიალებს: გეტყობა, კალცი გაკლია, მე კი იმდენი მაქვს მკერდში, ძალიან მოგიხდებაო... გადმოყარა და რა გადმოყარა, „ხუთი ნომერი“ მკერდი!.. ხელები გავასავსავე, თავის შეკავება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ არჩევანი არ მქონდა და მეგობრულად დავშორდით იმ ღამეს. მეორე დღეს, რესტორანში „პოლუმრაკი“ მოვუწყვე, სანთლების თანხლებით და სადღეგრძელოებით თავბრუ დავახვიე; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. მესამე დღეს, უკვე დავიწყებული მქონდა მისი ქმრის მუქარა — მოგკლავო, — გადაწყვეტილება მივიღე და დავურეკე — შევხვდეთ-მეთქი. — წადი, შენი იმპოტენტი დედა ვატირე, ვის რაში სჭირდება შენი „პოლუმრაკი“, არ გინდოდა კალცი?! — ჰოდა, თავს დააბრალეო — შემომიკურთხა. გადავიჭერი ვენები: ცდები, ვიკა-მეთქი! გავგიჟდი, ჩემს სიცოცხლეში არავის უკადრებია — იმპოტენტი ხარო, — და ამას შევარჩენდი? მერე, იცოცხლე, კი დავუმტკიცე, ვინ იყო იმპოტენტი — მე თუ იმის ქმარი... რომ დავუმტკიცე, ეს არ დაწერო, რა!.. ძალიან ძნელია ასეთი შეურაცხყოფის ატანა... მერე, იქ ქორწილშიც მოვხვდი: მოსკოვში ჩემი ქართველი მეგობარი ცხოვრობს და დამპატიჟა. სასიძო ჩინელი იყო, საპატარძლო კი — თბილისში გაზრდილი სომეხი გოგო. ჩინელ სიძეს ქართველი მეჯვარე ჰყავდა; გვარს გაგიმხელ — გაფრინდაშვილი. ჰოდა, горько-ო, — რომ დაიძახეს, მეგონა, მხოლოდ სიძე-პატარძალს უნდა ეკოცნა ერთმანეთისთვის ტუჩებში. გავიხედე და ორასმა სტუმარმა არ დაიწყო პროშნაობა?!. გადავირიე — რუსეთში „ჟორკოც“ შეუცვლიათ-მეთქი. კაცო, დაიძახებენ „ჟორკოს“ და ეს გაფრინდაშვილი დაეტაკება გოგოს მეჯვარეს!.. ვეუბნები: არ გერგება — ბავშვის ნათლია გახდები, როგორ შეიძლება, მეჯვარესთან „ზასაობა“?! ჩამომეცალე, უცხო ვარ და მე უფრო მერგება-მეთქი... როგორც იქნა, შევაგნებინე, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როცა კარგად

მარტო კინოში მყავდა ნანახი თავგადაპარსული ქალი, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, პირადად რომ შეეფეთები

დათვრა და ვიდრე სტარტი ავიღე, მეჯვარე ვიღაც ვანიასთან „გორკოობდა“...

— მოსკოვში მკურნალობას დიდი შედეგი გამოუღია...

— დიახ, კარგად ვიმკურნალე. უფრო სწორად — მიმკურნალეს. არადა, მკურნალობის კურსი კიდევ მაქვს ჩასატარებელი ყელზე. მაგრამ ახლა, ჩემი ცოლი რომ წაიკითხავს ამ ინტერვიუს, „იასნია“, მარტო აღარ გამიშვებს... ისე, ძალიან ხშირად ხდება, რომ მეუღლესთან ერთად ვარ და მაინცდამაინც მაშინ, რამდენიმე გოგო ერთბაშად შემოტრიალდება ჩემკენ და ხვნეშის — ბესოო... პრინციპში, რა თქმა უნდა, იცის ჩემმა მეორე ნახევარმა, რა გადარეული ვყავარ. აგერ, აგვისტოში, ქობულეთში ვისვენებდი ოჯახთან ერთად. შავ დღეში ჩავვარდი — ვიღაც-ვიღაცები მოსვენებას არ მაძლევდნენ. ოღონდ ახლოს არ მოხვიდეთ და მე თვითონ მოვალმეთქი თქვენთან, — ვეხვეწებოდი... სხვათა შორის, შედარებას რომ ვაკეთებ, აქ, ჩემს ქვეყანაში უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ზამთარში, შოტლანდიაში გავემგზავრე — ჩემმა მეგობარმა, ფეხბურთელმა გიორგი ნემსაძემ დამპატიჟა. იქ მთავარია, ორი ინგლისური სიტყვა მაინც იცოდე, ვისკი დაალევინო გოგოს და ლოგინამდე მიიყვანო... ფული რომ შესთავაზო, პოლიციაში განაცხადებს და შეურაცხყოფისთვის შენს თავს დააჭერინებს... გიორგი ოჯახთან ერთად ცხოვრობს. კი, ბატონო, დიდ პატივს ვცემ მის ცოლ-შვილს, მაგრამ 2-3 კვირა რომ გავიდა, ვუთხარი: ალბათ ჩემმა ცოლმა გამიჩალიჩა, თორემ, ბერი კი არა ვარ — რატომ არ მიგყავარ სადმე, როდის უნდა გამატარ-გამომატარო-მეთქი?!. შენ თვითონ დაელაპარაკე ვინმეს, რა პრობლემაა?! არადა, ინგლისური არ ვიცი. მაშინ ზურიკო ხიზანიშვილიც შოტლანდიის „დანდიში“ თამაშობდა გიორგისთან ერთად, ახლა „რეინჯერსში“ გადავიდა. მოკლედ, ზურა „ხალასტოია“. წამიყვანენ დისკოთეკაზე, მაგრამ გაეროს დამკვირვებელივით ვზივარ. ზურიკო „გაძვრება“, მოილევს საქმეს, მოვა ისევ ჩვენთან. მამალივითაა — დედლები ოხრად ჰყავს... ერთხელაც, დამიძახა და მივედი. ბიჭოს — უკანასკნელ ხმაზე კივის ქალი: „ტონი სოპრანო!“ პოპულარული სერიალი რომაა — „სოპრანოს კლანი“, იმის ერთ-ერთი მთავარი გმირის „კოპიო“ ვარ, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი; ჰოდა, ჩემთვის შერჩეულ ქალს ის მსახიობი ვეგონე. ზურა გაოცდა — როგორ მიხვდა, მსახიობი რომ ხარო?! მოკლედ, გაირკვა, რომ ის ტონი არ ვიყავი, მაგრამ მითხრა: ისე ჰგავხარ, შენზე უარს როგორ ვიტყვიო?!. შემოიხია ყველაფერი იმ გოგომ და იმ დღესვე „დავმობილდით“ *(იცინის)*... ისე, შოტლანდიაში აღარასოდეს ჩავალ: ქუჩაში ქალს ვერ ნახავ, რომ მოგეწონოს, „სტრაშნები“ არიან, მაგრამ დისკოთეკაზე მაგრებიც მოდიოდნენ...

— შენი პირველი ქალი როგორი იყო — „სტრაშნი“ თუ „სუპერი“?

— პირველი ქალი ჩემს ცხოვრებაში 15 წლის ასაკში შემოვიდა და განსაკუთრებულად იმიტომ მახსოვს, რომ თვითონ ვიჩალიჩე და შევაბი. ნორმალური ქალი იყო, ჩემზე ბევრად უფროსი და — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ცუდად გავხდი. ვა-ა, ვერ მივხვდი, რა მოხდა, რა დამემართა, რა გავაკეთე... იმ ასაკში, არაფერი ვიცოდი, არც სპეციალური ლიტერატურა მქონდა წაკითხული. ეს კი არა და, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ მარგოსა და ჯაყოს სასიყვარულო სცენები სულ დაზეპირებული მქონდა. მაშინ, სად იყო სპეციალური ჟურნალი ან წიგნი?.. კიდევ — შიშველი ქალებით მოხატული ბანქო იყიდებოდა „ლევად“ და თვალიერებისგან თვალები გვებრიცებოდა ხოლმე ბიჭებს.

— ბესო, მსოფლიო ვარსკვლავებიდან, რომელ ქალთან ისურვებდი ერთი კვირის, თუნდაც ერთი ღამის გატარებას?

— დემი მურზე ვარ ჩაციკლული. ერთხელ სიზმარი ვნახე: ჰოლივუდში ვიყავი, მე და დემი მური რომელიღაც ცერემონიას ვუძღვებოდით. მისი ბოიფრენდი გახლდით და მოკლედ, ვნეტარებდი. მთელი ღამე ტკბილად გავატარე დემი მურთან და ჭკუაზე არა ვიყავი, ჩემ გვერდით რომ იწვა... დილით გავიღვიძე და ცოლს ვუამბე ნანახი. სულ პანღურით გამაგდო საბაზანოში — ახლავე, წყალს მოუყევი და გაატანეო. არაფრით არ მინდოდა წყლისთვის გამეტანებინა, მაგრამ არ მომეშვა *(იცინის)*... საერთოდ, ბევრი ვარსკვლავი მომწონს: ზეტა-ჯონსთან გავატარებდი ღამეს, ანჯელინა ჯოლისთანაც და ჯენიფერ ლოპესთანაც... მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგება, ჩვენცა გვყავს ჩვენი „დემი მურები“, „ჯოლები“ და ა.შ. — მთავარია, კარგად გაახილო თვალი. არადა, ღამის გავგიჟდე. ცოდვა გამხელილი ჯობს და ჩემი გაგიჟების ამბავსაც გეტყვი ბარემ: როცა მარხვას ვინახავ, მაინცდამაინც მაშინ მიტევს ხოლმე ეშმა — უნდა, რომ მაცდუნოს, სასტიკად მებრძვის. ის მაგიჟებს, სწორედ მარხვის დროს რომ იჩითებიან ნაირ-ნაირი გოგოები და საშინელ განცდებში ვარ. დამთავრდება თუ არა მარხვა, ყოველთვის პაუზა დგება — არავინ ჩანს ხოლმე ჰორიზონტზე — რაღაცნაირად, იკარგებიან... საერთოდ კი, მავანის გასაგონად მინდა ვთქვა: რაგინდ მაგარი ქალიც არ უნდა გამოჩნდეს ჩემს ცხოვრებაში, ოჯახს არასოდეს დავანგრევ — ესაა ჩემი ბოლო სიტყვა. ცოლიც ძალიან მიყვარს და შვილების მომავალზეც ვფიქრობ...

— კი, მაგრამ შენ ხომ ერთი გოგონა გყავს?

— მერე რა? აწი ვიწყებ ბიჭის „კეთებას“! აქამდე, „ნახაზებს“ ვადგენდი და „ფანქარს წვერს ვუთლიდი“... ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

დაახლოებით ორი წლის წინ, გრიბოედოვის თეატრის მცირე დარბაზში შედგა პრემიერა შტეფან ცვაიგის ცნობილ მოთხრობაზე დადგმული სპექტაკლისა „უცნობი ქალის წერილი“. ამ სპექტაკლმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. კინომცოდნე გოგი გვახარიამ აღნიშნა, რომ ამ როლის შემსრულებლისთვის ჯილდოდ „ოსკარიც“ კი ცოტაა, მას უფრო მეტი ეკუთვნისო. „უცნობი ქალის“ შემსრულებელი კი ყველასთვის ნაცნობი მსახიობი ნინო ლეჟავაა, რომელსაც ინტერვიუსთვის რეპეტიციის დროს თეატრალურ სარდაფში ვესტუმრეთ.

ნათია ქივიძე

ნინო ლეჟავა: ამ დროს – „მონოგი სასაფერეოზე“ ვუწოდე...

— ახლა ორ სპექტაკლზე მიწევს მუშაობა. რეჟისორი კახა ბაკურაძე დგამს კომედიას „სიჩუმე! მიმდინარეობს რეპეტიცია“, პარალელურად, პლასტიკის თეატრში ნინო შოთაძე დგამს დრამას „მრისხანე მზერა წარსულში“. ეს საკმაოდ რთული და ფსიქოლოგიური დრამაა, რომელიც საინტერესო, თუმცა მძიმე სამუშაოა. ეს არის ნინო შოთაძის მეორე სპექტაკლი. პირველი იყო „უსიერი ტყე“, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ნინომ ჯერ საქართველოში დაამთავრა ფსიქოლოგიური, ხოლო შემდეგ გერმანიაში სარეჟისორო ფაკულტეტი. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ როცა რეჟისორს ფსიქოლოგიური განათლება აქვს, ფსიქოლოგიურ გმირებს ეჭიდება. ამ სპექტაკლშიც ჩვენ ბევრ საინტერესო კარტს ვხსნით გმირების პიროვნებების შესახებ, მათ სულში ვძვრებით, თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. სპექტაკლის პრემიერა, სავარაუდოდ, ოქტომბერში შედგება. მასში ისეთი მსახიობები არიან დაკავებულები, როგორებიც ვასიკო ოდიშვილი, ტატო ჩაკუნაშვილი და ხათუნა ბოკუჩავა არიან. კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სპექტაკლი მანდეს.

— **თქვენ ამ სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებთ?**

— სპექტაკლში ოთხი მოქმედი გმირია და ფაქტობრივად, ყველა მთავარ როლს ასრულებს. პერსონაჟები მარგალიტის მძივებივით არიან ერთმანეთზე აწყობილნი და დამოკიდებულნი. მე და ვასიკო ცოლქმრის როლს ვასრულებთ. ტატო ჩემი ქმრის ძმაკაცია, რომელიც ცდილობს, რომ მეგობარს მეუღლე წაართვას, ხოლო ხათუნა არის ჩემი გმირის ნათლია, რომელიც რატომღაც ნათლულის მეუღლესთან იზიარებს სარეცელს. ეს არის სპექტაკლის ძირითადი შინაარსი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გამოვა და მაყურებელიც ეყოლება. ხომ არ შეიძლება, ხალხმა მხოლოდ კომედიაზე იაროს. რამდენი საინტერესო დრამა არსებობს. ბატონი ლევან წულაძე იმიტომ მომწონს, რომ ყოველთვის უცხოელი დრამატურგების ნაწერებს ქექავს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მისი დრამაა და შეთხზულ გვარს აწერს. შეიძლება სხვისი იდეის მიხედვით დადგას ესა თუ ის სპექტაკლი, მაგრამ ყოველთვის თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს. რაც შეეხება კომედიას, ეს ჟანრი მეც ძალიან მიყვარს, თუმცა არ უნდა იყოს იაფფასიანი კომედია. მაყურებელს მსახიობებმა უნდა ჩამოვუყალიბოთ გემოვნება.

რა შეიძლება ჰკითხოთ ადამიანს, რომელსაც ერთ-ერთი ოცნება აუსრულდა

— **საკმაოდ დიდი წარმატება მოჰყვა სპექტაკლს „უცნობი ქალის წერილი“. თავს როგორ გრძნობდით ამ როლის შესრულებისას?**

— რა შეიძლება ჰკითხოთ ადამიანს, რომელსაც ერთ-ერთი ოცნება აუსრულდა. ყოველთვის მინდოდა ჩემი შესაძლებლობების გამომჟავნება, თუმცა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი შესაძლებლობები არც ამომიწურავს და არც მინდა, რომ ერთ სპექტაკლში ამომეწურა. სამაგიეროდ, შევძელი ამ როლში მთლიანად დავხარჯულიყავი და დაღლილობით კმაყოფილება განმეცადა. ამ სპექტაკლში ყველაზე დიდი სიამოვნება იყო, როცა ვხედავდი, როგორ ვაიძულებდი მაყურებელს, რომ ჩემთვის ყური დაეგდო (სამწუხაროდ, ქართველ ხალხს დღეს მოსმენის კულტურა მოშლილი აქვს). გული მტკივა, რომ ძალიან მალე, ეს სპექტაკლი მოკვდება. როდემდე შეიძლება ერთი და იგივე სპექტაკლი იდგმებოდეს? მომავალში, როცა ბენეფისი მექნება (თუ დავიმსახურებ, ალბათ შედგება ჩემი ბენეფისი), ამ როლს აღვადგენ და უკვე ხანში შესული ვითამაშებ უცნობ ქალს. ვნახოთ, წლების შემდეგ როგორ ითამაშებს ნინო ლეჟავა ცვაიგის ორმაგ სახეს.

— **„უცნობ ქალთან“ თუ გაქვთ რაიმე საერთო თვისება?**

— საერთო ის გვაქვს, რომ ნამდვილად შემიძლია ასეთი ძლიერი და მაღალხარისხოვანი სიყვარული. თუმცა არ შემიძლია ასე ჩავიკეტო ჩემს ნაჭუჭში და შვილიც და საკუთარი თავიც დავლუპო. თავს ვერავის შევწირავ. ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი სიყვარულისთვის და ფარხმალს არ დავყრი.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჩაქუჩა ზვიგენი სამყაროს გაორებულად ხედავს.
2. მწყრების ორთაბრძოლას შუააზიელები მართავენ.
3. დედაბრიშვილი, შიო არაგვისპირელის ნამდვილი გვარია.
4. ციგურები რუსეთში პეტრე პირველმა ჰოლანდიიდან შეიტანა.
5. გუაიაკილი ქალაქია ეკვადორში, გლაუხაუ — გერმანიაში.
6. გიტარის სიმებს თავდაპირველად, ნაწლავებისგან ამზადებდნენ.
7. ტყვეობაში მელა გაცილებით მეტხანს ცოცხლობს, ვიდრე ბუნებაში.
8. პენტაგონს ერაყის ომის თითოეული დღე 4 მილიარდი დოლარი უჯდებოდა.
9. ზოოლოგიის დარგს, რომელიც ტკიპებს შეისწავლის, აკაროლოგია ეწოდება.
10. ავსტრალიისა და ახალი კალედონიის აბორიგენებს მშვილდ-ისარი არ გააჩნდათ.
11. რომანსი — „ქართული სიმღერა“ პუშკინის ლექსზე კომპოზიტორმა მიხაილ გლინკამ დაწერა.
12. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობის არქიტექტორი, მიხეილ ვართანის ძე ბუზოღლი გახლავთ.

13. „ყავა ჯოჯოხეთივით ცხელი უნდა იყოს, ტარტაროზივით შავი, ანგელოზივით წმინდა და სიყვარულივით ტკბილი“, — ამბობდა ტალეირანი.
14. ლენინის ორდენის შუაგულში მოთავსებული, ლენინის გამოსახულება პლატინისგან მზადდებოდა, თვით ორდენი კი — ოქროსგან.
15. ადრეული შუა საუკუნეების ცნობილი მეცნიერი ალბერტ ტევტონელი პარიზში ლექციებს ღია ცის ქვეშ კითხულობდა, რადგან მის მსმენელებს ვერც ერთი დარბაზი ვერ იტევდა.
16. ძაღლისებრნი, დათვისებრნი, ენოტისებრნი, კვერნისებრნი, აფთრისებრნი, კატისებრნი, ვივერისებრნი — ეს მტაცებელთა ოჯახების ჩამონათვალია.
17. 1953 წელს ინგლისელებმა მასობრივად დაიწყეს ტელევიზორების შეძენა, რათა ელისაბედ მეორის მეფედ კურთხევა ენახათ.
18. ინდოელი მოგოლი შაჰის, ჯაჰანის მეუღლე მეთოთხმეტე შვილის მშობიარობას გადაჰყვა. დამწუხრებულმა შაჰმა გარდაცვლილ მეუღლეს უდიდესი სიყვარულის ნიშნად, უმშვენიერესი ტაძარი — ტაჯ-მაჰალი აუგო.

რეჟისორ კახა ბაკურაძესთან ერთად

— როდესაც რაიმე ახალ როლს შემოგთავაზებენ, რა ხდება თქვენში — ანუ როგორ ემზადებით გარკვეული როლისთვის?

— ვკითხულობ პიესას და პერსონაჟ ქალზე ვფიქრობ. თუ ვიგრძნობ, რომ ჯერ არ გავზრდილვარ იმ ფსიქოლოგიამდე, რა ფსიქოლოგიითაც სცენარისტს ეს პერსონაჟი ჰყავს წარმოდგენილი, მაშინ როლზე უარს ვიტყვი, თუმცა ჯერ ასეთი შემთხვევა არ მქონია, რადგან ძალიან რისკიანი ვარ. ახლა პაატა მილორავა და მისი მეუღლე დგამენ „ჟანა დ'არკს“ და მე ჟანა დ'არკის როლი შემომთავაზეს. ჯერჯერობით ამ როლზე უარს არ ვამბობ, თუმცა უნდა გავითვალისწინო, თუ რომელ თეატრში დაიდგმება ეს სპექტაკლი, რადგან არსებობს თეატრები, რომელშიც არ ვიცი, რის გამო, მაგრამ ხალხი არ დადის. ამ დროს თითოეულ როლზე დიდ ენერგიას ვხარჯავ. ყველა როლი შვილივით მიყვარს და ჩემი სხეულის ნაწილი ხდება. გარკვეული პერიოდის მანძილზე ნათამაშევი პერსონაჟი ჩემში ცხოვრობს. ამ მძაფრი განცდების შემდეგ კი, სამი პრემიერა შედგება და სპექტაკლი კვდება, რადგან ხალხი არ მოდის მის სანახავად. ასე არ მიღირს, რადგან ის ჩემი ნაწილი მშორდება და მტკივა. თუმცა იმედი მაქვს, რომ ამ სპექტაკლზე ასე არ მოხდება. საერთოდ ასეა, რეჟისორმაც და მთავარი როლის შემსრულებელმაც ყველაფერი მაღალ დონეზე უნდა გააკეთონ, რომ ხალხი სპექტაკლის სანახავად მოვიდეს.

— როდის ხდება თქვენი როლში გარდასახვა, კულისებში თუ სცენაზე გასვლის შემდეგ?

— გრიმის პროცესში და რაიმეზე საუბრისას ჩემი ტვინის ნახევარზე მეტი უჯრედები იმ პერსონაჟთან არის, რომელიც უნდა ვითამაშო. უბრალოდ, როდესაც კულისებიდან სცენაზე ფეხს გადავადგამ და განათების სხივი დამეცემა, იქ ჩემთვის სხვა სამყარო იწყება. „უცნობი ქალის“ ერთ-ერთ სპექტაკლზე ძალიან ავად ვიყავი. დაბალი წნევა და მაღალი სიცხე მქონდა. უკვე თვალთ მიბნელდებოდა და უნდა წავქცეულიყავი, მაგრამ გადავდგი სცენაზე ფეხი და ავადმყოფობა დამავიწყდა, სულ სხვა სამყაროში გადავედი. უფლება არ მქონდა, ამდენი ხალხი დამეღალატებინა. ზუსტად ასეთი შემთხვევა იყო, როცა ამავე სპექტაკლის ყველა ბილეთი გაიყიდა, შუქი კი არ იყო და ხალხი ოცი წუთის განმავლობაში ისტერიკულად ელოდა შუქის მოსვლას, მაგრამ არ მოვიდა, სანთლის შუქზე ვითამაშე და სპექტაკლის შემდეგ მაყურებელს მადლობა გადავუხადე, რადგან მთელი სპექტაკლის მანძილზე ისეთი სიჩუმე იყო დარბაზში, რომ ამ დღეს — „მონოლოგი სასაფლაოზე“ დავარქვი. კურიოზი ის იყო, რომ სპექტაკლი დამთავრდა, საგრიმიოროში გრიმის მოსაშორებლად შევედი და შუქი მოვიდა.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ როლიდან გამოსვლა გაგჭირვებიათ?

— არასოდეს, რადგან ამას არაპროფესიონალიზმს ვეძახი. ყველა ოტელომ რომ ყველა დეზდემონა დაახრჩოს სპექტაკლის დროს, როლში შესული ვიყავიო, თავს ვერ გაიმართლებს. ენერგია უნდა გაანაწილო. ძნელია ცვაიგიდან გამოსვლა, ამიტომ როგორც კი სცენიდან კულისებში შევდივარ, ვიწყებ სისულელეების ლაპარაკს და სიცილს, თუმცა შინაგანად ემოციებით სავსე ვარ. არ მახსოვს ამ სპექტაკლის შემდეგ ტრანსპორტით წავსულიყავი შინ. ზამთარია, ზაფხულია, ყინვაა თუ ქარბუქი, ყოველთვის ფეხით მივდივარ და ჩემს შინაგან განტვირთვას ვახდენ. თუნდაც სპექტაკლში „ღამე მშვიდობისა, დედავ“, ჩემი გმირი თავს იკლავს, ხოლო მისი დედა, რომლის როლსაც ნინო ხომასურიძე ასრულებს, სცენაზე რჩება და ისეთი საშინელი მონოლოგი აქვს, რომ მე კულისებში მის მაგივრად ვხდები ცუდად, ძალიან ვიზაფრები. ასეთ დროს ხალხის რეაქციასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობებისთვის, რადგან ჩვენ ვხვდებით, რომელი უკრავს მართალ ტაშს და რომელი — ტყუილს.

— რატომლაც ყოველთვის გულჩათხრობილი და სევდიანი ქალის როლს თამაშობთ...

— მართალი ხარ. სულ ვამბობ, ვერიკო ანჯაფარიძე გამხადეს-მეთქი. ღმერთმა მისი ნიჭი მომცეს და მაგდენი წელი მათამაშოს სცენაზე. არ ვიცი, სევდიანი თვალები მაქვს, თუ გულჩათხრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, ყოველთვის ასეთ როლს მთავაზობენ. ცხოვრებაში საკმაოდ მხიარული ვარ. როგორც არ უნდა მტკიოდეს შინაგანად, არასოდეს ვამჟღავნებ. ხან საწამლავით მკლავენ, ხან იარაღით, ახლა „ჟანა დ'არკში“ კოცონზეც უნდა დამწვან... სულ ასეთი როლები მაქვს და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი კომედია ვითამაშე. იმედი მაქვს, რომ კიდევ გამომინახავენ რაიმე კომედიურ როლს. იუმორის დიდი გრძნო-

ბა მაქვს და მინდა, რომ სცენაზეც ასეთი ვიყო. ვოცნებობ, რომ სატელევიზიო მიუზიკლში ვითამაშო. ეს ჩემთვის აუცილებელიცაა, რადგან ამდენი დრამის თამაშით ადრე დავბერდები და თვალები „დამეკუჭება“ *(იცინის).*

— **თქვენ პირველი კინოროლი გავიხსენოთ ფილმიდან „თბილისი ჩემი სახლია“. მაყურებლის თვალში ლილი თითქოს უარყოფითი გმირია. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ეს პერსონაჟი თუ რაიმეს აშავებს, უპირველესად საკუთარ თავს უშავებს. ლილი უარყოფითი პიროვნება არ არის. ის ცხოვრების მსხვერპლია. მას ყველა ატყუებს. არა აქვს უფლება, რომ საკუთარ ეზოში ჩამოყრილი ხილიც კი აიღოს, რადგან დედამისი ეუბნება, უნდა გავყიდო და შენი სწავლის ფული მოვაგროვოო. ამასაც ამადლის. მშობელმა შვილს ვალი არ უნდა დაადოს, რომ ცხრა თვე მუცლით ატარა, გაზარდა და ა.შ. ასე წავიდა ლილის ცხოვრებაც. ბიცოლამ ვითომ სასწავლებლად თბილისში წაიყვანა, ცუდ წრეში ჩავარდა. წუმპიდან ამოსვლა კი ძალიან ძნელია.

— **ახლა თუ გაქვთ შემოთავაზებები რაიმე კინოროლზე?**

— მალე დასრულდება ტელესერიალის — „ოცდაშვიდი დრაკონი“ გადაღება, რომლის რეჟისორიც არის ბესო გიორგობიანი. სერიალის გადაღება მიმდინარეობს „იმედის“ დაკვეთით „აუდიენციის“ ბაზაზე.

— **ვინ არის თქვენთვის საუკეთესო პარტნიორი?**

— რა თქმა უნდა, პროფესიონალი პარტნიორი კარგია, რადგან მასთან თამაში ადვილია და თუ რაღაც არ ვიცი, მასწავლის. სამაგიეროდ, როცა უმცროს თაობასთან მიწევს თამაში, მეც იგივე პასუხისმგებლობა მაკისრია. მათ უნდა დავეხმარო და რაღაც შევძინო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან თამაში არ მსიამოვნებს, ან

ამდენი დრამის თამაშით ადრე დავბერდები და თვალები „დამეკუჭება“

მიჭირს. ყველაზე მეტად თამაში ისეთი კატეგორიის პარტნიორთან მიჭირს, რომელიც მიყურებს და ვერ მხედავს. სცენაზე მეუბნება „მიყვარხარ“ და ამ დროს მატყუებს. ეს საშინელებაა. გამოვყოფ ნინო ხომასურიძეს, ასევე ვასიკო ოდიშვილს, რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია და ბევრს ნიშნავს, რომ ერთი შეხედვით გვესმის ერთმანეთის, თუმცა ახლა პარტნიორები პირველად ვართ. გადასარევი მსახიობები არიან ტატო ჩაკუნაშვილი, ხათუნა ბოკუჩავა და ა.შ.

— **როგორც ვიცი, ყოველთვის სხვადასხვა თეატრში თამაშობთ...**

— თავდაპირველად მეტეხის თეატრში ვიყავი, შემდეგ „სურამის ციხის“ პრემიერები სამეფო უბნის თეატრში შედგა, „უცნობი ქალის წერილის“ პრემიერები გრიბოედოვის თეატრში იყო. თავისუფალ თეატრშიც ვიყავი. ახლა თითქმის ყველა ჩემი სპექტაკლი თეატრალურ სარდაფში იდგმება...

— **ე.ი. ახლა თეატრალური სარდაფის მსახიობად ითვლებით?**

— რამდენად მთვლიან სარდაფის მთავარი რეჟისორები სარდაფის მსახიობად, ვერ გეტყვით. თუ ჩემი ყველა სპექტაკლი არ მოხსნეს და აქედან არ გამაგდეს, ჯერ აქ ვარ *(იცინის).*

— **ცნობილია, რომ სიმღერებს წერთ. რომელიმე სპექტაკლისთვის თუ დაგიწერიათ მუსიკა?**

— ასეთი ჩანახატები ფილმებისთვისაც და სპექტაკლებისთვისაც მაქვს, მაგრამ არ მისმენენ. ვამბობ ხოლმე, თუ დაგჭირდებათ, მოდით და მოისმინეთ-მეთქი. კარგი, მოვალთო, — თავიდან მოცილების მიზნით მეუბნებიან. თავზე არავის არაფერს მოვახვევ, რადგან ვიცი, რომ ხვალ ან ზეგ ჩემი დროც მოვა.

— **ამ ბოლო პერიოდში ლელა წურწუმიას სიმღერის „ვიხსენებ ყველაფერს თავიდან“ კლიპში გადაგიღეს. როგორ გრძნობდით თავს ამ ამპლუაში და კიდევ თუ აპირებთ კლიპებში მონაწილეობის მიღებას?**

— ეს ჩემთვის ჩვეული ამპლუა იყო, რადგან აქაც გარკვეული როლი მქონდა სათამაშო. ეს თითქმის იგივეა, რაც ფილმის გადაღება და რა თქმა უნდა, თავი იოლად გავართვი. ჩემდა გასაოცრად, სხვა კლიპებში აღარავის მივუწვევივარ. ალბათ ერთი და იგივე სახეები მოსწონთ.

— **დაბოლოს?**

— მინდა, რომ სიმართლე იმარჯვებდეს. მინდა, რომ ყველა ნიჭიერმა, რომელსაც მატერიალური საშუალება არა აქვს და ჩრდილში დგას (საკუთარ თავს არ ვგულისხმობ) საკუთარი ნიჭის გამომჟღავნება მოახერხოს. ნებისმიერ სფეროში, როდესაც ვაკანსია გამოჩნდება, ღირსეულმა უნდა გაიმარჯვოს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

19. შუა საუკუნეების ევროპაში არსებობდა ლეგენდა, რომ ეშმაკი, როდესაც ადამიანებს ჯადოქრობას ასწავლიდა, „სწავლების კურსის“ დასრულების შემდეგ აიძულებდა მათ, გაქცეულიყვნენ და ვინც ბოლოს გარბოდა, მას თავისთან იტოვებდა. ლეგენდის თანახმად, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მის მოტყუებას ახერხებდნენ. ისინი საბოლოო ჯამში, ჩრდილის გარეშე რჩებოდნენ.

20. 1867 წელს პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორთქლის მექანიზმი, რომელსაც პირობითად „ელევატორი ხალხისათვის“ ერქვა. ეს გამოგონება დღეს ლიფტის სახელწოდებით არის ცნობილი.

21. ინდიელები მაჩვზღარბის ძვალზე მკითხაობდნენ, ჩინელები — კუს ბაკანზე, პოლინეზიელები და ცენტრალური აფრიკის მცხოვრებნი — ცხოველთა შიგნეულობაზე.

22. როდესაც ინდოელი მეცნიერები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს ეწვივნენ, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვეს, რომ ფაკულტეტზე იყო ესთეტიკის, ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიის კათედრები და არ იყო სიყვარულის კათედრა, რომლის გარეშეც, მათი აზრით, ფილოსოფიის მეცნიერება წარმოუდგენელია.

23. ჟენევაში ე.წ. „ოფიციალურ“ წაბლის ხეზე პირველი კვირტი რომ გაიშლება, მუნიციპალიტეტის საგანგებო წარმომადგენელი, რომლის მოვალეობასაც ამ ხისთვის თვალყურის დევნება წარმოადგენს, მოქალაქეებს გაზაფხულის დადგომას ამცნობს.

24. „მიწა მშრომელებს!“, „დასამარდეს ბურჟუაზია — მოისპოს კაპიტალი!“, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!“, „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“ — ასეთი წარწერები ამშვენებდა საბჭოთა რუსეთში XX საუკუნის 20-იან წლებში დამზადებულ ჭურჭელს.

25. საბერძნეთში არსებობს ლეგენდა, რომ როდესაც იესო ქრისტე გოლგოთაზე მიჰყავდათ, ერთ ჯარისკაცს სურდა, მისთვის რძე მიეწოდებინა, რძის გამყიდველმა 18 მონეტა მოსთხოვა, ჯარისკაცს კი მხოლოდ 17 აღმოაჩნდა. ქალმა არ დაუკლო, რის გამოც გვრიტად იქცა. იმ დროიდან მოყოლებული იძახის „დერაოკტო“ — „თვრამეტი“. მას შეუძლია, კვლავ ადამიანად გადაიქცეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა თქვას „ჩვიდმეტი“. ■

„ეკნეზე ვერცხლრა, ოლონდაც ამდი...“



მარი ჯაფარიძე

„ჩემო ზურიკელა, ლექსების წერას რა აწყებიებს კაცს, მაი ქე ვიცი“, – ამბობს ილიკო ჩიგოვიძე. ჩვენთვისაც „არახალია“, რომ კაცს ლექსების წერას სიყვარული აწყებინებს. სწორედ ამიტომ, მეტად სასიამოვნოა, როდესაც მკითხველები საკუთარ ლექსებს ჩვენ გვიძღვნიან. თუკი მათ ისე ვუყვარვართ, რომ ლექსის წერის სურვილი უჩნდებათ, ამას რა სჯობს? რამდენიმე ასეთ ლექსს ქვემოთ გაგაცნობთ. მანამდე კი მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც პირადად მე, რუბრიკა „გზავნილებსა“ და ჟურნალ „გზას“ უამრავ თბილ და საქებარ სიტყვას გვწერს. გიორგი გრიგოლია, მაია მენთეშაშვილი, სოფო ტუხაშვილი, ნინო თავაძე, ირინა თუშიშვილი, ია ბურჯანაძე – ეს ის ხალხია, ვინც ყოველკვირა, რამდენიმე „მესიჯს“ მხოლოდ ჩვენთვის გზავნის. დიდი მადლობა მათ და ყველა ჩვენს მკითხველს. ახლა კი დაპირებული ლექსები:

„მარი, თქვენს რუბრიკას და პირადად თქვენ, მინდა მოგიძღვნათ ასეთი ლექსი: „ფიქრი ფიქრია, ფიქრი? ფიქრი რთულია, მიზეზი კი სიყვარულია“. გიორგი გრიგოლია. გმადლობთ, რომ არსებობთ“.

„ამ შენს რუბრიკას, მარი,
მოწონება აქვს ხალხში,
„გზავნილთა“ კითხვა მიყვარს,
ჩემთვის საყვარელ „გზაში“. ნინი ქუთაისიდან.“

„მარი, თქვენმა „გზავნილებმა“ ლექსის დაწერის სურვილი გამიჩინა.

„ხალხს უყვარხართ, გეფიცებით, რას ინატრებ სხვას, ყოველ კვირა ველოდებით, „გზავნილებს“ და „გზას“. ნინო ბოჭორიშვილი.“

„დიდებული ჟურნალია, ლაპარაკი არ უნდა. მარი, უნდა აგირჩიოთ საპატიო ხანუმად. დიდი სითბო, სიყვარული მოდის მუდამ „გზიდან“, ყველა ისე კარგები ხართ, მოგეფეროთ, მინდა“. ნინო ბუკია.“

ახლა კი იმ გზავნილებს გადავხედოთ, რომელშიც ჩვენი მკითხველები თავიანთ ჭირ-ვარამს გვიზიარებენ.

ამბავი, რომელსაც ახლა გადმოგცემთ, ჩვენი ახალგაზრდა მკითხველის გულისტკივილს ეხება. ჩვენ შორის ასეთი სატელეფონო საუბარი შედგა:

„ჩემ გარდა, ყველა თვლიდა, რომ მასთან უბედური ვიქნებოდი“

– მე დათო ქოჩორაშვილი გახლავართ. 20 წლის. ვსწავლობ თეატრალურ ინსტიტუტში. მინდა, ანის ვუთხრა, რომ მიუხედავად იმისა, მთელი ცხოვრება დამინგრია, დამაკარგვინა სამსახური, ოჯახი და მეგობრები, მაინც ძალიან მიყვარს და მენატრება. ვიცი, ჩემი აღარასოდეს იქნება, მაგრამ მე ყოველთვის მის მოლოდინში ვიქნები. მინდა, ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო.

— ანი ვინ არის?

– ჩემი ყოფილი მეუღლეა, რომელიც სულ ერთი კვირა იყო ჩემთან. ანი ფილმის გადაღების დროს გავიცანი. ერთ-ერთი რეჟისორი იღებდა ფილმს „ერთი კოლეჯის ამბავი“. მე და ანი შეყვარებულებს ვთამაშობდით. ჩვენი ურთიერთობაც სწორედ მაშინ დაიწყო. ის მაშინ 15 წლის გახლდათ, მაგრამ ჩამოყალიბებული, ზრდასრული ადამიანივით აზროვნებდა. 9 თვის განმავლობაში ერთმანეთს ვხვდებოდით, ფიზიკური ურთიერთობაც გვქონდა, შემდეგ გავიპარეთ და ერთი კვირის შემდეგ, დავშორდით... ეს ორი წლის წინ მოხდა.

— ლაპარაკისას გულდაწყვეტილმა თქვით, რომ ყველაფერი მის გამო დაკარგეთ...

– დიახ, სულ მსაყვედურობდა, რომ სამსახურს, მეგობრებს, დედას მასზე წინ ვაყენებდი. ამის გამო სამსახური მივატოვე, მეგობრებს ჩამოვშორდი და დედაც თითქმის დავკარგე.

— თუკი ამხელა მსხვერპლი გაიღეთ, რატომღა დაშორდით?

– როდესაც ცოლის სახელი დაერქვა, უფრო მეტი ამბიცია გაუჩნდა. ჩემ გარდა, ყველა თვლიდა, რომ მასთან უბედური ვიქნებოდი. ახლობლების რჩევას ავყევი და ჩვენი გზები გაიყარა...

— ამბობთ, რომ გიყვართ. რატომ ვერ შეძელით თქვენი გრძნობის დაცვა?

– პატარა ვიყავი და იმიტომ. ვცდილობ დავივიწყო, სხვა გოგონებთან გავაბი ურთიერთობა, მაგრამ არაფერი გამომდის. ყველა ქალში მას ვხედავ...

— როგორც ჩანს, ნანობთ, ახლობლებს რომ დაუჯერეთ...

– როგორ გითხრათ – ხან კი, ხან არა... ვერ ვივიწყებ, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ მასთან განშორების შემდეგ, ისევ მოვიკიდე სამსახურში ფეხი და ნელ-ნელა ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. ყველა მამშვიდებს – ჯერ ყველაფერი წინ გაქვსო, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება მომავალში. ახლა, სულ რაღაც ერთი კვირის წინ გავიგე, რომ გათხოვილა და ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს...

მოკლედ, ასე... ბედნიერებასა და უბედურებას შორის ზღვარი სად გადის, არავინ იცის. ვიმედოვნებთ, დათო კიდევ იპოვის დიდ სიყვარულს და ეს ამბავი მხოლოდ სევდიან მოგონებად დარჩება...

ახლა კი ამბავი, რომელიც, ვფიქრობ, გუნება-განწყობილებას გაგიუმჯობესებთ:

„ვინ გამიკეთა ჯადო?“

„მარი, ხშირად ვკითხულობ თქვენს „გზავნილებს“ და კარგად ვხალისობ ხოლმე. ჩემს ამბავს გიამბობთ. ვფიქრობ, ღირს ყველამ გაიგოს ის, რასაც არ ვიცი, კურიოზი დავარქვა თუ ტრაგედია. 45 წლის ვარ. ჯარი რუსეთის ქალაქ ვორონეჟში „მოვიარე“. ერთი იქაური რუსი გოგონა გავიცანი. მამამისი მაშინ, ქალაქკომის პირველი მდივანი გახლდათ და როგორც იტყვიან ხოლმე, „ჩაქცეული“ ოჯახი ჰქონდათ.

გორის რაიონის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში გაზრდილ ბიჭს მეტი რა მინდოდა? ავდექი და ეს ირაჩკა ცოლად შევირთე. მოკლედ, ავშენდი კაცი. რა გინდა, სულო და გულო? რამდენიმე მანქანა მყავდა, კარგი სახლ-კარი, ჯიგარი სიმამრი, რომელიც ქალებში ჩემთან ერთად დადიოდა, მე კი მარტო დროს ტარება, ქეიფი და ცოლის პატივისცემა მევალებოდა. ჩემი ოჯახი უკმაყოფილო იყო, რუსი ცოლი რომ მყავდა. წერილი და დეპეშა ერთდროულად მომდიოდა – ჩამოდი, „მშვენიერი მარგალიტა“ გელოდებაო, მაგრამ... თქვენ რომ ყოფილიყავით, ჩამოხვიდოდით? ერთ მშვენიერ დღეს, დედა და და მესტუმრნენ... საღამო ხანს დამიმარტოხელეს და მეჩურჩულებიან (ვითომ, ისინი ქართულს გაიგებდნენ) – ნამდვილად ჯადო გაქვს გაკეთებული, თორემ რატომ არ გინდა დაბრუნებაო? იმ ღამით სანთლები დამინთეს, რაღაც სითხე დამალევინეს, შემილოცეს, სამი დღის შემდეგ კი თოკზე გამობმული ბატკანივით გამოვყევი საქართველოში. აქ „მშვენიერ მარგალიტაზე“ დამაქორწინეს და... ახლა, საღამოს, კომბოსტოს სათოხარიდან დაბრუნებული, ტალახიან ფეხებს „ლახანკაში“ რომ ჩავყოფ, ვზივარ და ვფიქრობ, – ვინ გამიკეთა ჯადო? თქვენ როგორ ფიქრობთ?“

ვფიქრობ, ჩვენს აზრს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება შემდეგ გზავნილს, ის 78 წლის კაცს ეკუთვნის. ასკმა არ დაგაფრთხოთ, „მესიჯის“ გამოგზავნა კი არა, მას უფრო მეტიც შეუძლია და ამას თავადაც მიხვდებით.

„იმ ასაკში აღარა ვარ, ნაშები ქუჩაში დავაბა“

– „გამარჯობათ. სოსო ვარ, 78 წლის. აი, ჩემი გასაჭირიც: უკვე ოცი წელია, მეულლე გარდამეცვალა. საკმაოდ ვიგლოვე, ახლა კი ცოლის მოყვანა მინდა... შვილები კი უარს მეუბნებიან. შვილთაშვილების პატრონი ხარ, რაღა დროს შენი ცოლია, რომ მოკვდე, მერე იმ დედინაცვალს რა ვუყოთო? აღარ ვიცი, რა ვქნა. იმ ასაკში აღარა ვარ, ნაშები ქუჩაში დავაბა. თუკი ჩემთვის მუშაობა შეიძლება, ოჯახის რჩენა და ის, რომ 50 წლის შვილმა მთხოვოს – 5 ლარი მომეცი, სიგარეტი ვიყიდოო, – ცოლის მოყვანა არ შეიძლება? აბა, ქალებში წასვლა რომ მომინდება, როგორ მოვიქცე? იქნებ წაიკითხონ ჩემი გასაჭირი და ნება დამრთონ, კიდევ ერთხელ დავქორწინდე?“

აი, როგორი გასაჭირი ადგას ჩვენს მხცოვან მკითხველს. მე კი ამ ამბის შესაფერის ანეკდოტს მოვიყვებით:

ვიზიტი სექსოპათოლოგთან:

– ექიმო, სექსის დროს ჭრაჭუნის ხმა მესმის. იქნებ მიშველოთ?

– რამდენი წლის ბრძანდებით?

– 90-ის.

– კი, მაგრამ აპლოდისმენტების ხმა არ გესმით?..

ახლა კი მოკლე მესიჯები:

„ვგრძნობ, სწორედ ის ხარ, ვინც მე მჭირდება“

„მაია ჟორჟოლიანო, მიყვარხარ. ძალიან გთხოვ, ასე მწარედ ნუ მაგიჟებ. გაიხსენე ქობულეთი. თავი სიზმარში მეგონა. რატომ შეიცვალე ტელეფონის ნომერი? გთხოვ, დამირეკო. „პატარა გორი დიდია“.

„მაკა, გახსოვს, პატარა სპექტაკლი რომ დავდგით და სურათებიც გადავიღეთ? როგორ მოგაგნო? გამომეხმაურე მარის საშუალებით. ირაკლი, ბათუმიდან“.

„გიმესიჯებთ ათენიდან. თიანეთში ერთი ბიჭი მემუქრებოდა, საბერძნეთში რომ გათხოვდე, ქმარს მიგიჟეჟავო. სულ „ვეკაიფებოდი“ და ახლა გამებუტა. იცოდეს, რომ ძალიან მიყვარს და ნათქვამს ვუსრულებ. ბუზღუნა“.

„ამქვეყნად მოსვლა სხვა თუ არა, იმიტომ ღირდა, რომ ერთხელ მაინც მეთქვა შენთვის – „მიყვარხარ!“. ჩემს მეუღლეს, მიშა კუზნეცოვს, მისი მარგალიტასაგან“.

„თემო ბარამია, ძალიან მიყვარხარ. გთხოვ, თავი დაანებე იმ გოგოს. დამიჯერე, მე უფრო ლამაზად მეყვარები. მე ის მიყვარს, ვისი სიყვარულიც არ შემიძლია. ნათია“.

„მამუკა ოსეფაშვილს. მიყვარხარ! მთელი ცხოვრება მემახსოვრება ბათუმში, შენთან გატარებული 5 დღე. ნატა“.

„ლაშა, ძალიან მომწონხარ, მაგრამ ამას პირადად ვერასოდეს გეტყვი, რადგან შენს ძმაკაცს, დათოს უზომოდ ვუყვარვარ, მე კი მას პატივს ვცემ და გულს ვერ ვატკენ. ამიტომ ჯობს, არაფერი იცოდეს. თითქმის მიყვარხარ. თეონა“.

„კამაზ, არასოდეს იფიქრო, რომ მიყვარდი. დრო აქარწყლებს ყოველივეს და დარდი კლებულობს. შენ კი, როცა გამიხსენებ, უკვე შორს ვიქნები. საკო“.

„გიორგი გოროხოვს! ჩემო თაფლისფერთვალებავ, რატომ დაგაბრმავე ახალციხელი გოგონები შენი თვალებით? რატომ გამიჩინე ამდენი მეტოქე? ველი შენს პასუხს „გზავნილებში“.

„ბუსკა, მაპატიე, ხომ იცი, შენ ერთადერთი ხარ, ვინც ცხოვრება მასწავლა და ცუდი და კარგი დამანახვა. გთხოვ, მაპატიო. მიკი, მოკო, ოკა, კია, კუნა. გთხოვთ, დამეხმარეთ და დამაბრუნებინეთ ის, ვინც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს“.

„მონატრება... „შავად ფრიალებს კალთები კაბის, შარას გავცქერი თვალების ნაბვით. მონასტრის ეზო... საფლავის ლოდი... შენზე ვლოცულობ, ოღონდაც მოდი...“ მარინა კახიძე“.

„სოფო გ. – წყალში ვდგავარ და ცეცხლი მიკიდია. მიშველე! თორემ საქართველოს მოსახლეობა ერთი კაცით შემცირდება“.

„მივმართავ 26-ე სკოლის პედაგოგებს. მინდა გითხრათ, რომ მე-11 კლასის მოსწავლეები მეტად თბილი ბავშვები არიან. მთავარია, გაუგოთ მათ და თბილად მოექცეთ. პატივისცემით...“

„მე ვარ ნინი, ქუთაისიდან. მინდა, ჩემი სიხარული გაგიზიაროთ. ვინც მე სიცოცხლეს მირჩევნია, თურმე მასაც ძალიან ვუყვარვარ. ახლა მე შემიძლია, ბედნიერმა ვთქვა – „შოთიკო, მე შენ მიყვარხარ!“ მინდა, წარმატება ვუსურვო მას და მთელ ქუთაისის „ტორპედოს“.

„მინდა, ჩემი დარდი გაგიზიაროთ... ადამიანი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს, ისე წავიდა ჩემგან, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. არც კი ვიცი, რა მოხდა. ცცადე გამერკვია, მაგრამ არაფერი მითხრა. საუბარს თავს არიდებს. უკვე ერთი წელია, არ მინახავს. იცით, რას ნიშნავს ტკივილამდე მონატრება? ვერ მოვითმინე და ერთხელაც, დავურეკე, მაშინვე გათიშა. რა ვქნა, როგორ დავივიწყო ის, ვინც სიცოცხლეს მირჩევნია? ასე ცუდად არასოდეს ვყოფილვარ. ეკა“.

„მას შემდეგ გონზე აღარ ვარ, რაც გავიგე, რომ გოგამ ცოლი მოიყვანა და ახლა საზღვარგარეთ იმყოფება. მიუხედავად ამისა, მაინც მიყვარს. „თ“.

„არმაზ თავაძეს. ჩემო კარგო, მე შენ უზომოდ მომწონხარ. პირადად არ გიცნობ, მაგრამ შინაგანად ვგრძნობ, სწორედ ის ხარ, ვინც მე მჭირდება და ვის შეყვარებასაც შევძლებ. მინდა, მოვძებნო შენს გულთან მისასვლელი გზა. იქნებ, სწორედ „გზაა“ ეს გზა? ია. გორი“.

„გამარჯობა, მარი. გოგონას, რომელმაც გული მატკინა, მარი ჰქვია. ჯერ მე მეუბნებოდა, არ მიმატოვოო, მერე კი... მოდი, ახლა კარგი მეგობრები ვიყოთო. ალბათ ჩემი ბრალია? მეგობრები ვართ, მაგრამ ვერ ვივიწყებ“.

„დიდი სურვილი მაქვს, ხმა მივაწვდინო დიდი ხნის უნახავ მეგობარს, გულო მიქელაძეს. ის ქობულეთის ბანაკ „ტალღაში“ გავიცანი. მხატვრად მუშაობდა. მე კლუბის გამგე ვიყავი. იმედია, გულო წაიკითხავს ამ გზავნილს, მიხვდება, რომ ვეძებ და ძალიან მინდა მისი ნახვა. გულო, გთხოვ, კოორდინატები მარის საშუალებით მომაწოდო. ნესტანი“.

„ზურა, ასე უნდა, სიყვარულს რომ მეფიცებოდი? შე ვაკელო გოიმო, აღარ მჭირდები. შენი სიხა“.

„ლაშას! „რა მინდა? არ ვარ მსურველი ბევრის, ვიფიქრო შენზე, ვიცხოვრო შენით და კი არ მოვკვდე, მოგიკვდე შენა!“ შენი სიცოცხლე, ვერიკო“.

გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე და კვლავ ველი თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე 8(77)45.68.61.

■

«თქვენს ბედნიერ სახეებს რომ ვუყურებ, ჩემს უბედურებაზე ალარ ვფიქრობო...»

„გზის“ №35-ში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „თუ მშობლები ვერ გაგვიგებენ, რომეო და ჯულიეტასავით მოვიქცევით“. მას უამრავი მკითხველი გამოეხმაურა. აინტერესებთ გვანცასა და კახას ბედი. შეგახსენებთ, რომ საუბარი იყო შეყვარებულთა წყვილზე, რომლის მშობლები — კახას დედა და გვანცას მამა — ცოლ-ქმარი არიან, შვილები ორივეს, პირველი ქორწინებიდან ჰყავს და მათ ერთმანეთი 13-14 წლის ასაკში, დედამამის შეუღლების შემდეგ გაიცნეს... ახალგაზრდებს უზომოდ უყვართ ერთმანეთი, ამ გრძნობას მშობლებს 7 წლის განმავლობაში უმალავდნენ, ახლა კი გადაწყვიტეს, გაემხილათ, რათა ოჯახი შეექმნათ და ერთად ცხოვრებისა და შვილების გაჩენის საშუალება ჰქონოდათ. ვინაიდან ამ ნაბიჯის გადადგმა თავად ვერ შეძლეს, დახმარება ჩვენ გვთხოვეს...

მარი ჯაფარიძე

რა მოხდა მას შემდეგ, რაც „გზაში“ მათი ინტერვიუ დაიბეჭდა? ამის შესახებ თავად გვანცა და კახა გვიამბობენ, რომლებიც ორკვირიანი „ვარე-ვარე წანწალის“ შემდეგ, ოჯახს დაუბრუნდნენ. ახლა, როგორც მათი საუბრიდან ჩანს, უზომოდ ბედნიერად გრძნობენ თავს...

— რა მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენი ინტერვიუ დაიბეჭდა?

გვანცა:

— ხუთშაბათ დღეს ისე მოუთმენლად ველოდით, მთელი ღამეები არ გვეძინა. ძალიან განვიცდიდით. კახა მამშვიდებდა — ბოლოს და ბოლოს, მოსახდენი უნდა მოხდეს, ახლა ვეღარაფერს შევცვლით, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთო. არ ველოდით, თუ ჩვენი ინტერვიუ ჟურნალის გარეკანზე მოხვდებოდა. საყიდლად რომ მივედი და ყდას შევხედე, კინაღამ იქვე ჩავიკეცე... კახა შინ მარტო იყო და მელოდებოდა. წავიკითხეთ და კინაღამ ტირილით მოვკვდი. ჩვენი აბდაუბდა მონაყოლი ისე კარგად იყო დალაგებული, რომ გაოცებული დავრჩი. ზუსტად გადმოგციათ ჩვენი განცდებიც. შემდეგ, როგორც მოვილაპარაკეთ, ზუსტად ისე მოვიქეცით: ჟურნალი შინ მაგიდაზე დავდეთ, ზედ ასეთი შინაარსის წერილი დავტოვეთ: „დედა და მამა! ჩვენ მივდივართ. რატომ? წაიკითხეთ ჟურნალი და მიხვდებით. თუ ისევ მიგვიღებთ, კახას მობილურზე დაგვირეკეთ. თუ არა და აღარასოდეს დავბრუნდებით. მხოლოდ იმედი გვექნება, რომ თქვენი ლოცვა გვიშველის. გვიყვარხართ თქვენც, მაგრამ ერთმანეთი — უფრო მეტად. გვანცა და კახა“.

კახა:

— გამოვიხურეთ კარი და წამოვედით. ქუჩაში რომ აღმოვჩნდით, მერე დავფიქრდით, ვკითხეთ საკუთარ თავს: სად წავიდეთ? ვის გინდა მიადგე? ყველამ იცის, რომ დაძმანი ვართ. როგორ გინდა გაამხილო — ცოლი მომყავს და ეს გოგო დედაჩემის გერია-მეთქი? ფული გვქონდა. ჩავსხედით ტრანსპორტში და გეზი რაჭისკენ ავიღეთ. ეს ჩვენთვის უცნობი კუთხეა — უბრალოდ, ყველაზე შორი რეისი იყო. იმედი გვქონდა, რომ მშობლები მალე დაგვირეკავდნენ და შუა გზიდან მოვბრუნდებოდით. არ დარეკეს. რაჭაში ჩასულებს, რა უნდა გვექნა? ონში გავიკითხეთ და სასტუმროც არ აღმოჩნდა, ღამე რომ გაგვეთია. გადავწყვიტეთ, ვინმესთვის გვეთხოვა, განსაზღვრული თანხის საფასურად შინ შევეშვით, მაგრამ ყველა ეჭვის თვალით გვიყურებდა და უარს გვეუბნებოდა. ბოლოს, ჩემი კბილა ბიჭი გამოგველაპარაკა. გავუმხილე — გამოპარულები ვართ-მეთქი, — და მაშინვე შინ წაგვიყვანა. მის ოჯახშიც თბილად შეგვხვდნენ... სამი დღე ვიყავით მათთან. შემდეგ თბილისში დავბრუნდით და გადავწყვიტეთ, ვინმეს საშუალებით გაგვერკვია, თუ რა ხდებოდა ჩვენს ოჯახში.

გვანცა:

— კახამ თავის მეგობარ ბიჭს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. შევხვდით. ვხედავდი, თვალები როგორ უფართოვდებოდა, როცა კახა ყველაფერს გულახდილად უამბობდა. შემდეგ გოჩა ჩვენს მშობლებთან მივიდა. შინ ისეთი ამბავი დახვდა, გულგახეთქილი მოვარდა ჩვენთან (ქუჩის კუთხეში ველოდებოდით). სულერთია, მოგკლავენ, ჯობს, თქვენ თვითონ მოიკლათ თავიო.

ფრაზა

გენიალური

მოწინააღმდეგე, რომელიც ცდილობს, შეცდომაში გამოგიჭიროთ, გაცილებით უკეთეს სამსახურს გიწევთ, ვიდრე მეგობარი, რომელიც ამ შეცდომებს ჩქმალავს.

ლეონარდო და ვინჩი

მამაჩემს ჩემი სახელის გაგონებაც აღარ უნდოდა, გაბრაზებულს, შინ ყველაფერი დაულეწავს...

კახა:

— შინ პირველი, დედაჩემი დაბრუნებულა. ჟურნალი და წერილი უნახავს და ისეთი წივილ-კივილი აუტეხავს, მეზობლებს უფიქრიათ, რომ რომელიღაც ჩვენგანი მოკვდა. უამრავი ხალხი დახვევია თავს და ძლივს აბრუნებდნენ თურმე. გვანცას მამისთვის დაურეკავთ, მაგრამ სიმართლის თქმა ვერ გაუბედავთ — მარინა ცუდად არის და მოდიო. რომ მისულა და ყველაფერი შეუტყვია, შინიდან ჩვენს საძებრად გამოვარდნილა — სულერთია, მოვკლავო, — გაიძახოდა თურმე. ერთი სიტყვით, ჩვენი ამბავი მთელმა უბანმა და ყველა ნათესავმა გაიგო. ბებიაჩემთან დავრეკე, ვთხოვე — ღამე გამათევინე-მეთქი. ისე დამწყევლა, თუ სადმე მომეწია, კარგ დღეში არ აღმოვჩნდები. შინ არ მიგვესვლებოდა, ამიტომ მცხეთაში წავედით და ღამე სვეტიცხოველთან გავათენეთ. მეორე დღეს, ისევ თბილისში ჩამოვედით, ქალაქში ვიწანწალეთ, საღამოს კი ისევ ტაძარში დავბრუნდით. ქვაზე ჩამომსხდრებს, ერთმანეთზე თავმიდებულებს გვეძინა ორი ღამე. შემდეგ მოვილაპარაკეთ, მოძღვარს დავლაპარაკებოდით, მაგრამ რისხვის შეგვეშინდა. გადავწყვიტეთ, ისევ შინ დავბრუნებულიყავით. აბა, ასე ქუჩა-ქუჩა როდემდე უნდა გვეწანწალა?

გვანცა:

— წინასწარ დავრეკეთ. მარინამ გვიპასუხა. კახამ სთხოვა: დედა, შინ მოვალთ, მოგვისმინეთ და თუ სამუდამოდ მოგვიძულებთ, ჩვენ წავალთ და უკან აღარასოდეს დავბრუნდებითო. მარინამ ნებართვა მხოლოდ მამაჩემთან მოთათბირების შემდეგ მოგვცა, ოღონდ ისე, რომ მამა შინ არ დაგვხვდებოდა... მივედით. კარზე რომ ვაკაკუნებდით, მუხლები მიკანკალებდა, გული ამოვარდნას ლამობდა. კარი ჩაკეტილი არ აღმოჩნდა. შინ შევედით. მარინამ ზედაც არ შემოგვხედა. ფანჯარასთან იდგა, ჩვენკენ ზურგშექცევით, მობუზული; ვგრძნობდი, როგორ უჭირდა ჩვენთვის შემოხედვა. ახლოს მივედი, ჯერ ლოყაზე ვაკოცე, შემდეგ მუხლებზე დაჩოქილმა, ფეხებზე ხელები მოვხვიე, ჩავეკარი, ავბღავლდი და აღარც მახსოვს, რა სიტყვებით ვთხოვდი პატიებას. ვერც გავიგე, თვითონაც როგორ აღმოჩნდა ჩემ წინ, მუხლებზე. სახე ხელებით დამიჭირა, თვალებს მიკოცნიდა, გულში მიხუტებდა. ჩემო გატანჯულო გოგოო, — მეუბნებოდა. ამ დროს კახამ სადარბაზოს კარი გაიჯახუნა და გარეთ გავიდა. თურმე, ისეთი დაღლილი და გაუბედურებული გამომეტყველება მქონდა, რომ შევეცოდე. რა გასაკვირია — ერთი კვირა დავწანწალებდით მე და კახა და იმედად, ერთმანეთის მეტი, არავინ გვეგულებოდა. ახლა კი, მარინაც „ჩვენიანად“ დავიგულეთ და მამის შემორიგება უნდა გვეცადა.

კახა:

— ავთო სამი დღე-ღამის განმავლობაში არ მოსულა შინ. შემდეგ დაბრუნდა და ახლაც „ცალი ყბით“ გველაპარაკება. ჩვენმა მშობლებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ერთმანეთს გაეყარონ, იმისათვის, რომ ჩვენ ერთად ცხოვრების საშუალება გვქონდეს. მათ ახლა ცალ-ცალკე ოთახებში სძინავთ, ჩვენ კი, თავიანთი ოთახი დაგვითმეს. ერთმანეთს უცხო ადამიანებივით ექცევიან...

გვანცა:

— გული მტკივა, რომ ასე ხდება. ახლა მაინც ხომ ვიცი, რა ძნელია, როცა ადამიანი გიყვარს და მასთან ყოფნა არ შეგიძლია. ვიცი, რომ მარინას მამაჩემი უზომოდ უყვარს. როდემდე შეძლებენ ასე ყოფნას?! ერთხელ, ასეთი რამ მითხრა: თქვენს ბედნიერ სახეებს რომ ვუყურებ, ჩემს უბედურებაზე აღარ ვფიქრობო. კალთაში მისვამს და ისე მეფერება. ახლა გამოსავალს ვეძებთ, რომ ისე მოვახერხოთ, ჩვენს მშობლებს მსხვერპლის გაღება არ მოუწიოთ. ან საზღვარგარეთ წავალთ, ან ცალკე ვიცხოვრებთ, არ დავუშვებთ, რომ ისინი გაიყარონ... ■

ტესტი ერუდიციაზე

1. რას ნიშნავს ბერძნული სიტყვა „დინოს“, რომლისგანაც წარმოდგება სიტყვა „დინოზავრი“?

ა) საშინელს;
ბ) ძალიან დიდს;
გ) თავზარდამცემს.

2. ფორტეპიანოს 52 თეთრი კლავიში აქვს. რამდენი შავი კლავიშია ამ ინსტრუმენტს?

ა) 26;
ბ) 36;
გ) 42.

3. რომელ საუკუნეში შემოიღეს ფეხსაცმლის ზომები პირველად?



ა) XVIII;
ბ) XVII;
გ) XIX.

4. რომელ ქვეყანაში შეარქვეს გორის პაიჭაძეს ფეხბურთის კარუზო?

ა) იტალიაში;
ბ) რუმინეთში;
გ) საბჭოთა კავშირში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მაგ ო�ა მიმეოა ან ქოლვეკ მეუნიეოს ჩემოგაინი ოhაკა

ანე სად – პავაროტი და სად – წინილაშვილი?!

ნათქვამია: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. მართლაც, ეს ჭეშმარიტება ქართულ ხასიათში ისე ღრმად გვაქვს გამჯდარი, რომ თანამემამულეს მანამ არ დავაფასებთ, სანამ უცხო ადამიანი არ აღიარებს მის ღირსებებს; მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, ჩვენც ვინებებთ ტაშის დაკვრას...



მარინა ბაბუნაშვილი

რამდენიმე თვის წინ, „კვირის პალიტრაში“ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორზე, ოთარ წიწილაშვილზე ჩემი პატარა წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც ივი საგულისხმო რჩევებს აძლევდა მკითხველებს. წერილს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. ზოგს მეცნიერის სასწაულებრივი ჯემისა და იმ ჯადოსნური ნიების (რომელიც პლასტიკურ ოპერაციას უტოლდება) შესახებ აინტერესებდა ყველაფერი, ზოგსაც უბრალოდ, სახელოვანი მომღერლის, ლუჩანო პავაროტის გახდომის „მთავარი წყაროს“ უფრო ახლოს გაცნობა სურდა.



ერთ მთავარ დეტალს შევახსენებთ: წიწილაშვილის სახელი მაშინ გახმაურდა, როცა გამოჩენილმა იტალიელმა მომღერალმა მისი ჯემის წყალობით ორ წელიწადში, 70 კგ დაიკლო, ხოლო ჩვენს თანამემამულეს კი ერთი რამის გამო „შემოსწყრა“: ეს რა მიქნი – მთელი გარდერობის შეცვლა მომიხდაო!.. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პავაროტი აშკარად „შეთხელდა“, ხოლო წონადაკლებულმა და სიბერეში ფეხშედგმულმა, კიდევ ერთხელ განიცადა მამობის სიხარული.

მართალია, ბატონი ოთარ წიწილაშვილი ბევრ რამეს არ „იბრალებს“ და საკუთარ თავზე მოკრძალებულად ლაპარაკობს, მაგრამ მასთან დაახლოებული პირები ბევრს საუბრობენ მასზე. იმასაც ამბობენ, რომ მადლიერი იტალიელი პაციენტი არ ივიწყებს ქართველ მეცნიერს და კვლავაც აქვს მასთან ურთიერთობაო.

სენსაცია სენსაციად რჩება და, ბუნებრივია, ჩემი პირველი შეკითხვა ყბადაღებულ ქართულ ჯემსა და ლუჩანო პავაროტის ეხება:

— ბატონო ოთარ, დღემდე უკვირთ: ასეთმა ცნობილმა და მდიდარმა მომღერალმა როგორ ვერ მოახერხა სხვა საშუალებებით გახდომა... თანაც — სად პავაროტი და სად — წიწილაშვილი?

— აბა, რა გითხრათ?! რატომ ვერ მოახერხა მან სხვა საშუალებებით გახდომა — არ ვიცი... ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ იგი დიდი გურმანია. თუმცაღა, როგორც მისმა ნათესავმა და ჩემმა მეგობარმა, მარიო ფრეგონიმ გამიმხილა, მომღერალი წელიწადში ორჯერ მკაცრ დიეტებზე „იჯდა“ ხოლმე, რომლის წყალობით მხოლოდ 10-12 კგ-ს იკლებდა. არადა, 120-კილოიანი კაცისთვის ეს ხომ მიზერია და სრულიად შეუმჩნეველიც...

— როგორ შეიტყო თქვენი ჯემის შესახებ?

— უმაღლესი განათლება კიევში მაქვს მიღებული და სადოქტოროც თავის დროზე, იქ დავიცავი. კიევში 20 წელი ვიცხოვრე. სწორედ იქ დავუახლოვდი პავაროტის ნათესავს, მარიო ფრეგონის. მან იცოდა, თუ რაზე ვმუშაობდი ბოლო წლებში (ორგანიზმის გაწმენდა წიდებისაგან, აბსოლუტურად სუფთა, ნატურალურ პროდუქტებზე დამზადებული ჯემის საშუალებით წონაში დაკლება) და ჩემ შესახებ უამბო მომღერალს. მანაც იფიქრა, კიდევ ერთხელ ვცდი ბედსო და... როგორც ფრეგონიმ გადმომცა, განსაკუთრებულად იმით ყოფილა პავაროტი აღფრთოვანებული, რომ კვების შეუზღუდავად, ნელ-ნელა იკლებდა წონაში... მას 12 ულუფა ჯემი გავუგზავნე. თითო ულუფა ნახევარკილოგრამიან ქილას შეადგენს და ჭამის შემდეგ სადესერტო კოვზით მიიღება.

— მადლიერება მხოლოდ სიტყვით გამოხატა მომღერალმა?..

— არა, აი, ეს დიდი შავი ჩანთა გამომიგზავნა (ბატონი ოთარი მიჩვენებს ჩანთა-

გოგონებს (და ქალებს) ვურჩევ, რომ ჭამიდან ჭამამდე არ „ისუსნაონ“

ზღვის სიღრმის გამოსაკვლევი აპარატი	გამის ნოგი	შეეცარიელი სახალხო გმირი ვილჰელმ ...	თანხა, რომელსაც სტუდენტს უხდიან	რამდენია „სე“ ნარდში	ქანდაკება	ხელის ერთი
ბ ა ბ ი ს ა ჯ ი ლ ა ბ ე ნ ი ს ფ ი ს ი ნ ი ლ ა ს ა ბ ი ქ ე ბ ი ს ე						
შინაური ფრინველი	ფუტბრების სახელი	ადამიანი, რომელიც აგროვებს მარკებს	ლიტ. გაერთიანება „...ულები“	თბილისის კოლორიტული პერსონა ნიაგ ...	ზეთისებური სამ ორგანული ნივ	

ჩემოდანს, რომელსაც ზემოდან ვერცხლისფერი ასოებით „ლუჩანო“ აწერია).

— როგორც ვიცი, 6 საერთაშორისო ასოციაციის მუდმივი წევრი ხართ. ცოტა ხნის წინ კაიროში, საერთაშორისო კონგრესზე, თქვენმა გამოსვლამ უმაღლესი შეფასება მიიღო. ამჯერად რას ეხებოდა თქვენი მოხსენება?

— თემის აქტუალობა განაპირობა ჯერაც უცნობი, უკალიუმო უჯრედის შექმნამ და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებამ. ეს საკითხი უფრო მეტად ბიოლოგებს დაინტერესებთ...

— თქვენს მალამოს, რომელიც მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, „ოთომალი“, თქვენი სახელიდან გამომდინარე დაარქვით?

— მალამო 25 წელია, რაც არსებობს, მაგრამ „ოთომალი“ ამ 7 წლის წინ დავარქვი, როცა შვილიშვილი — პატარა ოთარიკო შემეძინა... სხვათა შორის, შვილები იმდენად არ არიან დაინტერესებულნი ჩემი საქმით, როგორც შვილიშვილი. თუმცა, „ოთომალის“ მიმართ მაინც გამოთქვამს თავის პრეტენზიას: არ მინდა, რომ მალამოს ჩემი სახელი ერქვას, რადგან ადამიანები მას ერთ „ცულ“ ადგილზეც იცხებენო *(„ოთომალი“ ბუასილის სამკურნალოდაც გამოიყენება. — ავტ.).*

— ვიცი, პროფესიის გარდა, სხვა გატაცებებიც გაქვთ...

— მთელი ცხოვრება სიმღერის ტრფიალი ვარ. ბავშვობაში ისე კარგად ვმღეროდი, რომ მსმენელი რობერტინო ლორეტის მამსგავსებდა. მერე, ისე მოხდა, რომ აგრონომობამ გამიტაცა, ბიოლოგიით დავინტერესდი და მუსიკას აღარ გავყევი... ფოტომოყვარულიც გახლავართ. ხშირად გავდივარ ბუნებაში და ისეთ რაღაცას წავაწყდები ხოლმე, რომ პატარა ბავშვივით ვერ ვფარავ აღფრთოვანებას. წარმოშობით ხარაგაულიდან ვარ, ჩემი სოფელი კიცხია, სადაც მშვენიერი იმერული ოდა მაქვს. სწორედ იმ სახლშია ჩემი „ლაბორატორია“. ზამთრობით იქ ვინახავ ნატურალურ პროდუქტებს, რომელსაც სამკურნალო მალამოსთვის ვიყენებ. ერთხელ, როცა ნახევრად გამხმარი ხურმის ხე გადავჭერი, განცვიფრებული დავრჩი — გადანაჭერი საოცრად ჰგავდა ადამიანის ჩანასახს — ნაყოფს მუცლად ყოფნის პერიოდში. მაშინვე ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და სურათი გადავუღე. ცისარტყელაც მაქვს გადაღებული. 26 აგვისტოს მამა გაბრიელის დაბადების დღეს, დიდი სეტყვის მერე, ორი ცისარტყელა გამოისახა ცაზე. ამ ფოტომ წელს, პარიზში გამართულ ფოტომოყვარულთა საერთაშორისო გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. გადავიღე ანდრია პირველწოდებულის თავის ქალის ფოტოც. როდესაც, წმინდანის თავის ქალა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაასვენეს, ვერავინ მოახერხა მისი გადაღება, მე კი ვიმარჯვე...



გადავიღე ანდრია პირველწოდებულის თავის ქალის ფოტოც. როდესაც, წმინდანის თავის ქალა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაასვენეს, ვერავინ მოახერხა მისი გადაღება, მე კი ვიმარჯვე...

— საუბრის დასასრულს, მაინც იმ მტკივნეულ თემას მინდა შევეხო, რომელიც მრავალ საქალბატონესა თუ ქალბატონს აწუხებს. ესაა წონაში დაკლება და წონის კორექცია. რას ურჩევთ მანდილოსნებს?

— მიმაჩნია, რომ თუ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესი არაა დარღვეული, ყოველთვის შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა. უპირველეს ყოვლისა, გოგონებს (და ქალებს) ვურჩევ, რომ ჭამიდან ჭამამდე არ „ისუსნაონ“. ჭამონ დღეში სამჯერ, ერთხელ, სადილობისას მიაყოლონ ერთი ნაჭერი დაღერღილი ხორბლის პური. ზოგს ჰგონია, რომ პური ასუქებს... მე კი გეტყვით — ასუქებს არასწორი კვება, ხოლო ხორბალი (საფუვრის გარეშე გამომცხვარი პური, ხმიადებს რომ ეძახიან) აუცილებელიცაა ორგანიზმისთვის. კვირაში ორჯერ გამოყავით ხან ბოსტნეულის დღე, ხანაც — ხილის. ნუ შეჭამთ საღამოს 7 საათის შემდეგ. თვეში ოთხჯერ კი, ასეთი რამ გააკეთეთ: ნურაფერს შეჭამთ, სანამ ძალიან არ მოგშივდებათ. დაახლოებით 2-3 საათზე (როცა შიმშილი შეგაწუხებთ), მიირთვით 1 კარგად მოხარშული კვერცხი და 1 ჭიქა წითელი ღვინო. კვერცხიც და ღვინოც მონაცვლეობით უნდა მიიღოთ, ისე, რომ თითქმის ერთდროულად დამთავრდეს. წესით, მთელი დღე აღარ უნდა მოგშივდეთ. ამ მეთოდით, ერთ თვეში, უმტკივნეულოდ დაიკლებთ 3-4 კგ-ს. ერთსაც გეტყვით, რაც სიახლეს სულაც არ წარმოადგენს: რაც შეიძლება მეტი იარეთ ფეხით. თუ მიუჩვეველი ხართ, თავიდან გაგიჭირდებათ, მაგრამ მერე, მიჩვევის ისეთი მოთხოვნილება გაგიჩნდებათ, რომ სიარული (ხანდახან ირბინეთ კიდეც) თქვენი ცხოვრების წესი გახდება. გისურვებთ წარმატებას!

როცა ნახევრად გამხმარი ხურმის ხე გადავჭერი, განცვიფრებული დავრჩი — გადანაჭერი საოცრად ჰგავდა ადამიანის ჩანასახს

სახსრების ქრონიკული დაავადება — ... ქარება	სხვადასხვა ხასიათის მასალის ლიტერატურული მონტაჟი	ეგვიპტელთა ღმერთი	საპორტო ქალაქი აშშ-ში	რომან „აივენჰოს“ ავტორი ვალტერ ...	შინაური რქოსანი პირუტყვი
ნ ი ს ხ ა ლ ი ს ო ლ ა ქ ი ს ბ ი ლ ა ბ ა ლ ი					
ალო ება	იულ ბრინერის გმირი ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	სავანის გრძელკისერა ცხოველი	სრუტე ... მანში	ალესანდრო ... პიერო	მარცხი	თხელი გამყოფი კედელი

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ტაძარში ვიმყოფებით

ტაძარი არის ღვთის სახლი, საყდარი, სადაც სუფევს ღმერთი, აღესრულება ღვთისმსახურება და ლოცულობენ მორწმუნენი. რადგან ტაძარი ღვთის სახლია, ბუნებრივია, მორწმუნეს უფლის სახლში სათანადო მოქცევა მართებს, რაც ქრისტიანის გარეგნულ ქცევაშიც გამოიხატება. ტაძარში ქრისტიანის გარეგნული ქცევა საკმაოდ მნიშვნელოვანია. „მცირედისადმი უყურადღებობით ადვილად გადავდივართ ყველაზე მნიშვნელოვანის, და ბოლოს, ყველაფრის არად ჩაგდებაზე“ — გვასწავლის ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი... როგორი მოქცევა მართებს ადამიანს ტაძარში ყოფნისას — საღმრთო მსახურებისას თუ სხვა შემთხვევაში? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალექსი ადამაშვილი.

მორენა მერკვილაძე

— რამდენად აუცილებელია მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ტაძარში სიარული?

— იმისათვის, რომ დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა დადიოდეს ტაძარში, რამეთუ ტაძარი, ეს ადამიანებისთვის ღვთისგან ბოძებული ხომალდია, რომლითაც ცოდვიანი ცხოვრების აბობოქრებული ტალღები უნდა გადაცურონ და მიადგნენ ნაპირს, რომელსაც ცათა სასუფეველი ჰქვია.

— ეკლესიური სწავლებით, ქრისტიანისათვის ტაძარში ყოველი მისვლა დღესასწაულია, ტაძარში მისვლით განსაკუთრებულად იკურთხება ადამიანის ყველა ღვთისთვის სათნო საქმე და წამოწყება. რამდენად აუცილებელია ეკლესიაში წასვლისას სათანადო განწყობის შექმნა?

— ეკლესიაში წასვლისას სათანადო განწყობის შექმნა აუცილებელია, რადგან ადამიანმა უნდა იცოდეს თუ სად მიდის. ავიღოთ უბრალო შედარება, დავუშვათ მივდივართ სტუმრად. ასეთ დროს იმ პიროვნების მდგომარეობიდან გამომდინარე, ვისაც უნდა ვესტუმროთ, ადამიანი წინასწარ იქმნის განწყობას, როგორ უნდა მოიქცეს. როდესაც თეატრში მივდივართ, შესაფერისად ვიმოსებით, ქალაქგარეთაც შესაფერისად ჩაცმულნი გავდივართ. აქედან გამომდინარე, როდესაც ეკლესიაში წასასვლელად ვემზადებით, უნდა გვახსოვდეს ერთი რამ, რომ მივდივართ ღვთის სახლში, სტუმრად ღმერთთან, რათა მივიღოთ მადლი და მონაწილეობა ღვთის სადიდებელში, ამიტომ ღირსეულადაც უნდა წარმოვჩინდეთ. ე.ი. გავითვალისწინოთ ვინ ვართ, სად მივდივართ, რისთვის მივდივართ და როგორი მოქცევა გვმართებს. როდესაც ტაძარს ვუახლოვდებით, წარმოვთქვათ ლოცვა დავითის ფსალმუნიდან: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი — ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა, შიშითა შენითა...“ რაც სათანადო განწყობის შექმნაშიც დაგვეხმარება.

„იმისათვის, რომ ეწვიო ტაძარს, საჭიროა მოემზადო ამგვარად: ლოგინიდან ადგომისთანავე მადლობა შესწირე ღმერთს, რომელმაც მოგცა შესაძლებლობა ღამის მშვიდად გატარებისა და განგვიგრძო დღენი სინანულისათვის. დაიბანე პირი, დადექი ხატის წინ, აანთე სანთელი, რათა მან აღძრას შენში ლოცვის სურვილი, მოიწესრიგე შენი აზრები, ყველას შეუნდე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექი ლოცვის კანონის შესრულებას. შემდეგ ამოიკითხე ერთი თავი „სახარებიდან“, ერთი სამოციქულოდან და ერთი კანონი „დავითნიდან“, ან თუ ცოტა დრო გაქვს ერთი ფსალმუნი...“ დამწყებთ შეუძლიათ ისარგებლონ შემოკლებული ლოცვანით და თანდათანობით უმატონ თითო-თითო ლოცვა.

სახლიდან გამოსვლისას თქვი: „განგიდგები შენ, სატანა, ამპარტავნებასა შენს და მსახურებასა შენსა და შემოვიდგები შენ, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ“.

გადაისახე პირჯვარი და მშვიდად წადი ტაძარში. მიმავალმა გადასახე ჯვარი გზას შენ წინ, სიტყვებით: „უფალო აკურთხენ ალაგნი ჩემნი და მიცევ მე ყოვლისაგან ბოროტისა“.

ტაძრისკენ მიმავალ გზაზე იმეორე ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

— როგორც აღნიშნეთ, ეკლესიაში ადამიანი შესაფერისად შემოსილი უნდა წავიდეს, მაინც როგორ უნდა ეცვას ადამიანს, რომელიც ტაძარში მიდის?

— ქალები ტაძარში არ უნდა შედიოდნენ თავდაუბურველნი, მანდილის გარეშე, შარვლით. ზოგჯერ ტაძარში მანდილოსნები გულამოღებული სამოსით და მკვეთრი მაკიაჟით შედიან, რაც დაუშვებელია. რაც შეეხება მამაკაცებს, ტაძარში უნდა შევიდნენ უქუდოდ.

— რამდენად აუცილებელია მეტანიის შესრულება ტაძარში შესვლის წინ და აუცილებელია თუ არა ტაძარში შესვლისას ლოცვა-კურთხევა ვთხოვოთ ღვთისმსახურს?

— თუკი ადამიანს სურვილი აქვს ტაძარში შესვლის წინ მეტანიის შესრულებისა, შეუძლია გააკეთოს მცირე მეტანია (მუხლმოდრეკის გარეშე, წელში მოხრით და ხელის მიწაზე შეხებით), რითაც გამოვხატავთ ღვთის წინაშე თაყვანისცემას. რაც შეეხება ღვთისმსახურის ლოცვა-კურთხევას, ეკლესიაში შესვლისას კარგია თუ ღვთისმსახურთან მივალთ და ვთხოვთ: „დამლოცე მამაო“, რადგან ღვთისმსახური ღვთისგან გამორჩეული,

ღვთისგან დადგენილი პიროვნებაა. იგი შუამავალი შემაერთებელი ხიდია ადამიანსა და ღმერთს შორის. ღვთისმსახური ღვთიური მადლის გამტარია, აქედან გამომდინარე, ადამიანმა ღვთიური მადლი ღვთისმსახურის მაკურთხებელი მარჯვენიდან უნდა მიიღოს. ე.ი. თუკი სურვილი გვაქვს, რომ ღვთიური მადლი პირდაპირ მივიღოთ, ეკლესიაში შესვლისას უნდა მივიდეთ ღვთისმსახურთან და მისგან ავიღოთ კურთხევა.

— როგორი მოქცევა მართებს ადამიანს, როდესაც ტაძარში იმყოფება?

— პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ტაძარს აქვს თავისი წესი, რიგი და კანონი. თუკი ადამიანს სურვილი აქვს, ტაძრიდან ის მადლი წაიღოს, რომლის მისაღებადაც მიდის, ტაძარში ყოფნისას უნდა იყოს სულიერად მშვიდად, მიეახლოს ხატებს და ილოცოს, რადგან მხოლოდ ტაძარში შესვლით და გამოსვლით, ადამიანზე ღვთიური მადლი არ გადმოდის. ტაძარში შესვლის უმთავრესი მიზანი, ღვთის სადიდებელში მონაწილეობის მიღებაა — წირვა-ლოცვაზე დასწრება თუ სხვა, რაც აუცილებელია თითოეული ადამიანისთვის, რადგან უფალმა ჩვენ გულში ნადებიც კი უწყის და თითოეულ ჩვენგანს ამჩნევს. როდესაც წირვა-ლოცვა მიმდინარეობს, მოძღვარი რამდენჯერმე ამბობს: „თქვენ აქა მდგომარენი, მკვედრებელნი, მოგიხსენოთ უფალმა სასუფეველსა თვისსა“... აქ სწორედ იმ ადამიანებზეა საუბარი, ვინც ტაძარში დგას და ღვთის სადიდებელში ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ მთავარია, ტაძარში დავდგეთ არა მოჩვენებით, იმისათვის, რომ სხვებმა დაგვინახონ, არამედ ვეცადოთ, რომ სარწმუნოებით მივუახლოვდეთ უფალს. შესაძლოა ადამიანი ფიზიკურად ტაძარში იმყოფებოდეს, მაგრამ მისი გონება მიწიერი საზრუნავით იყოს დაკავებული, ასეთ დროს ჩვენი ლოცვა უფლისგან არ შეისმინება. მადლს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, როდესაც ჩვენი ქცევა, ჩვენს გულსა და გონებასთანაა შეთანხმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მოჩვენებით ვევედრებით უფალს და არა სარწმუნოებით.

P.S. როდის არის აუცილებელი ტაძარში მისვლა ღვთისმსახურებაზე დასასწრებად? შეიძლება თუ არა საზრდელის მიღება, როდესაც წირვა-ლოცვაზე დასასწრებად მივდივართ? — ამ და სხვა საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში განგიმარტავთ.

■

ღვთისმშობლობა

21 სექტემბერს, მართლმადიდებლური ეკლესია, თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას იდღესასწაულებს. ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება — „შობა მარიამისა“, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ როგორ მოხდა შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა... ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი დაიბადა გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები იყვნენ, მართალი იოაკიმე და მართალი ანა. მათ შვილი არ ეძლეოდათ, მაგრამ არასოდეს კარგავდნენ იმედს, რომ ღმერთი შვილს მიჰმადლებდათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს — თუ შვილი მეცემოდათ, მას ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელებში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა, ამიტომ იოაკიმე და ანა ხშირად, უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე, იოაკიმემ ღვთისთვის შესაწირად მსხვერპლი მიიტანა იერუსალიმის ტაძარში, მაგრამ მას უშვილობის გამო უღირსი უწოდეს და მღვდელმთავარმა მსხვერპლის შეწირვაზეც უარი განუცხადა. იოაკიმე ძალიან დამწუხრდა და უდაბნოს მიაშურა, სადაც ორმოცი დღე ლოცვასა და მარხვაში გაატარა.

ღმერთმა მართლაც შეისმინა იოაკიმესა და ანას ვედრება. ანას მთავარანგელოზ გაბრიელისგან ეუწყა, რომ მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდებოდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდა. როდესაც ანას ასული შეეძინა, მშობლებმა ახალშობილს მარიამი უწოდეს.

რითაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვთისმშობლის შობა? რატომ ჩათვალა წმინდა ეკლესიამ საჭიროდ, რომ შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა, თორმეტ საუფლო დღესასწაულთა რიგში შეეტანა? როგორ უნდა გვესმოდეს ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა? — ამ კითხვებზე ავჭალის წმინდა დიდმოწამე ქეთევანის ტაძრის მოძღვარი, **მამა გიორგი** *გვიპასუხებს.*

— ბუნებრივია, ღვთისმშობელი ჯერ კიდევ ჩასახვამდე მზადდებოდა იმისათვის, რომ მომავალში, დედა გამხდარიყო ღვთისა. როგორც ვიცით, ღვთისმშობელი იშვა წმიდა და მართალი მშობლების, იოაკიმესა და ანასაგან და მათი შეუღლების ერთადერთი ნაყოფი იყო. რაკი უნაყოფო დედაკაცისგან მოხდა შობა, ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს ღვთის განგებულებას. ღვთისმშობლის დაბადება ძალიან წაგავს იოანე ნათლისმცემლის დაბადების გარემოებას: ხანდაზმულობის ასაკში მიეცათ მშობლებს იოანე წინამორბედიც, ამით ღმერთმა მინიშნება მოგვცა, რომ ბერწისგან შობა და ხანდაზმულობის ასაკში ჩასახვა ვნების გარეშე, სუფთა და ღვთისგან გამორჩეულია. ამასთანავე, როგორც საღმრთო გადმოცემიდანაა ცნობილი, მარიამის მომავალი ჩასახვის შესახებ, მთავარანგელოზი გაბრიელი ანას მაშინ აუწყებს, როდესაც ის დაფნის ხის ქვეშ, სკამზე ზის. ანას ჩიტის ჭიკჭიკი მოესმა, რომელიც შვილებს აპურებდა, იგი მწარედ ატირდა და თქვა: ღმერთმა ჩიტი გახადა ღირსი, რომ მისთვის შვილები მეცა, მე კი შვილიერება დახშული მაქვსო. ამ დროს მთავარანგელოზი გაბრიელი ამცნობს, რომ მისი ვედრება ღმერთმა შეისმინა და მალე გაუჩნდება მემკვიდრე, ხოლო ნაშობი მისი განდიდდება.

— რა ღვთისმსახურებას აღასრულებს მართლმადიდებლური ეკლესია ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე და როგორ უნდა ეგებებოდეს მას მორწმუნე?

— ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, ისევე, როგორც სხვა საეკლესიო დღესასწაულების დღეებში, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში აღესრულება საგანგებო სადღესასწაულო ღვთისმსახურება, რომლის დროსაც განდიდებულია ის უდიდესი მოვლენა, რომელსაც დღესასწაულობს იმ დღეს ეკლესია. ღვთისმშობლის შობის ღვთისმსახურების დროს, ეკლესია აღავლენს საგანგებო საგალობლებს, რომელიც მიძღვნილია წმინდა ქალწულისადმი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს, მორწმუნე, სხვა საეკლესიო დღესასწაულთა მსგავსად, საგანგებო ღვთისმსახურებაზე დასწრებით, მოწყალების გაცემით, სულიერებაზე მომეტებული ზრუნვით თუ ქრისტიანისათვის შესაფერისი, სხვა ქცევით უნდა მიეგებოს და რაც მთავარია, მიიღოს ზიარება.

■

სუპერმცველი მილანიდან

მინიდოსიე:

დაბადების თარიღი: 1968 წლის 26 ივნისი

სიმაღლე: 187 სმ

წონა: 85 კგ

მიღწევები: იტალიის ექვსგზის ჩემპიონი; ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი; 4-4-ჯერ აქვს მოპოვებული იტალიისა და ევროპის სუპერთასი. გარდა ამისა, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს, ხოლო 1994 წლის მუნდიალზე — ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ალექსი რეხვიაშვილი

პაოლო მალდინი არა მარტო „მილანის“ ერთ-ერთი ლეგენდაა, არამედ 15 წელზე მეტია, რაც კლუბის ნამდვილ სიმბოლოდ ითვლება. პაოლო ბავშვობიდან ოცნებობდა სახელოვან ფეხბურთელობასა და იმ დიდი წარმატების გამეორებაზე, რომელიც მამამისს, ჩეზარეს ჰქონდა. რამდენიმე ათეული წლის წინ, მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მალდინი-უმცროსი მალდინი-უფროსის მიღწევებს დაჩრდილავდა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცეოდა. გარდა ამისა, იტალიის ეროვნული ნაკრების ვეტერანი კიდევ ერთი ღირსებით გამოირჩევა, რითიც იგი თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავებისგან განსხვავდება. თითქმის 20 წელია, რაც პაოლო „მილანის“ ღირსებას იცავს და სხვა საკლუბო გრანდებისგან არაერთი მაცდუნებელი შეთავაზების მიუხედავად, მას ერთხელაც არ გასჩენია გუნდის შეცვლის სურვილი. სწორედ ამიტომ, ორიოდე კვირის წინ, უეფას მიერ მოწყობილ დაჯილდოების ცერემონიაზე „მილანისა“ და „სკუადრა აძურას“ ვარსკვლავს მშობლიური კლუბის ერთგულებისა და ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, უმაღლეს დონეზე თამაშისთვის ლენარტ იუჰანსონმა სპეციალური პრიზი გადასცა.

პაოლო მალდინის საფეხბურთო თუ ცხოვრებისეული გზა აბსოლუტური წარმატებისა და იდეალური კარიერის უნიკალური მაგალითია, რომლის ანალოგიც საფეხბურთო სამყაროში ძნელად მოიძებნება. ცხადია, სახელოვანი ჩეზარეს ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა მის წარმატებაში, თუმცა რომ არა ღვთისაგან ნაბოძები ნიჭი და დიდი შრომისმოყვარეობა, მხოლოდ მამის ავტორიტეტის წყალობით, მალდინი-უმცროსი უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობას ვერ შეძლებდა. პაოლოს აღმასვლას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მან სწორედ იმ პერიოდში დაიწყო „მილანის“ მთავარ გუნდში თამაში, როდესაც სახელოვან იტალიურ კლუბს სილვიო ბერლუსკონი ჩაუდგა სათავეში. მოგეხსენებათ, სწორედ ამ კაცის სახელთანაა დაკავშირებული „მილანის“ ფენომენალური მიღწევები არა მარტო იტალიაში, არამედ ევროპულ სარბიელზეც. საგულისხმოა ისიც, რომ გუნდი ყოველთვის უცხოელ ვარსკვლავებზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა ამ ფაქტს მალდინი-უმცროსისთვის ბრწყინვალე კარიერის გაკეთებაში ხელი არ შეუშლია. ამასთან, პაოლოს სხვა ვარსკვლავების მსგავსად, არასოდეს ჰქონია აღმასვლისა და ჩავარდნის პერიოდები, იგი იტალიური საკლუბო გრანდის საბავშვო გუნდში მისვლის დღიდან სტაბილურად მიიწევდა ზევით. გასაოცარია, მაგრამ წინსვლაში მისთვის ტრავმასაც არასოდეს შეუშლია ხელი, თუმცა სახელოვანი მცველი, მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა და არც ყველაზე მწვავე ორთაბრძოლებს არიდებდა თავს. ერთი სიტყვით, თუკი მოკლედ შევეცდებით პაოლო მალდინის ცხოვრების დახასიათებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იყო, არის და მუდამ იქნება ვარსკვლავი.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თავის დროზე პაოლო მალდინის მისსავე სათამაშო ამპლუამ შეუშალა ხელი „ოქროს ბურთის“ („ფრანს ფუტბოლის“ მიერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი) ან „ბრილიანტის ბურთის“ (ფიფას მიერ დაწესებული პრიზი პლანეტის საუკეთესო მოთამაშისთვის) მოპოვებაში. როგორც ცნობილია, სპორტული ჟურნალისტები ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველთვის შემტევი ფუნქციების მქონე ოსტატებს ანიჭებენ უპირატესობას, რის გამოც, ხშირად დაუმსახურებლად, ჩრდილში ექცევიან საუკეთესო მცველები და მეკარეები. ასე მოხდა 1995 წელსაც. „წილად მხვდა პატივი, ფიფას ვერსიით, საუკეთესო ფეხბურთელი დამეჯილდოებინა, — იხსენებს ხრისტო სტოიჩკოვი, — კულუარებში ამბობდნენ, რომ პრიზი პაოლოს უნდა მიეღო. მეც გაკვირვებული დავრჩი, როდესაც საუკეთესოდ ჯორჯ ვეა დასახელდა, ხოლო მალდინის, მეორე ადგილი ერგო. მხოლოდ მეორე!..“

მაშინ პაოლო მალდინის იმედგაცრუება არ გამოუხატავს. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ვეა მართლაც საუკეთესო იყო, ხოლო თავად მისთვის მსგავსი ჯილდოების მოპოვება თვითმიზანს არ წარმოადგენდა. უკვე შემდეგ, „მილანის“ ვარსკვლავი მასმედიის წარმომადგენლებს გამოუტყდა — მეტისმეტად ფიცხი ჟურნალისტები ხშირად მხოლოდ გოლებზე ფიქრობენო. მიუხედავად ამისა, მილანელი ვარსკვლავი სპორტულ მიმომხილველებსა და კორესპონდენტებს უყურადღებოდ მაინც არ დაუტოვებიათ. სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, პაოლო მეოცე საუკუნის საუკეთესო იტალიელ მცველად დასახელდა, ხოლო ავტორიტეტ-



ულმა „უორლდ სოქერმა“ მას სულაც პირველობა მიანიჭა მთელი პლანეტის მასშტაბით.

„ისეთი დიდი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშმა მომიწია, როგორიც პლატინი, ზიკო, კარეკა, მათეუსი არიან, მაგრამ მათ შორის საუკეთესო, დიეგო მარადონა გახლდათ. არგენტინელი მცველთათვის ნამდვილი კოშმარი იყო. მაოცებდა ვეას ენთუზიაზმი, ვტკბებოდი ბატისტუტას თამაშით, ქედს ვიხრიდი გენიალური პლატინისა და ტრავმებით გაწამებული ვან ბასტენის წინაშე, მაგრამ პირველ ნომრად მაინც მარადონა რჩება, სხვები კი, მხოლოდ მის ზურგს უკან არიან!“ – ამბობს მალდინი, რომელმაც ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ გამოავლინა თანამედროვე ფეხბურთში დიდი წარმატების მისაღწევად აუცილებელი სათამაშო თვისებები. როდესაც იგი მარცხენა მცველის ფუნქციას ასრულებდა, მთელ ფლანგს აკონტროლებდა, ხშირად იერიშების ორგანიზატორადაც გვევლინებოდა და დაცვის ცენტრშიც დამაჯერებლად თამაშობდა (სწორედ ცენტრალური მცველის პოზიციაზე უწევს მალდინიუმცროსს თამაში ამჟამად). ამასთან, პაოლო ყოველთვის ცნობილი იყო თავმდაბლობითა და თავდაუზოგაობით, რაც მის ვარსკვლავურ სტატუსს კიდევ უფრო მეტ სიკაშკაშეს სძენდა.

პაოლო, ჩეზარე მალდინისა და მარია ლუიზას პირველი ვაჟიშვილი გახლდათ. მანამდე მალდინების ოჯახში სამი გოგონა – მონიკა, დონატელა და ვალენტინა – იზრდებოდა. მოგვიანებით კი, მარია ლუიზას კიდევ ორი ბიჭი შეეძინა – ალესანდრო და პიერ ჩეზარე. სახელოვანი ჩეზარე მალდინის ტრადიცია კი, პაოლომ გააგრძელა. როგორც ცნობილია, მალდინი-უფროსი „მილანის“ კაპიტანი გახლდათ და იტალიელთა შორის პირველად სწორედ მას ერგო ევროთასის აღმართვის პატივი. „ჩემს ოჯახს ფეხბურთთან სპეციფიკური დამოკიდებულება აქვს. მამაჩემი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო. ასე რომ, როდესაც დავიბადე, კალჩო სისხლსა და ხორცში უკვე გამჯდარი მქონდა. ჩემი პირველი საფეხბურთო მოგონებები სკოლასთანაა დაკავშირებული. სწორედ იქ შემიყვარდა სპორტის ეს სახეობა. შემდგომ არჩევანში ეჭვი არასოდეს შემპარვია. მეგობრებთან ერთ-ერთი მორიგი ბურთაობის შემდეგ მამამ მითხრა, რომ მე თამაშის კარგი სტილი მქონდა. შემდეგ, ისევე, როგორც არაერთმა ბიჭუნამ, მეც „მილანის“ საბავშვო გუნდში დავიწყე წვრთნა. გარკვეული დროის შემდეგ კი, თამაში ჩემთვის სამუშაოდ იქცა“, – იხსენებს პაოლო მალდინი, რომლის დებიუტი იტალიის ჩემპიონატში 1985 წლის 20 იანვარს შედგა. სერია A-ში ჩატარებულ პირველ მატჩს მალდინი ყოველთვის მღელვარებით იხსენებს: „ჩემი კარიერის მანძილზე, არაერთ თვალისმომჭრელ მატჩში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ „მილანის“ მაისურში სადებიუტო შეხვედრა ყოველთვის მემახსოვრება. იმ დღეს ჩვენმა მწვრთნელმა, ნილს ლიდჰოლმმა „უდინეზესთან“ სათამაშოდ მიხმო. მაშინ სულ 16 წლისა ვიყავი და შეიძლება, ლიდჰოლმის გადაწყვეტილებას გუნდის ზოგიერთი მოთამაშე არც იზიარებდა. სრულიად მოულოდნელად, მე ტრავმირებული ბატისტინის ნაცვლად უნდა მეთამაშა. ემოციები მომეძალა. თავიდან შიშმა შემიპყრო. უფრო მეტიც, ნერვიულობისაგან ვკანკალებდი. მახსოვს, წვიმდა და თამაშიც უსახური და მოსაწყენი იყო. თავი ხელში უნდა ამეყვანა, რათა შესაძლებლობები სრულიად გამომევლინა. ამგვარად, ჩემი ნერვიულობა თანდათან, სადებიუტო მატჩში მონაწილეობით მიღებულ აღტაცებაში გადაიზარდა“...

სადებიუტო თამაშიდან ნახევარი წლის შემდეგ, პაოლო „მილანის“ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ იქცა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კლუბი და მისი ვარსკვლავები აღმავლობის გზაზე იდგნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ფრანკო ბარეზი, რომლისგანაც შემდგომში, მალდინის, კაპიტნის სამკლავური ერგო. პაოლო სახელოვანი მამის გზას ღირსეულად აგრძელებდა. „თავიდან არ მსიამოვნებდა, როდესაც ჩეზარე მალდინის ვაჟიშვილად მომიხსენიებდნენ, – ამბობს „მილანის“ მცველი, – მაგრამ შემდეგ შევეგუე. ახლა სასაცილოდაც კი მეჩვენება ამაზე საუბარი. მე ხომ ყოველთვის უღალატოდ ვემსახურებოდი ჩემს საქმეს და თავი არასოდეს დამიზოგავს – ჩვენი ოჯახის კრედოც სწორედ ეს გახლავთ. მამაჩემმა ყველაფერს თავისი ფეხების წყალობით მიაღწია. მეც ყველაფერს ვაკეთებდი წარმატების მისაღწევად და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დიდ ფეხ-

ბურთში ადგილის დასამკვიდრებლად პროტექცია არ დამჭირვებია“.

იტალიის ეროვნულ ნაკრებში პაოლო მალდინიმ პირველად 1988 წლის 31 მარტს ითამაშა, როდესაც იგი 19 წლის იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნიჭიერი მცველი „სკუადრა აძურას“ ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ქვეყნის მთავარ გუნდში მისი მიღწევები მართლაც ნებისმიერ ვარსკვლავს შეშურდებოდა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ პაოლომ ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ამასობაში კი, ფეხბურთში საზღვრები თანდათან იშლებოდა და მოთამაშეებიც უპრობლემოდ გადადიოდნენ ერთი კლუბიდან მეორეში. თუმცა ეს ტენდენცია მალდინის არ ეხებოდა, რომელიც ყოველთვის რჩებოდა „მილანის“ პატრიოტად. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მას შეეძლო, პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელად ქცეულიყო. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხომ იტალიურ კლუბს მის სანაცვლოდ 60 მილიონ დოლარს სთავაზობდა. „მილანის“ ვარსკვლავს კიდევ ერთი ბრიტანული კლუბი, „მანჩესტერ სიტიც“ იწვევდა. ამ მხრივ განსაკუთრებულად გუნდის თავგამოდებული ფანი, Oasis-ის ლიდერი ნოელ გალახერი აქტიურობდა, რომელიც მალდინის დიდი ქომაგიც ყოფილა. ერთხელ კი, ნოელისთვის (თავად იგი პლანეტის მილიონობით ახალგაზრდის კერპია) იტალიელ მცველს თავისი 3-ნომრიანი მაისური უჩუქებია. მას შემდეგ, „მილანის“ ფორმა როკ-მუსიკოსისთვის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას რელიკვიად ითვლება. „პაოლო, დაივიწყე მილანი და ჩვენთან, მანჩესტერში გადმოდი. „სიტიში“ შენი ხილვა გვსურს. სატრანსფერო თანხას ჩვენ გადავიხდით, შენ კი, ჩვენს ჯგუფში მოღვაწეობის საშუალებაც მოგეცემა“, — ალბათ მიხვდით, „მილანის“ კაპიტნის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვებიც ძმებ გალახერებს ეკუთვნით. თუმცა, იმხანად ინგლისის პირველ ლიგაში მოთამაშე „მანჩესტერ სიტის“ მესვეურებსა და გულშემატკივრებს ნაკლებად უნდა ჰქონოდათ დიდების მწვერვალზე მყოფი პაოლო მალდინის გადაბირების იმედი.

სხვათა შორის, Oasis-ის ლიდერთა მიერ „მილანის“ მცველის ჯგუფში მიწვევა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. მალდინის თაყვანისმცემელთათვის, კარგადაა ცნობილი, რომ მათი კერპი თავადაც გატაცებულია მუსიკით. „სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მიყვარს: როკიდან დაწყებული და მსუბუქი რეპით დამთავრებული, — ამბობს პაოლო, — ჩემი დაინტერესება ამ სფეროთი ძალიან ფართოა — მთელი 360 გრადუსით. ვთქვათ, ჩემთვის იმ ხუთი დისკის ამორჩევის წინადადება რომ მოეცათ, რომელსაც უკაცრიელ კუნძულზე წავიღებდი, დიდ საგონებელში ჩამაგდებდნენ. ჩემს კოლექციაში ბრიტანელი შემსრულებლების დისკები ჭარბობს. მათ შორისაა, „ოაზისი“ და თვით „სპაის გერლზი“. ძალიან მშურს წინა თაობის მოთამაშეებისა. მათ ხომ იმის შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ცოცხლად ენახათ და მოესმინათ „ბითლზი“.

ერთხანს პაოლო იტალიურ „რადიო 105“-ზე DJ რინგოსთან ერთად მუსიკალურ პროგრამასაც უძღვებოდა. „დივჯეის როლში ჩემი ექსპერიმენტები ბევრს ალბათ შოკშიც აგდებდა, მაგრამ ბევრს მოეწონა კიდეც. თუმცა ვაჟიშვილის, კრისტიანის დაბადების შემდეგ, სერიოზული საუბარი მქონდა ცოლთან, ადრიანასთან. იგი მაიძულებდა, რომ თავისუფალი დრო ბავშვისთვის დამეთმო. ასე რომ, ამჟამად მუსიკა ჩემთვის მხოლოდ გართობისა და განტვირთვის საშუალებადღა რჩება“, — იხსენებს პაოლო, რომელსაც მეორე ვაჟიშვილი, დანიელიც შეეძინა. ვარსკვლავის თქმით, მას ბავშვები ამქვეყნად ყველაზე დიდ სიხარულს ანიჭებენ. პაოლო არ გამორიცხავს, რომ მისმა ერთ-ერთმა ვაჟიშვილმა მალდინების ოჯახის დიდი საფეხბურთო ტრადიცია გააგრძელოს. „კრისტიანი სწორედ იმ დღეს დაიბადა, როდესაც „სკუადრა აძურა“ ევროპის ჩემპიონატის მატჩს ატარებდა. შეიძლება, ეს ბედის მინიშნებაცაა“, — დასძენს მალდინი, რომელიც მთელ თავისუფალ დროს ოჯახთან ერთად ატარებს, რაც არ შეიძლება არ ახარებდეს მის მომხიბვლელ მეუღლეს. ადრიანა ფოსამ ხომ ყველაზე უკეთ იცის — მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მილიონობით გოგონას პაოლოზე მზე და მთვარე ამოსდის. სწორედ ამიტომ, აღარც ისაა გასაკვირი, რომ ფეხბურთელის სახე არაერთხელ დაბეჭდილა კალენდარსა თუ პოპულარული გამოცემის პირველ გვერდზე. თვით ლინდა ევანგელისტაც კი, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ფაბიენ ბარტეზის საყვარლად ითვლებოდა, რეგულარულად ესწრებოდა მატჩებს მალდინის მონაწილეობით, თანაც ამტკიცებდა — ამქვეყნად პაოლოს ყველაზე ლამაზი თვალები აქვსო.

ამბობენ, რომ ოჯახში პაოლო ყოველგვარი თამაშისგან თავს იკავებს. მის სახლში არც ისე ხშირად მოისმენთ ფეხბურთზე საუბარს. „მილანის“ მცველი ამბობს, რომ მშობლებთან ერთად სადილობის დროსაც კი, ფეხბურთზე ლაპარაკისაგან თავს იკავებს. მიუხედავად ამისა, 35 წლის პაოლო დღესაც „მილანის“ ნამდვილ ლიდერად რჩება. შემთხვევით როდი უწოდებს მას სილვიო ბერლუსკონი „მცველს ღმერთისაგან“... ■

ფრაზა გენიალური

ადამიანები მხოლოდ მაშინ გვაწვდიან საინტერესო ცნობებს, როცა ჩვენ მათ ვეწინააღმდეგებით.

ბერნარდ შოუ

ქალები „ევას“ კოსტიუმში

განთქმულმა მოდელმა ევა ჰერციგოვამ გადაწყვიტა, ბიზნესის სხვა სფეროში გამოცადოს თავი. ახლახან მან განაცხადა, რომ თავად შექმნის საბანაო კოსტიუმების ესკიზებს. „ევას“ საბანაო კოსტიუმები მომავალი წლის გაზაფხულზე გაიყიდება. ჯერჯერობით, მან 12 მოდელის კომპლექტი დაამუშავა – შესაბამისი ქვედაბოლოებით, კაბებითა და შარვლებით...

თითოეული ტანსაცმლის (არა კომპლექტის) სავარაუდო ფასი იქნება 110 დოლარი. პერსპექტივაში ევა სპორტული ფეხსაცმლის გამოშვებასაც გეგმავს, რისთვისაც ფირმა Sabelt-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ■

კარლ ლაგერფელდი – უასაკო მამაკაცი

ცნობილი კუტიურიე კარლ ლაგერფელდი დაბადების დღის აღსანიშნავად ემზადება. იგი 65 წლის ხდება, მაგრამ გერმანულმა ტაბლოიდებმა ვერ მოისვენეს – არქივები ამოქექეს და აღმოაჩინეს, რომ იგი 1938-ში კი არა, სინამდვილეში 1933 წელსაა დაბადებული. გამოდის, რომ ოსტატს 65-ის ნაცვლად 70 წელი უსრულდება.

ბრალდების საპასუხოდ ლაგერფელდმა მხრების აჩეჩვით განაცხადა: „მე თუ მართლა 70 წლის ვარ, უკეთესიცაა, ვინაიდან ბუნების ფენომენი გამოვდივარ. ეს კი ჩემი წიგნისთვის საუკეთესო რეკლამად გამოდგება. მე ახალგაზრდად კი არ მიამჩნია თავი, არამედ – უასაკო ადამიანად“.

საინტერესოა, სკოლის მეგობრების რეაქციაც (თქვენ წარმოიდგინეთ, სახელგანთქმული კუტიურიეც სწავლობდა ოდესღაც სკოლაში): „ჩვენ ვიცით, რომ ლაგერფელდი 70 წლისაა, მაგრამ თუკი ის ამბობს, რომ 65-ისაა, მაშინ, იყოს ისე, როგორც თვითონ სურს“. ■

ანნი მარმრას მტერი კი არა, მეგობარია

მიუხედავად იმისა, რომ კალიფორნიის გუბერნატორის მომავალ არჩევნებზე არნოლდ შვარცენეგერი რესპუბლიკურ პარტიას უჭერს მხარს და მის ინტერესებს იცავს, თავგამოდებული დემოკრატი ბარბრა სტრეიზანდი მას მაინც მეგობრად მიიჩნევს. ისინი კინობიზნესთან დაკავშირებული საკითხის გამო შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა თავიანთ განსხვავებულ პოლიტიკურ მოსაზრებებზეც თავისუფლად ისაუბრეს. „ერთხელ მასთან ერთად ვივახშმე და შესანიშნავი დრო გავატარე. საოცრად მოვიხიბლეთ ერთმანეთით, ხოლო როცა პოლიტიკურ პოლემიკაში ჩავებით, სიცილი აგვივარდა“, – აღნიშნა სტრეიზანდმა, რომელმაც შვარცენეგერის გუბერნატორად არჩევის პროგნოზისგან თავი შეიკავა. ■

კეიტ მოსი თხოვდება

ბრიტანეთის პრესის ინფორმაციით, ცნობილმა მოდელმა კეიტ მოსმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, თავისი 11 თვის ქალიშვილის, ლილი გრისის მამასთან, ჟურნალ Dazed And Confused-ის 31 წლის რედაქტორ ჯეფერსონ ჰეკომთან 3 წლის ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცეს. წყვილმა მეგობრებს საკუთარი ხელით დაწერილი მოსაწვევები დაუგზავნა. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ნოემბერში იქორწინონ, თუმცა ზუსტ თარიღს, ჯერჯერობით, არ ამხელენ. შეყვარებულებმა ბევრი რამ ისწავლეს სტელა მაკარტნის ქორწილზე, რომელიც გასულ უიკ-ენდზე შედგა.

კეიტ მოსს უნიკალური გარეგნობა აქვს – რამდენადაც ბრწყინავს ჟურნალების გარეკანზე, იმდენად შეუმჩნეველი რჩება ცხოვრებაში. როცა ის სტელას ქორწილში, კუნძულ ბოტზე ჩავიდა, მეეტლემ, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს ხვდებოდა, სიხარულით შეატყობინა, რომ ქორწილში თავად კეიტ მოსი აპირებდა ჩამოსვლას. „რას ამბობთ?“, შეიცხადა კეიტმა – „როგორია ის?“ – მეეტლემ ბევრი ილაპარაკა მოსის სილამაზეზე, ხოლო, როცა კეიტმა თავისი სახელი გაუმხილა, არ დაუჯერა. მატყუებთ, – უთხრა მან, – მე კეიტ მოსს ერთი კილომეტრის მანძილზე ვიცნობდიო. ■

ნმუდთ ვეთემთვეაით გეუნნაშუ აქნსშმთ თაკვაპეთ სტვაით

ნანა ქიბიშაური

ტაილანდი ცნობილია თავისი ეგზოტიკით და ლამაზი ქალებით, რომელთაც მსოფლიოში მასაჟის ხელოვნებით გაითქვეს სახელი. როგორც ქართველი მოგზაურები ამბობენ, ტაილანდის ცენტრალურ უბნებში ისეთივე რაოდენობითაა სამასაჟო კაბინები ჩამწკრივებული, როგორც ჩვენთან სავაჭრო ჯიხურები. გამოცდილებამიღებული ტურისტები ახალჩასულებს აფრთხილებენ, რომ ბევრი ე.წ. სამასაჟო კაბინა სინამდვილეში შენიღბული საროსკიპოა, სადაც უცხოელებს მოხერხებული „მასაჟისტები“ ჯიბეებს უსუფთავებენ, მაგრამ ახალჩასულები „ძველებს“ სიტყვაზე არ ენდობიან და თავად ცდილობენ, დარწმუნდნენ, თუ რას ნიშნავს ეს ყბადაღებული ტაილანდური მასაჟი – საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ტრადიციული ცოდნით და ახლებური ინტერპრეტაციით... მოდით, ახლა ქართულ მასაჟსა და მასაჟისტებზეც ვთქვათ ერთიორი სიტყვა.

ერთი ჩემი მეგობარი, ცხიმებისა და ცელულიტის დაშლის მიზნით მივიდა საკმაოდ ცნობილ ქართველ მასაჟისტთან, რომელიც როგორც თვითონ ამბობს, ძირითადად, „მოდელების ცხიმებზე მუშაობს“. ერთი კვირის შემდეგ კი, ერთიანად დალილავებულმა შემომჩივლა, 10-15 ცალი გეპარინის მალამო მჭირდება, რომ ორგანიზმმა ჰემატომები როგორმე გაიწოვოსო. მასაჟისტი კი თავს იმართლებდა: შეადარეთ სხეულის კორექცია ცხვირის პლასტიკურ ოპერაციას: როგორც პლასტიკური ოპერაცია, სხეულის კორექციაც წარმოუდგენელია სისხლჩაქცევების გარეშო. დღეს თითქმის ყველა პრესტიჟულ სალონსა თუ სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობენ ექიმი-მასაჟისტები და მათი მომსახურებაც საკმაოდ ძვირად ღირებულია. ამის მიუხედავად, ისინი მასაჟის გაკეთების მსურველთა ნაკლებობას არ უჩივიან. რა უნდა ვიცოდეთ მასაჟის შესახებ ან უნდა დავეჭვდეთ თუ არა ექიმის პროფესიონალიზმში, თუკი მასაჟის შემდეგ, სხეულზე სისხლჩაქცევები ჩნდება? ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს ექიმი-მასაჟისტი ***რუსუდან ჭანკოტაძე.***

— მასაჟის ეფექტურობაზე ბევრი რამ გვსმენია, მაგრამ იმასაც ამბობენ — მისი ეფექტურობა, ვგულისხმობ საკორექციო მასაჟს, დროებითია და საბოლოოდ, სხეული ისევ ძველ ფორმას იბრუნებსო...

— მასაჟის ეფექტურობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მისი სამკურნალო შესაძლებლობები უსაზღვროა. უმჯობესდება არა მარტო სხეულის ვიზუალური მხარე, არამედ შინაგანი ორგანოების ფუნქციებიც, ქრება კუნთების დაღლილობა, მატულობს შრომისუნარიანობა, ჩნდება სიმსუბუქის შეგრძნება, ძლიერდება ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესები და რაც მთავარია, ადამიანს ეუფლება კარგი განწყობილება. საერთოდ, ყველა დაავადება უარყოფითი ემოციის საფუძველზე ჩნდება. მასაჟმა ადამიანს სიამოვნების განცდა უნდა მოჰგვაროს და არავითარ შემთხვევაში, ტკივილის განცდა. არადა, ბევრი პაციენტი ჩივის, რომ მასაჟის შედეგად, სისხლჩაქცევები გაუჩნდა. ეს მეტყველებს მასაჟისტის არაპროფესიონალიზმზე, რადგან უხეში ხელით გაკეთებული მასაჟი იწვევს ტკივილს, ის კი თავის მხრივ, რეფლექსურად იწვევს არასასიამოვნო ვეგეტაციურ რეაქციას. ტკივილის შედეგად სისხლში იზრდება ადრენალინის, ჰისტამინისა და შაქრის რაოდენობა, სისხლის შედედების უნარი. ჰემატომები – თუ დიდი რაოდენობით გაჩნდა სხეულზე – საშიშია ჯანმრთელობისთვის და ის შეიძლება სხვა დაავადების საფუძველიც კი გახდეს. დაჟეჟილობის ნიადაგზე ისეთი დაავადების გაჩენაცაა მოსალოდნელი, როგორიცაა სიმსივნე. საკორექციო მასაჟი ხანგრძლივ პროცედურებს და სისტემატურ ყურადღებას მოითხოვს. ცხიმისა და ცელულიტისკენ მიდრეკილი ორგანიზმი ისევ ძველი ფორმების დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ თუ მასაჟისტის რჩევების გათვალისწინებით და სწორი ცხოვრების წესით იცხოვრებთ, მასაჟის შემდეგ მიღწეულ შედეგს სხეული აუცილებლად შეინარჩუნებს.

— როგორც ვიცი, მშობიარობის შემდეგ, სხეულის კორექციის მიზნით ბევრი ქალი აკითხავს მასაჟისტს...

— ჩემი აზრით, ამ პერიოდში აუცილებელია, მასაჟისტი დაეხმაროს ქალს, თუკი მას უნდა, რომ სხეულის ძველი ფორმები დაიბრუნოს. მშობიარობის შემდეგ ბევრს რჩება კუნთების დაძაბულობა, სახსრების ტკივილი და ა.შ. რაც შეეხება ღარებს, რომელიც მშობიარობის შემდეგ არცთუ ისე იშვიათად რჩება მუცელზე – სხვადასხვა ნელსაცხებლის და თაფლის გამოყენებით შეიძლება შედეგის მიღწევა, მაგრამ მისი საბოლოოდ გაქრობა ძალიან ძნელია.

— ყველაზე ხშირად მაინც რა პრობლემებით შეწუხებული ხალხი აკითხავს მასაჟისტს?

— ძალზე ხშირია ბავშვებში სკოლიოზის შემთხვევა, მაგრამ მათ მასაჟისტები სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობენ. სალონებში ძირითადად მიდიან ქალბატონები, რომელთაც კოსმეტიკური მასაჟი აინტერესებთ. ქართველი ქალების ძირითადი პრობლემებია: ე.წ. გალიფე, სადაც ცელულიტი დიდი რაოდენობით გროვდება, მუცლის მოდუნებული კუნთები, მუხლის მსხვილი ზედა ნაწილი და ტერფი. სხვათა შორის, წვივის მასაჟიც ბევრ ქალბატონს სჭირდება. იმ ქალბატონების ფეხის კუნთები, რომლებსაც ხშირად აცვიათ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, სისტემატურად დაძაბულია, რაც შემდგომში სხვადასხვა დაავადების საფუძველი ხდება. მასაჟის გაკეთებას დიდი ცოდნა სჭირდება, რადგან მასაჟის საშუალებით ცელულიტმა შეიძლება თეძოდან მენჯის ან წელის არეში გადაინაცვლოს და ა.შ. სხვათა შორის, მასაჟის გაკეთების სურვილს ძალიან ბევრი მამაკაციც გამოთქვამს. დაძაბული დღის შემდეგ, მათ განტვირთვა, დასვენება, მეორე დღისთვის ძალების აღდგენა სჭირდებათ, მაგრამ მასაჟისტები ძირითადად ქალთა სალონებში მუშაობენ და მამაკაცებს იქ მიბრძანება ეუხერხულებათ.

— სამასაჟო კაბინეტში, სადაც ძირითადად ქალები იყრიან თავს, ალბათ საინტერესო დიალოგებიც იმართება და კურიოზიც ხშირად ხდება....

— ახლახან, ასეთ დიალოგს მოვკარი ყური: „აბა, რას მეტყვი, როგორ მოგიხდა მასაჟი? გახდი თუ გასუქდი?“ – ეკითხება ერთი ქალბატონი მეორეს. „გახდომა-გასუქებისას ვერაფერს გეტყვი, მაგრამ მასაჟმა რომ ეს ცხოვრება ფეხზე დამაკიდებინა, ეს ფაქტია“ – გამოეპასუხა მეორე.

— როდის არის სასურველი მასაჟის პროცედურების დაწყება?

— მკურნალობის მიზნით მასაჟის გაკეთება სასურველია, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე დაიწყოთ. საკორექციო, გასახდომი ან დამამშვიდებელი მასაჟის პროცედურების დაწყება კი ნებისმიერ დროს შეიძლება.

■

რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მითუმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-37

მომავალ ჟურნალისტს, დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა თითქმის აიძულებს, მისი საყვარელი გახდეს. გიგოლა არაერთ ბნელ საქმეში, მათ შორის ნარკობიზნესშიც არის ჩაბმული. მისი წყალობით, სამართალდამცავები დეაზეც მიიტანენ ეჭვს. გიგოლა მას სასწრაფოდ მოსკოვში, თავის ძველ საყვარელთან, ელასთან გახიზნავს და მალე თავადაც ჩააკითხავს. გიგოლა ეწინააღმდეგება დეასა და ელას ვაჟის, დიმას დაახლოებას, მაგრამ მოგვიანებით, რაღაც განზრახვით, მათ ფიქტიურ დაქორწინებას გადაწყვეტს...

საგონებელში ჩავარდნილი დეა მოულოდნელად შეიტყობს, რომ გიგოლასგან ფეხმძიმედაა და მისი გულის მოლბობის იმედი მიეცემა. მაგრამ გიგოლა მას კატეგორიულად მოსთხოვს ბავშვის მოცილებას. ამით თავზარდაცემულ და განერვიულებულ დეას მუცელი მოეშლება.

ამასობაში, გერმანიიდან მოსკოვში დეას ერთადერთი სიყვარული, ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე ჩამოდის. მასთან განმარტოებული ქალი მოზღვავებულ გრძნობებს ვერ გაუმკლავდება და სასურველ მამაკაცს თითქმის უდრტვინველად დანებდება. გურამი კი, მას მტკიცედ შეჰპირდება — გიგოლას შევხვდები და ჩვენს ურთიერთობებს საბოლოოდ გავარკვევო.

რამდენიმე დღეში, დეასა და დიმას ფიქტიური ქორწინებაც გაფორმდება. გვიან ღამით კი, ელას სახლში, გიგოლას სტუმრები ეწვევიან. ერთერთი მათგანი, დეას ძმა — თემოა, რომელიც ციხიდან გამოსულა...

და-ძმას ცოტა ხნით, განმარტოებით დატოვებენ, მალე თემო, ის და გიგოლა ერთად წავლენ რაღაც საქმეზე. თუმცა მანამდე, დეას, მასთან მარტოდ დარჩენილი გიგოლა აცნობებს, რომ ინფორმირებულია გურამთან მისი შეხვედრის შესახებ და იმასაც დასძენს — ამ კაცის იმედი ტყუილად ნუ გექნებაო... მისივე განკარგულებით, დეა და დიმა თბილისში გასამგზავრებლად ემზადებიან, რათა მოსკოვის უნივერსიტეტში დეას გადაყვანის საბუთები მოამზადონ.

თბილისში მათ, დეას მდგმური ლონდა და მისი საყვარელი კაკო დახვდებიან. ისინი, მეზობლებთან ერთად, სუფრას გაუშლიან „ახალშეუღლებულებს“... პირველ ღამეს, დეა უცნაურ სიზმარს ნახავს — თითქოს დიმასთან ჯვრისწერისას, გიგოლა თავისი ხელით წამოაცვამს თითზე დედამისის ნაქონ, ფირუზისთვლიან ბეჭედს... დამფრთხალი დეა გაიღვიძებს და კარადიდან, სადაც გარდაცვლილი ელენეს ძვირფასეულობა აქვს შენახული, იმ ბეჭედს გამოიღებს...

მეორე დღეს, ის იყო, ლონდამ ახალგაზრდებს საუზმე მოუმზადა და გაწყობილ სუფრასთან უხმო, რომ კარზე ვიღაცამ მორიდებით დააკაკუნა. ლონდა მაშინვე კარს ეცა და ხმაურით გამოაღო. ზღურბლზე პროფესორი ირაკლი ინწკირველი და საშუალო ასაკის კოხტაპრუწა ქალი გამოჩნდნენ.

— გამარჯობათ. შეიძლება? — მორიდებით იკითხა პროფესორმა.

ნაცნობი ხმის გაგონებაზე, დეა და დიმა ფეხზე თითქმის ერთდროულად წამოხტნენ.

— ირაკლი ბიძია, ლილი ბიცოლა, — კარშივე შეეგება პროფესორსა და მის თანმხლებს დიმა, — აქ საიდან?!. ვინ გაგაგებინათ?

— ელამ დაგვირეკა ამ დილით... — დაიწყო ირაკლიმ და თან, დიმას გადაეხვია. — როგორ დავაჟკაცებულხარ, ბიჭო?! ო-ო... — მიუბრუნდა შემდეგ ის დეას, — ჩვენი მშვენიერი რძალიც აგერ არ ყოფილა?! გამარჯობა, ჩემო კარგო, გილოცავ!.. — ხელზე მოწიწებით ეამბორა ირაკლი დეას და შემდეგ, თავის თანმხლებ ქალს მიუბრუნდა: — ლილი, აი, ჩვენი დიმას ანგელოზი მეუღლეც... გაიცანი...

— შემოევლოს ლილი ბიცოლა! — აქოთქოთდა ირაკლის მეუღლე და რამდენჯერმე გულიანად გადაკოცნა დეა. — მართლა ანგელოზი არ შემოგვფრენია ოჯახში?..

განზე გამდგარმა ლონდამ ამ ყველაფერს ცოტა ხანს კიდევ უსიტყვოდ უცქირა და შემდეგ ხმამაღლა დასჭექა:

— სუფრასთან მობრძანდით, ბატონო ირაკლი, სუფრასთან და იქ გააგრძელეთ...

რამდენიმე წუთში ყველანი ისევ სუფრას უსხდნენ.

— რაო, დედაჩემმა, რატომ დაგირეკათ? — მაშინვე ჰკითხა დიმამ ირაკლის.

— რას ჰქვია, რატომ?!. ქალს გული ხელით ეჭირა. ისე გამოვშტერდი, რომ წამოსვლის წინ, დეას თავისი ბინის ტელეფონის ნომერი ვერ ვკითხე, დიმას მობილური კი არ მპასუხობს და ცუდი ხომ არაფერი შეემთხვათო?.. მერე თქვენი დაქორწინების ამბავიც გვითხრა და შინ რაღა გაგვაჩერებდა?!.

— ყველაფერი გითხრათ?.. — ხმადაბლა გადაულაპარაკა დიმამ ბიძას.

— მე — კი... — ხმადაბლავე უპასუხა ირაკლიმ და თან, ლონდასა და დეასთან ლაქლაქში გართულ ლილიზე თვალით რაღაც ანიშნა...

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დიმამ და მაშინვე დადუმდა...

დეას სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ირაკლიმ და ლილიმ ახალგაზრდები სასწრაფოდ საკუთარ სახლში მიიწვიეს.

— აბა, რას ამბობთ?! — ქოთქოთებდა გზაში ლილი. — ირაკლის ერთადერთ დისშვილსა და მის ცოლს თუ ვეღარ ვუმასპინძლე, რაღად მინდა თავი ცოცხალი?!. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ, ქორწილიც ჩვენ უნდა გადაგვეხადა თქვენთვის! ვინ ჰყავს ირაკლის ელასა და დიმაზე ახლობელი?!.

მანქანის საჭეს ჩაფრენილი ირაკლი გვერდით მჯდომ ცოლს სათვალის ზემოდან ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე და ისე აფრთხილებდა:

— ლილი, გეყოფა, ნუ დაღალე ეს ბავშვები!

— ჯერ რა დროს ამათი დაღლაა?! — ქმრის შენიშვნებს არად აგდებდა ლილი. — ახლა იწყებენ ცხოვრებას... დაღლა მერე ნახონ, წვრილშვილი რომ დაეხვევათ... მართლა — რამდენის გაჩენას აპირებთ? — მიუბრუნდა ის უცბად დეას.

— მე ოთხი მინდა: ორი ბიჭი და ორი გოგო, — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა დეამ, — თუ, რა თქმა უნდა, ქმარმა დამანება... — დასძინა შემდეგ და გაოცებისგან პირდაღებულ დიმას გვერდულად გადახედა.

— ვითომ, რატომ არ უნდა დაგანებოს?! — პუტკუნა მუშტი ალერსიანად მოუღერა ლილიმ დიმას. — შენსავით ღამისთევით მოიკლავს თავს თუ ძუძუს წოვებით?.. ვერც კი გაიგებს, ისე გაიზრდებიან!..

— ლილი! — ხმას აუწია ირაკლიამ. — დაანებე ბავშვებს თავი! როგორმე, უშენოდ გაარკვევენ, რა უნდა გააკეთონ...

ინწკირველებმა ახალგაზრდებს სახელდახელო სუფრა გაუწყვეს და რამდენიმე უახლოესი ნათესავიც სასწრაფოდ დაუპატიჟეს. სუფრასთან დიმამ მართლაც, გულით მოილხინა და ერთი-ორჯერ იქაურობა горько-горько!-ს ძახილითაც გააყრუა, მაგრამ დანარჩენებმა მხარი არაფრით აუბეს: აქაოდა, საქართველოში ხარ და ქართულ ადათ-წესებსაც პატივი უნდა სცეო...

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა სტუმრები, როგორც იქნა, წავიდნენ, ლილი მაშინვე ახალგაზრდებისთვის ლოგინის გასაშლელად წაქოთქოთდა და დეაც თან გაიყოლა.

საძინებელში შესულ დეას პირკატა ეცა: ოთახში, მართალია, საკმაოდ ფართო, მაგრამ ერთადერთი საწოლი იდგა, რომელსაც ლილიმ ახალთახალი, მაქმანებიანბაფთებიანი თეთრეულით დაუწყო „მორთვა“, თან ენა წამითაც არ გაუჩერებია, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილ დეას არც ერთი მისი სიტყვა აღარ გაუგონია...

ლილი, როგორც იქნა, ლოგინის გაშლას მორჩა, დეას ტკბილი ძილი უსურვა და ოთახიდან უკვალოდ გაქრა. თავჩაქინდრული დეა მაშინვე „გადაპრანჭული“ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და საკუთარ თავს ხმამაღლა ჰკითხა:

— ახლა რაღას იზამ, ქალბატონო?

— ნუ ნერვიულობ, მე აგერ, სავარძელში დავიძინებ... — მოულოდნელად თავზე წამოადგა დიმა და თან, ეშმაკურად გაეღიმა. — ისე, ეს საწოლი იმსიგანეა, რომ ორი კი არა, ოთხი კაციც კი სულ თავისუფლად დაეტევა...

— კაცი შეიძლება, მეტიც დაეტიოს, მაგრამ მე და შენ აქ ერთად ნამდვილად ვერ მოვთავსდებით... — უპასუხა დეამ და სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა. — ცოტა ხანს სააბაზანოში გავალ, შენ კი აირჩიე, სად დაწვები... თუ ეს საწოლი ასე ძალიან მოგწონს, სავარძელში მე დავიძინებ...

როცა დეა საძინებელში დაბრუნდა, სავარძელში ოთხად მოკეცილ დიმას უკვე მშვიდად ეძინა, მაგრამ ხმაურზე ჯერ შეიშმუშნა, შემდეგ კი გვერდი ისე ენერგიულად იცვალა, რომ კინაღამ სავარძელი გადააყირავა; მერე თვალები ჭყიტა და დეას ისეთმა გაოცებულმა შეხედა, რომ აშკარად ეტყობოდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, თუ სად იყო...

— აქა ხარ, აქა! ნუ დაიბნევი! — სიცილი ვერ შეიკავა დეამ.

— ჰო-ო... — როგორც იქნა, გამოფხიზლდა დიმა. — თავი ისევ მოსკოვში, ჩემს ლოგინში მეგონა და კინაღამ კისერი არ მოვიტეხე?!. ისე, ჩემი ბედი რა ვთქვი — სირცხვილით სად გავამხილო, ცოლი კი ოფიციალურად მოვიყვანე, მაგრამ ლოგინში მაინც ვერ ჩავიწვინე-მეთქი?!. ვინც ამას გაიგებს, არ გაირღვევა სიცილით?!.

— გაირღვევა და გარღვეულიც დარჩეს!.. — მშვიდად მიუგო დეამ და სასწრაფოდ, საბნის ქვეშ შეძვრა. — ჩააქრე შუქი და დავიძინოთ, თორემ, მგონი, საცაა, გათენდება კიდეც...

— რაც მალე, მით უკეთესი! გადავტყდი კაცი წელში და ეგაა! — ისევ აწუწუნდა დიმა.

— ჯანდაბას შენი თავი! — ვეღარ გაუძლო დეამ დიმას მოთქმას. — მოდი, შენც აქ დაწექი.

— ოღონდ, იცოდე, თითიც რომ დამაკარო, აქაურობას კივილით გავაყრუებ...

— დედას გეფიცები, თითს ნამდვილად არ დაგაკარებ!.. — სასწრაფოდ ლოგინში ისკუპა დიმამ და დეას დამშეულივით დააცხრა...

დეას დილაადრიანად გაეღვიძა და მის მკლავზე უცოდველი ბავშვივით ტკბილად მძინარე დიმას კარგა ხანს ინტერესით უყურა. ბოლოს, მკლავი ნელ-ნელა გამოაცალა და ბალიშზე თავი ფრთხილად დაადებინა. დიმა ერთი შეიშმუშნა, შემდეგ ბალიშს ორივე ხელი ქვემოდან ამოსდო და ნებიერი ფშვინვა განაგრძო.

დეა ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა და საძინებლიდან ფეხაკრეფით გავიდა. კარის გახურვისთანავე, დერეფანში ლილი შეეფეთა.

— უკვე გაიღვიძე, ჩემო გოგო? — გაუკვირდა მას. — რა გეჩქარებოდა?

— რა ვიცი, აბა... — დაიბნა დეა. — დღეს ძალიან ბევრი საქმე მაქვს და...

— ნეტავ, ერთი შენ... ჯერ რა დროს საქმეა? ცოტა ხანს მაინც დატკბი ქმართან ძილით და ალერსით...

ლილის სიტყვებზე დეას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და მაშინვე საუბრის სხვა თემაზე გადატანა სცადა:

— ბატონი ირაკლი უკვე წავიდა?

— კი, წავიდა... მაგისთვის ხომ ჯერ სამსახურია და მერე ყველა დანარჩენი. ისე კი დამიბარა — ვეცდები, მალე გავთავისუფლდე და ბავშვები მანამდე არსად გაუშვაო.

— არა, რას ამბობთ?! — შეიცხადა დეამ. — დღეს დილით, უნივერსიტეტში ვარ დაბარებული, რომ არ წავიდე, არაფრით შეიძლება...

— მერე დიმა? — გაოცდა ლილი. — ხომ იცი, რომ ახალგათხოვილი ქალის მარტო სიარული უხერხულია... შევალ ახლავე და დიმას მე თვითონ გავაღვიძებ...

— არა, არა, — არ დაანება დეამ, — ცოდვაა, იძინოს... ამ ერთხელ მარტო წავალ, არა უშავს...

— რას გეტყვი, იცი?.. — დინჯი შემოიყარა ლილიმ. — ძალიანაც ნუ გაანებივრებ, თორემ მერე, ჩემსავით ინანებ: აგერ ირაკლი — კაცი უკვე სამოცს უკაკუნებს და ისევ პატარა ბავშვივითაა — ლილიკო, ეს მინდა... ლილიკო, ის მინდაო... ნეტავ, მე რომ არ ვყავდე, რა ეშველებოდა?!

— ისე, ეტყობა, დიმა ბიძამისს ჰგავს, — გაეღიმა დეას, — რაღაცით ეგეც პატარა ბავშვს მაგონებს...

— შეიძლება... — წამით დაფიქრდა ლილი. — ისე კი, დიმა მაინც ბებიამისის, ჩემი დედამთილის გაფუჭებული უფროა. აქაოდა, ელამ ერთადერთი შვილი მანდოო, — მთლად ბამბებში გაზარდა, ცივ ნიავს არ აკარებდა... მერე, ცოტა ისევ ელამ იყოჩაღა, თორემ, შენი დიმა მთლად დედიკოს ბიჭად დარჩებოდა...

ლილისგან რის ვაი-ვაგლახით თავდაღწეულმა დეამ ჯერ დედის საფლავი მოინახულა და ძალიანაც გაოცდა, როცა ის საგანგებოდ მოვლილი და უნაზეს ყვავილებში ჩაფლული დახვდა. საფლავის ქვიდან, ელენეს საოცრად ახალგაზრდა და მხიარულმა სახემ შემოსცინა...

„ნეტავ, ეს რომელი ფოტოდანაა გადმოღებული, მე რომ არ მახსოვს? — დაფიქრდა დეა. — არა, არა, — დაასკვნა შემდეგ, — მსგავსი ფოტო საერთოდ არასოდეს მინახავს და როგორ უნდა მახსოვდეს?!.“

— რაო, გოგოჯან, მოგეწონა, ხომა? — მოესმა უცბად დეას ზურგს უკან ვიღაცის ხმა და მაშინვე შემობრუნდა: მის წინ საშუალო ასაკის, სანდომიანი ქალი იდგა.

— ისე, რაც მართალია, მართალია, ძაან ლამაზი ქალი იქნებოდა ეგ საცოდავი...

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა დაბნეულმა დეამ.

— სასაფლაოს მომვლელი ვა-არ, შვილო... — მაშინვე დააკმაყოფილა დეას ცნობისმოყვარეობა ქალმა. — მე და ჩემი ქმარი „ვყარაულობთ“ აქაურობასა. იცი, რამდენი ხელმრუდი გამოჩნდა ამ ბოლო დროსა?!. ეგე, პროფესორ ამირეჯიბის საფლავიდან. სპილენძის საყვავილეც კი მოთხარეს და წაიღეს. გაგონილა, კაცო?!.

— ამ საფლავსაც თქვენ უვლით? — სასწრაფოდ გააჩერა დეამ ქადაგად დავარდნილი ქალი.

— მაშა!..

— ყვავილებიც თქვენ დარგეთ?

— არა, ყვავილები ამ საცოდავის ქმარმა მომიტანა. სადღაც „სპეციალნად“ გაახარებინა... საფლავის მოვლის ფულსაც ეგ გვიხდის. ეტყობა, მართლა ძალიან უყვარდა თავისი ცოლი, კვირა ისე არ გავა, რომ ორ-სამჯერ მაინც არ შემოიაროს. ზოგჯერ საათობით ზის ხოლმე და ქალივითა სტირის... ჩემს კაცს კი არა ჰგავს, დღე და ღამე რომ დამჩხავის ყვავივითა — ნეტავ, ერთი შენ მოგიშორებდე და დავისვენებდეო... — ისევ ენად გაიკრიფა სასაფლაოს მომვლელი... — მაიცა, მაიცა... — საგანგებოდ დააკვირდა შემდეგ ის დეას. — შენი ვინღაა ეს ქალი, ჰა?

— დედაჩემია... — ამოიკვნესა დეამ და ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდა.

— მეც არ გამიკვირდა, როგორა ჰგავსმეთქი?! მერე, ეგრე უნდა, გოგოჯან?.. დედის საფლავზე წელიწადში ერთხელ უნდა მოხვიდე?!

— აქ არ ვიყავი... — ამოილუღლუღა დეამ.

— სხვა ქალაქში ხომ არა სცხოვრობ? — თანაგრძნობით ჰკითხა ქალმა.

— კი, მოსკოვში....

— ძაან შორს წასულხარ აი... რას აკეთებ იქა?

— ვსწავლობ...

— ახლა „კანიკულები“ გაქვს?

— არა, რაღაც საქმეზე ჩამოვედი...

დეა თავადაც ვერ ხვდებოდა, ამ პრაქტიკულად უცნობ ქალს ანგარიშს რატომ აბარებდა, მაგრამ ვეღარაფრით ჩერდებოდა და დამნაშავესავით თავჩაქინდრულს, ცრემლიც გაუჩერებლად სდიოდა... უცბად, მხარზე ვიღაცის აკანკალებული ხელის შეხება იგრძნო და თავი დამფრთხალმა ასწია. მის წინ სულხან ავალიანი იდგა.

— მამა, შე-ენ?!. — გული საბოლოოდ ამოუჯდა დეას და კაცს ბავშვივით ჩაეხუტა...

საფლავის გვერდით, ხის ლამაზ სკამზე ჩამომსხდარი მამა-შვილი კარგა ხანს, ხმადაბლა საუბრობდა. უფრო სწორად — ძირითადად, სულხანი ლაპარაკობდა, დეა კი გულისყურით უსმენდა და სახე ნელ-ნელა ეღუშებოდა. აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც მამა-შვილს ერთმანეთი აღარ ენახა, სულხანს ახალგაზრდა ცოლი გაჰქცეოდა, ვიღაც ქუთაისელ „ფულის ტომარას“ გაჰყოლოდა და ბავშვებიც თან წაეყვანა.

— აი, ასე, დავრჩი ცოლ-შვილისა და სახლ-კარის გარეშეც... — მოყოლა დაამთავრა სულხანმა და თავი ჩაქინდრა. — ისე, იმ თაგვის სოროს სახლი ძნელად ეთქმოდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ქირას მაინც არ მახდევინებდნენ — ჩემი ცოლის ახლო ნათესავისა იყო. როგორც კი ცოლი გამექცა, მაშინვე კარზე მომადგნენ: დიდი ბოდიში, მაგრამ აქ ღამის ბარი თუ რაღაც მაგის მსგავსი უნდა გავაკეთოთო...

— ახლა სად ცხოვრობ? — შეწუხდა დეა.

— იქვე, ახლოს, ქირით გადავედი...

— რამდენს იხდი?

— ოც ლარს, — თავი მხრებში კიდევ უფრო ღრმად ჩარგო სულხანმა.

— გამოდის, რომ ერთი სოროდან მეორეში გადასულხარ...

— ეგრე გამოდის...

— შენი ცოლის ახალ ქმარს რა ბიზნესი აქვს? — ჩაეკითხა დეა.

— ეგ მე კი არა, მგონი, წესიერად ჩემმა ცოლმაც კი არ იცის, — ხელი ჩაიქნია სულხანმა, — მაგრამ მაგას ოღონდ ბევრი ფული დაანახვე და...

— ბავშვები როგორ არიან?

— არიან, რა... სიდედრი უვლის... ხომ იცი, ჩემი შემოსავლის პატრონი, ქუთაისში ხშირად რომ ვერ ვივლი... თანაც, ბოლოს რომ ვიყავი, სიდედრმა ბავშვები მგონი, საერთოდაც დამიმალა...

— რას ჰქვია, დაგიმალა?!

— რა ვიცი, აბა... ასე მითხრა — ბავშვები ჩემმა სიძემ და ქალიშვილმა ამწუთას წაიყვანეს და ახლავე ხომ არ გამოვუდგები, უკან გამატანეთ-მეთქი?!. მეც რაღა უნდა მექნა?! — ავდექი და წამოვედი...

— დედაჩემის საფლავის მოსაწყობი ფული სადღა იშოვე? — საუბრის თემა მოულოდნელად შეცვალა დეამ.

— ვიშოვე, რა... — თავისთვის ჩაილაპარაკა სულხანმა და ჭაღარა წვერზე აკანკალებული ხელი ჩამოისვა.

— კარგი, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი... — ხელზე ხელი ალერსით გადაუსვა დეამ. — მოდი, ახლა ასე შევთანხმდეთ: ხვალიდანვე, ჩვენთან გადმოხვალ საცხოვრებლად...

— არა, რას ამბობ?! — ხელები უმწეოდ გაასავსავა სულხანმა. — მე მაგის უფლება აღარა მაქვს... თანაც, მართალი გითხრა, შენს ქმართან შეხვედრასაც ყველანაირად ვერიდები...

— ჩემმა ქმარმა რაღა დაგიშავა? — გაოცდა დეა.

— არაფერი. მგონი, იქით დავუშავე რაღაც, რომ დასანახადაც ვერ მიტანს.

— მამა, აბა, რეებს ლაპარაკობ?! — სევდიანად გაეღიმა დეას და თან, ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა. — შენ და ჩემს ქმარს ხომ ჯერ ერთმანეთი თვალითაც არ გინახავთ!..

— როგორ? — გაუკვირდა სულხანს. — განა, გიგოლას არ გაჰყევი?

— რა თქმა უნდა, არა.

— აბა, ვის? — მაშინვე ფეხზე წამოდგა იმედმოცემული სულხანი.

— ამ საღამოს მოდი ჩვენთან და გაგაცნობ. შევთანხმდით?

— შევთანხმდით, — უპასუხა გახარებულმა სულხანმა...

უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან, წინ და უკან ნერვიულად მოსიარულე დიმა, დეამ სამარშრუტო ტაქსიდანვე შენიშნა. მაგრამ სანამ მანქანას გააჩერებინებდა და ჩამოვიდოდა, დიმა უცბად სარგადაყლაპულივით გაშეშდა და მეორე კორპუსის შესასვლელ კარს მიაშტერდა. დეამაც იქით გაიხედა და კინაღამ გადაიხარხარა: კარში მოდის ბოლო „კივილის“ შესაფერისად მორთულ-მოკაზმული მისი „მოდნიცები“ თიკო და თათა გამოდიოდნენ, თან, ერთმანეთს რაღაცაზე გაცხარებით ეკამათებოდნენ... დიმამ გაჩერებისკენ მიმავალ „მოდნიცებს“ გაოცებულმა გააყოლა თვალი და მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ვერ გაიგოო...

— ეგრე არ დარჩე! — პირდაპირ ყურში ჩასძახა უცბად დეამ.

დიმა მაშინვე შემობრუნდა და სანამ

დეა კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, გახარებულმა ხელში აიტაცა და ჰაერში ისე სწრაფად დაატრიალა, რომ დეას მაშინვე თავბრუ დაეხვა და კისერზე ხელები გამეტებით შემოაჭდო:

— დამსვი, თორემ საცაა, გული წამივა...

დიმამ მაშინვე დასვა დეა, მაგრამ წელზე ხელი მაინც არ უშვია:

— რომ იცოდე, როგორ მომენატრე, შე გიჟო! არ გრცხვენია? როგორ გამომეპარე?!. რატომ არ გამაღვიძე?..

— რა ვიცი, აბა... — სახე აელანძა დეას. — ისე ტკბილად გეძინა, რომ...

— ხომ იცი, ეგრე ტკბილად რატომაც მეძინა?.. — გულზე მიიხუტა დიმამ დეა.

— კარგი, გეყოფა, — აქეთ-იქით დამფრთხალმა მიმოიხედა დეამ, — სირცხვილია, ყველა ჩვენ გვიყურებს...

— გვიყურონ, რა, ჩვენი რა მიდის?!. — მხიარულად განაგრძო დიმამ, რომელიც დეას წამითაც არ აშორებდა თვალს. — იცი, უკვე როგორ მომენატრე?!. ერთი სული მაქვს...

— აქ დამელოდე, — გააწყვეტინა უცბად დეამ, — მე ავალ, დეკანს ვნახავ და მალე დავბრუნდები...

— რას ჰქვია, აქ დაგელოდო?! — იწყინა დიმამ. — ქმარი ვარ, ბოლოს და ბოლოს, თუ ვინ ვარ?!.

— კი, მაგრამ... — დაიწყო დეამ, მაგრამ ახლა დიმამ აღარ აცალა:

— არაფერი არ მაინტერესებს. შენს დეკანსაც ერთად ვნახავთ და თუ საჭირო გახდა, რექტორთანაც შემოგყვები და ყველაფერს მე თვითონ ავუხსნი...

ფაკულტეტის დეკანმა დეა შვილივით ჩაიკრა გულში და გაბედნიერებაც გულით მიულოცა. მართალია, დიმას გვარის გაგონებაზე ოდნავ მოიღუშა, მაგრამ როცა საუბარში ისიც გაარკვია, რომ დედა ქართველი ჰყავდა, ისევ მოლბა, დიმას მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა და თან, გააფრთხილა:

— იცოდე, ჩვენი კურსის თვალს გატანთ და შენც თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე!

— არის, ბატონო... — მხედრულად გაეჭიმა დეკანს დიმა.

— შენი ბედი, რომ გნახე, თორემ, დეა ჩემთან მარტო რომ მოსულიყო, ყველაფერს ვიღონებდი, რომ მოსკოვში გადასვლა გადაეფიქრებინა, — ბოლომდე მაინც არ გაახარა დიმა ბატონმა დავითმა.

უნივერსიტეტიდან დეამ „ივერიელის“ რედაქციაში შეიარა, მაგრამ, რატომღაც უკლებლივ ყველა ოთახი გამოკეტილი დახვდა. მთელ სართულზეც, სადაც „ივერიელის“ გარდა, კიდევ რამდენიმე რედაქცია იყო განთავსებული და ადრე ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, ახლა კანტიკუნტად თუ ვინმე გაივლ-გამოივლიდა. დეამ მათ შორის ერთი ნაცნობიც ვერ ნახა, რომ ამბავი ეკითხა და უკან საკმაოდ შემცბარი გაბრუნდა.

— რა ქენი? — მაშინვე ჰკითხა დეას, გამომცემლობის წინ მომლოდინე დიმამ.

— კაციშვილი ვერ ვნახე, რომ ამბავი მაინც მეკითხა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა დეამ, — ნეტავ, ჩვენი გაზეთი საერთოდ ხომ არ დაიხურა?..

— ეგრე ცუდად ჰქონდათ საქმე?

— მთლად ეგრე ცუდად არა, მაგრამ პრობლემები ნამდვილად არ აკლდათ...

— გამოდის, რომ მართლაც დროზე გადმოდიხარ მოსკოვში, თორემ, აქ ნაღდად უმუშევარი დარჩებოდი...

— მოსკოვში ხომ ათი სამუშაო ერთად მელოდება, აი... — გაღიზიანდა დეა.

— ათი არა, მაგრამ ერთს და თანაც, საკაიფოს შეიძლება გამოჰკრა ხელი, — მხიარულად უპასუხა დიმამ.

— რომელ საკაიფოს?.. რაებს იგონებ?

— არაფერსაც არ ვიგონებ... ერთხელ ბადრი შენზე ელაპარაკებოდა გიგოლას და ისიც უთხრა — იქნებ, ეგ გოგო ჩვენს ტელევიზიაში რომელიღაც ტოკშოუს წამყვანად მოგვესინჯაო...

— სერიოზულად ლაპარაკობ? — მაინც დაეჭვებით ჰკითხა დეამ.

— შენს თავს ვფიცავარ... ოღონდ, გიგოლა ხომ იცი, რა ახვარიცაა — მაშინვე შეეღრინა: მაგ გოგოს თავი დაანებეო!.. მაგრამ არც ბადრია იმის ჩიტი, რომ თავის ჩანაფიქრზე ეგრე ადვილად ათქმევინონ უარი... თანაც, ამ ბოლო დროს, ისეა ჩაციკლული, ისე უნდა, რომ ძაან მაგარი ტელეარხი გააკეთოს, რომ უკან არაფერზე დაიხევს. ასე რომ, სულ არ გამიკვირდება, თუ მოსკოვში ჩასვლისთანავე, რამეს შემოგთავაზებს... — როგორც იქნა, გამოსვლა დაასრულა დიმამ და ხელი გადახვია, მაგრამ დეამ ისე მომაკვდინებლად ახედა, რომ მაშინვე ცივად ჩამოიღო და თან, აბუზღუნდა:

— რა იყო?.. ხელი მოგხვიე, მეტი ხომ არაფერი მიქნია?!.

— საინტერესოა, ამ შუა ქუჩაში მეტი რაღა უნდა გექნა?!

— შუა ქუჩაში — არაფერი, მაგრამ აი, სახლში რომ მიგიყვან...

— არც იფიქრო! — თვალები ბრაზიანად დაკვესა დეამ. — რაც წუხელ მოხდა, აღარ გამეორდება!..

— გამეორება რა საჭიროა?! — თავისას არ იშლიდა დიმა. — ამაღამ მე შენ სულ სხვანაირად მოგეფერები...

— არც ამაღამ და არც არასოდეს! — კბილებში გამოცრა დეამ. — ჩათვალე, რომ რაც წუხელ ჩვენ შორის მოხდა, მხოლოდ ჩემი წუთიერი სისუსტე იყო და სხვა არაფერი!

— რა-ა?! — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა დიმას და თან, ხელი გამომცემლობის შენობისკენ გაიშვირა: — შენ აქ მართლა რედაქციაში იყავი, თუ... ასე უცბად რამ შეგცვალა?

— რას ჰქვია, უცბად?! — ხელები უმწეოდ გაშალა დეამ. — რამდენჯერ უნდა აგიხსნა, რომ...

— რამდენჯერაც არ უნდა ამიხსნა, მე პირადად, მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ მე და შენ შესანიშნავი წყვილი ვართ და შენც, რაც მალე მიხვდები ამას, მით უკეთესი... მითხარი ერთი — ახლა, ამ წუთში, მაინც რა გვიშლის ხელს, ცხოვრებით ცოტათი მაინც რომ დავტკბეთ?

— ამ წუთში — არაფერი, მაგრამ გიგოლას არსებობა საერთოდ ხომ არ დაგავიწყდა?

— გიგოლა ახლა ძალიან შორსაა...

— ეგრე გგონია?.. გუშინ თუ გუშინწინ თვითონ არ გამიხეთქე გული: აი, ახლა, კარი გაიღება და გიგოლა თავს წამოგვადგებაო?..

— გეხუმრე, შე შტერუკა! — გულში ჩაიხუტა დიმამ დეა და ცხვირზე ცხვირი ბავშვივით აუსვ-დაუსვა. — ნუ გეშინია, გიგოლას ახლა ისე აქვს არეული საქმეები, რომ თბილისში ჩამოვა კი არა — მოსკოვშიც ვეღარ ბედავს გამოჩენას...

— მერე რა?.. მუქარით ხომ, ისევ ძველებურად იმუქრება...

— იმუქროს და იყოს! ერთხელაც იქნება, მაგის ბლატაობაც ამოუვა ვიღაცას ყელში და ორთვალშუა ტყვიასაც დააჭედებს...

— რა დაუნდობელი ხარ!.. — ბრაზიანად ჰკრა ხელი დეამ. — რას ჰქვია, ტყვიას დააჭედებს?!. ოდნავ მაინც არ გეცოდება?.. ბოლოს და ბოლოს, ეგეც ადამიანია...

— ადამიანი რომ იყოს, ადამიანივით იცხოვრებდა და სხვებსაც მისცემდა ამის საშუალებას... აი, თუნდაც მე და შენ რა დავაშავეთ?!. ყველაფერს მაგის ერთი ადგილის ქეიფზე რატომ უნდა ვაკეთებდეთ?!. მე კიდევ — ჰო, მაინც რაღაცით ვყავარ გამოჭერილი, მაგრამ შენ რაღას გეჭიმება? შენ რაღა გმართებს მაგისი?.. მართლა, მე მაგისი!.. — შეუკურთხა დიმამ გიგოლას...

შინ დაბრუნებულ დეასა და დიმას ლონდა კარშივე გამოეგება და სხაპასხუპით მიაყარა:

— სადა ხართ ამდენ ხანს?!. გიგოლამ დარეკა მოსკოვიდან და რომ გაიგო, აქ არ იყავით, კინაღამ ტელეფონის „ტრუბკაში“ გამოძვრა...

ახალგაზრდებმა შინ შესვლა ძლივს მოასწრეს, რომ ტელეფონი ისევ აწკრიალდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ითუმცა ჯულია რობერთსი იყო

ცვლილება, ლილიანს ეცვლინ მისის მოდერის როლში ყოფნა

დენი მოდერთან ერთად

ჯულია რობერთსი, აწ უკვე მისის მოდერი, ვერ იტყვით, ჰოლივუდში ან რეპორტიორთა წრეში არ უყვართო, მაგრამ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი იღბლიანი მსახიობის, ცხადია, მისიც შურთ კოლეგებს. მით უფრო, რომ ყოველ ფილმში 20 მილიონ დოლარზე ნაკლებს არ უხდიან. ამასთან, მოოქრული „ოსკარის" მფლობელიცაა. ყოველივე ამის გამოა, რომ ჟურნალისტები მის თითოეულ ნაბიჯს უკირკიტებენ. სწორედ მათი წყალობით გამომზეურდა 11 წლის დასტინ მერაზთან დაკავშირებული ამბავი, — ბიჭუნას დედის თხოვნით, უკურნებელი სენით დაავადებული თავისი პატარა თაყვანისმცემლისთვის, ჯულიას სითბო და ყურადღება არ მოუკლია.

ჩვენდა სამწუხაროდ, კეთილი საქმეები მკითხველთა ფართო წრეს ნაკლებად აინტერესებს, სკანდალები კი, იცოცხლე, ძალზე იზიდავს. ჰერსტის უკვდავი ფორმულის მიხედვით: თუ ძაღლი ჰკბენს ადამიანს, გასაკვირი არ არის, მაგრამ თუ ადამიანი უკბენს ძაღლს, ეს უკვე საინტერესო რამაა. ქვეყნად ამიტომაც არსებობენ „ნაკბენ ძაღლებზე" სპეციალიზებული ტაბლოიდები. სწორედ ასეთი გაზეთები არიან ჩასაფრებულები ცნობილ ადამიანებზე იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმეს „უკბინონ".

ფილმის, „ლამაზმანის" შემდეგ, ჯულია რობერთსი საზოგადოებისა და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. სიმართლე რომ ითქვას, ამის საბაბს თავად მსახიობიც იძლეოდა. ტაბლოიდების ფურცლები მის ვნებიან და ხანმოკლე რომანებს არაერთგზის დაუმშვენებია. როცა ჯულიას, ცოტა არ იყოს, გაუგრძელდა რომანი ბენჯამინ პრატთან, პრესა აჭრელდა პროგნოზებით — წყვილი შეხმატკბილებული დიდხანს ვერ იქნებაო. რიგითი მსახიობი, რომლის ძარღვებშიც ინდიელის სისხლი ჩქეფდა, ვერ აიტანდა მამაკაცური ღირსების ასეთ დაკნინებას — მილიონერი სუპერვარსკვლავის გვერდით ყოფნას. წინასწარმეტყველება გამართლდა — ბენჯამინმა მართლაც ვერ გაუძლო („ოსკარის" დაჯილდოებაზეც ჯულიას კომპანიონის როლში იყო). აი, ერთ მშვენიერ დღეს კი, ჯულიას აღარც მისი ნივთები და აღარც წერილი დახვდა შინ. არადა, ყველას გასაგონად გაიძახოდა, ჩვენი კავშირი მარადიულია, ბენჯამინი სწორედ ის მამაკაცია, რომელზეც ოცნებობდი. ოცნების მამაკაცმა კი სულ ერთ კვირაში სხვა ქალი იპოვა. რა თქმა უნდა, არა ჯულიასნაირი მდიდარი და ცნობილი, არამედ ისეთი, რომელიც ვერ შელახავდა მის თავმოყვარეობას და მალე ცოლადაც შეირთო. ჯულია სასოწარკვეთილი იყო, ერთხანს ხალხთან შეხვედრებსაც გაურბოდა, მაგრამ, როგორც ერთი გაზეთი წერდა, რობერთსი ფენიქსივით აღდგა.

გავიდა ხანი და „ლამაზმანმა" განაცხადა, — ამქვეყნად იმისთვის მოვედი, რომ ამ კაცის ცოლი გავხდეო.

თავმდაბალ კინოოპერატორს, დენი მოდერს ცოლად ასევე თავმდაბალი ვიზაჟისტი ჰყავდა. როგორც ამბობენ, მას ცოლთან პრობლემები ჰქონდა მანამდე, სანამ ჯულია დაადგამდა თვალს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა — „უგულო ვარსკვლავმა საწყალ ვერას ქმარი წაართვა!" — წერდნენ ტაბლოიდები. ვერას განქორწინება არ სურდა, ამიტომ ბედნიერების მოსაპოვებლად



ჯულიას ერთ-ერთი დიდი გატაცების ობიექტი — მეთიუ პერი

პირველი ქმარი — ლაილ ლოვეტი, რომელთანაც მან 21 თვე გაატარა

ბენჯამინ პრატთან ერთად

ჯულიას ბრძოლა დასჭირდა. მან თავისებური მანიფესტაციაც კი მოაწყო — დადიოდა მაისურით, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „საძაგელი ვერა!“

შეყვარებულებმა ყველა ბარიერი გადალახეს — ჯულიამ და დენიმ გასული წლის ზაფხულში, შუაღამისას, შტატ ნიუ-მეხიკოში, ჯულიას რანჩოზე იქორწინეს. მას შემდეგ „კეთილისმსურველნი“ მათი იდილიის (რომელიც ერთ-ერთის თქმით, „სხვის ცრემლებზეა“ აგებული) დასასრულს ელიან. გაზეთებში ასეთი სათაურები გამოჩნდა: „ჯულია რობერთსმა სკანდალურად მიატოვა ქმარი!“ „ჯულია რობერთსის ქორწინება დასრულდა, მიმდინარეობს ფარული მოლაპარაკებები განქორწინებაზე“, „მოდერის ნათესავები არ აღიარებენ ახალ რძალს“, „ჯულიას უცნობ საყვარელთან შეუსწრეს“...

წელიწადი გავიდა. ჯულია ახალ ფილმში გადაიღეს — „მონა ლიზას ღიმილი“, რომელიც ეკრანზე 19 ოქტომბერს გამოვა. დენი ფილმის ოპერატორი იყო. ჯულიას საპროდიუსერო კომპანიას „შულეისის“ ნაცვლად, ახლა „რედ-ომ“-ი ჰქვია — უკუღმა წაკითხული „მოდერი“. ჯულია ყველას, მისის მოდერად ეცნობა, ხოლო გადაღებებისას ოტელში სუპერვარსკვლავებისთვის განკუთვნილ ლუქსებში კი აღარ ბინავდება (ერთ დროს იგი ფეხის დამბანსაც ქირაობდა), არამედ გადამღებ ჯგუფთან ერთად ცხოვრობს — იქ, სადაც დენის ურჩევნია ყოფნა.

მათ სამი სახლი აქვთ — სტუდიასთან ახლოს, კალიფორნიის ვენეციაში რანჩო და ნიუ-იორკის ორსართულიანი პენტჰაუზი. მათ მუდამ გვერდით ჰყავთ შავი ლაბრადორი — ლუი, რომელიც ქმარმა შარშან აჩუქა ჯულიას დაბადების 35 წლის აღსანიშნავად. კითხვას, თქვენს ოჯახს პატარა როდის შეემატებაო, წყვილი წინდახედულად უპასუხებს: თავის დროზეო...

ცოლ-ქმარი თავყრილობებს ერიდება. ეტყობა, დენიმ თავის წინამორბედთა გამოცდილება გაითვალისწინა. ალბათ არ სურს, „მისტერ რობერთსი“ გახდეს. წლევანდელ „ოსკარის“ ცერემონიაზეც ჯულია მარტო იყო. მაგრამ ტაბლოიდები არ ისვენებენ, მკითხაობენ — რამდენ ხანში გაექცევა მოდერი სახელგანთქმულ მეუღლეს, რომლის გვერდითაც ის მუდამ მეორე პლანზე იქნება. ყოველივეს მიუხედავად, ახალდაქორწინებულებმა მოლოდინი არ გაამართლეს. ქორწინების ერთი წლისთავი უხმაუროდ, ვიწრო წრეში, დიზაინერის — ჯორჯ არმანის ვილაში, იტალიის კუნძულ პანტელერიაზე აღნიშნეს. პრესა კი კვლავ ღვარძლიანად აღნიშნავს — წყვილი თავისი ნაზი გრძნობების დემონსტრირებას ახდენს — გამუდმებით კოცნიან და ეხვევიან ერთმანეთსო. სხვათა შორის, ჰოლივუდში გრძნობების საჯაროდ გამოხატვა ჩვეულებრივ, მოახლოებულ საფრთხედ უფრო აღიქმება ხოლმე, მაგრამ იმედია, ასე არ მოხდება და, ბოლოს და ბოლოს, ჯულია ბედნიერი იქნება. თუ დენი რეპორტიორების წერილებს კითხულობს, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ ის ინდიელი არ არის და ჰოლივუდში კარგად ცნობილი გვარის შთამომავალია (მამამისი სახელგანთქმული პროდიუსერია), შესაძლოა, დროთა განმავლობაში გაღიზიანდეს კიდეც, რაც ალბათ ყველა ნორმალურ, თავმოყვარე მამაკაცს დაემართებოდა.

როცა აღწერენ ჯულიას მოდურ სამოსს, იქვე მიანიშნებენ, რომ არმანი — მისი მეგობარია, რომ მან ჯულია მიიწვია და არა — დენი, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობს. რეზიდენციებიც, სადაც ბედნიერი მეუღლეები ატარებენ დღეებს, ჯულიას ზღაპრული ჰონორარებითაა ნაყიდი. სწორედ მან გადაიხადა 5 მილიონი დოლარი ნიუ-იორკის სახლში და ამდენივე — რანჩოში. ეს მისი სახლია კალიფორნიის ვენეციაში, რომელიც მილიონზე მეტი ღირს. თუკი მოისურვებს, იტალიაში ან სადმე სხვაგან კუნძულსაც იყიდის. უძვირფასეს ბრილიანტებსა და ზურმუხტებს შეიძენს, ოღონდ არა დენის ფულით. ან ალფონსი უნდა იყო, ან კიდევ ანგელოზის მოთმინება უნდა გქონდეს, რომ მშვიდად აიტანო ამდენი ნართაული ნათქვამი და თუ კინოოპერატორი ამ თვისებით დაჯილდოებული არ არის (ჟიგოლოს ის არაფრით ჰგავს), შესაძლოა, საბრალო მდიდარი „ლამაზმანის“ სასიყვარულო ამბავი ძალზე ცუდად დასრულდეს. რთულია, ძალზე რთულია, იყო ჯულია რობერთსი... ■

ეკონომიური Mini

გერმანული კონცერნი BMW გამოსაშვებად ამზადებს კომპაქტური ავტომობილის – Mini-ს დიზელის ვერსიას, რომელიც იაპონურ კორპორაცია Toyota-ში Yaris-ისთვის შემუშავებული ძრავათი იქნება აღჭურვილი. გერმანელმა ავტომწარმოებლებმა ამ აგრეგატის ლიცენზია შეიძინა და მას ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი შეუცვალა. 4-ცილინდრიანი ძრავას სიმძლავრე 75 ცხ.ძ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 13,8 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 165 კმ/სთ-ს აღწევს.

Mini One D ძალზე ეკონომიური მანქანაა: ყოველ 100 კმ-ზე სულ 4,8 ლ საწვავს ხარჯავს. მისი ძრავა ალუმინის შენადნობისგანაა დამზადებული. მანქანა მექანიკურ გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფითაა აღჭურვილი. ახალი „მინის“ საბაზო კომპლექტაციაში შედის: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, უსაფრთხოების 4 ბალიში, ელექტროპაკეტი, საჭის გამაძლიერებელი, ცენტრალური საკეტი. მანქანის სასტარტო ფასი 16.150 ევროა.

Mini-ს პირველი ნიმუშები საავტომობილო ბაზარზე წელიწადნახევრის წინ გამოჩნდა და უმალ მოიპოვა პოპულარობა. შარშან, BMW-მ 144 ათასი ცალი გაყიდა, რამაც ყველა მოლოდინს გადაჭარბა. კონცერნის მესვეურთა ვარაუდით, დიზელის ვარიანტის წილად, Mini-ს 10% მოვა, მისი რეალიზაცია კი, ძირითადად, გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში მოხდება. ამ სამოდელო რიგის მომდევნო სიახლე, „მინის“ კაბრიოლეტი გახდება, რომლის პრემიერა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

პორტუგალიური ავტომრეწველობის განვითარების მოდელი

ეს ქვეყანა მდიდარი საავტომობილო ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ბოლო დროს, აქტიურად მიილტვის ამ სფეროში ადგილის დასამკვიდრებლად. 1995 წლიდან, პორტუგალიაში ნაყოფიერად მუშაობს „ფოლკსვაგენისა“ და „ფორდის“ ერთობლივი საწარმო – ქარხანა Autoeuropa, რომელსაც 1999 წლიდან, VW მართავს. ქვეყნის დედაქალაქ ლისაბონიდან 60 კმ-ში მდებარე პალმელაში, ვენს – VW Sharan-ს, Ford Galaxy-სა და Seat Alhamra-ს აწარმოებენ. შარშან, საწარმომ 130 ათასი მანქანა გამოუშვა და ამ პროდუქციით, მთელი პორტუგალიური ექსპორტის 10% დაფარა. პალმელაში მდებარე საწარმო, ქვეყნის ისტორიაში უმსხვილესი საინვესტიციო პროექტია. მისი სიმძლავრე, დღეში 750 ავტომანქანას ითვალისწინებს, მაგრამ რთული ევროპული ავტობაზარი მისი რეალიზების საშუალებას არ იძლევა, ამიტომ დღევანდელი მაჩვენებელი 520 ერთეულს შეადგენს. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელები ოპტიმისტურად შეჰყურებენ მომავალს: „ფოლკსვაგენის“ პოლიტიკისთვის დამახასიათებელ, შინაკორპორაციული კონკურენციის პირობებში, პალმელის ქარხანა წარმატებით ართმევს თავს ჭიდილს ისეთ მეტოქეებთან, როგორებიცაა ბრატისლავისა (სლოვაკეთი) და პოზნანის (პოლონეთი) საწარმოები, რომლებშიც გაცილებით იაფი მუშახელია. ■

Fiat Punto-ს ახალი დიზელი



დღეს უკვე 10 წლის Fiat Punto გარეგნულ იერს იცვლის. ახლა ამ მანქანას გამჭვირვალე მაშუქები, რადიატორის ახალი ცხაური ამშვენებს, რაც შეეხება სალონს – მასში ღია ფერები დომინირებს. ტექნიკური სიახლეებიდან აღსანიშნავია მოწინავე კონსტრუქციის, 1,3 ლ-იანი ძრავა, რომელიც სულ 130 კგ-ს იწონის და ე.წ. მრავალწერტილიანი შეშხეფების სისტემითაა აღჭურვილი. აქამდე, მსგავსი ტექნოლოგია მხოლოდ BMW-ს, Mercedes-ისა და Volvo-ს ძვირად ღირებულ მოდელებზე გამოუყენებიათ. ახალი „პუნტო“ ყოველ 100 კმ-ზე სულ 4,5 ლ საწვავს ხარჯავს, 100 კმ სიჩქარის მიღწევას 13,4 წმ-ს ანდომებს და 164 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მანქანა იმდენად სრულყოფილია, რომ ე.წ. Euro 4-ის უმკაცრესი სტანდარტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ის საუცხოო ელასტიკურობით, მინიმალური ვიბრაციითა და უხმაურო მუშაობით გამოირჩევა. Punto 1.3 Multijet 16V-ის მინიმალური ფასი 12.490 ევროდან იწყება. ■

აკაკი გეგენავა

კეთილი დეიდა ჯულია, მისი აშარი ქალიშვილი, პროფესორი ჰოლი და... ფოთა რუსთაველი

ანუ ჩემი ამერიკული ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები

გაგრძელება. წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №36

რა აღარ გამოვცადე ამერიკაში გატარებულ ორ წელიწადში, ვისი „ხალათი“ არ მოვირგე? რესტორნის კოლორიტული მომღერლიდან დაწყებული, ოლბანის ციხის პატიმრით დამთავრებული, — მრავალ პრესტიჟულ თუ არაპრესტიჟულ ამპლუაში მიხდებოდა „ჩემი სიტყვის“ თქმა. ბედის წყალობით, ყველგან ვახერხებდი საკუთარი ადგილის პოვნას. ახლაც, ასე თუ ისე, კარგად ვგრძნობდი თავს. ტვირთის გადაზიდვათა კომპანიამ ციხეში გატარებული დროის გაცდენა ამინაზღაურა და ჩემიანებს ერთბაშად გავუგზავნე ფული. ჩემს მეუღლეს და დედაჩემს ვუთხარი, შორეულ რაიონებში გადამქონდა ტვირთი და ვერ გიკავშირდებოდით-მეთქი. მგონი, პირველად ვიცრუე ჩემიანებთან, მაგრამ ამ ტყუილს მე „კეთილშობილურს“ დავარქმევდი, რადგანაც ჩემიანებს ჩემი ციხეში ყოფნა რომ გაეგოთ მაშინ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელ დღეში ჩაცვივდებოდნენ...

სტუმრად ბიძია ჯოს სახლში

ამერიკული მოგონებებიდან, შეიძლება ითქვას, რომ გამორჩეული იყო ბიძია ჯოს მეუღლესთან, ჯულიასთან სტუმრობა. ხომ გახსოვთ ბიძია ჯო, მოხუცი ზანგი პატიმარი, ჩემთან ერთად რომ ივჯდა ციხეში, თანაც, ჩემს საკანში და იქვე მიაბარა სული უფალს?.. ახლა მე მის უკანასკნელ თხოვნას ვასრულებდი, მისი ოჯახი მოვინახულე...

ჩემმა დანახვამ ძალზე იმოქმედა ბიძია ჯოს ქვრივზე. მოხუცი ჯულია ისე ცახცახებდა ნერვიულობისგან, რომ არ ვიცოდი, როგორ დამეწყნარებინა. ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი. გამოიტანა მოზრდილი საოჯახო ალბომი და ლამის მეც ამატირა. მიყვებოდა, როგორ გაიცნო მაღალი, სიმპათიური ჯო ზანგების უბანში, სადაც მოხდენილ გოგოს „არევა“ დაუპირეს აბეზარმა ბიჭებმა. ეს მოხდენილი გოგო ჯულია იყო. ოთხი დაკუნთული ზანგი გალახა ჯომ, თუმცა თვითონაც გვარიანად მიჟეჟესო. ცხვირ-პირდამტვრეული შინ წაუყვანია ჯულიას, მედდის კურსები ახალი გავლილი მქონდა და პირველი პრაქტიკა ჯოზე გავიარეო. ერთ თვეში დაქორწინებულან. სამი თვის შემდეგ ჯო დაუჭერიათ BEB-ობისთვის (მსხვილი ბიზნესმენების აფერას საკუთარ თავზე იწერდა)... მერე კი დაიწყო ერთფეროვანი დღეები... გამოვიდოდა ციხიდან ჯო, გაივლიდა რამდენიმე თვე და ისევ საპატიმრო...

— ჯო ყველაფერს ოჯახისთვის აკეთებდა. ჩვენი ერთგული იყო. თვითონ ლამის მთელი ცხოვრება ციხეში გაატარა, ჩვენ კი არაფერი მოგვკლებია. ჩვენი შვილები საუკეთესო კოლეჯში სწავლობდნენ... პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს... პრესტიჟულ უბნებში ცხოვრობენ... — მოთქვამდა ჯულია.

— საკანშიც სულ თქვენზე მელაპარაკებოდა... — როგორც იქნა, ხმა ამოვიღე.

— სამი ქალიშვილი გვყავდა. მათთვის უმაღლესი განათლების მიღებაც კი წარმოუდგენლად მიმაჩნდა. ჯომ კიდევ მაგათ ქმრებზეც იზრუნა, ყველას პროფესია მისცა, სახლები უყიდა, ბოლოს კი შვილიშვილებზეც ზრუნავდა... როგორ ვეხვეწებოდი, გეყოფა, სიბერეში მაინც შეეშვი BEB-ობას-მეთქი. არ დამიჯერა... ჯიუტი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ყველანი ძალიან ვუყვარდით. საკუთარ თავზე არც ფიქრობდა...

ვერაფრით ვახერხებდი ამ მოხუცი ქალბატონის ნუგეშისცემას. ბოლოს, როგორც იქნა, ტირილით გული მოიოხა და ჩვენმა საუბარმა სხვა ხასიათი მიიღო. ეს იყო სამოცდაათს მიტანებული ქალბატონისა და 30 წლის კაცის საუბარი და ამ საუბრის მთავარი თემა ისევ და ისევ ბიძია ჯო გახლდათ. თუმცა ქალბატონ ჯულიას არც თავისი შვილიშვილის საქციელი გამორჩენია მხედველობიდან — უცხო თეთრკანიანს რომ ლამის შავი დღე მაყარა — ჩემს „სამფლობელოში“ რა გინდაო?..

— ახლა ეგ ისეთ ასაკშია, სისხლი რომ უდუღს... ისე კი, ძალიან მიკვირს, ახლანდელი მოზარდები ასეთი აგრესიულები რატომ არიან?! — გაოცებას ვერ ფარავდა მოხუცი.

— თქვენ რომ დროზე არ გამოჩენილიყავით, ალბათ ერთი გვარიანად მომხვდებოდა... — ვუთხარი ჯულიას.

— რა ვიცი, შვილო, ამ ქუჩამ სულ გააგიჟა ახალგაზრდობა. რადგან აქ ზანგები ცხოვრობენ, რატომღაც ჰგონიათ, რომ თეთრებმა აღარ უნდა გაიარონ. არადა, ჯოს თეთრკანიანი მეგობარი უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე ზანგი... ისე, აქ მოსვლას რომ დააპირებ, აუცილებლად დარეკე წინასწარ, თორემ ამათი ნდობა მართლა აღარ შეიძლება!.. — აქოთქოთდა ჯოს ჩასუქებული მეუღლე და ახლა უკვე ჩემს გასამასპინძლებლადაც მოიცალა. ათიოდე წუთში სუფრა უამრავი ნუგბარით აივსო, შეკვეთილი უზარმაზარი (და უგემრიელესი) პიცაც მოიტანეს, ქალბატონმა ჯულიამ შოტლანდიური ვისკიც გახსნა, პიცის მოზრდილი ნაჭერი თვი-

თონვე გადმომიღო, ჭიქა შემივსო და ბიძია ჯოს ხსოვნის სადღეგრძელოც დაილია...

„იდილია“ მოულოდნელად დაირღვა, როცა ოთახში ორმოცს მიტანებული, სოლიდური გარეგნობის სათვალიანი ზანგი ქალი შემოვიდა. მივხვდი, ბიძია ჯოს ერთ-ერთი ქალიშვილი იყო.

— ეს აკაკია, შვილო, გაიცანი, მამაშენთან ერთად ივჯდა ოლბანის ციხეში... — ერთბაშად გამოცოცხლდა ქალბატონი ჯულია და ჩემი თავი ქალიშვილს წარუდგინა.

მე თავაზიანად წამოვდექი და ხელი ჩამოვართვი ბიძია ჯოს ქალიშვილს, მან კი ისე ცივად გამომიწოდა ხელი და სახელიც ისე გაურკვევლად წაიბუტბუტა, მივხვდი, ჩემი საქმე კარგად ვერ იყო. ეს ქალბატონი ჩემ მიმართ აშკარად უარყოფითად იყო განწყობილი. ჯულიამაც იგრძნო ეს, მაგრამ არ შეიმჩნია და ისე განაგრძო საუბარი, ვითომც აქ არაფერი. მეც მხარი ავუბი. სანდრა კი (ასე ერქვა ჯულიას ქალიშვილს), მონუსხულივით ივჯდა და ხმის ამოუღებლად გვისმენდა. მერე მოულოდნელად, თვალი გამისწორა და გამომძიებელივით ჩამეკითხა:

— თქვენ რატომღა ივჯექით ციხეში, თქვენც BEB-ი ხართ თუ კაცის მკვლელი?

— რა საჭიროა, შვილო, ასეთი შეკითხვები? — სცადა ჯულიამ სიტუაციის განმუხტვა.

— რა, არა მაქვს უფლება, ვიცოდე, ჩემს სახლში ვინ მოდის? — იყო „ამომწურავი“ პასუხი.

სიტუაცია აშკარად დაიძაბა.

— რაღაც გაუგებრობა მოხდა და შემთხვევით აღმოვჩნდი ბიძია ჯოს საკანში... — სასწრაფოდ ვუპასუხე, იმ იმედით, რომ დედა-შვილს ჩემ გამო ჩხუბი არ მოსვლოდა.

— შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად, ახალგაზრდავ! და თანაც არც უდანაშაულოს ჰგავხარ!.. პირდაპირ გვითხარით, რა გინდათ, რისთვის მოხვედით აქ! — ეს ისეთი დამამცირებელი ტონით იყო ნათქვამი, რომ ნამდვილად გამიჭირდა თავის შეკავება. გაბრაზებულმა წამოვწიე კიდეც, მაგრამ მაინც შევძელი სიმშვიდის შენარჩუნება.

— მე თქვენი არაფერი მინდა! უბრალოდ, ბიძია ჯოს უკანასკნელ თხოვნას ვასრულებ!.. — ვუპასუხე.

— კი, როგორ არა! მამაჩემი სულ იმაზე ოცნებობდა, ვიღაც რუსი თეთრკანიანი მოსულიყო ჩვენს სანუგეშებლად! — უკან არ იხევდა სანდრა და ცინიკურად შემომყურებდა.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, სანდრა? რა მოგდის?! — აქ უკვე დედამისმა იფეთქა.

— რა გგონია, დედა, ეს კაცი აქ მხოლოდ შენს სანახავად მოვიდა?! — ისევ სცადა ცეცხლის შენთება სანდრამ.

— რა, არ შეიძლება?

— დაბერდი ქალი და ისევ ისეთი მიამიტი ხარ, როგორიც ბავშვობაში იყავი. როგორ გეტყობა, რომ დროს ჩამორჩი... — ეს თქვა სანდრამ და გამომცდელად შემომხედა. არ ვიცი, რა პასუხს ელოდა ჩემგან.

— მამაშენის ხსოვნას ეცი პატივი!.. — უპასუხა ჯულიამ და თვალით კარზე ანიშნა.

ამას კი აღარ მოელოდა სანდრა. ისის იყო, ჩემთვის რაღაც შეურაცხმყოფელი უნდა ეთქვა, რომ ჯულიამ დაასწრო:

— ახლავე გადი ამ ოთახიდან! როგორ ბედავ, ჩემი თანდასწრებით ასე მოექცე საცოდავი ჯოს უმცროს მეგობარს?! კიდევ კარგი, მამაშენი არ ხედავს!..

სანდრა ერთი შეიშმუშნა და ფეხათრევით გავიდა ოთახიდან. თვალი ავარიდე, არ მინდოდა, მისი ბოროტი გამოხედვა დამხსომებოდა...

— ჭამე, შვილო, გაცივდა პიცა!.. — ახლა მე მომიბრუნდა საცოდავი მოხუცი. მიუხედავად იმისა, რომ არ მინდოდა მისი წყენინება, პირი ველარაფერს დავაკარე, თითქოს კრიჭა მქონდა შეკრული...

— რა ვქნა, შვილო, როგორც ჩანს, შვილები და შვილიშვილები ისეთებად ვერ გავზარდე, მე და საწყალ ჯოს რომ გვინდოდა. ნუ გვიწყენ, ასეთი ყოფილა ცხოვრება... — ისევ ცრემლი მოეძალა მოხუცს.

რამდენადაც შემეძლო, ვაწყნარებდი, ბევრი ცრემლი არ სჭირდება მიცვალებულს-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. უსაზღვრო იყო მოხუცი ქალის წუხილი. ბოლოს, სხვა გამოსავალი რომ ვერ ვიპოვე, ვისკის ბოთლიდან მოზრდილ ბოკალში ჩამოვასხი ამ სიტუაციაში ჩემი გადამრჩენელი სითხე და სულმოუთქმელად გადავკარი. მეორე ბოკალის დაცლაც რომ დავაპირე, მოხუცმა ტირილს თავი ანება და გაოცებით შემომხედა:

— არ გინდა, შვილო, მეტი, ეს ძალიან მაგარი ვისკია, ჯოც კი არ სვამდა ნახევარ ბოკალზე მეტს...

— მე წავედი, ქალბატონო ჯულია, კარგად ბრძანდებოდეთ. ბედნიერი ვარ, რომ ბიძია ჯოს უკანასკნელი თხოვნა შევუსრულე. თქვენ ძალიან, ძალიან კეთილი ქალი ბრძანდებით, არასოდეს დამავიწყდებით... — თვითონაც ვერ ვხვდებოდი, საიდან მეყო ძალა ამ სიტყვების სათქმელად.

ჯულია ავტობუსის გაჩერებამდე გამომყვა, — ჩემი გიჟი შვილიშვილი და მისი ძმაკაცები ისევ სადმე არ გადაგეყარონო...

გაჩერებამდე ისე მივედით, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. დამშვიდობებისას ახლობელივით გადამეხვია.

— მადლობელი ვარ, შვილო, რომ მინახულე. ხშირად მოდი ხოლმე ჩემთან, ძალიან მოხარული ვიქნები შენი სტუმრობის... — ამბობდა მოხუცი ქალი და ალბათ გულში ფიქრობდა — ეს აქ მომსვლელი აღარ არისო, — და ეს კიდევ უფრო უმძაფრებდა ბიძია ჯოს დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

კიდევ კარგი, ავტობუსი მალე ჩამოდგა.

... ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ იდგა მოხუცი ქალი და თვალს არ აშორებდა ავტობუსს. ხელი არ დაუქნევია, იდგა და იხედებოდა სადღაც შორს, უსასრულობაში, ალბათ თავის განვლილ ცხოვრებას თუ მისტიროდა, რომელიც, როგორც ჩანს, ბიძია ჯოს გარდაცვალებამ თან გაიყოლა...

ბოსტონისკენ მიმავალ გზაზე...

დილის შვიდი საათი არც იქნებოდა, სამსახურში რომ გამოვცხადდი. კონტეინერები უკვე დაეტვირთათ, მე მხოლოდ ტრაილერისთვის უნდა მიმება და შორეულ გზას დავდგომოდი. როგორც გახსოვთ, ტვირთის გადამზიდავ ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში ვმუშაობდი. აქედან მოვხვდი შემთხვევით ციხეში და აქვე დავბრუნდი გამართლებული და გათავისუფლებული...

— აკაკი, კონტეინერში ორი შემკვეთის ტვირთია. ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტში წიგნები და კომპიუტერები უნდა მიიტანო, დეტროიტში კი, ერთ-ერთი ოჯახის ავეჯს გადატვირთავ. საკმაოდ ძვირად ღირებული ტვირთია და ფრთხილად იარე, არ იჩქარო... — დამარიგა კომპანიის უფროსმა ედმონდმა.

— მძღოლი მხოლოდ მე ვიქნები? — ვკითხე.

— რა თქმა უნდა, შენ ხომ ნამდვილი პროფესიონალი ხარ! — გამამხნევა უფროსმა.

— და ეს ამდენი ტვირთი ადგილზე მე უნდა გადმოვტვირთო?! — გავუსწარი

მოვლენებს.

ედმონდმა გულიანად გადაიხარხარა, მერე მხარზე მეგობრულად დამარტყა ხელი და ამიხსნა:

— როცა ადგილზე ჩახვალ, ამ ნომრებზე (ფურცელი გადმომცა) დარეკავ და მუშებიც ხუთ წუთში იქ გაჩნდებიან. შენი მოვალეობა მხოლოდ მძღოლობაა... აჰა, ეს რუკაც (და მინიატურული რუკა გამომიწოდა), აქ ამერიკის შეერთებული შტატების გზების ნომრებია, თუ დაიბნევი, ჩახედავ და მიაგნებ. ეს კიდევ, მობილური ტელეფონია. მართალია, შენს ტრაილერს გადამცემი ხაზიც აქვს, მაგრამ ზოგჯერ შეფერხებაა და მაშინ მობილურს გამოიყენებ. დეტროიტიდან შეიძლება პირდაპირ სხვაგან გაგაგზავნოთ. რაიმე პრობლემა თუ შეგექმნება, დღე-ღამის ნებისმიერ დროს დამირეკე... ისე, ხომ ხარ შრომისთვის მზად?.. — ედმონდი ასეთი გულისხმიერი ალბათ არასოდეს ყოფილა.

— მზად ვარ!.. — საბჭოთა პიონერივით ვუპასუხე და ჩემს ამ ჟესტზე ორივეს გაგვეცინა. მერე უფროსს ხელი ჩამოვართვი, კაბინაში შევხტი და მანქანა დავქოქე.

ჩემი ტრაილერი მძიმედ დაიძრა. სულ მალე, გადამცემში ედმონდის ხმა გაისმა:

— აკაკი, სულ დამავიწყდა, 95-ე გზის მე-10 მილზე ავტოგასამართ სადგურთან ერთი პროფესორი დაგხვდება. ცოტა უცნაური კაცია, ჩემს წიგნებს და კომპიუტერებს ვერავის ვანდობო... მოკლედ, შეუარე და წაიყვანე... აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ!..

ერთი მხრივ, გამიხარდა, რომ მარტო არ მომიწევდა ბოსტონამდე მგზავრობა; მეორე მხრივ კი, შიშმა შემიპყრო — ამხელა გზაზე მარტო პირველად მივდივარ და იმ პროფესორმა გამოუცდელობა არ შემამჩნიოს-მეთქი.

სანამ ციხეში მოვხვდებოდი, კომპანია All point Amerika-ში სამი კვირის დაწყებული მქონდა მუშაობა და ნიუ-იორკი და მისი შემოგარენი ასე თუ ისე ვიცოდი. თან გვერდით მუდამ ჩემი მეწყვილე ჯონი მეჯდა და თავს მშვიდად ვგრძნობდი. ახლა კი დამოუკიდებლად ჯერ ბოსტონში უნდა გამევლო, რომელიც 240 მილით იყო დაშორებული ნიუ-იორკიდან, ხოლო შემდეგ მთელი 800 მილი უნდა დამეფარა, რომ დეტროიტში ჩავსულიყავი. შინაგანად ერთიანად ვღელავდი, მაგრამ სულ ხომ იმისკენ ვისწრაფოდი, რომ დამოუკიდებლად მევლო შორეული ამერიკის გზებზე. მოკლედ, იწყებოდა ჩემი ამერიკული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეტაპი...

მისტერ ჰოლი და... შოთა რუსთაველი

ძალზე ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ ამჯერად უბრალოდ ბოსტონში კი არ მივდიოდი, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმულ ჰარვარდის უნივერსიტეტში მომიწევდა „ფეხის დადგმა“, იმ უნივერსიტეტში, რომელიც ამერიკის არაერთ პრეზიდენტს ჰქონია დამთავრებული...

ავტოგასამართ სადგურთან ერთი შუახნის, საშუალო ტანის, სათვალიანი მამაკაცი შევნიშნე. ელეგანტური, ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, შესაფერისი ჰალსტუხი ეკეთა და მარჯვენა ხელში ისე ჩაებღუჯა მომცრო ჩანთა, თითქოს შიშობდა, არავის წაერთმია. წითური, ჭაღარაშერეული ბლანჟე მკაცრ და ზედმეტად სერიოზულ გამომეტყველებას აძლევდა. დაღლილი ჩანდა.

ტრაილერი ზედ სადგურთან დავამუხრუჭე. ჩემი პროფესორი ხმაურმა მგონი, შეაშინა კიდეც. კაბინის კარი გამოვაღე და მივიპატიჟე:

— გამარჯობა, თქვენ ის პროფესორი ბრძანდებით, არა, ბოსტონში რომ უნდა წამოხვიდეთ?

— გამარჯობა. დიახ, ბოსტონში მოვდივარ. როგორც მივხვდი, ჩემი წიგნები და კომპიუტერები თქვენს მანქანაშია. შეიძლება, გამოგყვეთ?.. — მორიდებით იკითხა პროფესორმა.

თანხმობა რომ მიიღო, ტრაილერის მაღალ კიბეზე ფეხის დადგმა სცადა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ მოახერხა. უხერხულად გაიღიმა და ისევ მოებღაუჭა ტრაილერის სახელურს.

— ერთი წუთით, ახლავე მოვალ!.. — დავამშვიდე პროფესორი და კაბინიდან გადმოვხტი. პროფესორს კაბინაში ასვლა გავუადვილე და ისევ ჩემს ადგილას მოვკალათდი. პროფესორმა მადლობა გადამიხადა და ისე გამიღიმა, მივხვდი, ძალზე ჭკვიან და კეთილშობილ ადამიანთან მომიწევდა მოგზაურობა...

— გავეცნოთ ერთმანეთს, მეგობარო. მე პოლი მქვია, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავართ. მსოფლიო სამართლის ისტორიის კურსს ვკითხულობ. ეს წიგნები ლონდონიდან გამოვიწერეთ, ძალიან საინტერესო ლიტერატურაა... წარმოშობით ირლანდიელი ვარ... თქვენ, თქვენ რა გქვიათ? — მორიდებით მკითხა ჩემმა თანამგზავრმა.

— აკაკი!.. — ვუპასუხე.

— რა უცნაური სახელია, საიდან ხართ? — გაუკვირდა პროფესორს.

— საქართველოდან... — ეს ვთქვი და გავიფიქრე, დაიწყება ახლა ახსნა-განმარტების მორიგი „სეანსი“ — რუსეთი, ატლანტა და... იმის ახსნა, რომ მე არც ამერიკის ჯორჯიიდან ვარ და არც რუსი, რომ მე...

— ოო! შოთა რუსთაველის ქვეყნიდან ყოფილხართ, დიდებული ქვეყნიდან... — აღფრთოვანებით წამოიძახა ამერიკელმა პროფესორმა.

მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა და აღფრთოვანებით გადავხედე ჩემს თანამგზავრს. ეტყობა, იმის აღქმის უნარიც შემისუსტდა, საჭეს რომ ვეჯექი და პროფესორის სიტყვებმა გამომაფხიზლა.

— თუ ღმერთი გწამთ, წინ იყურეთ, რომ ბოსტონამდე მშვიდობით ჩავიდეთ. თქვენს შოთა რუსთაველზე კი შეგვიძლია მთელი გზა მშვიდად ვილაპარაკოთ... — მითხრა და გულღიად გამიღიმა...

P.S. აკაკი გეგენავას მოგონებათა ამსახველ მორიგ წერილს „გზის“ №40-ში შემოგთავაზებთ. ■

ჰერპესი – მცოცავი ვირუსი

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

როგორც ცნობილია მოსახლეობის 90% ჰერპეს-ვირუსის მატარებელია, რომელიც პერსისტირებს სისხლში. «ყველაზე მეტად გავრცელებულია ჰერპეს-ვირუსის ორი ფორმა: ჰერპეს ზოსტერი და ჰერპეს სიმპლექსი (კანისა და ლორწოვანას ფორმები).

ჰერპესის ინფექცია გადამდებია. მისი სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.

ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

სუპერ ლიზინი+ თავიდან აგაცილებთ ჰერპესის ვირუსით გამოწვეულ ბევრ უსიამოვნო შეგრძნებებს.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

პენელოპა კრუსს ედამნიშიც ვერ დაემალები

პენელოპა კრუსი და მეთიუ მაკონაჰი კლივ კესლერის რომანის „საჰარას“ ეკრანიზაციაში მიიღებენ მონაწილეობას. ფილმის გადაღებები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება. რეჟისორად ბრეკ ეიზნერი დაამტკიცეს. ეს იქნება ბესტსელერთა სერიის პირველი ეკრანიზაცია დირკი პიტის (მაკონაჰი) თავგადასავლების შესახებ. დირკი საჰარაში დაგროვილი ტოქსინების ძიებას შეუდგება, რომელიც გარემოს წამლავს. სწორედ უდაბნოში წამოეწევა მას შეყვარებული ექიმი — ნევროლოგი პენელოპა კრუსი. ■

„კარიბის ზღვის მეკობრეების“ გმირს ჯორჯ კლუნი ამერიკულ ენას შეასწავლის

ჯორჯ კლუნი და სტივენ სოდერბერგი მორიგი ფილმის გადასაღებად კვლავ ძალებს იკრებენ. ამჯერად ისინი ფილმის The Jacket-ის პროდიუსერების როლში იქნებიან. ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ — კეირა ნაიტლი, რომელიც მაყურებელს „კარიბის ზღვის მეკობრეებიდან“ ახსოვს და ედრიან ბროუდი, რომელსაც ფილმში „პიანისტი“ მამაკაცის საუკეთესო როლისთვის „ოსკარი“ მიენიჭა. იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფი ჯარისკაცის სიკვდილში ბრალდებულის როლს ითამაშებს. მკურნალობის პროცესში მას ეჩვენება, რომ ნაიტლის გმირს ეძებს, რომელიც ბავშვობაში იხილა და მომავალში უნდა შეიყვაროს. ფილმის შემქმნელებს მოუწევთ, ამერიკული ინგლისური შეასწავლონ ბრიტანელ კეირა ნაიტლის იმისათვის, რომ მან გმირისთვის დამახასიათებელი აქცენტი და მანერები აითვისოს. სურათის რეჟისორი ჯონი მეიბერი იქნება. ■

მადონა მსახიობის კარიერას არ ღალატობს

პოპ-მუსიკის დედოფალი, სარეკლამო ვარსკვლავი და საბავშვო მწერალი მადონა, კვლავ მსახიობის ამპლუაშია. ის მონაწილეობას მიიღებს მძაფრი სოციალური ფილმის გადაღებებში, რომლის სიუჟეტიც 1993 წელს განვითარებულ რეალურ ფაქტებს ეყრდნობა.

სამ მოზარდს ბრალი დაედო 8 წლის რამდენიმე ბავშვის მკვლელობაში და სიკვდილი მიესაჯა, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, მტკიცებულება მათ წინააღმდეგ შეთხზული იყო. მადონამ, რომელმაც ბოლო ფილმში სრული კრახი განიცადა, ამჯერად სიამაყე დათრგუნა და მეორეხარისხოვან როლზეც დათანხმდა. სურათში, რა თქმა უნდა, საუნდტრეკსაც მას ჩააბარებენ — სისულელე იქნებოდა მადონას მიწვევა და მხოლოდ მისი (საეჭვო) აქტიორული ტანალტით შემოფარგვლა. უკვე ცნობილია, რომ მთავარი როლები მსახიობებს — მაიკლ მედსენსა და მაიკლ პიტს ერგოთ. ■

ტომ კრუზი ომში დაღუპული პირველი ამერიკელი მფრინავი გახდება

ჰოლივუდის ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული მსახიობი ტომ კრუზი, რომელმაც ერთხელ უკვე ითამაშა სამხედრო მფრინავის როლი ფილმში Top Gun, კვლავ ცაში იფრენს. მას ბობსლეის ოლიმპიური ჩემპიონისა და პირველი ამერიკელი მფრინავის, ბილი ფისკის განსახიერება მოუწევს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა. ამ ჯერჯერობით, დაუსათაურებელი ბიოგრაფიული დრამის რეჟისორი იქნება მაიკლ მანი, სცენარზე კი ჯონი ლოუგანი იმუშავებს.

ბილი ფისკი ბრიტანული BBC-ის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შესულ ამერიკელ მფრინავებს ხელმძღვანელობდა, რომლებიც 1939 წელს „ლიუფტვაფეს“ წინააღმდეგ უმძიმეს ომს აწარმოებდნენ. ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როცა აშშ ოფიციალურად ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და ნებისმიერი ამერიკელი მოქალაქის ევროპაში მიმდინარე საომარ კონფლიქტში ჩარევა, შეიძლებოდა. სისხლის სამართლის საქმით დასრულებულიყო. მიუხედავად ამისა, მოხალისე ბევრი იყო. 1940 წლის ივნისში ფისკი საჰაერო ბრძოლისას მძიმედ დაიჭრა, თუმცა მაინც შეძლო მტრის მოგერიება და აეროპორტამდე მიღწევა. იგი მოგვიანებით ნაჭრილობევებისგან გარდაიცვალა.

დიდ ბრიტანეთში ფისკის პატივსაცემად მემორიალია აღმართული. ■

რითა ეხმარ თავს ესხეიან...



გამოტყდით, რას გრძნობთ მაშინ, როდესაც თითქმის უკაცრიელ ქუჩაში უცნობი მამაკაცი გიახლოვდებათ და როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე – კოჭებში ეტყობა, რომ რაღაცა ფარსაგს გიპირებთ: ვთქვათ – უხამსი წინადადების შემოთავაზებას, ჩანთის წართმევას, საყურის ჩამოგლეჯას, ან იქნებ მას „მხოლოდ ერთი კოცნა უნდა“ და მეტი არაფერი? ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც დაცარიელებულ ქუჩაში, საღამო ჟამს ქალს უცხო მამაკაცი საეჭვოდ ამოუცნობი მზერით უახლოვდება, „მსხვერპლს“ შიში და მღელვარება იპყრობს, დაბნეული გამომეტყველებით თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და მხსნელის გამოჩენას ელის. სამწუხაროდ, ხშირად ვხდებით ისეთი ფაქტის მოწმენიც, რომ ხალხით სავსე ქუჩაშიც კი, ქალს იშვიათად ესარჩლებიან. ამიტომ, ჯობს, საკუთარი თავის იმედი გვქონდეს, ამისთვის კი, ურიგო არ იქნება, რამდენიმე რჩევა გავითვალისწინოთ.

როცა გძარცვავენ, იყვირეთ – „ხანძარია!“

როგორც ამბობენ ხოლმე, ყველა საკუთარ ტყავს უფრთხილდება და შეძახილზე – „მიშველეთ, მძარცვავენ!“ – ქუჩის მეორე მხარეს გადარბის და აჩქარებული ნაბიჯით ცდილობს, სასწრაფოდ გაეცალოს სახიფათო ზონას. შეიძლება ვიღაცამ კარის საიმედოდ ჩარაზვის შემდეგ პოლიციაშიც დარეკოს, მაგრამ მხოლოდ პოლიციის იმედად ყოფნას არ გირჩევთ.

სპეციალისტები, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციებს იკვლევენ, გვირჩევენ, რომ თავდასხმის შემთხვევაში, თავდაცვის მიზნით ვიყვიროთ არა „მძარცვავენ!“, არამედ – „ხანძარია!“, რადგან პრაქტიკამ და დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მხოლოდ ამ შეძახილის გაგონებისას მირბიან დასახმარებლად... და კიდევ ერთი: შეიძლება მოძალადე თქვენმა შეძახილმა ისე დააბნიოს, რომ დაავიწყდეს კიდეც, რა ჰქონდა განზრახული. თუმცა, მღელვარებისა და დაძაბულობის გამო, შეიძლება შეძახილი „ხანძარია!“ ისე ამოიკნავლოთ, რომ თავადაც ძლივს გაიგონოთ. ამიტომ საჭიროა მეცადინეობა, მოკლედ, წინასწარ წაივარჯიშეთ. მაგრამ სანამ ვარჯიშს დაიწყებთ, გაითვალისწინეთ, რომ გვერდით მეზობელი გყავთ და მისი შეშფოთება არაფერში გჭირდებათ. ამიტომ, ჩარგეთ თავი ბალიშში და მთელი ძალით იყვირეთ „ხანძარია! ხანძარია!“ ეს სრულებითაც არ არის სასაცილო. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ის ადამიანები, რომლებიც მოცემულ სავარჯიშოს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ, ექსტრემალურ სიტუაციაში უფრო მობილიზებულნი აღმოჩნდნენ.

გაზის მინიბალონი თუ ელექტროშოკი?

არსებობს ინდივიდუალური დაცვის სპეციალური საშუალებები – გაზის პატარა ბალონები და ელექტროშოკები, რომელიც მსგავს ექსტრემალურ სიტუაციაში, მართლაც რომ შეუცვლელი „მეგობარია“. მაგრამ თუ კარგად არ იცით თავდაცვის ამ საშუალებების ხმარების წესი, შეიძლება თავადვე დაზარალდეთ. მაგალითად, უნდა იცოდეთ, რომ დაუშვებელია ელექტროშოკის წვიმიან ამინდში გამოყენება, გაზის ბალონით დახურულ სივრცეში სარგებლობა და ა.შ. თანაც, თავდასხმა შეიძლება ისე სწრაფად განხორციელდეს, რომ ვერც კი მოასწროთ დასახელებული საშუალებების ჩანთიდან ამოღება და მოძალადის პირისპირ შიშველი ხელებით აღმოჩნდეთ. ამიტომ გაეცანით შემდეგ ქვეთავს:

შიშველი ხელით მოძალადის ჭიჩისჭის

ჩანთაში ქექვასა და აკანკალებული ხელით ელექტროშოკის ღილაკების ძებნას არ სჯობს, მოძალადეს ერთი ლაზათიანად უთავაზოთ? ძალზე ეფექტურია დარტყმა სახეში, კერძოდ ცხვირის არეში, მთელი ძალით, თან აუცილებლად – მუშტით (სასურველია, შუათითზე მასიური ბეჭედი გეკეთოთ)! თუ გაგიმართლათ და ამ დროს ჩანთაში მძიმე, სქელყდიანი წიგნი გიდევთ, უნდა იმარჯვოთ და ჩანთა ისე მიმართოთ მოძალადისკენ, რომ წიგნის კუთხე მის თვალებსა და წარბებს გაუსწოროთ (ამ დროს, თქვენი მოწინააღმდეგის ადგილზე ყოფნას, მართლაც არავინ ისურვებდა), ოღონდ გახსოვდეთ – მთელი ძალით უნდა დაარტყათ!

ძალიან ადვილია მოძალადის მოგერიება, თუ სქელძირიანი ბათინკი გაცვიათ. თავდამსხმელს დაარტყით წვივის არეში ან იქ, სადაც ფოტოზე აღბეჭდილი გოგონა ურტყამს მამაკაცს. თუ მოძალადემ დროებით დაკარგა მოძრაობის უნარი, ნუ ეცდებით განმეორებითი დარტყმის მიყენებას – წელში მოიკაკვება თუ არა, სასწრაფოდ მოკურცხლეთ. თუ თავს ისეთი გოლიათი დაგესხათ, რომ სურათში ნაჩვენებ ადგილამდე მუხლის მიწვდენა გაგიჭირდათ, მაშინ სასწრაფოდ დააგდეთ ჩანთა და ისე მოქუსლეთ – სული ტკბილია! ამაოდ ნუ შეეცდებით, მამაკაცს მუშტები მუცელში ან მკერდის არეში დაუშინოთ. გირჩევთ, ზემოთ ნახსენებ, დაუცველ ადგილებზე ყურადღება იმ დროსაც გაამახვილოთ, როცა თავს გესხმიან. დაარტყით მთელი ძალით, შეუბრალებლად და მოკურცხლეთ – რაც შეიძლება სწრაფად. შემდეგ კი, სამშვიდობოს გასულმა, გამოცდილება მეგობრებს გაუზიარეთ.

რაც ყველაზე ნაძვილი მამაკაცები

ქალმა უნდა იცოდეს, რომ ნამდვილი მამაკაცისათვის ხარისხიანი სასმელი ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც ივ-სენ ლორანის ან კარდენის კოსტიუმი. რაც უფრო ნაკლებად ეტანება ადამიანი სასმელს, მით უფრო დახვეწილი უნდა იყოს სმის პროცესი. „დიდი გემოვნებით და მცირე დოზებით“ – ასეთია ათწლეულების დევიზი, მაგრამ ვიცით კი ქალებმა, რა ღირს ის ხარისხიანი სასმელი, რომელსაც ჩვენი „ნამდვილი მამაკაცი“ წრუპავს? იმის მიხედვით, თუ რას სვამს ახალგაცნობილი მამაკაცი, შეგვიძლია მისი ჯიბის მდგომარეობაზეც შევიქმნათ წარმოდგენა. ასე რომ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია, ძვირად ღირებული სასმელებისა და მათი ღირებულების შესახებ, შეიძლება თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს.

● **ვისკი** ამერიკულ სასმელად ითვლება, თუმცა, ის შვეიცარიელების გამოგონებაა. შვეიცარიული ექსპორტიდან ყველაზე ხელმისაწვდომია „როიალ სალუტი“ და „ჩივას რეგალი“ – ფასი 20-დან 70 დოლარამდეა. „სვინგი“ – 30 დოლარი ღირს. ნაკლებად ცნობილია 25 წლის სიძველის „მაკალან ჰაილანდ სინგლი“ – ის, ვინც მას მიირთმევს, სპეციალისტ-დეგუსტატორებში კარგი რეპუტაციითა და პატივისცემით სარგებლობს.

● **რომი** ოდესღაც მეკობრეების სასმელად ითვლებოდა. მისი სამშობლო ცენტრალური ამერიკა უნდა იყოს. დღეს ამერიკაში რომს განსაკუთრებით ესპანურენოვანი მოსახლეობა ეტანება.

ყველაზე იაფი ავსტრალიური თეთრი რომი – 15 დოლარი ღირს. ჰაიტიზე, იამაიკასა და პუერტო-რიკოში დამზადებული რომი უფრო ძვირია.

● **ტეკილა** კაქტუსის არაყია. აშშ-ში ის მექსიკიდან და ლათინური ამერიკიდან გავრცელდა და პოპულარობა ეგზოტიკური სუნითა და გემოთი მოიპოვა. ტეკილა უნდა მიირთვათ ერთბაშად. ყველაზე ძვირად ღირებულია – „ჩინაკო“ – 30 დოლარი. ნამდვილ ტეკილას მუხის კასრებში 2 წელი ინახავენ.

● ამერიკასა და ინგლისში პოპულარულმა, გემრიელმა და სასარგებლო **ჯინმა** ვერაფრით მოიპოვა არისტოკრატიული სასმლის სტატუსი. საუკეთესო ჯინი – „ბომბეი საპფირი“, რომელიც თავისი არომატით ფასობს, ნუშის ნაყოფზე, ლიმონის ქერქზე, მიხაკსა და ქინძზეა დაყენებული. მისი ფასია – 21 დოლარი.

● **კონიაკი და ბრენდი** ანგლო-ამერიკული სასმელია, თუმცა, მას სხვა ქვეყნებშიც ამზადებენ. ბრენდი იგივე კონიაკია, ოღონდ ნაკლებად დაძველებული. საუკეთესო კონიაკის დასაყენებლად საჭირო მასალას მუხის კასრებში ზოგჯერ 10 წელზე მეტხანს ინახავენ. კონიაკი უნდა მიირთვათ ნასადილევს, ყავასა და სიგარეტთან ერთად. პოპულარულია „მარტელი“, „რემი მარტინი“ და „ნაპოლეონი“. ფასი 10-დან 30 დოლარამდეა.

უფრო ძვირად ღირებული და ხარისხიანი კონიაკებია: „ჯელამენ ტრე ვენერაბლი“, 117 დოლარი; „ზესენი პარადაიზ“ – 120-180 დოლარი, „მარტელ კოროდონ ბლიუ“ – იყიდება ბროლის ჭურჭელში 350 დოლარად, „რემი ლუი XIII“ – 610 დოლარი, 1914 წლის „ჰაინ ექსტრა“ – 950 დოლარი, 150 წლის „ზარდი გრან შამპანი“ – 3.500 დოლარი.

რჩევები დიასტრიტებს

● თუ გინდათ, რომ სანთლები დიდხანს ენთოს, ხმარებამდე ჩადეთ მარილწყალში, შემდეგ კი გააშრეთ.

● ბუზები ოთახში რომ არ შემოფრინდნენ, ფანჯრის ჩარჩოებს ძმარი წაუსვით.

● ტანსაცმლიდან კვერცხის ლაქა იოლად რომ ამოვიდეს, გაშრობა აცალეთ, შემდეგ კი რბილი ჯაგრისით ამოწმინდეთ. თუ ლაქა ბოლომდე არ მოშორდა, ქსოვილი ბენზინში დაასველეთ და ლაქა ისე მოაცილეთ.

● ქსოვილიდან ყავის ძველი ლაქების ამოსაყვანად კარგია გლიცერინის, ნიშადურის, სპირტის და წყლის (თანაბარი პროპორციით) ნაზავი. ეს ნაზავი ლაქაზე ერთი დღე-ღამის მანძილზე გააჩერეთ, შემდეგ კი საპნიანი წყლით ამორეცხეთ.

● ჭკნობაშეპარული მწვანილი გაცოცხლდება, თუ ცივ წყალში ჩადებთ, რომელშიც 1 ს/კ ძმარია გახსნილი.

● ოხრახუში, კამა და პიტნა თაკარა სიცხეშიც ცოცხლად დიდხანს შეინახება, თუ მას მჭიდროდ თავდახურულ მშრალ ჭურჭელში შეინახავთ. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ მწვანილიც და ჭურჭელიც მშრალი უნდა იყოს.

● თუ რძე გადმოგივიდათ, ქურის ზედაპირზე სველი გაზეთი დააფინეთ. ეს ხელს შეუშლის მთელ ბინაში უსიამოვნო სუნის გავრცელებას.

● რძე რომ გემრიელი იყოს, იმავე ქვაბში უნდა დატოვოთ, რომელშიც აადუღეთ.

● კარტოფილის პიურეს მდუღარე რძე უნდა დაუმატოთ. ცივი რძისგან პიურე ნაცრისფერს იღებს.

● ვიდრე ყველს მაცივარში შეინახავთ, იგი პოლიეთილენის პაკეტში ან ფოლგაში გაახვიეთ. ის დიდხანს შეინარჩუნებს პირვანდელ სახეს.

● მაცივარში ყველი საყინულე კამერისგან მოშორებით უნდა დადოთ. მაცივრის გარეშე კი, უმჯობესია, ყველი მარილწყალში დასველებულ ტილოში გაახვიოთ და გრილ ადგილას დადოთ (ადგილი უნდა ნიავდებოდეს).

● გამხმარი ყველი შერბილდება, თუ ცოტა ხანს რძეში გააჩერებთ.

● თუ დიდი ხნით გინდათ ყველის შენახვა, ჩადეთ თავდახურულ ჭურჭელში და ზედ 2-3 კოვზი შაქრის ფხვნილი მოაყარეთ.

ოჰ, ეს ცვალებადი ვერცხლი

ჰერპესული გამონაყარი ტუჩზე თითქოს ყოველთვის არასასურველ დროს ჩნდება, ტუჩსაც ამახინჯებს და თითქმის მთელი 10 დღის მანძილზე ხასიათსაც გვიფუჭებს. მედიცინაში მისი მკურნალობისათვის სხვადასხვა მალამოს იყენებენ, თუმცა, ხალხური რჩევების გათვალისწინებაც არ გვაწყენდა. თუ გინდათ, რომ ჰერპესისგან დროზე ადრე გათავისუფლდეთ, რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ: შეხორცების დროს ქერქს ნუ მოიცილებთ, დაბანის დროს კი ეცადეთ, ტუჩი არ დაისველოთ.

პისტოლეტზე უფრო საშიში

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მობილური კავშირის ღირსებებზე დავას აზრი არა აქვს — ის აშკარაა, მაგრამ ვიცით კი ყველამ მისი ნაკლოვანებების შესახებ? თურმე მობილური კავშირი საშიშროებას უქმნის ზოგიერთი კატეგორიის ადამიანთა სიცოცხლესაც კი. ასეთ სენსაციურ დასკვნამდე მივიდნენ მსოფლიოს უდიდესი სამედიცინო ცენტრების მკვლევარები.

მდიდრებიც ტირიან...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი წარმატებული ბიზნესმენი ხოსე არტურ ფერნანდესი, ტანადი, თავდაჯერებული, სპორტული აღნაგობის. მან სწრაფად შეაფასა მობილური კავშირის სიკეთე და მშობლიურ ბრაზილიაში მისი ერთ-ერთი პირველი მომხმარებელი გახდა. ეს ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს ხდებოდა. წლების განმავლობაში ყველაფერი მშვენივრად იყო, ხოსე არტური წარმატებით იპყრობდა ქალთა გულებს, ბარათს ბარათზე ყიდულობდა და საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრობდა, მაგრამ სამი წლის წინ დაეწყო პრობლემები: უძილობა, თავის ტკივილი, ადვილად დაღლა, მეხსიერებისა და ყურადღების შესუსტება და... ქალებისადმი ინტერესის დაქვეითება! მედიკოსები, რომლებსაც ჩვენი გმირი მიმართავდა, ხელებს შლიდნენ – ასეთ სიმპტომთა ერთდროული განვითარება, ან ორგანიზმის საერთო იმუნიტეტის დაქვეითების ბრალია, ან რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობისო. ბატონმა ფერნანდესმა ვაშინგტონის უნივერსიტეტის კლინიკას მიმართა, სადაც ექიმებმა კომპლექსური გამოკვლევა ჩაუტარეს მისი ცხოვრების, დღის რეჟიმის, ჩვევების, მემკვიდრული დაავადებების შესასწავლად. ვერაფერი განსაკუთრებული ვერ აღმოაჩინეს ვიდრე...

ვიდრე მკვლევარებმა სრულიად შემთხვევით არ ნახეს ბიზნესმენის სისხლში ცილა hsp29, რომელიც ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებით აქტიურდება. შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თუ აღნიშნული ცილის შემცველობა სისხლში 2-3%-ს აღემატება, ადამიანები ზემგრძნობიარენი ხდებიან ელექტრომაგნიტური გამოსხივებისადმი. ორგანიზმის ასეთი თავისებურება მეტეოდამოკიდებულებას შეიძლება შევადაროთ. ყველა ადამიანი ერთნაირად ხომ არ რეაგირებს ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებაზე, მზის აფეთქებებზე. უმრავლესობა, მსგავს ბუნებრივ კატაკლიზმებს უპრობლემოდ გადაიტანს ხოლმე, მაგრამ ადამიანთა გარკვეული პროცენტისათვის ამინდის ცვალებადობა დიდ პრობლემად ქცეულა – ემატებათ ან უქვეითდებათ წნევა, ეწყებათ თავის ტკივილი, აღგზნებადობა და სხვა.

ხოსე არტურ ფერნანდესი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც შეიძლება „ელექტრომაგნიტომგრძნობიარენი“ ვუწოდოთ. ასეთივე აღმოჩნდა დედამიწის მცხოვრებთა 15%. ვაშინგტონელ მკვლევართა ეს სენსაციური დასკვნები დაადასტურეს მსოფლიოს ავტორიტეტულმა სამეცნიერო ცენტრებმა – ამერიკის საოკუპაციო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ინსტიტუტმა, ნოტინგემის უნივერსიტეტმა, ბრისტოლის ონკოლოგიური ცენტრის ბიოფიზიკის დეპარტამენტმა (ორივე დიდი ბრიტანეთი), შვედეთის ბიოენერგეტიკის სამეფო ცენტრმა. მეცნიერები მივიდნენ ერთნაირ დასკვნამდე, რომ არსებობს ადამიანთა საკმაოდ მაღალი პროცენტი, რომლებისთვისაც ფიჭური კავშირგაბმულობით სარგებლობა კატეგორიულად უკუნაჩვენებია. მოიგონეს სპეციალური ტერმინიც კი – „მობილოფობია“.

საიდან მოდის საშიშროება?

ამ აღმოჩენამ წერტილი დაუსვა სპეციალისტთა მრავალწლიან დავას მობილური ტელეფონების კანცეროგენობის შესახებ. ზოგი მეცნიერი ირწმუნებოდა, რომ ის თავის ტვინის სიმსივნესა და ლეიკოზებს იწვევს, სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ ეს ჰიპოთეზა სწორი არ იყო. აღმოჩნდა, რომ მანამდე ჩატარებულ კვლევებში არ ითვალისწინებდნენ გამოსაცდელთა მიდრეკილებას „მობილოფობიისადმი“. ასეთი ადამიანებისათვის მობილური კავშირი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან არც ერთი ელექტროხელსაწყო, რომელთა შორისაც ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი, ასეთ ახლო კონტაქტში არ არის ორგანიზმის ქსოვილებთან.

როდესაც „მობილოფობი“ ფიჭური ტელეფონით სარგებლობს, მიკროტალღები ზემოქმედებს hsp29 ცილაზე, აქვეითებს ორგანიზმის დამცავ ძალებს და უარყოფითად ზემოქმედებს უჯრედის დნმ-ზე. საუბრიდან უკვე 15 წუთის შემდეგ, ასეთ ადამიანებს ეცვლებათ ტვინის ბიორიტმები.

შეარჩიეს მოხალისეთა ორი ჯგუფი – ჩვეულებრივი ადამიანები და ელექტრომაგნიტური რისკის მქონენი (hsp29 ცილის განსაზღვრა საკმაოდ ძვირად ღირებული გამოკვლევაა). კვირაში ხუთი დღის განმავლობაში ისინი დღეში ორ-ორი საათი საუბრობდნენ სტანდარტული ფიჭური ტელეფონებით. ექიმები კი აფიქსირებდნენ მათ ჰორმონულ მდგომარეობას. შედეგად რისკის ჯგუფში აღინიშნა თირეოტროპული ჰორმონის (ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი) დაქვეითება. ამ ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებისას კი ადამიანის ორგანიზმი განიცდის ჟანგბადის დეფიციტს, ნელდება ფიზიოლოგიური პროცესები, წარმოიქმნება ფსიქიკური მოშლილობანი. მოხალისეთა ჩვეულებრივ ჯგუფში ასეთი ცვლილებები არ აღინიშნა.

გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთი ქვეყანა აპირებს, მიიღოს კანონი, რომელიც აუკრძალავს მობილური კავშირით სარგებლობას ბავშვებსა და ორსულ ქალებს. ასევე არ არის რეკომენდებული მობილურ ტელეფონზე ლაყბობა ნერვული მოშლილობის მქონე ადამიანებისათვის. პედანტურმა გერმანელებმა მწარმოებელი და სავაჭრო კომპანიები აიძულეს, მიეთითებინათ თითოეული მოდელის გამოსხივების ინტენსივობა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა გრუ ჰარლემ ბრუნტლანდმა კი საერთოდ აკრძალა მობილური ტელეფონებით სარგებლობა თავის ოფისში, ჟენევაში.

ასეთი მოულოდნელი გაგრძელება ჰქონდა ბრაზილიელი ბიზნესმენის ავადმყოფობის ამბავს. ეს სიახლე კი თითქმის მილიარდამდე ადამიანს ეხება (სწორედ ამდენი ადამიანი სარგებლობს ფიჭური კავშირგაბმულობით დედამიწაზე). რაც შეეხება ბიზნესმენს, მას ცნობილი სამედიცინო ელიტარები აკვირდებიან, თუმცა ჯერჯერობით საიმედოს ვერაფერს გვპირდებიან.

მობილური უსაფრთხოების ანბანი

● მოერიდეთ ტელეფონის გამუდმებით ყურის მახლობლად მოთავსებას.

● შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა თქვენი მობილური ტელეფონი სტანდარტის მოთხოვნებს; მოითხოვეთ კონკრეტული მოდელის ჰიგიენური სერტიფიკატის ასლი.

● შეარჩიეთ პროვაიდერი, რომელიც რეტრანსლატორთა მაქსიმალურად მჭიდრო განლაგებას უზრუნველყოფს: რაც მეტად იტვირთება ტელეფონი საბაზო სადგურის მოსაძებნად, მით მეტია თქვენი ტვინის მიერ მიღებული დოზა.

● შეარჩიეთ საშუალო ზომის ანტენიანი ტელეფონები. რაც უფრო პატარაა ტელეფონი და ანტენა, მით ზუსტ დარტყმას ღებულობს თავის ტვინი.

● ნუ ისაუბრებთ მობილურით ავტომობილში: მანქანის ლითონის კორპუსიდან არეკლილი ფიჭური გამოსხივება რამდენჯერმე იზრდება.

● აბონენტის ძიებისას ტელეფონი მოშორებით დაიჭირეთ – სწორედ ამ მომენტში ასხივებს იგი განსაკუთრებით ძლიერად.

● მაშინაც კი, როდესაც არ რეკავთ, ტელეფონი თავისით პერიოდულად უკავშირდება საბაზო სადგურს და ქმნის ელექტრომაგნიტურ ველს.

რა ედება ბრალად ფიჭურ ყავშირს?

იგი...

● იწვევს უძილობას, თავის ტკივილს, ადვილად დაღლას, თავბრუსხვევას, სტრესებს, მეხსიერების დაქვეითებას, ნერვიულ მოშლილობებს, ცხვირიდან სისხლდენებს;

● ასუსტებს იმუნიტეტს;

● იწვევს პარკინსონის დაავადებას, ჭკუასუსტობას, ალცჰაიმერის დაავადებას, ეპილეფსიის განვითარებისადმი წინასწარგანწყობას;

● შეუძლია გამოიწვიოს ე.წ. უვეალური მელანომა, რომელსაც ონკოლოგები „სიმსივნეთა მეფეს“ უწოდებენ.

უსაფრთხოების სტანდარტის (SAR) დასაშვები ზღვრული მაჩვენებელია 1,6 ვტ/კგ. ამ მაჩვენებელზე მეტი ციფრის მქონე ტელეფონები შეტანილია ჯანმრთელობისათვის საშიშთა კატეგორიაში.

ყველაზე საშიში მოდელი	SAR
Bosh GSM-908	1,59
Philips Geniue	1,52
Ericsson LX-588	1,51
Nokia 3110	1,24
Siemens M35i	1,44
Nokia 3210	1,14

ყველაზე უსაფრთხო მოდელი	SAR
Motorola V3688	0,02
Motorola StarTac70	0,02
Nokia 8850	0,22
Sony CMDX-1000	0,41
Motorola T2288	0,54
Motorola CD930	0,70

„მრავალსართულიანი“ ჯანმრთელობა

ევროპაში მე-6 სართულზე მაღლა ცხოვრება არაპრესტიჟულად და ჯანმრთელობისათვის მიუღებლადაა მიჩნეული. ამერიკაში ცის მახლობლად მდებარე ბინები 2-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე მიწის მახლობლად მდებარე. რუსეთში კი, ყველაზე ძვირად პირველი სართული ფასობს. ყოველ სართულს თავისი მიკროკლიმატი აქვს და იგი სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს ჩვენზე.

ქვედა სართულის ადამიანები

პირველ-მესამე სართულებზე მცხოვრებთ ბუნებასთან სიახლოვე უწევთ. აქ საათობით შეგიძლიათ, უსმინოთ ფოთლების შრიალს, ჩიტების ჭიკჭიკს. ფსიქოლოგიური კომფორტის თვალსაზრისით, ქვედა სართულებზე ცხოვრება ყველაზე უკეთესია: შენარჩუნებულია რეალური კავშირი გარე სამყაროსთან, არ ვითარდება ადამიანებზე ზევიდან ყურების ჩვევა.

თუმცა „დამიწებულ“ ცხოვრებას არსებითი ნაკლოვანებებიც ახლავს: შენელებულია ჰაერის ცირკულაცია, დარღვეულია აირთა ცვლა, მომატებულია ნესტი და ტენიანობა. ადამიანისაგან განსხვავებით, ეს ყველაფერი მოსწონს პათოგენურ სოკოებს,

ბაქტერიებს, რომელიც ასეთ კლიმატში კარგად გრძნობს თავს, სახლდება ბეტონის ხარიხებში, აღწევს ავეჯში და ჩვენს ფილტვებში. სოკოს სპორებს შეუძლია ბრონქტის, პნევმონიის პროვოცირება და ალერგიული რეაქციების გამოწვევა.

ხეების ჩრდილში ბალახი ცუდად იზრდება და ფანჯრების ქვეშ გაზონები მტვრის წარმომქმნელ ზედაპირად გარდაიქმნება. საერთოდ, პირველ სართულზე მცხოვრებნი სხვებზე მეტად ზარალდებიან მიწის ზედაპირის დაბინძურების წყაროებისგან. მანქანები და ასფალტი ჰაერს აჯერებს ფორმალდეჰიდით, ნახშირისა და აზოტის ოქსიდებით... მაგრამ თუ სახლი ეზოში დგას, მაშინ მექანიკური ბარიერები მეზობელი სახლებისა და ხეების სახით, ძირითად დარტყმას საკუთარ თავზე იღებს. ასე რომ, დაცულ ადგილას, ავტომაგისტრალიდან მინიმუმ 20 მ-ის მოშორებით პირველ სართულზეც შეიძლება ღრმად ისუნთქოთ, მაგრამ თუ დაცვა არ არის, ეს მეტად საწყენია, განსაკურთებით, „იდეალური“ მესამე სართულის მცხოვრებთათვის, რადგან მავნე ნივთიერებები სწორედ ამ სიმაღლეზე გროვდება. მე-5 სართულის დონეზე ის გაცილებით ნაკლებია – ან ილექება, ანდა ჰორიზონტალური მიმართულებით იფანტება.

თავდაცვის ხერხები. ნესტიანი ბინა ხშირ-ხშირად უნდა განიავდეს. ასევე ხშირად უნდა მოიწმინდოს იატაკი. ნუ ჩაიკეტებით პლასტიკატის ჰერმეტული ფანჯრებით: ამგვარად თავს პოლიეთილენის პაკეტში შეფუთული ბოსტნეულივით იგრძნობთ. ახალ სახლებში საცხოვრებელი ბინები სავენტილაციო მილის საშუალებით ნიავდება, ქვედა სართულებზე ამ კონსტრუქციის წევა ყველაზე მაღალია, სადაც ეს სისტემა მუშაობს, იქ სოკო ვერ გამრავლდება.

გზის პირას მცხოვრებთათვის კი აუცილებელია იონიზატორები, ჰაერის გამწმენდი მოწყობილობები.

რა ხდება ზევით?

უმრავლესობა თვლის, რომ რაც უფრო მაღალია სართული, მით უკეთესია: უფრო სუფთაა ჰაერი, ნაკლებია ხმაური, ლამაზია ხედი. თუმცა ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ არ ღირს მე-6 სართულზე მაღლა ცხოვრება. იქ ჰაერი არც ისე სუფთაა, რადგან დიდი თუ მცირე საწარმოების მილები ხრჩოლავს თითქმის ყველა ქალაქში (თუმცა საწარ-

მოებით დღეს ჩვენი ქალაქები ნამდვილად არ არის განებივრებული) და მავნე ნივთიერებათა დაგროვება ინტენსიურია 30 მ-ის სიმაღლეზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ქარი თქვენკენ უბერავს.

ზედა სართულებზე მცხოვრებთა მეორე უხილავი მტერი ელექტროხელსაწყოებიდან გამომავალი ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა. რა თქმა უნდა, გამტარი და სარეცხი მანქანა ერთნაირ ფონს იძლევა როგორც პირველ, ისე მე-14 სართულზე, მაგრამ რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ელექტროტალღების ცირკულირებას ახდენს და ფონის ნაწილს ზედა სართულებისაკენ გადაისვრის. ასე რომ, მაღლა ჯამური ფონი გაცილებით ძლიერია. ითვლება, რომ სწორედ ამიტომ ზედა სართულის მცხოვრებლებს ხშირად აწუხებთ თავის ტკივილი და ცუდი განწყობილება.

თავდაცვის ხერხები. ელექტრომაგნიტური ველის გავლენის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი ბლოკით ნაშენი სახლიდან აგურის სახლში გადახვალთ. იგი არ აგროვებს მავნე გამოსხივებას. რაც შეეხება ჰაერის სისუფთავეს, საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს სპეციალური ეკოლოგიური სამსახურები, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, იძლევა კვალიფიციურ რჩევებს.

ხმაური

ქალაქში მცხოვრებთა მთავარი მტერი — ხმაური ადვილად აღწევს როგორც პირველ, ისე მე-16 სართულზე. თუმცა სპეციალისტთა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხმაური უმოკლესი გზით ვრცელდება და განსაკუთრებულად შეიგრძნობა ქვედა სართულებზე, ხოლო ზოგჯერ ავტომაგისტრალთა გუგუნი მე-5-8 სართულთა მცხოვრებლებს განსაკუთრებულად აწუხებს.

აღმოჩნდა, რომ ბგერითი ტალღის გავრცელება დამოკიდებულია იმ ხეებისა და დიდი და მცირე ნაგებობების რაოდენობაზე, რომელიც მას გზაზე ხვდება. ძალიან ხშირად ხმაური ვერ აღწევს პირველი სართულის ფანჯრებამდე, მაგრამ ზედა სართულებზე ადვილად ისმის ჩურჩულიც კი. მნიშვნელოვანია აგრეთვე აკუსტიკა.

ამიტომ ბინის შერჩევისას აუცილებლად გადით აივანზე და ყური მიუგდეთ, ზედმეტად კარგად ხომ არ გესმით, რას ჭორაობენ მეზობლები სადარბაზოს კართან? თუ ხმაურის პრობლემა თქვენს საცხოვრებელ უბანში უკვე არსებობს, მისი მოგვარება შესაძლებელია სპეციალური ხმაურსაწინააღმდეგო კონსტრუქციით, რომელიც ფანჯრებზე ფიქსირდება, ირეკლავს ბგერის ტალღებს და უკარგავს ძალას.

იდეალური საცხოვრებელი

ფსიქოლოგები და ეკოლოგები ირწმუნებიან, რომ თუ გსურთ, თქვენი შვილები ჯანმრთელები გაიზარდონ, ნუ შეარჩევთ საცხოვრებელს მე-5 სართულის ზემოთ. ამასთან, აუცილებელია, ფანჯრიდან ლამაზი ხედი იშლებოდეს: წლების განმავლობაში აგურის კედლის ან მანქანის ავტოსადგომის ცქერამ, შესაძლოა, შემდგომში საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ აგრესიის განვითარება გამოიწვიოს. თუ საძინებლის ფანჯრიდან უღიმღამო, ერთფეროვან პეიზაჟს გასცქერით, სასურველია, ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, ისეირნოთ ქალაქის ისტორიულ რაიონებში, რათა შთაბეჭდილებები გარედან შეივსოთ. სხვაგვარად ბავშვს დეპრესიასა და მოწყენილობას ვერ აშორებთ.

იდეალურ საცხოვრებელს აქვს მკაცრი კრიტერიუმები: სახლი არ უნდა იყოს მრავალსართულიანი (არა უმეტეს 6-7 სართულისა), სასურველია, ერთ მხარეს ჰქონდეს პარკი, მეორე მხარეს — წყალი. ერთიცა და მეორეც შესანიშნავ ფილტრს წარმოადგენს და არ ატარებს ჭუჭყს და მტვერს. ასეთ სახლში შეგიძლიათ, ნებისმიერ სართულზე იცხოვროთ ისე, რომ თქვენს ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.

თვალები და კომპიუტერი

წამყვანი ოფთალმოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ თვალების სიმშრალის ერთ-ერთი მიზეზი კომპიუტერთან მუშაობის წესების დარღვევაა. ხანგრძლივი მხედველობითი დაძაბულობა და ელექტრომაგნიტური გამოსხივება ზრდის ცრემლის აქროლადობას, უარყოფითად მოქმედებს საცრემლე ჯირკვლების სეკრეციაზე.

სპეციალისტთა აზრით, მწირი დატენიანებისას ძნელდება უცხო სხეულთა მოშორება თვალის ზედაპირიდან, ირღვევა რქოვანას მომარაგება მკვებავი ნივთიერებებით, უარესდება მხედველობა. გარდა ამისა, ადგილი აქვს საცრემლე სითხეში შემავალი ლიზოციმის უკმარისობას, რომელსაც ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს. ამდენად, მხედველობის ორგანო ღია რჩება, ანთებითი პროცესის გამომწვევი მიკრობებისა და ვირუსებისათვის. თანაც „მშრალად“ მუშაობისას ჩვენი თვალები ზედმეტად იძაბება, სწრაფად იღლება. მხედველობის დისკომფორტი (უცხო სხეულის შეგრძნება, სიმძიმე, დაღლილობა, წვა, ტკივილი), რომელიც ახასიათებს „მშრალ“ სენს, ხშირად საერთო შრომისუნარიანობის დაქვეითების, სტრესისა და დეპრესიის განვითარების მიზეზიც კი ხდება. უფრო მეტიც, რქოვანას მუდმივმა სიმშრალემ შესაძლოა მხედველობის სიმახვილის გაუარესება ან თვალის სერიოზული დაავადებები გამოიწვიოს.

„მშრალი თვალის“ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია „ხელოვნური ცრემლის“ პრეპარატების გამოყენებით და კომპიუტერთან მუშაობის წესების დაცვით.

● მოეწყვეთ კომპიუტერთან ისე, რომ მანძილი დისპლეიმდე იყოს არანაკლებ 50 სმ-ისა. მონიტორი და კლავიატურა უნდა მდებარეობდეს თქვენ წინ (და არა გვერდით). ეკრანის ზედა კიდე უნდა იყოს თვალის სიმაღლეზე ან ოდნავ დაბლა.

● ნუ იმუშავებთ კომპიუტერთან სიბნელეში ან ნახევრად ბნელ ოთახში. დააყენეთ მონიტორი ისე, რომ ეკრანს პირდაპირ არ ეცემოდეს სინათლე. სხვაგვარად ეკრანი დამატებით დატვირთვას შეუქმნის თქვენს თვალებს.



● შრიფტი ეკრანზე არ უნდა იყოს ძალიან წვრილი, გაფანტული ან ფერადი, ხოლო ფონი — ნათელი. ფერადი შრიფტები და ფონი არ იძლევა მკვეთრ გამოსახულებას.

● თუ თქვენ ტექსტს კრებთ ფურცლიდან, იგი მონიტორთან რაც შეიძლება ახლოს მოათავსეთ — ამგვარად აიცილებთ თავისა და თვალების ზედმეტ მოძრაობებს.

● ნუ დაივიწყებთ დროდადრო თვალების დახამხამებას. დახამხამებისას ზედა ქუთუთო თანაბრად ანაწილებს საცრემლე სითხეს თვალის კაკლის მთელ ზედაპირზე და იცავს თვალს გადაღლისაგან.

● ყურადღება მიაქციეთ ჯდომას: ზედმეტად ნუ გადაიხრებით ეკრანისა და კლავიატურისაკენ.

● ეცადეთ, ყოველ 45 წუთში თვალებს ფიზკულტურული შესვენება მოუწყოთ: დახუჭეთ თვალები, აბრუნეთ ისინი ჯერ საათის ისრის, შემდეგ საწინააღმდეგო მიმართულებით. გაიმეორეთ მოძრაობა 4-5-ჯერ.

● თუ იგრძნობთ დაღლილობას, დაძაბულობას და სიმძიმეს თვალებში, შეწყვიტეთ მუშაობა და დაისვენეთ.

● რეგულარულად გაწმინდეთ ეკრანი ანტისტატიკური ხსნარით.

■

Blige–მა ანას ალბომი მიუძღვნა

ამერიკელმა მელომანებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს ჯგუფ Blige-ის ახალი დისკი, სახელწოდებით „ანა კურნიკოვა“. ჯგუფი Blige ნიუ-ჯერსის შტატიდანაა. ადრე იგი სხვადასხვა ტელეშოუში მონაწილეობდა, თუმცა თავისი არსებობის მეცხრე წელს, კონცეპტუალური ალბომი გამოუშვა. 13 სიმღერისგან შემდგარი ალბომის ცენტრალური კომპოზიციაც სწორედ რუსი ლამაზმანის სახელს ატარებს. იგი ჩოგბურთელისთვის ბურთის მიმწოდებელი ბიჭის ტკბილ ოცნებებს გადმოგვცემს. Blige-მა ეს კომპოზიცია ოთხ ძირითად, საცეკვაო, ინსტრუმენტულ და „კურნიკოვულ“ ვერსიად წარმოადგინა ჩანაწერში. გარდა ამისა, ალბომში შესულია სხვა სიმღერებიც („სამი ასო“, „პირველად“, „გოგონა სარკეში“), რომელიც ასევე საჩოგბურთო თემაზეა შექმნილი. ანას თაყვანისმცემლებს გაახარებთ ისიც, რომ დისკში წარმოდგენილია ჩოგბურთის სექს-სიმბოლოს ფოტოები, რომლებიც მექსიკის ერთ-ერთ პლაჟზეა გადაღებული და ცხრა კვირის განმავლობაში Lycos-ის ჰიტ-აღლუმის სათავეში მოხვედრილი ვიდეორგოლი. ამერიკულ ბაზარზე ნაშრომი 5 სექტემბერს გამოჩნდა. უფრო ადრე კი, ირლანდიაში რარიტეტული სინგლი „ანა“ გავრცელდა. ალბომ „ანა კურნიკოვას“ გამოცემას წინ უსწრებდა დრამატული მოვლენები. 1999 წლის ზაფხულში მუსიკოსებმა სალაღობოდ ამავე სახელწოდების სიმღერა ჩაწერეს, რომელიც ძალიან მოეწონათ ტელემაყურებლებს. ამის შემდეგ Blige-მა მაქსისინგლიც გამოუშვა, ჩოგბურთელის მარკეტინგულმა სააგენტომ კი, ჯგუფის წევრებს სრულმეტრაჟიანი ალბომის ჩაწერის იდეა მიაწოდა. Blige-ის ლიდერი, ჯონ მეკომი 2001 წლის 6 სექტემბერს შეხვდა ანა კურნიკოვას, ჩოგბურთელის ოფიციალური საიტის პრეზენტაციაზე და საკუთარი ნაშრომი წარუდგინა. ხოლო სულ მალე USA Today and ESPN Magazine-მა 11 სექტემბრის მოვლენის ზოგიერთი დეტალი გამოამზეურა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ცათამბჯენში მუსიკოსების აღჭურვილობა ტერაქტის შედეგად განადგურებულიყო, რის გამოც Blige-ის პროექტზე მუშაობა 2002 წლის ივნისამდე შეჩერდა. ამჯერად ყველაფერი რიგზეა და ჯგუფი „ანა კურნიკოვას“ მხარდასაჭერ სარეკლამო ტურნესთვის ემზადება. ■

ერაყელები ტურნირის მიღმა დარჩნენ

ახლახან ნიუ-იორკში დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელზეც ელდარ კურტანიძემ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, სხვადასხვა წონითი კატეგორიის ოთხი ერაყელი ათლეტი, მწვრთნელი და დელეგაციის ორი ხელმძღვანელი არ შეუშვეს. ისინი ამაოდ ელოდნენ ამერიკაში შესასვლელ ვიზას. 11 სექტემბერს კი, მათ აშშ-ის ტერიტორიაზე შეშვებაზე ოფიციალური უარი განუცხადეს. მიუხედავად ამისა, ამერიკის თავისუფალი ჭიდაობის ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ჰარი ებოტის თქმით, ტერორიზმსა და საერთაშორისო პოლიტიკას ამ გადაწყვეტილებასთან საერთო არაფერი აქვს. „როგორც შეგვეძლო, შევეცადეთ, რომ ერაყელ სპორტსმენებს ტურნირში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ მათ ძალიან გვიან შემოიტანეს განაცხადი. სამწუხაროა, რომ ეს სპორტსმენები ჩემპიონატში ვერ ასპარეზობდნენ, თუმცა ვიმედოვნებთ, ისინი ათენის ოლიმპიადაზე მაინც გამოვლენ“, – განაცხადა ებოტმა, თუმცა მისი ნათქვამი მაინც ეჭვს იწვევს, რადგან მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივ, სპორტსმენებს ე.წ. „სწრაფ“ ვიზას აძლევენ ხოლმე. ■

დონ დიეგო სხვისი შარდით „თინდაობდა“

საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად კი, სერია C-ში მოასპარეზე „რავენას“ თავკაცი, კორადო ფერლაინო ნეაპოლური გუნდის ძველ საიდუმლოებებზე ალაპარაკდა. კერძოდ, ფერლაინომ ნათელი მოჰფინა იმ „ეშმაკობას“, რომლის საშუალებითაც დიეგო მარადონა იტალიაში ასპარეზობის წლებში დოპინგტესტის გავლისას თავს იძვრენდა ხოლმე. „დიეგოს შეეძლო, მიეღო ნებისმიერი აკრძალული პრეპარატი, მაგრამ ხუთშაბათისთვის, სრულიად სუფთა უნდა ყოფილიყო, – განაცხადა „ნაპოლის“ ექსპრეზიდენტმა, – თუ დიეგო სტიმულატორებისგან ორგანიზმის გაწმენდას ვერ ასწრებდა, მას სპეციალურ რეზერვუარს აძლევდნენ, რომელშიც ჯანმრთელი შარდი ესხა. ამ რეზერვუარს ფეხბურთელი ადვილად მალავდა საფეხბურთო ფორმაში და მატჩების შემდეგ გამართულ დოპინგტესტებზე შეუმჩნევლად ასხამდა მედიკოსების მიერ მიცემულ ჭურჭელში. ასეთი მეთოდით ფეხბურთელმა არაერთხელ აიცილა თავიდან პასუხისმგებლობა და დიდი დოპინგსკანდალი, თუმცა იგი 1991 წელს მაინც ამხილეს კოკაინის მოხმარებაში. ჩვენ ვკითხეთ მარადონას, სუფთა იყო თუ არა მისი ორგანიზმი მატჩის შემდგომი ანალიზის ჩასაბარებლად? მან დადებითად გვიპასუხა, თუმცა კოკაინის მოყვარულები თავს ხშირად იტყუებენ ხოლმე. დიეგოსაც ეს გვიან გაახსენდა და მახეში გაება. სხვათა შორის, არგენტინელი ვარსკვლავის გარშემო აგორებული სკანდალი ბევრისთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. იმხანად იტალიაში საიდუმლოებას უკვე აღარ წარმოადგენდა ის, რომ დონ დიეგო ადგილობრივ მაფიოზებთან მეგობრობდა. ერთხელ პაპარაციმ „ნაპოლის“ ლიდერი აუზში დააფიქსირა ძმებ ჯულიანებთან ერთად, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ნარკომაფიასა და პროსტიტუციას აკონტროლებდნენ. მიუხედავად ამისა, ნეაპოლში დიეგო მარადონა მაინც დიდი სიყვარულით სარგებლობს და ქალაქის წამყვანი ადვოკატები დაუფარავად აცხადებენ, რომ მზად არიან, ფეხბურთელს ნებისმიერი დანაშაული აპატიონ. ■

კვირის (22-28 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: მშვიდ და სასიამოვნო კვირას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც დაემატება. კვირის დასაწყისში სასიამოვნო სიურპრიზი გელით. შეხვდებით ადამიანს, რომელიც თქვენს მომავალს მნიშვნელოვნად შეცვლის.

მამაკაცი: ყველაფერი საუკეთესოდ გამოგდით. წინ სასიამოვნო კვირა გელით. შეეხმიანეთ მეგობრებს, მოიკითხეთ ნათესავები და ახლობლები.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: შეეცადეთ, იყოთ პრინციპული და დაიცვათ საკუთარი პოზიცია. ნაკლები იფიქრეთ პრობლემებზე. ნუ მოდუნდებით. არ დაგავიწყდეთ, რომ ბედი უფრო ხშირად აქტიურ ადამიანებს წყალობს.

მამაკაცი: რატომღაც ამ კვირაში სიამოვნებას მოგანიჭებთ არა მიღწეული შედეგი, არამედ რაიმე ახალის შექმნის პროცესი. ჰოდა, თამამად დატკბით „პროცესით“.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: უარს ნუ იტყვით მოგზაურობაზე. თამამად გაუზიარეთ თქვენი ახალი იდეები მეგობრებს და ხელმძღვანელებს. ეს თქვენ წარმატებას მოგიტანთ. შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ კიდეც.

მამაკაცი: შესაძლოა, შორიდან მიღებულმა ინფორმაციამ ძალიან კარგ ხასიათზე დაგაყენოთ. ნათესავებისა და ახლობლების შესახებ სასიხარულო ამბებს გაიგებთ. დაურეკეთ და მიულოცეთ მათ წარმატება.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, ნუ გაგიტაცებთ რომანტიკა. იყავით უფრო პრაქტიკული და რეალისტი. კვირის მეორე ნახევარში მეგობრებთან ერთად გაისეირნეთ ბუნებაში. თქვენ დასვენება გჭირდებათ.

მამაკაცი: სამსახურში შეიძლება თქვენი ზედმეტი გულახდილობის გამო ურთიერთობები გაგირთულდეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეგობრებს უნდა უთხრათ ის, რაც გინდათ, რომ ყველამ გაიგოს. თუმცა, იყავით ფრთხილი და ყველა მეგობარს ერთ ტაფაში ნუ მოაქცევთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ. ნუ მისცემთ თქვენს პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს, თორემ ეს თქვენთვის ძალიან ცუდად დამთავრდება. წინდახედულობა განსაკუთრებით კვირის პირველ ნახევარში უნდა გამოიჩინოთ.

მამაკაცი: არ აჰყვეთ ემოციებს. თქვენ, როგორც არასდროს, ისე გჭირდებათ სიმშვიდე. იფრთხილეთ, შეიძლება რაღაც ინტრიგაში გაეხვევთ. თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: თამამად მიიღეთ მონაწილეობა ლატარიისა და პრიზების გათამაშებაში. მოგების დიდი შანსი გაქვთ და ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან. ამ კვირაში მამაკაცები თქვენით ადვილად მოიხიბლებიან.

მამაკაცი: თქვენზეც ვრცელდება ის, რაც ქალ თევზებს ვუწინასწარმეტყველეთ – წარმატება გელით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან. თუ თქვენი ხელმძღვანელი ქალია, მაშინ ხომ მთლად აშენებულხართ. ერთი თაიგულით შეგიძლიათ სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ.

ვერძი –21/III-20/IV

ქალი: კარგი იქნება თუ მოგზაურობისგან თავს შეიკავებთ. ნუ ისესხებთ და ნუ გაასესხებთ ფულს. ნურც სხვის რჩევას გაითვალისწინებთ. ენდეთ საკუთარ ინტუიციას და იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებებისამებრ.

მამაკაცი: მოაგვარეთ რემონტის საკითხები და იზრუნეთ სახლის ინტერიერის შეცვლაზე. ნუ გადადებთ დღეს გასაკეთებელ საქმეს მეორე დღისთვის. ადვილად ნუ ენდობით ადამიანებს, რომლებიც ამ კვირაში ერთობლივ პროექტებს შემოგთავაზებენ.

ხარი – 21/IV-21/V

ქალი: წარმატების მისაღწევად აკრძალულ მეთოდებს ნუ გამოიყენებთ. მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას. თავი შეიკავეთ ჭორაობისგან, თორემ უსიამოვნებებში გაეხვევით.

მამაკაცი: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. თუ რამე გაწუხებთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და შეუდექით მკურნალობას. იზრუნეთ ახლობლების ჯანმრთელობაზეც. დაისვენეთ ბუნებაში და მისდიეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: თუ თქვენ ხელოვანი ხართ, მუშაობას ნუ დაიზარებთ. ეს კვირა შეიძლება თქვენი შედეგრის შექმნის საფუძველი გახდეს. ამ დღეებში ნებისმიერი კამათი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, ოღონდ, ნუ წახალისდებით და უსაფუძვლოდ ნუ წამოიწყებთ მას.

მამაკაცი: იყავით ფორმაში. თქვენი ოცნების ქალი თქვენით ინტერესდება. თუ ვინმეს ერთგული ხართ, თქვენი ერთგულება ამ კვირაში ნამდვილად დაფასდება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ დღეებში თქვენგან ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა არასწორად იქნება აღქმული, ამიტომ შეეცადეთ, ნაკლები ილაპარაკოთ და ბევრი იფიქროთ. ფორტუნა სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ. რა კარგია, როცა ყველაფერი კარგადაა, არა?

მამაკაცი: არ არის გამორიცხული ამ დღეებში თქვენი პირადი ცხოვრება ფანტასტიკურად შეიცვალოს. დატკბით სასიამოვნო სიახლით და იოცნებეთ ბედნიერ მომავალზე.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: გარშემომყოფნი თქვენ მიმართ ისეთი კრიტიკულნი იქნებიან, როგორიც არასდროს. არ შეშინდეთ. უბრალოდ, შეეცადეთ, იყოთ უფრო მეტად ორგანიზებული და ყურადღებიანი.

მამაკაცი: საჩუქრისა და კომპლიმენტის მიღებასაც თავისი ცოდნა უნდა. არ დაიზაროთ საპასუხო ქათინაურის თქმა. ფინანსური მდგომარეობა თუ ხელს გიწყობთ, თქვენც მიუძღვენით საჩუქარი ახლობელ ადამიანებს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: თავისუფლად შეგიძლიათ მიხედოთ იმ პრობლემებს, რომელიც ხელს გიშლით შინაგანი ჰარმონიის მიღწევაში. ამ კვირაში თქვენ ბრწყინვალედ დააგვირგვინებთ ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ.

მამაკაცი: ყურადღებით იყავით – სანამ თქვენ საკუთარი კარიერით ხართ გართული, ვინმემ თქვენი რჩეული არ მოხიბლოს. კვირის მეორე ნახევარი დასვენებას დაუთმეთ.





31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ბ.

ჯაჭოჩანილი ადამიანების მოსწრებული ჯაჭოსთქვამები

ნორჩი მკითხველი

იაკობ გრიმთან პატარა გოგონა მივიდა და ჰკითხა:

— შენა ხარ ბატონი გრიმი, რომელმაც ბევრი მშვენიერი ზღაპარი დაწერა?

— კი, ჩემო ბავშვო, მე და ჩემმა ძმამ ვილჰელმმა დავწერეთ ზღაპრები.

— მაშ, ალბათ, „ჭკვიანი თერძის ზღაპარიც“ შენი დაწერილი იქნება, რომელიც ასეთი სიტყვებით მთავრდება: „ვინც ამას არ დაიჯერებს, ტალერს გადაიხდისო?“ — ჰკითხა კვლავ პატარამ.

— კი, ჩემო ბავშვო, ეგეც ჩვენია, — მიუგო იაკობ გრიმმა.

— მაშინ ტალერი მმართებს, რადგან ის ამბავი არ მჯერა, ოღონდ დღეს მხოლოდ სამი გროშის მოცემა შემიძლია, დანარჩენი ყულაბაში მაქვს და მერე მოგიტან.

მეჯლისზე

ერთ ახალგაზრდა ლიტერატორს, რომელმაც განუწყვეტელი ყბედობით მთელ საზოგადოებას თავი მოაბეზრა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ჰაინრიხ მანმა ურჩია:

— ყოველთვის იმაზე იფიქრეთ, რომ ინტელიგენტურობისათვის ყველაზე საუკეთესო სუროგატი... დუმილია.

აშკარა შეცდომა

როდესაც თომას მანი ჯერ კიდევ სრულიად უცნობი მწერალი იყო, ერთ ნაცნობ ხელოვნების თაყვანისმცემელს თავისი პირველი წიგნი მიუტანა. ეგონა, ის კაცი მფარველობას გაუწევდა და ხელს შეუწყობდა, მაგრამ მოტყუვდა.

— მე თქვენ მეცენატად გთვლით, — უთხრა მორიდებით თომას მანმა გამომშვიდობებისას.

— კი მაგრამ, მე თქვენ მწერლად არ გთვლით, — მიუგო ხელოვნების თაყვანისმცემელმა.

— მაშინ გთხოვთ მომიტევოთ, ორივენი აშკარად ვცდებით, — მიუგო თომას მანმა და წავიდა.

მოხიბვლა

გერმანელმა მწერალმა, შექსპირისა და სერვანტესის ნაწარმოებების მთარგმნელმა ლუდვიგ ტიკმა, ვოლფგანგ გოეთეს თავისი ახალი რომანი წაუკითხა. რამდენიმე დღის შემდეგ, გოეთე ერთ საზოგადოებაში მოხვდა, სადაც ლიტერატურულ საკითხებზე საუბრობდნენ. ტიკის ეს ახალი რომანიც ახსენეს და გოეთეს სთხოვეს, ამ ნაწარმოების შესახებ აზრი გამოეთქვა.

გოეთემ მოახსენა:

— როცა ტიკმა რომანის წაკითხვა დაიწყო, საათმა რვაჯერ დარეკა, ხოლო როცა დაასრულა — თერთმეტჯერ. საათის მეცხრედ და მეათედ დარეკვა არ გამიგონია. ■

ანექდოტები

***

— გრცხვენოდეს, — ტუქსავს მამა შვილს — რატომ მიიღე მათემატიკაში ორიანი?

— ადრე ჯეკთან ვიჯექი, ახლა კი დევიდთან გადამსვეს, მას კი მათემატიკის ინჩიბინჩი არ ესმის — თავს იმართლებს ბიჭი.

***

გურულმა ცოლი მოიყვანა და პირველ ღამეს ჩხუბობს:

— აგია, გოგო, ქალიშვილი ვარო?

— ვიყავი... თუ არ გჯერა, ეგერ კითხე როლანდიეს!

***

ახალგაზრდა პატიმარი ეკითხება მოხუცს:

— რატომ გაგასამართლეს?

— გაუპატიურებისთვის, შვილო.

— ამ ასაკში კიდევ გაინტერესებს ქალი?

— ქალი არა, ბრალდება მსიამოვნებს.

***

— ჯორჯ, — მიმართავს ერთი მამაკაცი მეორეს, — როგორ ახერხებ, რომ შენს მეუღლესთან ამდენი ხნის მანძილზე ასე მშვიდობიანად ცხოვრობ?

— სულ იოლად, — პასუხობს ჯორჯი, — დილაობით ის აკეთებს იმას, რაც თავად სურს, საღამოობით კი მე ვაკეთებ იმას, რაც მას უნდა.

***

აფრიკაში საფრანგეთის ელჩი შეჭამეს და ფრანგებს შეუთვალეს: „უკაცრავად, მაგრამ თქვენი ელჩი შემოგვეჭამა, შეგიძლიათ მიირთვათ ჩვენი ელჩი“.

***

— ძვირფასო, იცი უცბად რა მომინდა? — ეკითხება ცოლს ქმარი — ძალიან გემრიელი რომაა... აი, ის... ვერ ვიხსენებ.

— გეყოფა, ჯერ ვჭამოთ — ამბობს ცოლი!

***

ოსს ტყუპი შეეძინა:

— ლომელია ჩემი? — იკითხა და დაეკვირდა.

***

— ოპერაციის შემდეგ სანიტარი გაგზომავს, — ეუბნება ქირურგი პაციენტს.

— ოპერაციის შემდეგ გაზომვა რად მინდა?

— აბა, კუბო არ გინდა, ბოშო?

***

კახელი შვილს ტუქსავს:

— რათ მიიღე მათემატიკაში ორი?

— გამრავლების ტაბულა არ იციო...

— აბა მითხარი, ორჯერ ორი რამდენია?

— ცხრა...

— სამჯერ სამი?

— შვიდი...

— მერე შე ვირიშვილო, აქ რო კარგად პასუხობ, სკოლაში რა ღმერთი გიწყრება?

■

შეგწევთ თუ არა უნარი, იყოთ ბედნიერი

ალბათ ნებისმიერ თქვენგანს ჰქონია ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდი, როცა თავი ბედნიერ ადამიანად უგრძნია. ალბათ, ისეთი განცდაც დაგუფლებიათ, როცა მთელი ქვეყნიერება გეჯავრებათ და თავი ყველაზე უბედურ ადამიანად მიგაჩნიათ. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც გარეგნულად ყოველთვის ინარჩუნებენ ბედნიერის იერს და ყველაფერს, რაც მათ ირგვლივ ხდება, ფილოსოფიურ ახსნას უძებნიან. როგორი ხართ თქვენ? შეგწევთ თუ არა უნარი იყოთ ბედნიერი? ამის დასაზუსტებლად უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაეცანით შედეგებს:

1) რა დასკვნას აკეთებთ, როცა განვლილ ცხოვრებაზე ფიქრობთ?

ა) თქვენს ცხოვრებაში ბევრი ცუდი და ცოტა კარგი რამ მომხდარა – 0;

ბ) ბევრი კარგი და ნაკლები ცუდი გამოგიცდიათ – 1;

გ) ყველაფერი შესანიშნავად იყო – 2.

2) როგორი განწყობა გაქვთ დღის ბოლოს?

ა) შეიძლებოდა, დღე უკეთესიც ყოფილიყო – 1;

ბ) საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ – 0;

გ) განვლილი დღით ყოველთვის კმაყოფილი იძინებთ – 2.

3) რას ფიქრობთ, როცა დილით სარკეში იყურებით?

ა) „ღმერთო ჩემო, დრო დაუნდობელია!..“ – 0;

ბ) „სულაც არ გამოვიყურები ცუდად“ – 1;

გ) „ყველაფერი შესანიშნავადაა!“ – 2.

4) რას გაიფიქრებთ, თუ შეიტყობთ, რომ თქვენმა ნაცნობმა ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო?

ა) „ალბათ, ერთხელ მეც გამიმართლებს!“ – 2;

ბ) „მე ხომ ასე არასოდეს მიმართლებს“ – 0;

გ) „ნუთუ, არ შეიძლებოდა, მე მომეგო?“ – 1.

5) რას ფიქრობთ, როცა ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებიდან მორიგი კრიმინალური დანაშაულის შესახებ იგებთ?

ა) „ხომ შეიძლება, ასეთი რამ მეც შემემთხვას?!“ – 0;

ბ) „რა ბედნიერებაა, რომ იქ არ აღმოვჩნდი“ – 1;

გ) „ჟურნალისტები სიტუაციას სპეციალურად ამწვავებენ“ – 2.

6) უმეტესად, როგორ ხასიათზე იღვიძებთ დილაობით?

ა) იმაზე ფიქრობთ, რას გიმზადებთ დღე – 1;

ბ) კმაყოფილების გრძნობით, რომ ახალი დღე დაიწყო და ახალი სიურპრიზები გელით – 2;

გ) დილაობით ისეთი ცუდი განწყობა გაქვთ, რომ არაფერზე გსურთ ფიქრი – 0.

7) რას ფიქრობთ თქვენი ახლობლების და მეგობრების შესახებ?

ა) ისინი არ არიან საკმარისად საინტერესონი და გულწრფელნი – 0;

ბ) რა თქმა უნდა, როგორც ყველა ადამიანს, მათაც აქვთ უარყოფითი მხარეები, მაგრამ მთლიანობაში ისინი კარგი ადამიანები არიან – 1;

გ) შესანიშნავი მეგობრები გყავთ – 2.

8) რას ფიქრობთ, როცა საკუთარ თავს სხვა ადამიანებს ადარებთ?

ა) თქვენ სხვებზე გაცილებით უკეთესი ხართ, მაგრამ შესაბამისად არ გაფასებენ – 0;

ბ) სხვებზე ნაკლები არც თქვენ ხართ – 1;

გ) ნამდვილი ლიდერი ხართ და ამას სხვებიც აღიარებენ – 2.

9) როგორ იქცევით, თუ რამდენიმე კვირაში 4-5 კგ მოიმატეთ წონაში?

ა) მაშინვე იწყებთ დიეტას და ვარჯიშს – 2;

ბ) პანიკაში ვარდებით და იწყებთ წუწუნს – 0;

გ) მიგაჩნიათ, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – 1.

10) როგორ იქცევით, როცა ცუდ ხასიათზე ხართ?

ა) წყევლით საკუთარ ბედს – 0;

ბ) იცით, რომ ეს განწყობა მალე გადაგივლით – 1;

გ) ცდილობთ, გაერთოთ და გული გადააყოლოთ – 2.

დაანგამეთ ქულები

17-20: ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენნაირი ბედნიერი ადამიანები არსებობენ. ცხოვრებით ხარობთ და ცდილობთ, არ მიაქციოთ ყურადღება წვრილმან უსიამოვნებებს და ყოველდღიურ საზრუნავს. სიცოცხლე გიყვართ, ოპტიმისტიც ხართ, მაგრამ სხვებს მიაჩნიათ, რომ ზერელედ და მსუბუქად უყურებთ ცხოვრებას. გარშემომყოფთა აზრით, ცოტაოდენი სიდინჯე და სერიოზულობა არ გაწყენდათ.

13-16: შეიძლება ითქვას, რომ „ოპტიმალურად“ ბედნიერი ხართ. სიხარული და ბედნიერება თქვენს ცხოვრებაში მეტია, ვიდრე დარდი და წუხილი. კეთილი, ჭკვიანი და გონიერი ადამიანი ხართ. საღად აზროვნებთ, სირთულეების გაჩენის შემთხვევაში კი პანიკაში არ ვარდებით და სწორად აფასებთ მათი გადალახვის შესაძლებლობას. გარშემომყოფები გაფასებენ და თქვენთან ყოფნა სიამოვნებთ.

8-12: ბედნიერება და უბედურება თქვენს ცხოვრებაში პრინციპით – 50X50-ზე – არსებობს. თუ გსურთ, რომ ბედნიერების წილი გაზარდოთ, ნუ მოიხრით ქედს სირთულეების წინაშე, შეხვდით მას მედგრად, გქონდეთ მეგობრების იმედი და თვითონაც არ მიატოვოთ ისინი გასაჭირში.

0-7: უკვე შეეჩვიეთ იმას, რომ ცხოვრებას მუქი სათვალით უყურეთ. დარწმუნებული ხართ იმაში, რომ მძიმე ხვედრი გერგოთ, არაფერში გიმართლებთ და ამას იშვიათად აპროტესტებთ. იქნებ, გეცადათ და მეტი დრო გაგეტარებინათ მხიარული, ოპტიმისტი ადამიანების გარემოცვაში? მათი განწყობა ალბათ ნაწილობრივ თქვენც გადმოგედებათ და ცხოვრებაც შეგიმსუბუქდებათ.

ფირმა ფეხმძიმე ქალთა მუცლებს „იჯახით ილებს"

კომპანია Tomy-მ ლონდონში მცხოვრებ 28 წლის ფეხმძიმე ზოია ელისს უცნაური წინადადება შესთავაზა: მას ერთი დღის განმავლობაში ლონდონის ქუჩებში მუცელზე დახატული ფირმის ახალი პროდუქციის რეკლამით უნდა ესეირნა. 8 თვის ფეხმძიმე, სიხარულით დათანხმდა შემოთავაზებას, რაშიც გასამრჯელოდ 250 გირვანქა სტერლინგი მიიღო. „იდეა საკმაოდ საინტერესო და თავშესაქცევია, – აღნიშნა მან, – გარდა ამისა, ბედნიერი ვარ, რომ ამ სახით ჩემი ახალი ფიგურის დემონსტრირება მოვახდინე".

ფირმა Tomy ახლო მომავალში, იჯარით მრავალი ასეთი სარეკლამო „ადგილის აღებას" აპირებს, რისთვისაც მომავალ დედებს დაეძებს. თუ ექსპერიმენტი ლონდონში გაამართლებს, მაშინ ანალოგიური რეკლამირება მთელი ქვეყნის მასშტაბითაც გავრცელდება. ■

ღუღში დასვეღებული CD სხვაგვარ ხმას გამოსცემს

მელბურნელმა მეცნიერმა კემერონ ჯონსმა დაადგინა, რომ ლუდში გაჟღენთილ კომპაქტდისკს განსხვავებული ჟღერადობა აქვს. როგორც მათემატიკოსი ირწმუნება, სოკოს შემცველი ლუდი, რომელიც კომპაქტდისკზე ილექება, „ბიო-კომპიუტერს" ემსგავსება და აუდიოჩანაწერს სხვა ტონალობას სძენს.

ჯონსი არა მარტო მეცნიერია, არამედ ღამის კლუბის მფლობელიცაა, სადაც მან ეს უჩვეულო აღმოჩენა გააკეთა. „ხშირად, ფირფიტებს ლუდში დასველებული ხელებით ვცვლიდი, – დასძინა კემერონ ჯონსმა, – ერთხელ, ფირფიტის „მუშა" მხარეს ლუდი წავუსვი და დასაკრავად დავდე; შევნიშნე, რომ ხმა შეიცვალა, რადგან მასზე სოკო წარმოიქმნა". მისივე თქმით, წარმონაქმნი არ აზიანებს კომპაქტდისკს – უბრალოდ, ხანდახან, ცვლის ხმის ტონალობას. „ლუდში ბანაობა" რეპროდუქციულ ტექნიკაზე გავლენას არ ახდენს. თუმცა, ჯონსი გვირჩევს, ამგვარი ფირფიტები კომპიუტერის CD მოწყობილობაში არ გამოვიყენოთ. ■

მძღოლს 37 წლით ჩამოართვეს მართვის უფლება

პოლონეთის ერთ-ერთ მოქალაქეს ავტომობილის მართვა 37 წელზე მეტი ხნით აეკრძალა. როგორც გაირკვა, იგი გამუდმებით ნასვამი მართავდა ავტომობილს. შარშან მაისში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის პროვოცირებისთვის, მას 10 წლით ჩამოერთვა მართვის უფლება, 9-თვიანი პატიმრობა მიესაჯა და ჯარიმაც დაეკისრა. მოქალაქემ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და პასუხის მოლოდინში, კვლავ ნასვამი მიუჯდა საჭეს, რის შედეგადაც ავტომობილი ხეს შეასკდა და დაიწვა. ■

დუჩო ჯრეში იმაზე ზრუნავს, რომ იტალიელებს პიცის სუნი ასდიოდეთ

იტალიელმა კოსმეტიკის მწარმოებელმა დუჩო კრეშიმ ისეთი კოსმეტიკა შექმნა, რომელსაც პიცის სურნელი დაჰკრავს. იტალიელ ქალბატონებში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალი აბაზანის ქაფი, საპონი და ტანის ლოსიონი. მთელი ეს პროდუქცია, პიცაში შემავალი, ნატურალური ინგრედიენტების საფუძველზეა შექმნილი. კრეშის თქმით, ქაფს გამძაფრებული სუნი აბაზანის მიღების დროს უფრო აქვს, თუმცა, მისი სასიამოვნო სურნელი არც შემდეგ ქრება. პიცის არომატიანი კოსმეტიკის გარდა, კრეშის კომპანია, „კაპუჩინოს" საპონს, ტოსკანას პურის სუნით გაჟღენთილ ტანის ლოსიონს, შოკოლადის, ტკბილეულისა და საღეჭი რეზინისსუნიან, ტანის ზეთსაც უშვებს. ■

ფოტოკუთხეები

6/71/30

იმედგამოცარიელი კომპანია „რეიტინგ ჯგუფი“ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს წარმატებული საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მივაწვდით!

- ✓ წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ მედია სტრატეგიის შემუშავებას;

ეფექტური

- საგაზეთო პუბლიკაციებისა და რეკლამის დამზადებასა და განთავსებას;
- ვიდეო და აუდიორგოლების (კლიპების, მათ შორის ანიმაციური) მომზადებას და ეთერში განთავსებას;
- ✓ სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას;
- ✓ ბუკლეტების, ჟურნალ-გაზეთების, პლაკატების და სხვ. მომზადებას, ბეჭდვას და გავრცელებას.

«რეიტინგ ჯგუფი»

ტელ: 38-68-77
877 46-58-49

თქვენი კარიერის პარტნიორია!